ვალერიან ტაქაიშვილი

ალიოშის სალოცავი

·ნაკადული·
19 თებერვალი 65

И (Исл)
839.6 — 31
ლ 298

თარგმანი

ჯ. ქარჩხაძისა და დ. ფერედიანისა

ისლანდია კუნძულია, სადაც სულ რაღაც 200 ათასი კაცი ცხოვრობს. ეს მცირერიცხოვანი ხალხი განთქმულია თავისი შრომისმოყვარეობითა და ძველი საგმირო საგებ-ბის ფანატიკური სიყვარულით. ისლანდიურ საგებსა და ედებს მსოფლიო ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ.

მაგრამ ისლანდიელები სამართლიანად ამაყობენ არა მარტო თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, არამედ თანამედროვე ლიტერატურითაც, რომლის უდიდესი წარმომადგენელია ისლანდიელი და მთელი სკანდინავიელი ხალხის საყვარელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ჰალდორ ლაქსნესი.

ჰალდორ ლაქსნესი დიდად ნიჭიერი და ამავე დროს ერთობ ორიგინალური მწერალია. წერის მანერის მიხედვით მისი წიგნები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი ნაწარმოები, რომლითაც ჰ. ლაქსნესის სახელი სკანდინავიის ფარგლებს გასცდა, იყო რომანი „დამოუკიდებელი ადამიანები", რომელშიაც უბრალო ისლანდიელის, მშრომელი ადამიანის, შეუპოვარი ხასიათი და გმირული სულია ნაჩვენები.

ამის შემდეგ მკითხველი შეუნელებელი ინტერესით ხვდება ჰ. ლაქსნესის ყოველ ახალ წიგნსა და მწერალიც არ უცრუებს იმედს თავის მკითხველებს. მისი ყოველი ახალი რომანი ახალი გამარჯვებაა.

1948 წელს ჰ. ლაქსნესმა გამოაქვეყნა რომანი „ატომის სადგური“.

„ატომის სადგური“ საოცრად თავისებური რომანია. იგი გაჟღენთილია ძველი სკანდინავიური ლიტერატურული ძეგლების რემინისცენციებით.

ერთი შეხედვით რჯგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს „ღმერთების“ სახეები, ორღანისტის პარადოქსალური აზრები, ნაწარმოების მთავარი გმირის, ახალგაზრდა ქალის, შეხედულებები ხელოვნებაზე, ცხენებზე, ქალისა და კაცის ურთიერთობაზე, ოჯახზე, რომანი „ატომის სადგური“ მაინც ნამდვილად რეალისტური ნაწარმოებია.

მუქი სატირული ფერებით დაგვიხატა ლაქსნესმა ბურჟუაზიული საზოგადოების გახრწნის სურათი. გვიჩვენა მმართველი კლასების ცდა, ისლანდიელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ მიეყიდათ ქვეყანა ამერიკელი იმპერიალისტებისათვის.

მწერალი არ იფარგლება მხოლოდ მხილებით. რომანში ჩანს რწმენა ადამიანებისადმი, რწმენა იმისა, რომ ხალხი უძლეველია და სამართლიანობა გაიმარჯვებს.

ამ წიგნშიც, ისევე როგორც ჰ. ლაქსნესის სხვა ნაწარმოებებში, ჩანს ავტორის დიდი ნიჭი, ფაქიზი გემოვნება და მსუბუქი, თბილი იუმორი.

ქართველი მკითხველი ამ წიგნს, ალბათ, ინტერესით წაიკითხავს.

„ბუდუბოდი“

— სუპს შევიტან, — ვამბობ მე.

— დროა, ღმერთმანი, — მიპასუხებს მზარეული ქალი, ჩვენი დროის ერთი უდიდესი ცოდვილთაგანი, რომელსაც სხვა სიკეთესთან ერთად ყურსაც აკლია, და ვარცლის თავზე მაცხოვრის ხატს ჰკიდებს.

სახლის პატრონის უმცროსი ქალიშვილი, ექვსი წლის თოურგუნური, რომელსაც მეტსახელად დიდის ეძახიან, გვერდიდან არ შორდება მზარეულს და გულხელდაკრეფილი სულ თვალებში შესციცინებს. გოგონა მასთან ერთად სადილობს სამზარეულოში, ღამეც მასთან წვება. ხანდახან გამომცდელად შემომხედავს — თითქოს რაღაცას მსაყვედურობს; ალბათ იმიტომ, რომ ჯერ ვერ შემეჩვია, — მე ხომ ახალი მოსამსახურე ვარ.

გამბედაობა მოვიკრიბე და სასადილო ოთახში სუპი შევიტანე, მაგრამ იქ არავინ დამხვედრია. პირველად შემოვიდა უფროსი ქალიშვილი, რომელსაც ახლახან მიეღო კონფირმაცია. სახე თოვლივით თეთრი ჰქონდა, ტუჩები და ფრჩხილები კი თითქმის შავად შეეღება. ხვეული ქერა თმა კოხტად გაისწორა. როცა მივესალმე, უაზროდ შემომხედა, მაგიდას მიუჯდა და მოდების ჟურნალს დაუწყო ფურცვლა. მერე სამაჯურების წკრიალით და სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ქალბატონი, თან ნელსაცხებლების მკვეთრი სურნელება შემოიტანა. არცთუ მაინცდამაინც მსუქანი, მაგრამ ტანსრული და კარგად მოვლილი ქალი გახლდათ. ქალბატონს ზედაც არ შემოუხედავს, ისე მკითხა:

— ერთი ეს მითხარით, გეთაყვა, — და მაგიდას მიუჯდა,—

უკვე ისწავლეთ მტვერსასრუტის ხმარება? — შემდეგ თავის ქალიშვილზე მიმითითა, — ეს დუდუა, აგერ ჩემი ბობოც მოვიდა. მე კიდევ ერთი ბიჭი მყავს, უნივერსიტეტში სწავლობს; მაგრამ ახლა შინ არ არის, დროს სატარებლად წავიდა.

— რა დაამახსოვრებს უბრალო ჩრდილოელ გოგონას ამდენ ბარბაროსულ სახელს! — შემომესმა უკნიდან. მივბრუნდი და ახოვანი, ლამაზი მამაკაცი დავინახე. არწივისებური ცხვირი ჰქონდა, საფეთქლებთან ჭაღარა შეჰპარვოდა. მამაკაცმა ძვლის სათვალეები მოიხსნა და წმენდა დაუწყო, თან იღიმებოდა ძალდაუტანებლად, მაგრამ ოდნავ მოქანცული და დაბნეული. მაშ, ეს არის ალთინგის[1] დეპუტატი, რომელიც ჩრდილოელებმა ავირჩიეთ, ბუი არლანი — კომერსანტი და დოქტორი. დღეიდან მე მისი მოსამსახურე ვარ.

როცა სათვალეების წმენდას მორჩა, ყურადღებით შემათვალიერა და ხელი გამომიწოდა.

— სწორედ დიდად დაგვავალეთ, რომ ამხელა გზას არ შეუშინდით და სამხრეთელებს დახმარების ხელი გამოგვიწოდეთ.

გული ამიჩქროლდა, ოფლმა დამასხა და, რა თქმა უნდა, ხმა ვერ ამოვიღე.

მერე თავისთვის ჩაილაპარაკა ჩემი სახელი „უგლა“[2] — და განაგრძო: — ბრძენი ფრინველი, რომელსაც ღამე უყვარს. რასა იქმს ჩემი მოხუცი ფალური, როგორ გრძნობენ თავს მისი ცხენები, ან ეკლესიის მშენებლობის საქმე როგორ მიდის? იქნება მომავალ სესიაზე პატარა ფული წავგლიჯო მაგ წარმართულ ალთინგს და ეკლესია დავასრულოთ, რათა ქარები მაინც სწირავდნენ ესტრიდალში, როცა იქ კაციშვილი აღარ დარჩება.

მიხაროდა, რომ ამდენს ლაპარაკობდა ბუი არლანი; ვფიქრობდი, ამასობაში მხნეობას მოვიკრებ-მეთქი. ჯერ არ მახსოვს, მამაკაცთან საუბრისას მუხლთ მომკვეთოდეს. ბოლოს, როგორც იქნა, ენა ამოვიდგი და ვუთხარი, ორღანზე დაკვრა მინდა ვისწავლო და ამიტომ ჩამოვედი-მეთქი.

— არ გვინდა, რომ სოფელი მთლად გაუკაცურდეს.

---

[1] ალთინგი — პარლამენტი ისლანდიაში.

[2] უგლა — ისლანდიურად — ჭოტი.

დიასახლისი სუპს ასხამდა, მე ოჯახის უფროსს ვესაუბრებოდი და არც კი შემიმჩნევია, რომ ჩასუქებული ბობო თვალებდაჭყეტილი მომჩერებოდა. ბოლოს ლოყები დაბერა, წაიფრუტუნა და ახარხარდა. მისმა დამ თავი მიანება ჟურნალის ფურცვლას და მასაც სიცილი აუტყდა. ჩემს უკან, სამზარეულოს კარში, პატარა ანგელოზი იდგა, რომელსაც სრულიად გადავიწყებოდა ღვთის შიში, და კისკისით უხსნიდა დედობილს ოჯახის უეცარი გამხიარულების მიზეზს:

— ორღანზე დაკვრა უნდა ვისწავლოო!..

ქალბატონი ძლივს მალავდა ღიმილს. მამა კი თითით დაემუქრა ბავშვებს, თავი გადაიქნია და მე შემომხედა. მერე უხმოდ მიუჯდა სუფრას.

შემდეგში, როცა მოვისმინე, რა საუცხოოდ უკრავდა ოჯახის უფროსი ქალიშვილი როიალზე შოპენს, მაშინღა მივხვდი, რა სასაცილო იქნებოდა ამ არისტოკრატულ ოჯახში მაღალი და ჯანიანი სოფლელი გოგოს სიტყვები: „ორღანზე დაკვრა მინდა ვისწავლოო“.

— ნამდვილი ჩრდილოელი ხართ, მხოლოდ ისინი ლაპარაკობენ ასე, — მითხრა მზარეულმა, როდესაც სამზარეულოში შევბრუნდი.

აღშფოთებულმა ვუპასუხე:

— მეც ხომ ადამიანი ვარ!

ჩემი სკივრი და ფისჰარმონია უკვე მოეტანათ. მთელი ფული ამ ფისჰარმონიის ყიდვაში შემომეხარჯა. ოთახი სხვენზე მიმიჩინეს და ნება დამრთეს თავისუფალ დროს დამეკრა ხოლმე, თუ, რასაკვირველია, სტუმრები არ ეყოლებოდათ. ჩემი მოვალეობა იყო, სახლი დამელაგებინა, ბავშვები დროულად გამესტუმრებინა სკოლაში, მზარეულს მივხმარებოდი და სუფრა გამეწყო. ეს სახლი უფრო დიდებული მეჩვენებოდა, ვიდრე საშობაო ბარათებზე გამოსახული მოოქრული ცათა სასუფეველი, რომელსაც ზოგიერთი ცხვირმოქცეული შინაბერა მზარეული, ალბათ, ყველაფერს ანაცვალებს. უელექტრონოდ აქ არაფერი კეთდება. დილიდან საღამომდე მანქანების ზუზუნი ისმის. ცეცხლი რა არის, არ იციან. ოთახებს ცხელი წყაროე-

ბით ათბობენ, ბუხარშიც კი ელექტრონით გავარვარებული მინის ნაკვერჩხლები აწყვია.

როდესაც მეორე თავი კერძი შევიტანე, სასადილოში სიცილი დამცხრალიყო. უფროსი ქალიშვილი მამასთან საუბრობდა და ჩემთვის ჩასუქებული ბობოს გარდა არავის შემოუხედავს. ქალბატონმა გამომიცხადა, საღამოს შინ არ ვიქნებითო (არ ვიცი, რა უნდოდა ამით ეთქვა); მზარეული იონაც კრებაზე აპირებდა წასვლას.

— თქვენ სახლს მიხედავთ და, როცა ბუბუ დაბრუნდება, ცხელ კერძს დაახვედრებთ.

— ბუ... მომიტევეთ, ვინ?

— კიდევ ერთი ველური, — მიპასუხა ბატონმა, — ტანგანიკიდან, კენიიდან, თუ რომელიღაც სხვა ქვეყნიდან, სადაც თმებს ვირთხის კუდებით იმკობენ. ისე კი არნგრიმური ჰქვია.

— ჩემი ქმარი ცოტა ჩამორჩენილი კაცია. ერჩია ბიჭისთვის გრიმსა დაეძახა, მაგრამ დრო თავისას მოითხოვს. ყველაფერში სტილია საჭირო.

— თქვენ ხომ ჩემი ფალურის ქალიშვილი ხართ და ჩრდილოეთიდან, დაუვიწყარი ესტრიდალიდან, ჩამოხვედით ჩვენთან, ქენით სიკეთე და ამ ბარბაროსებს სახელები გამოუცვალეთ.

— გუნსას დაძახებას მირჩევნია ნაკუწებად მაქციონ,—გაცხარდა უფროსი ქალიშვილი.

— გუდნი ჰქვია, — თქვა მამამ, — მაგრამ ასეთ სახელს როგორ იკადრებს. მხოლოდ შავი აფრიკა მოსწონთ: ბუ-ბუ, დუ-დუ, ბო-ბო, დი-დი.

ქალბატონმა მკაცრად შეხედა ქმარს:

— სულ ასე გინდა ელაპარაკო ამ გოგოს? — მერე მე მოგიბრუნდა, — გაიტანეთ, გეთაყვა, ცარიელი თეფშები.

ქალბატონის არ მეშინია

მაგრამ მე სულაც არ მეშინოდა მისი. არც მაშინ შემშინებია, როდესაც ჩემი სოფლური წუღებით მის საწოლ ოთახში შევალაჯე და გაწმენდილი ტუფლები შევუტანე. შილიფად

ჩაცმული იჯდა დიდი სარკის წინ, მის უკანაც, ოდნავ ირიბად, მეორე სარკე იდგა. ღიღინებდა და ფეხის ფრჩხილებს იღებავდა. გახდილი უფრო მსუქანი ჩანდა, მაგრამ მაინც - მკვრივი იყო.

როდესაც ტუფლები დავაწყვე და გამოსვლა დავაპირე, მან ღიღინი შეწყვიტა, სარკიდან გამომხედა და მკითხა:

— რამდენი წლისა ხართ?

— ოცდაერთის, — ვუპასუხე.

— გაქვთ რაიმე განათლება? — მკითხა მან.

— არა.

— თქვენი სოფლის იქით თუ ყოფილხართ სადმე?

— ერთი ზამთარი მეოჯახეობის სკოლაში გავატარე.

შემოტრიალდა და შემომხედა.

— მეოჯახეობის სკოლაში? რას გასწავლიდნენ?

— ბევრს არაფერს.

იგი დამაკვირდა.

— თქვენს სახეზე სწავლის კვალი ჩანს. განათლებულ ქალებს კი ეს არ ეტყობათ. ვერ ვიტან, ქალს რომ თავისი განათლება შუბლზე აწერია. — ეს კომუნიზმია. აბა, შემომხედეთ, უმაღლესი დავამთავრე, მაგრამ განა მეტყობა რამე? ქალი ქალს უნდა ჰგავდეს. ერთი თმა მაჩვენეთ.

მივუახლოვდი. იგი ყურადღებით დამაცქერდა. ხომ არ გგონიათ, ტილები მყავს, ან ყალბი თმები მაქვს-მეთქი, ვკითხე. ქალბატონი მედიდურად წამოდგა, ხელი მკრა და მიპასუხა:

— ნუ გავიწყდებათ, რომ ჩემს სახლში ხართ!

მინდოდა უხმოდ გავბრუნებულიყავი, მაგრამ ეტყობა, შევებრალე და დასამშვიდებლად მითხრა:

— სქელი თმა გქონიათ, მაგრამ ჭუჭყის ფერი გადაჰკრავს. ურიგო არ იქნებოდა, უფრო ხშირად დაგებანათ თავი.

მე ვუთხარი, გუშინწინ, სახლიდან წამოსვლისას, დავიბანე-მეთქი. და ასეც იყო.

— ძროხის შარდით? — მკითხა მან.

— მწვანე საპნით.

— მე კიდევ გიმეორებთ, ურიგო არ იქნებოდა, უფრო ხშირად დაგებანათ თავი.

როცა ოთახიდან გავდიოდი, ისევ მომაბრუნა და მკითხა:

— რა შეხედულებები გაქვთ?

— შეხედულებები? მე? არავითარი!

— ასე სჯობია, ჩემო კარგო. იმედია, იმათ რიცხვს არ ეკუთვნით, ვინც დღედაღამ წიგნებს ჩაჰკირკიტებს.

— წიგნის კითხვაში ზოგჯერ ღამეები გამითენებია.

— ღმერთო, მიშველე! — წამოიძახა ქალბატონმა და შეძრწუნებულმა შემომხედა, — კი, მაგრამ რას კითხულობთ?

— ყველაფერს, — ვუთხარი მე.

— ყველაფერს?

— სოფელში ყველაფერს კითხულობენ, — ჯერ საგებს, მერე კი რაც ხელში მოხვდებათ.

— იქნებ კომუნისტურ გაზეთებსაც?

— სოფელში მხოლოდ იმ გაზეთებს ვკითხულობთ, რომლებიც უფასოდ მოგვდის.

— გაფრთხილდით, ჩემო კარგო, კომუნისტებმა არ ჩაგითრიონ, — მითხრა ქალბატონმა, — მე ვიცნობდი ერთ სოფლელ გომბიოს, რომელიც ყველაფერს კითხულობდა. ბოლოს კომუნისტი გახდა და ციხეში ამოყო თავი.

— მე მინდა ორღანზე დაკვრა ვისწავლო.

— ჰოო, ახლა კი ეხედავ, რომ მართლა სოფლიდანა ხართ ჩამოსული,— თქვა მან, — თავისუფალი ხართ!

არა, ჩემი ქალბატონისა სრულიადაც არ მეშინოდა, თუმცა მისი ნათესავები მთავრობაში სხედან, მამაჩემი კი, მოხუცი ფალური, ღმერთს ეკლესიას უგებს ესტრიდალში, ხოლო ცხენები იალაღზე ჰყავს გაშვებული.

ჩემი ქალბატონი ფაიფურისაა, მე კი თიხისა ვარ.

ეს სახლი და ჩვენი კარ-მიდამო

მზარეულმა მითხრა, რამდენიმე რელიგიური საზოგადოება გამოვიცვალე და ბოლოს, როგორც იქნა, ვიპოვე ისეთი, რომელიც ჭეშმარიტ ქრისტიანობას ქადაგებსო. ეს საზოგადოება სმოლანდში[1] დაარსდა და პირველ ხანს შვედები აფინანსებდ-

[1] სმოლანდი — ოლქია შვეციაში.

ნენ. შემდეგ ატლანტიის ოკეანე გადალახა და ახლა რომელი-ღაც ამერიკული ქალაქის სახელს ატარებს. ისეთი გრძელი სახელი აქვს, ვერაფრით ვერ დავიმახსოვრე. მზარეულმა კრებაზე მეც მიმიპატიჟა. ისიც მითხრა, ამ საზოგადოებაში შესვლამდე ცოდვების მოტევებას ვერ იქნა და ვერ ვეღირსეო.

— რა ცოდვები გაქვთ ასეთი? — ვკითხე მე.

— მძიმე ცოდვები მაწევს. მაგრამ პასტორი დომსელიუსი მაიმედებს, ორ წელიწადში ხტუნვას დაიწყებო.

სმოლანდურ-ამერიკული რელიგიის მიხედვით, ხტუნვა მხოლოდ წმიდანებს შეუძლიათ, ამ დონდროხა ქალს კი ისე ამძიმებდა ცოდვები, რომ შეკუნტრუშება კი არა, ფეხის გადადგმაც უჭირდა. როდესაც ვუთხარი, მე არავითარი ცოდვა არა მაქვს-მეთქი, სიბრალულითა და შიშით შემომხედა და დამპირდა, შენთვისაც ვილოცებო. თანაც მარწმუნებდა, ეს აუცილებლად გიშველისო, რადგან სმოლანდურ-ამერიკული საზოგადოების ღმერთს განსაკუთრებული ხათრი ჰქონია მისი და ყოველგვარ თხოვნას უსრულებს თურმე.

ბატონები სასტიკად უკრძალავდნენ კრებაზე შვილობილის წაყვანას; სამაგიეროდ, წასვლის წინ ლოგინიდან წამოაგდებდა ხოლმე გოგონას, პერანგისამარას იატაკზე დააჩოქებდა, ხელებს გულზე დააკრეფინებდა და ალოცებდა. საბრალო ბავშვიც ცრემლმორეული ინანიებდა მაცხოვრის წინაშე თავის უთვალავ ცოდვას.

საღამოს სახლში ყველაფერი მიწყნარდა. მარტო დავრჩი ამ ახალ სამყაროში, რომელმაც მთელი ჩემი წარსული ერთ დღეში ბუნდოვან მოგონებად, ძველ წიგნში ამოკითხულ საგად აქცია.

ორი ერთმანეთში გამავალი ოთახი და მესამე, რომელიც მათთან სწორ კუთხეს ქმნის, ძვირფასი ნივთებითაა სავსე. კაცი იფიქრებს, ეს ნივთები თავისთავად დალაგებულან აქ ისე, რომ პატრონს ხელიც არ გაუნძრევიაო. ერთი ასეთი სკამის ყიდვას ჩვენი საუკეთესო ძროხაც კი ვერ აუვა. ყველა ამ სკამს კი, სულ რომ გავყიდოთ ფარა, მაინც ვერ შევიძენთ. მე მგონია, მთელი ჩვენი კარ-მიდამო მარტო დიდ ხალიჩასაც ვერ იყიდის. ცოტა რამე ჩვენცა

გვაქვს შინ: ჩაგლეჯილი დივანი, რომელიც მამაჩემს ოდესღაც აუქციონზე უყიდია და გრიმურის სურათი (ასე ვეძახდით პატარები მოხუც ჰალგრიმურ პეტურსონს[1]). დგას ანგელოსებით გარშემორტყმული გრიმური და ქადაგებს. რა თქმა უნდა, ფისჰარმონიაცა გვაქვს, მაგრამ აღარაფრად ვარგა, რადგან ოთახში ღუმელი არ გვინთია. მთელი ჩვენი სიმდიდრე იალაღზე თავისუფლად გაშვებული ცხენებია. რატომ არის ყოველთვის ღარიბი ის, ვინც მუშაობს? ნუთუ მართლა კომუნისტი ვარ, ასეთ საშინელ კითხვას რომ ვსვამ, კითხვას, რომელსაც, როგორც იტყვიან, კაცი ყოველნაირად უნდა ერიდოს? თითით ვეხები როიალის კლავიშებს. რა წარმტაც სამყაროს შლის ჩემს წინაშე ეს ჰარმონიულად შერწყმული ხმები! თუკი არსებობს ქვეყნად რაიმე ცოდვა, ეს მუსიკის უცოდინარობაა. მე კი მზარეულს ვუთხარი, ცოდვა არა მაქვს-მეთქი! როცა ბატონის კაბინეტში შევედი, სუნთქვა შემეკრა; ოთახი ჭერამდე წიგნებით იყო სავსე. რამდენიმე მათგანი გადავშალე, მაგრამ ვერაფერი გავიგე. თუ არსებობს ქვეყნად რაიმე ბოროტება, ეს გაუნათლებლობაა.

ცხელარი ღამეში

ბოლოს ავედი ჩემს ოთახში და ფისჰარმონიაზე დავუკარი სოფელში ნასწავლი ორიოდე მელოდია. მერე დავიკრიფე გულზე ხელები და ვიყავი ასე, რადგან მეტი აღარაფერი ვიცოდი. შემრცხვა ჩემი უვიცობისა; ავიღე ერთი სქელტანიანი, მოსაწყენი წიგნი „ენისა და კულტურის“ სერიიდან. ამას რა წაიკითხავს, თორემ, რომ წამაკითხა, მეტი აღარც მინდოდა რაშე, — კაცი გამოვიდოდი.

ასე გავიდა საღამო. სახლი თანდათან შეივსო. პირველად მზარეული დაბრუნდა ამერიკულ-სმოლანდური ცოდვათა მიმტევებელი დაწესებულების კრებიდან. მას სათითაოდ მოჰყვნენ ბავშვები და ბოლოს ცოლ-ქმარიც გამოჩნდა. მალე კვლავ ყველაფერი მიწყნარდა.

---

1 ჰალგრიმურ პეტურსონი (1614-1674) — პოპულარული ისლანდიური ფსალმუნების ავტორი.

მაგრამ ის, ვისთვისაც ცხელი ვახშამი უნდა დამეხვედრებინა, ჯერ კიდევ არსად ჩანს. ღამის სამი საათია. ძილი რომ არ მომეკიდოს, ოთახებში დავბორიალობ. ბოლოს სავარძელში ვჯდები და ვიძინებ. ოთხ საათზე ზარი მაღვიძებს, თვალების ფშვნეტით მივდივარ და კარს ვაღებ. კართან ორი პოლიციელი დგას. ხელში ცხედარი უჭირავთ.

— საღამო მშვიდობისა, — მეუბნებიან მშრალად და მეკითხებიან, ამ სახლში თუ ცხოვრობთო. მერე კი მთხოვენ, თუ შეიძლება დერეფანში ერთ პატარა ცხედარს დავტოვებთო.

— გააჩნია ვისი ცხედარია, — ვეუბნები მე.

ეგ მერე გაირკვევაო, ცხედარს იატაკზე დებენ, ქუდთან ხელი მიაქვთ და მეუბნებიან: „ღამე მშვიდობისაო“, ისევე მშრალად, როგორც წეღან „საღამო მშვიდობისა“ მითხრეს; მერე მანქანაში სხდებიან და მიდიან. მე კარს ვხურავ.

მამაკაცი კი, თუ შეიძლება მამაკაცი ეწოდოს ამ პირტიტველა ბიჭს, იატაკზე გდია. ქერათმიანია და სახით მამას ჩამოჰგავს. ტანსაცმელი და ახალი ტუფლები ტალახში ამოსვრია, თითქოს წუმპეში უგორავიაო. ლოყა მოთხვრილი აქვს,— ეტყობა, ურწყევია. რა ვქნა?

დავიხარე — სუნთქავდა. ცხვირში თამბაქოსა და არაყის მწარე სუნი მეცა. საბედნიეროდ, ბევრჯერ მინახავს ხატობებში არაყით მოცელილი ხალხი და ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ვამჯობინე, მე თვითონ შემეთრია ოთახში და არ გამეღვიძებინა მისი ელეგანტური და განათლებული მშობლები, რომელთა სახლთან ცათა სასუფეველი სახსენებელიც კი არ არის. შევანჯღრიე; მან რაღაც წაილუღლუღა ისე, რომ თვალიც არ გაუხელია. მაშინ ავიღე სველი ტილო და სახე მოვწმინდე. მთლად ბავშვი იყო, ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა თუ იქნებოდა. იწვა ხელებგადაშლილი, მკვდარივით ფერწასული და ოდნავშესამჩნევად სუნთქავდა. როცა წამოყენება დავუპირე, თავი უსიცოცხლოდ გადააგდო უკან. ბოლოს ხელში ავიყვანე, ოთახში შევიტანე და ლოგინზე დავაწვინე. მის ძმას მეორე საწოლზე გაუნძრევლად ეძინა. პიჯაკი და ტუფლები გავხადე და ჟილეტის ღილებიც შევუხსენი. ვერ გავბე-

დე, ჩვიდმეტი წლის ბიჭისთვის მთლიანად გამეხადა ტანთ, თუმცა სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა.

მერე ჩემს ოთახში ავედი დასაძინებლად.

სახლი სახლების უკან

შუა ქალაქში, დიდი სახლების უკან, დგას პატარა სახლი. ქუჩიდან არა ჩანს და აზრადაც არავის მოუვა, რომ იქ სახლი იქნება. ვინც დანამდვილებით არ იცის, დაიფიცებს კიდეც, არავითარი სახლი იქ არ დგასო, მაგრამ სახლი მაინც დგას — ხის პატარა, ერთსართულიანი, კრამიტით დახურული, დაფხაკებული სახლი, ძველი რეიკევიგის[1] ნაშთი.

დამპალი მესერი თითქმის მთლად დაუფარავს ნაგვის გროვებზე წამოზრდილ ჭინჭარსა და ბალახბულახს, რომელიც, გვიანი შემოდგომის მიუხედავად, მწვანედ ღაღანებს. არც კი მეგონა, თუ ამ სახლს მივაგნებდი. მაინც მივაგენი.

ერთი შეხედვით სახლში სიცოცხლის ნიშანწყალი არ ჩანდა. კარგად რომ დავაკვირდი, ფანჯარაში სინათლის ზოლი შევნიშნე. დიდხანს ვეძებე შესასვლელი და ბოლოს მოპირდაპირე მხარეს აღმოვაჩინე, მაღალი შენობის უკან. ახლა ეს სახლი ეზოს ბოლოშია მოქცეული, წინათ კი ამ მაღალი შენობის ადგილას, ალბათ, ქუჩა გადიოდა. კარი შევაღე და ჩაბნელებულ დერეფანში მოვხვდი. ჭუჭრუტანაში სინათლე დავინახე და დავაკაკუნე. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო. ზღურბლზე ხმელ-ხმელი მამაკაცი იდგა. მის ხნოვანებას მხოლოდ შეჭაღარავებული თმით თუ გამოიცნობდა ადამიანი.

მასპინძელმა სქელ წარბებს ქვემოდან გამომხედა და თავისი ცოცხალი თვალები შემომანათა, რომელშიაც ერთსადაიმავე დროს გულკეთილობაც ჩანდა, ალერსიცა და დაცინვაც. ასე მომეჩვენა, უკვე მიმიხვდა-მეთქი სტუმრობის მიზეზს.

ხელთათმანები წავიძრე და მივესალმე.

— მობრძანდით! — შემიპატიჟა მან, თან უკან დაიხია და გზა დამითმო.

---

[1] რეიკევიგი — რეიკიავიკის ძველი სახელი.

— აქ არის? — ვიკითხე მე.

— აქ არის, — მიპასუხა და ისე გამიღიმა, თითქოს დამცინოდა, უფრო სწორად, თითქოს თავის თავს დასცინოდა. მაგრამ ღიმილი მაინც თავაზიანი იყო. მე შევედი, ერთ ხანს შევიცადე და მერე გაზეთში ამოკითხული სიტყვები გავიმეორე:

— „ვასწავლით ორღანზე დაკვრას, საღამოს ათი საათიდან“.

— ორღანზე დაკვრას... — გაიმეორა მან, თან ღიმილით მიყურებდა, — ცხოვრების ორღანზე დაკვრას.

ამ სახლს, როგორც ეტყობა, ცხელი წყაროებით არ ათბობენ, ღუმელში ნამდვილი ცეცხლი ანთია. ოთახი გამოტენილია მცენარეულობით. ზოგი ყვავის კიდეც. მთელი ავეჯი სამფეხა დივანისა და ფისჰარმონიისაგან შედგება. მეორე ოთახში გამავალი კარი ღრიჭოდაა დატოვებული და იქიდან იაფფასიანი ინანთის სუნი გამოდის. სამზარეულოს კარი ყურთამდეა გაღებული; შიგ მაგიდა, რამდენიმე უზურგო სკამი და ტაბურეტი დგას. ქურაზე ჩაიდნით წყალი დუღს. ჰაერი ყვავილების სურნელით და ღუმელის კვამლითაა დამძიმებული. ერთ კედელზე ფერადი სურათი ჰკიდია. მასზე გამოსახულია ვიღაც არსება, რომელიც თავგაჩეხილ ქალიშვილს ჩამოჰგავს. ქალიშვილს თვალები მიულულავს, სულმთლად მელოტია, უცნაური პროფილი აქვს და ტუჩებში კოცნის საკუთარ თავს. ხელებზე თერთმეტი თითი აქვს. დაბნეული შევცქეროდი სურათს.

— სოფლიდან ხართ? — მკითხა მან.

— დიახ.

— მერე რად გინდათ, ორღანზე დაკვრა რომ ისწავლოთ?

ჯერ ვუთხარი, ძალიან მიყვარს რადიოთი მუსიკის მოსმენა-მეთქი, მაგრამ მერე შემეშინდა, — ასეთი პასუხი არ ივარგებს-თქო და დავუმატე:

— ჩვენს სოფელში ეკლესიას აშენებენ და იქ მინდა დავუკრა.

— აბა, ერთი, თქვენი ხელი მაჩვენეთ, — მან დახედა ჩემს ხელს, — ლამაზი ხელები გქონიათ, მაგრამ ინსტრუმენტისათვის, ცოტა არ იყოს, დიდია.

თავად გრძელი თითები ჰქონდა და ვიწრო, რბილი და რაღაც უსიცოცხლო ხელები, რომელთა შეხებისას ჟრუანტელი არ გივლის ტანში. ძვლებს რომ მისინჯავდა თითებზე, არ გაკწითლებულვარ, თუმცა არც უსიამოვნო გრძნობა გამჩენია.

— რა რელიგიას იქადაგებენ თქვენს ეკლესიაში?

— ალბათ, ისევ ძველს — ლუთერანულს. მე მგონია, უჩვეულოს არაფერს მოიგონებენ.

— ამაზე უჩვეულო რაღა იქნება, ქალიშვილი რომ ლუთერანობას ემხრობა, — თქვა მან, — პირველად მესმის ასეთი რამე. დაბრძანდით.

მე დავჯექი.

— ნუთუ ლუთერი... — დავიწყე ბლუკუნით, — განა ის ჩვენი ლუთერი არ არის?

— არ ვიცი. ერთადერთ კაცს ვიცნობდი, რომელსაც ლუთერი ჰქონდა წაკითხული. ფსიქოლოგი იყო და სამეცნიერო შრომას წერდა უწმაწური გამოთქმების შესახებ. ლუთერი ხომ ყველაზე უხამს მწერლად ითვლება მსოფლიო ლიტერატურაში. რამდენიმე წლის წინათ გადმოთარგმნეს მისი ერთი ნაშრომი, რომელიც საბრალო პაპზე იყო დაწერილი, მაგრამ უწმაწური გამოთქმების გამო ვერსად დაბეჭდეს. ყავას არ მიირთმევთ?

მადლობა გადავუხადე და არ ვიუარე, თუმცა გულში კი გავიფიქრე, რა საჭიროა-მეთქი.

— მაშინ არც დავუკრავ მაგ ლუთერისათვის, თუკი ასეთი უზრდელია. ჩემთვის დავუკრავ, — ვთქვი მე, თან თვალმოუშორებლად მივჩერებოდი სურათს. ბოლოს ვკითხე: — ეს რა სურათია?

— დიდებულია, არა?

— ასე მგონია, ამას მეც დავხატავდი-მეთქი... მაპატიეთ; ეს ადამიანია?

მან მიპასუხა:

— ზოგი ამბობს, ეს სკარპჰედინია[1], რომელსაც რიმუგი-

---

1 სკარპჰედინი (955—1014) — ისლანდიელი გმირი, „ნიალის საგის" ერთ-ერთი მოქმედი პირი.

გურმა ნაჯახით თავი გაუპოო, ზოგს კიდევ კლეოპატრას დაბადება ჰგონია.

მე ვუთხარი, ეს სკარპჰედინი ვერ იქნება, რადგან ნიალის საგაში წერია, რომ სკარპჰედინი ნაჯახთან ერთად დაწვესო. სურათზე კი ნაჯახი არა ჩანს. კლეოპატრა ვინღაა? ის დედოფალი, სიკვდილის წინ რომ შეირთო იულიუს კეისარმამეთქი?

— არა, ეს სხვა კლეოპატრაა, — გაიღიმა ორღანისტმა, — აი, ისა, ნაპოლეონი რომ ეწვია ვატერლოოს შემდეგ. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ ბრძოლა წაგებული იყო, შეიგინა, თეთრი ხელთათმანები ჩაიცვა და ერთ სახლში წავიდა, ქალებთან.

მეორე ოთახიდან ქალის ხმა მოისმა:

— მაგის ნათქვამს არ დაეჯერება, — და იმავ წუთს გამოგოგმანდა მაგრად შეღებილი, ტანადი, ლამაზი ქალი, რომელსაც ნეილონის წინდები და წითელი ტუფლები ეცვა. იმ ეფართე ფარფლებიანი შლიაპა ეხურა, კარში ძლივს გამოატია. გამოთხოვებისას ყურზე აკოცა ორღანისტს, ხოლო გასვლის წინ თითქოსდა იმის ასახსნელად, თუ რატომ არ დაეჯერებოდა ორღანისტის ნათქვამს, გადმომილაპარაკა:

— იგი ხომ ღმერთსა და კაცზე მაღლა დგას... აბა, წაეედი ამერიკელებთან.

ორღანისტმა ცხვირსახოცი ამოიღო, ღიმილით მოიწმინდა წითელი ლაქა ყურზე და მითხრა:

— ესაა.

პირველად მისი ცოლი ან საცოლე მეგონა, მაგრამ „ესაა“ რომ მითხრა, სულ დავიბენი. ახლახან იმ ქალზე არ ვლაპარაკობდით, დამარცხებული ნაპოლეონი რომ ესტუმრა?

სანამ ამას ვფიქრობდი, იმავე ოთახიდან კოჭლობით გამოვიდა მეორე ქალი — მიხრწნილი დედაბერი, ტანთ ბამბაზიის საღამური პერანგი ეცვა, არც ერთი კბილი არა ჰქონდა. ჭაღარა თმები ორად დაეწნა. ხელში ვარდებით მოხატული თეფში ეჭირა, რომელზედაც ყველის ქერქი და ჩაის კოვზი იდო. მთელი ეს სურსათ-სანოვაგე მუხლებზე დამიწყო, თავი-

სი პატარა მეგობარი მიწოდა და მთხოვა, მიირთვიო. მერე ამინდზე ჩამომიგდო სიტყვა. როდესაც დაინახა, რომ არ ვიცოდი, რა მექნა ყველის ქერქისა და ჩაის კოვზისათვის, სიბრალულით მომითათუნა ხელის ზურგი ორივე ლოყაზე, ცრემლმორეული თვალებით შემომხედა და ჩაილაპარაკა:

— ღმერთო, შენ გადმოხედე წყალობის თვალით!

ეს თხოვნა რამდენჯერმე გაიმეორა.

ორლანისტი მივიდა მასთან, აუწერელი სინაზით აკოცა და ისევ ოთახში შეიყვანა. მერე ჩამომართვა თეფში, ყველის ქერქი, ჩაის კოვზი და მითხრა.

— მისი შვილი ვარ.

ორი ღმერთი

ორლანისტმა მაგიდას სუფრა გადააფარა, დააწყო თითქმის სულ სხვადასხვანაირი ფინჯნები და ლამბაქები, მოიტანა პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭრილი გამხმარი ფუნთუშა, ცოტაოდენი დაფხვნილი ორცხობილა და შაქარი. მაგარი ყავის სუნი მეცა, მივხვდი, მასპინძელს სიძუნწე არ გამოეჩინა. ოღონდ ნაღები არ იყო მაგიდაზე. სტუმრებს ხომ არ ელოდებით-მეთქი, ვკითხე, რადგან სუფრა რამდენიმე კაცისათვის გაშალა. თურმე, არავის არ ელოდა, მხოლოდ ეს იყო, რომ ორი ღმერთი დაპირებია, შუაღამისას შემოგივლითო.

შევუდექით ყავის სმას. იგი სტუმართმოყვარე სოფლელი დედაკაცივით მთავაზობდა გამხმარ ფუნთუშებს და, როდესაც მისი ხათრით ერთი ნაჭერი გავსინჯე, გაეცინა.

ძალიან მომინდა ახლო გამეცნო ეს კაცი, მესაუბრა მასთან, მეკითხა ათასი რამე, რაც ამქვეყნად თუ იმქვეყნად ხდება; ყველაზე მეტად კი მისი ამბავი მაინტერესებდა: ვინ არის, ან რატომაა ასეთი, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი და ვიჯექი ასე ენაჩავარდნილივით. საუბარი ისევ მან განაახლა:

— დღისით სრულებით არა მაქვს დრო. მაგრამ თუ გვიან საღამოს ან დილაადრიან მოხვალთ ხოლმე, მოხარული ვიქნები.

— მაპატიეთ, მაგრამ ვერ მეტყვით, რას აკეთებთ დღისით?

— ვოცნებობ.

— მთელი დღე?

— გვიან ვდგები ხოლმე. გინდათ მუსიკა მოგასმენინოთ?

შევიდა გვერდით ოთახში და გრამაფონი მომართა. ნემსი აწრიპინდა და ჰაერში უცნაური ბგერები დაირხა. თავდაპირველად გრამაფონი გაფუჭებული მეგონა; მხოლოდ გრუხუნი, ხმაური და წივილ-კივილი ისმოდა, მაგრამ როდესაც ორღანისტი ისეთი აღფრთოვანებული გამოვიდა, თითქოს თვითონ შეექმნას, ეს მუსიკა, დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც იყო. პირდაპირ ოფლში ვცურავდი. ოთახიდან შემზარავი ხმა გამოდიოდა, ახლა კი მივხვდი, რატომ აყმუვლდება ხოლმე ძაღლი, როდესაც პირის ჰარმონიკაზე უკრავენ. ალბათ, მეც ავყმუვლდებოდი ახლა, ყოველ შემთხვევაში, უეჭველად ამოვიკვნესებდი და დავიღრიჯებოდი, ორღანისტი რომ ასეთი შთაგონებული სახით არა მჯდარიყო ჩემს პირდაპირ.

— როგორ მოგეწონათ? — მკითხა მან, როდესაც გრამაფონი გაჩუმდა.

— რა ვიცი...

— ხომ არა გგონიათ, რომ თქვენც დაწერდით ასეთ მუსიკას?

— კონსერვის რამდენიმე ქილა რომ მომცა, ორიოდე ქვაბის სახურავი და კატა, თავისუფლად დავწერდი.

ორღანისტს გაეღიმა.

— სწორედ ეგ არის დიდი ხელოვნების თვისება: ყოველად უვიცსაც კი ჰგონია, რომ არანაკლებს შექმნიდა, თუ, რასაკვირველია, საამისოდ სიბრიყვე ეყოფა.

— ნუთუ მართლა კარგია, — ვკითხე მე, — ნუთუ ასეთი უხეში სული მაქვს?

— შენ ისმენდი ცეცხლთაყვანისმცემელთა საცეკვაოს. მასში ჩვენი ეპოქა, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი დროის სილამაზეა ასახული.

ამის თქმა ძლივს მოასწრო, რომ წინკარში რაღაც ხმაური

გაისმა. მერე გაიღო კარი და ოთახში შემოგორდა ბავშვის ეტლი, რომელიც ახალგაზრდა კაცს მოჰყავდა. ეს იყო ღმერთი ნომერი პირველი.

ამ ხორცშესხმულ სულს, რომელიც მაღალი, ტანწერწეტა და ლამაზიც კი იყო, ტანთ ეცვა თევზიფხურად ნაქსოვი კოსტუმი. ჰალსტუხი გულმოდგინედ გამოენასკვა, ისე, როგორც მხოლოდ ქალაქელებმა იციან. ქუდი არ ეხურა. შუაში გაყოფილი ტალღისებური თმა უბრწყინავდა და ბრილიანტინის სურნელს აფრქვევდა. მან თავი დამიკრა, ანთებული თვალებით შემომხედა და ბოროტად გამიღიმა. ასე უღიმიან კაცს, რომელსაც მოკვლას უპირებენ. ეტლი შუა ოთახში დააყენა, ქაღალდში შეხვეული და კანაფით შეკრული რაღაც ბრტყელი, გრძელი, სამკუთხოვანი საგანი ყვავილებში ჩადო. როდესაც მომიახლოვდა, მომეჩვენა, თითქოს თევზის სუნი ასდიოდა. თავისი ოფლიანი ხელი გამომიწოდა და რაღაც „იესო ქრისტეს“ მსგავსი წაიბუტბუტა. არ ვიცი, იქნებ „იენს კრისტინსონი“ თქვა. მე წამოვუდექი, როგორც სოფლელმა ქალებმა იციან, და მივესალმე. მერე ეტლში ჩავიხედე. შიგ ორ ტყუპს ეძინა.

— ეს ღმერთი ბრილიანტინია, — წარმომიდგინა ორღანისტმა.

— ღმერთო კი მომკალი, რად დაატარებთ ამ ანგელოზივით ბავშვებს შუაღამისას? — გამიკვირდა მე, — დედა სადა ჰყავთ?

— კეფლავიკშია, — მიპასუხა ღმერთმა, — ბალს მართავენ იქ ამერიკელები.

— ბავშვები ყველაფერს აიტანენ, — თქვა ორღანისტმა,— ზოგს ცუდი ჰგონია, ბავშვები რომ დედას ჰკარგავენ. თუნდაც მამა დაჰკარგონ, მაინც არაფერი მოუვათ. აი, ყავა. ატომის მგოსანი სადღაა?

— კადილაკში ზის, — თქვა ღმერთმა.

— „ორასი ათასი კვნეტარა“?

— „ფფფ“, — უპასუხა ღმერთმა, — ნიუ-იორკი ოცდამეთოთხმეტე ქუჩა, 1250.

— არავითარი მეტაფიზიკური ალმოჩენები, არავითარი

მისტიკური ხილვა, არავითარი თეოლოგიური ზეშთაგონება?— იკითხა ორლანისტმა.

— მეტი არაა ჩემი მტერი, — წაიბურტყუნა ღმერთმა, — ესაა მხოლოდ, რომ ის ქეციანი ოლე ფიგური ირწმუნება, „ერის სიამაყეს“[1] დავუკავშირდიო. ეს ვინღაა?

— ღმერთებს ადამიანის ამბები არ ეკითხებათ. წესი არაა, — უპასუხა ორლანისტმა, — მისი საქმეა, ვინც არის, და მით უმეტეს — რა ჰქვია. ძველად ღმერთი არასგზით არ იკითხავდა ასეთ რამეს.

— კლეოპატრა როგორაა, გამოკეთდა?

— როგორ თუ გამოკეთდა?

— საავადმყოფოში ვიყავი მასთან. ცუდად იყო.

— არ მესმის, რას ამბობ.

— ძალიან ავადაა, — აუხსნა ღმერთმა.

— ძალიან ავად ყოფნა არ შეიძლება, — შენიშნა ორლანისტმა.

— ბღაოდა, — არ ცხრებოდა ღმერთი.

— ტანჯვა და სიამე ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ მათი გარჩევა ძნელია, — თქვა ორლანისტმა, — მე მგონია, ყველაზე დიდი სიამე ავადმყოფობაა, მით უფრო, მძიმე ავადმყოფობა.

კარში ღვთისმოსავი კაცის ფანატიკურად მოწიწებული ხმა გაისმა:

— მე მაინც გამიჩნდეს, ბოლოს და ბოლოს, კიბო.

ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა კაცი. სპილოს ძვლისფერი სახე ჰქონდა, ლოყებზე ოდნავ ემჩნეოდა ღინღლები. ახალგაზრდა უცხოელი გენიოსის პორტრეტს ჩამოჰგავდა, თითქოს შილერის, შუბერტისა და ბაირონის ნარევი იყო. ასე ხატავენ მათ ღია ბარათებზე, რომლებიც ფისჰარმონიის თავზე უკიდიათ გლეხებს. ალისფერი ჰალსტუხი ეკეთა და ტალახიანი ფეხსაცმელები ეცვა.

მან მთვარეულივით, დაძაბული მზერით შეათვალიერა ოთახი. მგონი, ყველაფერი აღიზიანებდა, ყოველი საგანი, —

---

[1] ერის სიამაყე — ასე ეძახდნენ ისლანდიაში იონას ჰალგრიმსონს (1807—1845), უდიდეს ისლანდიელ რომანტიკოს პოეტს.

სულიერი თუ უსულო. მერე თავისი ვიწრო და ფაფასავით რბილი ხელი გამომიწოდა და ჩაილაპარაკა:

— მე ბენიამინი[1] ვარ.

შევხედე ბენიამინს.

— რა ვქნა, არაფერი შემიძლია, — თქვა მან, — უმცროსი ძმა მე ვარ, გენეალოგიური ხის საშინელი ტოტი ჩემი ხალხია, უდაბნო — ჩემი ქვეყანა.

— ესენი საღვთო წერილს კითხულობდნენ და სული წმიდა გამოეცხადათ, — განმიმარტა ორღანისტმა, — პაპის ჩაურევლად, ჩვენი ლუთერის მეთოდით ეზიარენ ღვთაებრიობას. ყავა მიირთვი, ატომის მგოსანო.

—კლეოპატრა სადაა? — იკითხა ბენიამინმა.

— ჯანდაბას იქით, — უპასუხა ორღანისტმა, — შაქარი ჩაიგდე ყავაში.

— აღტაცებული ვარ მისი სილამაზით, — განაცხადა ატომის მგოსანმა.

— მეც მინდა ვნახო, — ჩაერია ღმერთი ბრილიანტინი.

— ხომ არა გგონიათ, რომ კლეოპატრა ვიღაც ღმერთებს გაუყადრებს თავს? — იკითხა ორღანისტმა, — იმას თავისი ოცდაათი კაცი უნდა.

მაშინ კი ვეღარ მოვითმინე:

— მე არ ვამბობ ხორცშესხმული სათნოება ვარ-მეთქი, მაგრამ ასეთი გარყვნილი ქალი არ მინახავს და, დარწმუნებული ვარ, არც არსებობს.

— გარყვნილი ქალები არ არსებობენ, — შენიშნა ორღანისტმა, — ეს ცრურწმენაა. არიან ქალები, რომლებიც ოცდაათ ღამეს ათევენ ერთ კაცთან და არიან ქალები, რომლებიც თითო ღამეს ათევენ ოცდაათ კაცთან.

— და ქალები, რომლებიც არავისთან არ ათევენ ღამეს.— რასაკვირველია, მხედველობაში საკუთარი თავი მყავდა. ისევ დამასხა ოფლმა, თვალთ დამიბნელდა და ჭარხალივით გავწითლდი. ალბათ, ძალიან ბრიყვული სახე მქონდა.

ორღანისტმა განაგრძო:

— ნეტარი ავგუსტინე ამბობდა, სქესობრივი ჟინი დამო-

---

[1] ბენიამინი — ბიბლიური გმირი, იაკობის უმცროსი შვილი.

კიდებული არაა ნებისყოფაზეო. წმიდა ბენედიქტე იმით იოკებდა ვნებას, რომ შიშველი კოტრიალობდა ჭინჭარში. არ არსებობს არავითარი სქესობრივი გარყვნილება, გარდა დაუქორწინებლობისა.

— ნება მომეცით, გაგაცილოთ, — შემომთავაზა ღმერთმა ბრილიანტინმა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— ღამით ქუჩაში ამერიკელები დადიან.

— მერე რა მოხდა?

— რევოლვერები აქვთ.

— რევოლვერის არ მეშინია.

— გაგაუპატიურებენ.

— მერედა თქვენ დამიცავთ?

ბრილიანტინმა გესლიანად გაიღიმა:

— კი.

— ბავშვებს რაღას უპირებთ?

— ბენიამინი წაიყვანს კადილაკით. თუ გინდა, მივბეგვავ ბენიამინს და კადილაკს წავართმევ. მაგას თუ აქვს ქურდობის უფლება, მეცა მაქვს.

— წავალ, კლეოპატრას მოვძებნი, — თქვა ატომის მგოსანმა.

— რა გეჩქარებათ, ჯერ გვიმღერეთ რამე, — სთხოვა ორღანისტმა.

ღმერთი ბრილიანტინი წამოდგა, აიღო ბრტყელი, სამკუთხა საგანი, რომელიც .ყვავილებში იდო, შეხსნა კანაფი და ქაღალდი შემოაცალა. შიგ გამხმარი ვირთევზა იყო. მერე ღმერთმა კანაფი ორად გაჭრა, სიმებით გადაჭიმა, დაამაგრა თევზის თავსა და კუდზე და დაუკრა. ოსტატურად ჩამოჭკრაევდა ხოლმე მარჯვენა ხელს სიმებს და ჰავაიური გიტარის მსგავსი ხმები გაისმოდა. თან ღიღინით აყოლებდა რაღაც მელოდიას. როდესაც სიმებს ჩამოჭკრავდა, ხელს ცხვირზე იტაცებდა, თითებს ნესტოებზე მიიჭერდა და ჰავაიური გიტარის ხმები სწორედ აქედან გამოდიოდა. ატომის მგოსანი შუა ოთახში დადგა და მსოფლიოს უდიდესი ადამიანის სახე მიიღო. გავოცდი: რას წარმოვიდგენდი, თუ სიმღერა ეცოდინე-

ბოდა. მას ერთსა და იმავე დროს მაღალი ხმაც ჰქონდა და დაბალიც. შესანიშნავად აჯავრებდა იტალიურ ქვითინს და შეეძლო თქვენი სულის ყველაზე მგრძნობიარე სიმი შეერხია. იგი ჩემკენ შემოტრიალდა და სიმღერა წამოიწყო:

შენ ხარ ოცნება, თუმც ოცნებაზე,
მართალი გითხრა, სქელი ხარ ოდნავ.
შენ ხარ სოფლელი და სიქალწულე —
ეს არის შენი მთავარი ცოდვა.

მაგრამ შეგინდობ ცოდვას ყოველგვარს,
ცხოვრების ჩემის ვარსკვლავო მნათო.
ჩემი სიმღერა მოილტვის შენკენ,
გაარღვევს მიწას, მზესა და ატომს.

როდესაც სიმღერა დაამთავრა, ხელი ჯიბეში ჩაიყო და უცებ ისეთი სახე გაუხდა, თითქოს შიგ კვერცხი გაუტყდა და ხელი დაესვარაო. ვერაფერი გავიგე. რას აკეთებს? ფოკუსია? ამ დროს ჯიბიდან დასტა-დასტად ამოალაგა ფული, — ათკრონიანები, ორმოცდაათკრონიანები, ასკრონიანები. ცოფიანივით ეძგერა ამ ფულს, გადახია, დაჭმუჭნა, დაყარა იატაკზე, შედგა ფეხით და გასრისა, როგორც ბაყაყს გასრისავენ. მერე ერთბაშად დამშვიდდა, დაჯდა და პაპიროსი გააბოლა.

ღმერთმა ბრილიანტინმა ბოლომდე დაუკრა მელოდია. ორღანისტმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა თავისი გულკეთილი ღიმილით, ცოცხი აიღო, იატაკი დაგავა და ნაგავი ცეცხლში შეყარა. მერე მადლობა გადაუხადა მსახიობებს და კიდევ თითო ჭიქა ყავა შესთავაზა. ამასობაში ტყუპებმაც გაიღვიძეს და ტირილი მორთეს.

თეოლოგიური გასეირნება ღამით

ატომის მგოსანი კადილაკით წავიდა. ასეთი მშვენიერი მანქანა ჩემს დღეში არ მინახავს. ქუჩაში დავრჩით მე, ღმერთი ბრილიანტინი და ატირებული ტყუპები.

— გაგაცილებ, — მითხრა მან.

— უკეთესია მე მოგეხმარებით. იქნებ როგორმე დავაწყნაროთ პატარები.

— თავისით დაწყნარდებიან.

— თქვენია ხომ ეს ბავშვები?

— არა, ჩემი ცოლის.

— სულერთია, მაინც არ უნდა ატიროთ.

ღამე იყო. ყინულავდა. ქუჩაში მთვრალები დაბანცალებდნენ. მე ბალღებს ვამშვიდებდი და ბოლოს, როგორც იქნა, დავაძინე. მერე ღმერთთან გამოთხოვება დავაპირე, მაგრამ თურმე ერთი გზა გვქონია.

ერთ ხანს ხმაამოუღებლად მივდიოდით. მერე ვეღარ მოვითმინე და ვკითხე:

— ის ფული ნამდვილი იყო თუ ყალბი?

— ნამდვილი ფული არ არსებობს, — მიპასუხა ღმერთმა, — ფული ყველა ყალბია. ჩვენ, ღმერთებს, ფეხებზე გვკიდია ფული.

— ყოველ შემთხვევაში, ატომის მგოსანი კარგა მდიდარი უნდა იყოს, ასეთი მანქანით რომ დაქრის.

— ვისაც ქურდობის შნო აქვს, ყველა მდიდარია. ღარიბი ისაა, ვინც ვერაფერს იპარავს. მთავარია, ქურდობა იცოდე.

— ნეტა გამაგებინა, ვის მოპარა ამ თითისტოლა პოეტმა ამხელა მანქანა?

— რა თქმა უნდა, კვნეტარას, ჩვენს შეფს. არ გაგიგონია კვნეტარა, „ორასი ათასი კვნეტარა“, „ფფფ“, რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობს და საზოგადოება „სნორი-ედას“ ყალბ აქციებს უშვებს. ერთი სტატია დაწერა საიქიოზე და ჩრდილოეთში ეკლესია ააშენა.

— მაპატიეთ, მაგრამ ვერ გავიგე ასე ერთბაშად ყველაფერი, მე ხომ სოფლელი ვარ.

— რა არის აქ გაუგებარი, — „ფფფ“ ამერიკულად ნიშნავს „The Federation of Fulminating Fish“, ჩვენებურად კი — „ფასგამყალბებელი ფირმების ფედერაცია“. მაგალითად, ამერიკაში ღილი ნახევარი ერე ღირს, მაგრამ ნიუ-იორკში შენ გაქვს სააქციონერო საზოგადოება „ფფფ“, რომელიც ამ ღილს ისლანდიაში ორ კრონად ყიდის. ფაქტურაზე აწერს: ერთი

ღილი — ორი კრონი. ოთხასი პროცენტი გაქვს მოგება და ერთ თვეში მილიონერი ხდები. ახლა გაიგე?

უცებ ვიღაცამ დაგვიძახა. მივიხედეთ, — ჩვენკენ უქუდოდ მორბოდა ორღანისტი.

— მაპატიეთ, — თქვა მან, თან დაღლილობისაგან ქლოშინობდა, — ერთი წვრილმანი რაღაც დამავიწყდა: ვერ მასესხებთ რომელიმე ერთ კრონს?

ღმერთმა ამაოდ მოიჩხრიკა ჯიბეები, სამაგიეროდ მე მქონდა ერთი კრონი და მივეცი ორღანისტს. მან მადლობა გადამიხადა, მომიბოდიშა და შემპირდა, შემდეგ მოსვლაზე დაგიბრუნებო.

— საუზმისთვის ორმოცდაათი გრამი ორცხობილა მინდა ვიყიდო, — ამიხსნა მან. მერე ღამე მშვიდობისა გვისურვა და წავიდა.

ერთ ხანს ჩუმად მივყვებოდით ბავშვის ეტლს. შუაღამე გადასული იყო. ვცდილობდი როგორმე იმაში გავრკვეულიყავი, რაც დღეს ვნახე და გავიგონე. ღმერთმა მკითხა:

— თუ ატყობ, რომ სხვა მამაკაცებს არა ვგავარ?

მართლაც, ძალიან ლამაზი იყო. მის გამგმირავ მზერას და მკვლელის ღიმილს, ალბათ, ვერც ერთი ქალი ვერ გაუძლებდა. მაგრამ მე, რატომღაც, გულგრილად ვუყურებდი მის სილამაზეს და თითქმის არც ვუსმენდი.

— საბედნიეროდ, ერთმანეთის მსგავსი ადამიანები არ არსებობენ.

— ჰო, მაგრამ, ნუთუ ვერა გრძნობ, რომ ჩემი სხეული დენს უშვებს?

— განა საკმარისი არაა, რომ თქვენ თვითონ გრძნობთ?

— ვიცი, არა ვგავარ სხვებს. პატარაობიდანვე ასეთი ვიყავი. თავიდანვე ვატყობდი, რომ ჩემში ღვთაებრივი სული იყო. ქვეყნიერებას თითქოს მაღლიდან დავყურებდი. როცა მცემდნენ, ასე მეგონა, სხვას სცემენ-მეთქი. ვგრძნობდი, რომ შემეძლო რეიკიავიკი იღლიაში ამომეჩარა და წამეღო.

— არასოდეს მომსვლია თავში ასეთი აზრი, ვერც გავიგე. ძალიან სასაცილო გრძნობა უნდა იყოს.

— ჩემთვის ეს სავსებით ბუნებრივია. სხვამ რაც უნდა, ისა-

თქვას. მე ყველაზე და ყველაფერზე მაღლა ვდგავარ. როცა ხალხს ვუყურებ, უნებურად მეღიმება.

— ოჰო!

— ვგრძნობ, რომ მე და ღმერთი ერთი ვართ. ვგრძნობ, რომ იესო, მაჰმადი და ბუ... რა ჰქვია... ბუდა ერთი ვართ.

— რამ გაფიქრებინათ ეგ?

— დაბადებიდან ასე ვფიქრობ. ჯერ მეგონა, ყველას ასე მოსდის, ყველა სულელია-მეთქი. გამოვკითხე ჩემს ტოლებს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. და აი, დადგა დღე, როდესაც მივხვდი, რომ ეს მხოლოდ მე და ბენიამინს გვაქვს. ორად ორ კაცს მთელ ქვეყანაზე.

— რა გაქვთ თქვენ და ბენიამინს?

— სული. მარადიული, ღვთაებრივი სული. გრძნობ, რომ შენ და ღმერთი ერთი ხართ. ადგები და მოიპარავ რამეს, იქნებ კაციც მოკლა, მაგრამ ეს შენ არ გეხება. შენ სული ხარ, ღმერთის ნაწილი ხარ. გცემენ, მაგრამ შენთვის სულ ერთია, მით უმეტეს, თუ მაგრა გცემენ. გინდა თავი გაგიხეთქონ, გინდა პოლიციელმა ისეთი გთხლიშოს, თვალებიდან ნაპერწკლები დაგაყრევინოს, და მერე ბორკილები დაგადოს. სულ ერთია, შენ ნეტარი ხარ; იმიტომ, რომ სხეული არა გაქვს. მეორე დღეს წარსდგები სამსჯავროს წინაშე, ხოლო სული შენი ღმერთშია დავანებული. შენ ციხეში გიკრავენ თავს, მაგრამ არაფერი იცი, არაფერი გესმის, გრძნობ, მხოლოდ იესოს, მაჰმადს და კიდევ იმას... რა ჰქვია, იმ მესამეს. მხოლოდ ხმა გესმის, რომელიც გეჩურჩულება: შენ ხარ მე, მე ვარ შენ! მე ნეტარი ვარ. მაშინაც კი, როცა არა მცემენ. ცა და მიწა ხსნილია ჩემს წინაშე, ზიანს ვერაფერი მომაყენებს. ყველაფერი ვიცი, ყველაფერი მაქვს და ყველაფერი შემიძლია.

— თუ მართლა ასეთი ხართ, მაშინ სასწაული უნდა მოიმოქმედოთ.

— ჩემს მეტი კაციშვილი ვერ უკრავს გამხმარ ვირთევზაზე. რომ მინდოდეს, ჰოლივუდში წავიდოდი და მილიონერი გავხდებოდი.

მე არაფერი მითქვამს. ღმერთმა ხელი წამავლო, მიმიზიდა და სახეში ჩამხედა.

— არ გიკვირს? ცოტათი მაინც არ გაგიტაცა ჩემმა ლაპარაკმა? იცი რა, მოდი ამ ეზოში შევიდეთ, რაღაცა უნდა მოგიყვე.

არ ვიცი, ასე რამ გამომაშტერა. გულუბრყვილოდ გავყევი სახლის უკან და, რაღა თქმა უნდა, თვალის დახამხამება ვერ მოვასწარი: მეცა, მიმაკრა კედელს და დამიწყო კოცნა, თან ცდილობდა კაბა აეწია. გვერდით კი ბავშვების ეტლი იდგა! ჯერ არ გავარტყი, მხოლოდ ხელი ვკარი და ვუთხარი:

— არაფერი გამოგივა, ჩემო კარგო, გინდაც წმიდა სამება იყო და გოგრაზე ერთი ფუთი ბრილიანტინი გეცხოს, — მერე კი მივარტყი, როგორც წესი და რიგია, თან წიხლიც ჩავაზილე მუცელში.

— დალახვროს ეშმაკმა, ასე რამ გაგაკაპასა!.. ნუთუ არ გესმის, რომ შემიძლია აქვე გაგათავო?

— მჯერა. თავიდანვე მივხვდი, რომ მკვლელი იყავი.

— ამას შეხედე! — თქვა მან და ცხვირწინ რაღაც დამიტრიალა. სიბნელეში კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ, მე მგონი, რევოლვერი იყო.

ჩემს ზემოთ ფანჯარა გაიღო, და ვიღაც კაცი დაინტერესდა, რა ჯანდაბას ვაკეთებდით აქ. მერე დაგვიღრიალა, ეს უბანი მე მაბარია და თუ ახლავე არ წაეთრევით აქედან, პოლიციას გამოვუძახებო. ღმერთმა რევოლვერი (თუ ეს მართლა რევოლვერი იყო) ისევ ჯიბეში ჩაიდო და ეტლი ქუჩაში გაიყვანა.

— გამოგცადე, — მითხრა მან, — დამიჯერე, ამ ბავშვების საბრალო მამა ცუდს არაფერს გიპირებდა. გაგაცილებ.

მაგრამ უცებ რაღაც გაახსენდა.

— ის ოხერი ვირთევზა დამრჩა. მომკლავს ცოლი, თუ ხვალისთვის საჭმელი არ მივუტანე, — და ისევ ეზოში შევარდა.

სანამ ის თავისი ოჯახისათვის საკვებს ეძებდა, მე გავიპარე.

შეგონება

როდესაც დედაჩემი სამოცი წლისა გახდა, ასი კრონი აჩუქეს. და უეცრად აღმოჩნდა, რომ თურმე ფულს ვერ არჩევდა,

რადგან მანამდე არასოდეს ენახა. სამაგიეროდ, თორმეტი წლიდან მოყოლებული თექვსმეტ საათს მუშაობდა დღეში ზამთრობით და თვრამეტ საათს ზაფხულობით. ჰოდა, როცა მეორე დღეს მომაგონდა, როგორ დახიეს და დაწვეს ჩემს თვალწინ ფული, ვიფიქრე, — ალბათ, მთვრალი ვიყავი და მომეჩვენა, ანდა კინოში თუ ვნახე-მეთქი.

ქალბატონი თერთმეტ საათზე იღვიძებს, და გაიღვიძებს თუ არა, მაშინვე შოკოლადი უნდა მიართვა. ზის ფართო საწოლში, ბრწყინავს ნეტარებისაგან, რადგან ამქვეყნად სამართალი არ არის, და სვამს თავის ტკბილ, მსუყე სალაფავს, თან კონსერვატულ გაზეთს კითხულობს. რა გასაკვირია, რომ ასეთ ქალს სამყარო მშვენიერი ეგონოს! როდესაც გასვლა დავაპირე, ჩააბველა და მიბრძანა, — დარჩიო. მშვიდად, აუჩქარებლად დაამთავრა სმა და ბოლომდე ჩაიკითხა სტატია. მერე წამოდგა, მოისხა კიმონო, დაჯდა სარკის წინ და დილის ტუალეტს შეუდგა.

— თქვენ სოფლელი გოგო ხართ, — განაცხადა მან.

სადავო არაფერი მქონდა.

— მე, რა თქმა უნდა, არ მაინტერესებს, რას აკეთებენ ჩემი მოსამსახურე ქალები ღამით, მაგრამ ოჯახის გულისთვის, გესმით?..

— ოჯახის გულისთვის?

— დიახ, ოჯახის გულისთვის. ერთმა გოგომ ტილები შემომიყვანა სახლში.

მერე შემობრუნდა, ამხედ-დამხედა და ღიმილით მითხრა:

— კავალერი სხვადასხვანაირი არსებობს.

— გასაგებია.

— სულ სხვადასხვანაირი, — მათვალიერებდა და თან გესლიანად იღიმებოდა.

— დავიმახსოვრებ. — ვუპასუხე მე.

— დიახ, არ გაწყენთ ამის დამახსოვრება, — და ისევ სარკისკენ შეტრიალდა, — მე და ჩემი ქმარი არაფერს ვამბობდით, როდესაც ჩვენს გოგოს ამერიკელები მოჰყავდა, რადგან ისინი საგანგებო საექიმო შემოწმებას გადიან. ვფიქრობდით, რომ ასე ჯობდა, ვიდრე სადმე გარეთ, ვთქვათ, რომელიმე ტილებიან მეზღვაურთან ეთია ღამე.

ვითომ რატომ თქვა „მე და ჩემი ქმარიო“? ნუთუ იწვნენ ბოლმე, ხელში საათი ეჭირათ და მოსამსახურის დაბრუნებას ელოდნენ? თუ უნდოდა შეეხსენებინა, რომ არსებობს განსხვავება მსუბუქი ყოფაქცევის ქალსა და ქმარშვილიან მანდილოსანს შორის, რომელსაც საკუთარ ლოგინში სძინავს? ქალბატონს გრძელი, წითელი ფრჩხილები ჰქონდა, ამით ალბათ, ქმარს კაწრავს-მეთქი, გავიფიქრე. ჯერ დავაპირე დაუფარავად ვეტყვი ყველაფერს, სად ვიყავი, რა გავაკეთე გუშინ, მაგრამ მერე გადავიფიქრე: რა ვალდებული ვარ ანგარიში ჩავაბარო-მეთქი.

— ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ, ერთ მშვენიერ დღეს, ციხეში არ ამოყოფთ თავს, — თქვა მან.

— ციხეში? არ მესმის, რას ამბობთ?

— მით უარესი თქვენთვის. სოფლელი გოგოები, რომლებიც სოლიდურ გაზეთებს არ კითხულობენ და არ ესმით, რა ხდება საზოგადოებაში, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებენ, ისე ამოყოფენ ხოლმე თავს ციხეში.

— ეს უკვე საინტერესოა.

— კომუნისტების ღორობას სიტყვით ვერ აწერს კაცი.

— თუ ასე გაუგებრად ილაპარაკებთ, მე, ალბათ, ღორობა მომინდება.

— არც ერთ ქალიშვილს ისეთი საფრთხე არ ემუქრებოდა. როგორც მე, — წამოიწყო მან ამაყად, — იცით, რამდენი რამე ჰქონდა მამაჩემს? საბითუმო და საცალო ვაჭრობის დაწესებულებები, კინემატოგრაფები, ტრალერები, სტამბები, გაზეთები, ქაშაყის ზეთისა და ძვლის ფქვილის ქარხნები. ყველაფერი მქონდა და ყველაფერი შემეძლო. შემეძლო პარიზში წავსულიყავი, როცა კი მომეხასიათებოდა, დამეწყო ღორობა, შემეძლო კომუნისტი გავმხდარიყავი და ყოველი ღონე მეხმარა, რომ მამაჩემისთვის უკანასკნელი პერანგი გაეხადათ. მაგრამ არაფერი ასეთი არ ჩამიდენია. ვიშოვე ქმარი და შევქმენი ოჯახი. გავაჩინე ბავშვები, ჩემო საყვარელო, და ახლა ჩემი ცხოვრების მიზანია, აღვზარდო ისინი საზოგადოებისათვის. პატიოსან ქალს შვილების გაზრდა ურჩევნია ღორობას.

ღამის სტუმრები

საღამოს ქალბატონმა მითხრა, ლამაზად გამოეწყვე, ამაღამ ბატონს ამერიკელები ეწვევიანო, შენ კი კარს გაუღებ მათ და კაბინეტში შეიყვანო. თანაც გამაფრთხილა, არც მიესალმო, არც შეხედო და, საერთოდ, ძალიან თავდაჭერილად მოიქეცი, თორემ უცხოელებმა, შეიძლება, რამე იფიქრონო. თუ ინგლისური არ იცი, ჯობია სულ ნუ ამოიღებ ხმას, ყოველ შემთხვევაში, გახსოვდეს, რომ „პლიზ"[1] არ წამოგცდეს, როდესაც სტუმრებს სოდიან წყალს მიართმევ.

გვიან საღამომდე ველოდი ამერიკელებს და, ცოტა არ იყოს, ვღელავდი. ხუმრობა ხომ არ იყო ისეთი წარჩინებული სტუმრების მიღება, რომლებსაც უბრალო მოსამსახურის მისალმება შეურაცხყოფას აყენებს! ბოლოს გამოჩნდნენ. მანქანა ჭიშკართან გაჩერდა და, როგორც კი სტუმრები გადმოვიდნენ, მაშინვე გაქრა. ამერიკელები კიბეზე ამოვიდნენ და დარეკეს. იმწამსვე გავუღე.

ერთი მათგანი, სქელ-სქელი კაცი, ოფიცრის მუნდირში იყო გამოწყობილი, ხოლო მეორეს, მაღალს, სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა. მე მეგონა, ზედაც არ შემომხედავენ, თორემ გამარჯობას ხომ არ მეტყვიან და არ მეტყვიან-მეთქი. რა ვიცოდი, თურმე თავაზიანობის განსახიერება ყოფილან. კაცი იფიქრებდა, ძველ მეგობარს შეხვდნენო, — მხიარულად მიღიმოდნენ და გაუთავებლად ლაყბობდნენ; ერთმა მათგანმა ხელიც კი წამომიტყაპუნა უკან. სანამ გამოვერკვეოდი, სტუმრებს უკვე ჩამოეკიდათ ქუდები და პალტოები. ოფიცერმა მთელი მუჭა საღეჭი რეზინი ამოიღო ჯიბიდან და გამომიწოდა. მეორეს, როგორც ჩანს, არ უნდოდა ამხანაგს ჩამორჩენოდა, და ერთი კოლოფი სიგარეტი მომცა. ღმერთმანი, ჩემ დღეში არ მინახავს ასეთი გულითადი და უბრალო ხალხი. ქალბატონის დარიგება სულ გადამავიწყდა და მეგობრულად გავუღიმე სტუმრებს.

როდესაც კაბინეტში სოდიანი წყალი შევიტანე, ისინი მას-

[1] ინებეთ (ინგლ.)

პინძელთან ერთად ისლანდიისა და მსოფლიოს რუკებს ათვალიერებდნენ. ბატონი წამოდგა, სინი ჩამომართვა და მთხოვა, ვახშამი მზად გქონდეს და, თუ სტუმრები ჭამას მოინდომებენ, შემოიტანეო. მაგრამ აღარ დაუძახიათ.

შუაღამისას მანქანა მოადგა ჭიშკარს და ამერიკელები გაქრნენ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ არ უნდოდათ, რომ მანქანა დიდხანს მდგარიყო სახლის წინ.

არ გასულა რამდენიმე წუთი და ახალი სტუმარი მოვიდა. მე პირველად ვნახე პრემიერ-მინისტრი, — ქალბატონის ძმა. აქამდე მხოლოდ სურათებში მენახა. ისე კი ვიცოდი, რომ აქვე ცხოვრობდა, ორ ნაბიჯზე, კუთხის სახლში. არც კი შემოუხედავს ჩემთვის, როდესაც კარი გავუღე, და ქუდმოუხდელად შევიდა ოთახში. სოდიანი წყალი რომ შევუტანე, ბატონმა თავისებური გულკეთილი ღიმილით უთხრა:

— ეს ჩვენი ჩრდილოელი ჭოტია.

მაგრამ მინისტრს ყურადღება არ მიუქცევია ასეთი წვრილმანისათვის. თავი მხრებში ჩაერგო, იჯდა მოჟამული, როგორც კუჭში შეკრული კაცი, და სიგარას ცეცხლს უკიდებდა.

ნაშუაღამევს კიდევ ბევრი სტუმარი მოვიდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ. მე მგონია, მინისტრმა დაურეკა და ლოგინიდან წამოყარა ეს ხალხი. ზოგს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ცა და ქვეყნის ბატონ-პატრონი ყოფილიყოს. ისხდნენ კაბინეტში, ხმადაბლა საუბრობდნენ და თან ცოტ-ცოტას სვამდნენ. მე გამიშვეს, მაგრამ კიდევ დიდხანს ვერ დავიძინე. სულ მეჩვენებოდა, რომ ამ სახლში საიდუმლო გარიგებები ეწყობოდა.

ისლანდია ქუჩაში.
ახალგაზრდობის სახლი

მეორე დღეს, საღამო ხანს, საფუნთუშეში წავედი, — მინისტრის სახლის პირდაპირ. იქ ერთი ქალიშვილი მუშაობს, მუდამ შეფიქრიანებული სახე აქვს. დგას დახლთან და რძესა და პურს ყიდის. ხანდახან მაღაზიაში ვიღაც ახალგაზრდა კაცი შემოდის და ქალიშვილს ესაუბრება.

იმ დღეს ჩვენს წყნარ ქუჩას უჩვეულო გამოცოცხლება ეტყობოდა. პრემიერ-მინისტრის სახლთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ახალგაზრდები. ეჭვი არაა, რაღაც მოხდა. ყველას აღგზნებული სახე აქვს, კაციშვილი არ ილიმება. ცნობისმოყვარე გამვლელები ჩერდებიან და ტროტუარზე იკრიბებიან. ფანჯრებიდანაც ხალხი იყურება. ქუჩის ფარნის ქვეშ ორი პოლიციელი გაშეშებულა. შავი ზუჩები ახურავთ და ხელკეტებით არიან შეიარაღებული.

— რა ამბავია? — ვკითხე ერთ დარბაისელ, კარგად ჩაცმულ კაცს, რომელიც ჩქარი ნაბიჯით გადმოდიოდა ქუჩაზე. დარბაისელ კაცს ნაბიჯიც არ შეუნელებია, გულმოსულად მიპასუხა:

— კომუნისტები არიან.

ცნობისმოყვარეობა გამიღვივდა. ახლა სპეცტანსაცმელში გამოწყობილ მუშას ვკითხე იგივე. მან ერთი კი შემომხედა და მკვახედ მიპასუხა:

— ქვეყანას ყიდიან.

მე შუა ქუჩაში ვდგავარ და ხმამაღლა ვკითხულობ:

— ვინ ყიდის ქვეყანას?

ხალხი გაკვირვებული მიყურებს.

ცოტა ხნის შემდეგ მინისტრის სახლთან თავმოყრილი ახალგაზრდები იწყებენ ყვირილს:

— ჩვენ არ გვინდა, რომ ისლანდია გაიყიდოს! ჩვენ არ გვინდა, რომ ისლანდია გაიყიდოს!

ერთი ახალგაზრდა მესერზე ადის და სიტყვას ამბობს პრემიერ-მინისტრის ფანჯრების წინ. პოლიციელები მიდიან მასთან და სთხოვენ შეწყვიტოს ლაპარაკი, სახლში მაინც არავინაა, მთელი ოჯახი ქალაქგარეთაა წასულიო. ახალგაზრდა ჩუმდება. ვიღაც ამბობს, ჰიმნი ვიმღეროთო და იწყებენ ჰიმნს. ასე სიმღერ-სიმღერით მიემართებიან ქალაქის ცენტრისაკენ. ცნობისმოყვარეები იშლებიან. ფანჯრები იხურება.

საფუნთუშე ღიაა. ქალიშვილი დახლთან დგას და ახალგაზრდა კაცს ესაუბრება. ისინი დიდი, ნათელი თვალებით შეჰყურებენ ერთმანეთს. ორივე ძალიან სერიოზულია. ვერც კი გაიგეს, როგორ მივესალმე.

— კომუნისტები იყვნენ? — ვკითხე მე.

— რაა? — ნამძინარევივით გამომეპასუხა ქალიშვილი და ახალგაზრდა კაცს შეხედა.

— არა, სემინარიელები და ახალგაზრდობის ქრისტიანული კავშირის წევრები, — ამიხსნა ახალგაზრდამ.

— კი, მაგრამ რა მოხდა?

— გაზეთებს არ კითხულობთ?

გამეცინა და ვუთხარი, ჩრდილოეთიდან ვარ-მეთქი. მაშინ მან სტატია მაჩვენა საღამოს გაზეთში. შიგ ეწერა, — ერთმა დიდმა სახელმწიფომ ისლანდიის მთავრობას მიმართა თხოვნით, — მიყიდოს, ათხოვოს, ან აჩუქოს ქალაქი რეიკიავიკი, რომელსაც ისინი სმოკი-ბეის უწოდებდნენ, ან სხვა რომელიმე ყურე, ოღონდ ისეთი, რომ ატომურ ომში თავდასხმისა და დაცვისათვის გამოდგეს.

პირდაპირ სახტად დავრჩი. მერე გულუბრყვილოდ წამოვროშე, იქნებ ჩვეულებრივი საგაზეთო ჰორია-მეთქი. მე ხომ ბავშვობიდანვე სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ, გაზეთის არც ერთი სიტყვა სანდო არააო.

— გამიგონე, — მომმართა უცებ ახალგაზრდა კაცმა, — არ გინდა ლატარიის ბილეთი იყიდო? ფულს ვაგროვებთ, ახალგაზრდობის კლუბი გვინდა ავაშენოთ. შეიძლება დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა მოიგო.

— ან კიდევ საკერავი მანქანა, — დაუმატა ქალიშვილმა.

— რა მინდა დედამიწის ირგვლივ, — ვუპასუხე მე, — არც კერვისთვის ივარგებს ჩემი ტლანქი ხელები.

— ახალგაზრდობას რომ თავისი კლუბი ჰქონდეს, არც ის გინდა?

— რისთვის?

— შენ ჩრდილოეთიდან ხარ, მე — დასავლეთიდან და არსად ახალგაზრდობის კლუბი არა გვაქვს.

— მერე რა მოხდა?

— რამდენ სასარგებლო ცოდნას შეიძენდა ასეთ კლუბში ახალგაზრდობა! ისლანდიელები მსოფლიოში ყველაზე განათლებული და კეთილშობილი ხალხი უნდა იყოს. კაპიტალისტებს ჰგონიათ, ახალგაზრდები უპატრონოდ უნდა მიგვატოვონ,

იალაღზე გაშვებული ცხენებივით. ეს უსამართლობაა. ახალგაზრდობას საუკეთესო სახლი უნდა ჰქონდეს.

— რამდენი დაჯდება ასეთი სახლი?

— მილიონები.

— ოცდახუთი კრონი კი მაქვს, — ვუთხარი მე, — მაგრამ საცვლების ყიდვა მინდოდა.

— შენ ბუი არლანის მოსამსახურე არა ხარ? — მკითხა ქალიშვილმა.

მე დავუდასტურე.

— ჰოდა, რაღა ჩემი ახსნა გჭირდება, — მითხრა ახალგაზრდა კაცმა, — ხომ იცი, მაგათ რომ ნიუ-იორკში ერთი ყალთაბანდური სააქციონერო საზოგადოება აქვთ? მთელი ომის განმავლობაში სპეკულაციურ ფასებში ყიდდნენ საქონელს. და იმ ფულით, რომელიც ჩვენ მოგვპარეს, შეეძლოთ დიდებული სახლი აეგოთ ახალგაზრდობისათვის. აიღე ერთი ათი ბილეთი.

— არ ჯობია, მამაჩემს დავეხმარო? — ეკლესიის აშენებას აპირებს ესტრიდალში.

აქამდე ორივეს სერიოზულად ეჭირათ თავი. ახლა კი უცებ გამხიარულდნენ; ერთმანეთს გადახედეს და სიცილი ატეხეს.

ქარიშხალი სადილობისას

სადილობის დროს ვიკითხე, ლატარიის ბილეთებს ხომ არ იყიდით ახალგაზრდობის კლუბის სასარგებლოდ-მეთქი.

მას შემდეგ, რაც ერთხელ ახალმა მოსამსახურემ განაცხადა, ორღანზე დაკვრა მინდა ვისწავლოო, ამ სახლში უფრო სასაცილო არაფერი გაეგონათ. უმცროსმა ბავშვებმა ისეთი ხარხარი ატეხეს, რომ სულ შადრევნებად ასხამდნენ პირიდან სუპს. უფროსმა ვაჟმა, რომელსაც მსოფლიო სევდა აწევს მხრებზე, სიბრალულითა და ზიზღით აღსავსე თვალები მომაპყრო და ამას დასჯერდა. ქალბატონმა ჯერ უხმოდ შემომხედა, მერე კი ავისმომასწავებლად ჩაახველა, ხოლო ოჯახის მამამ თავი მიანება გაზეთს და გამოუძინებელი კაცივით მოქანცულმა იკითხა:

— რაო?

— ლატარიის ბილეთებს გვთავაზობს, — თქვა ჩასუქებულმა ბობომ.

ბატონმა ბილეთები გამომართვა და დაათვალიერა. ცალ მხარეს სასახლე ეხატა, მეორე მხარეს — მოგება.

— გმადლობთ, — მან გამიღიმა და თეთრად მოელვარე კბილები გამოაჩინა. მართალია, ბილეთები უკანვე დამიბრუნა, მაგრამ მაინც მესიამოვნა, როდესაც სათვალის შუშებიდან დავინახე, როგორ გაუბრწყინდა თვალები, — ალთინგში და ქალაქის მუნიციპალიტეტში უკვე დასმულია ახალგაზრდობისათვის კლუბის აგების საკითხი.

— იქნებ გვითხრათ, ჩემო კარგო, სად იშოვეთ ეგ ქაღალდები? — მკითხა ქალბატონმა.

— როდესაც ქუჩაში არეულობა დაიწყო, საფუნთუშეში მივდიოდი, იქ ერთი ქალიშვილი...

ქალბატონმა გამაწყვეტინა:

— მე გავიგე, რომ იგი კომუნისტი ყოფილა.

— მასთან ვიღაც ახალგაზრდა კაცი იყო და მთხოვა, რამდენიმე ბილეთი აიღეო.

— ორივე კომუნისტია, — განაცხადა ქალბატონმა.

— რა არეულობა იყო? — იკითხა დოქტორმა.

— ისეთი არაფერი, — ვუპასუხე მე.

— როგორ თუ არაფერი, — შენიშნა ჩასუქებულმა ბობომ, — კომუნისტები იყვნენ.

— უბრალოდ, გამოჩნდა ხალხი, რომელსაც არ უნდა, რომ ისლანდია გაიყიდოს. ამბობენ, სემინარიელები და ახალგაზრდობის ქრისტიანული კავშირის წევრები იყვნენო.

— საეჭვო აქ აღარაფერია, — თქვა ქალბატონმა, — რაკი ამტკიცებენ, ისინი არ იყვნენო, მაშ, სწორედ ისინი ყოფილან. მათ იციან, როგორ უნდა აიყოლიონ იდიოტები. სემინარია და ქრისტიანული კავშირი — ჩინებულია. რატომ ქალთა კავშირი არა, ან ჩინეთის მისიონერთა საზოგადოება? გირჩევთ, დროზე მოიშოროთ თავიდან ეგ ბილეთები. თქვენი ახალგაზრდობის სახლი, მე ვიცი, კომუნისტების სახლად გადაიქცევა.

— მაჩვენე ბილეთები, — მითხრა ბობომ.

მე უფროსი ქალიშვილის სკამთან ვიდექი. უეცრად თავისი წამახული ფრჩხილებით მუხლში ჩამაფრინდა და ანთებული თვალებით შემომხედა: ვერ გავიგე, წინაალმდეგი იყო ახალგაზრდობის კლუბისა თუ მომხრე.

დაუფიქრებლად გავუწოდე ბობოს ერთი ცალი ბილეთი.

— არა, ყველა! — მოითხოვა მან.

ის იყო უნდა მიმეცა, რომ უეცრად ალიმართა სამაჯურებითა და ბეჭდებით დახუნძლული მოელვარე ხელი და ბილეთები გამომტაცა. ეს იყო ქალბატონის მსახვრელი მარჯვენა. წამიც და დაფხრეწილი ბილეთები იატაკზე ეყარა. მერე ქალბატონმა ცივად შემომხედა და მტკიცე ხმით განმიცხადა:

— თუ კიდევ გიცდიათ კომუნისტური აგიტაციის შემოტანა ამ სახლში, სხვა სამსახურის ძებნა მოგიხდებათ! — და ჭამას შეუდგა.

უფროსმა ვაჟმა, რომელიც ყოველი კერძის შემდეგ ჩვეულებრივ ეწეოდა ხოლმე, სიგარეტი ამოიღო, კოპები შეიკრა და ტუჩები ჩამოუშვა, რითაც სუპისადმი უსაზღვრო სიძულვილი გამოხატა.

— ნერვებს ნუ აიშლი, დედა, — თქვა მან, — ფაშიზმმა ვერაფერი გააწყო, ახლა კომუნიზმი დაიპყრობს მსოფლიოს, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. Rien à faire[1].

ქალბატონი სკამზე აწრიალდა, თვალი თვალში გაუყარა ფილოსოფოსს და ცივად უთხრა:

— იქნებ დროა ინტერნატში გაგაგზავნო, ჩემო ბიჭო.

— მე ხომ არ შემიქმნია ეს ქვეყანა, რომელშიაც, შენი წყალობით, მინდა თუ არა, მაინც უნდა ვიცხოვრო? — მშვიდად ჰკითხა შვილმა.

— ერთი რამ უნდა გითხრა, ჩემო ბიჭო...

ისეთი კილოთი დაიწყო ქალბატონმა, რომ ოჯახის უფროსმა ხელახლა მიატოვა გაზეთის კითხვა, გაიღიმა და მეუღლეს ხელი მოჰკიდა.

ქალბატონს დაავიწყდა, რა უნდა ეთქვა, და ქმარს მიუბრუნდა:

---

1 რას იზამ (ფრანგ.)

— შენ იღიმები. ეჭვი არაა, ლამაზი ღიმილი გაქვს, მაგრამ ამჯერად იგი, სამწუხაროდ, უადგილოა.

— დულა! — მუდარით მიმართა ბატონმა.

მე სასადილო ოთახიდან გავვარდი, გავიარე სამზარეულო და ჩემს ოთახში ავედი. რაღა ვქნა ახლა? იქნებ ჯობია, ბარგი ჩავალაგო? მაგრამ ღამე სად გავათიო? ან ფისჰარმონიას რა ვუყო? რა შეიძლება შეწირო კაცმა სიამაყეს? რა თქმა უნდა, ყველაფერი, თუ მართლა ამაყი ხარ. ასეთ მოპყრობაზე უფრო დამამცირებელი კი ქუჩის ქალობაზე მეტი უკვე აღარაფერია.

კარებში მზარეულმა შემოჰყო თავი და მკითხა, ვაპირებდი თუ არა, ბოლოს და ბოლოს, ცხელი კერძის შეტანას?

ცოტა რომ დავმშვიდდი, ხელახლა შევედი სასადილო ოთახში. სუპის ჭამა დაემთავრებინათ და დაძაბული დუმილი ჩამოვარდნილიყო. დოქტორი ისევ გაზეთს კითხულობდა. ავკრიფე ცარიელი თეფშები, მეორე თავი კერძი დავაწყვე და გავედი. დახეული ბილეთები ისევ ძირს ეყარა, მაგრამ არ ამიღია.

საღამოს ყველაფერი მიწყნარდა. უფროსი ვაჟი სადღაც გაქრა. მზარეულის ღვთისმოშიში შვილობილი მოსამართ თოჯინებს მიუჯდა; ცოტა ხანს შეეძლო თავი შეექცია, ლოცვას კიდევ მოესწრებოდა ძილის წინ. ბობო და დუდუ მინისტრისა და სხვა წარჩინებულთა შვილებთან ერთად ქუჩის კუთხეში იდგნენ და ხმამაღლა აგინებდნენ გამვლელებს. საათობით შეეძლოთ თავი შეექციათ ამით. ქალბატონი ვისტის სათამაშოდ წავიდა. ვისტს ესენი ბრიჯს ეძახიან. პარტნიორები თავიდანვე ეუბნებიან ერთმანეთს, რა კარტი აქვთ ხელში.

სიბრაზე თანდათან დამიცხრა. ვიჯექი ფისჰარმონიასთან და ვცდილობდი დამემორჩილებინა მოუქნელი და გაუგონარი თითები, რომელთაც არავითარი ხელოვნება არ აინტერესებდათ. უეცრად ღია კარში კაცი დავინახე. ჯერ მოჩვენება მეგონა. მან ოდნავ მოჭუტული თვალებით შემომხედა, სათვალის შუშები გაწმინდა და გამიღიმა. წამოვდექი, მაგრამ ვაი ასეთ წამოდგომას, მუხლები მომეკვეთა, თვალებზე ბინდი გადამეკრა. გეფიცებით, ადრე ასეთი რამ არასოდეს დამმართნია.

— მუსიკის ხმა მესმოდა, — თქვა მან.

— ნუ დამციინით...

მკითხა, ვინ გასწავლისო. მე ორღანისტის გვარი ვუთხარი.

— ნუთუ ორღანისტი გახდა? — გაუკვირდა დოქტორ ბუი არლანს, — თუმცა რატომაც არა? ისე ამაღლდა ყველა ჩვენ-განზე, რომ დღე ძილს მიეჩვია, რათა ჩვენი ბრიყვი საზოგა-დოების სიავკაცე აღარ ეხილა.

— ყვავილები აქვს მოშენებული, — ვუთხარი მე.

— მართლა? ნეტა მეც მომაშენებინა ყვავილები! იმ დროს, როდესაც მე გაზეთებს ვკითხულობდი, იგი აღორძინების ხა-ნის იტალიელ მწერლებს ეცნობოდა ორიგინალში. მახსოვს, ომის ამბებსაც კი არ გადახედავდა გაზეთში, ოცი წლის შემ-დეგ ორ წუთში წავიკითხავ ყველაფერს ენციკლოპედიაშიო. ძალიან მიხარია, რომ ყვავილები მოუშენებია. როგორ გგონი-ათ, ხომ არ აჯობებდა, მისთვის გამეგზავნა ბავშვები. იქნებ მათგან ხალხი გამოეყვანა.

— ნუ მეკითხებით ასე სერიოზულად. მთელ ისლანდიაში ჩემისთანა ჩერჩეტი მეორე არ მოიძევება და სად შემიძლია რაიმე კითხვას კუპასუხო, მით უმეტეს, თუ თქვენ შეგეხებათ.

— თქვენ ორივე ფეხით მიწაზე დგახართ, — მითხრა და გამიღიმა, — მომეცით ხელი, — დახედა ჩემს ხელს. — დიდი, ლამაზი ხელი გქონიათ.

ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ტაფაზე მწვავდნენ; მთელი ტანი მიხურდა.

მაგრამ, აი, გაიკეთა სათვალე. მერე ჯიბიდან ასკრონიანი ამოიღო და გამომიწოდა.

— ეს თქვენი ბილეთის საფასური.

— ბილეთები ორმოცდაათი კრონი ღირდა, ხურდა არა მაქვს.

— მერე მომცემთ.

— არა, ასე ვერ ავიღებ ფულს.

— ეგ ნუ გაფიქრებთ. კაცი ყოველთვის ცდილობს ნა-კლები გადაიხადოს; ეს ბუნების კანონია. მე კი ეკონომისტი ვარ.

— მაშინ ათ ბილეთს კიდევ მოგიტანთ.

— კარგი, ოლონდ, უკეთესი იქნება, თუ პირდაპირ სუპის თეფშზე არ გამომიწვდით, — გაიღიმა მან. მერე გავიდა და კარები გაიხურა.

ჩემს ორღანისტთან

საფოსტო ღია ბარათებს რომ დაუჯერო, მუსიკის ყოველი გენიოსი ღმერთი გეგონება. ახლა კი გავიგე, რომ მსოფლიოს უდიდესი კომპოზიტორები მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებისაგან გარიყული საცოდავი ხალხი იყო. შუბერტი შიმშილით მოკვდა, ისე რომ ოცდაათ წელსაც ვერ მიაღწია. ვენის მაღალ წრეებში მას ხეპრედ თვლიდნენ და დარწმუნებული იყვნენ, ხელოვნების არაფერი გაეგებოდა. კომპოზიტორი კი ჯავრს იმით იყრიდა, რომ ხალხისთვის ქმნიდა მუსიკას. მის „Ave Maria"-ს გლეხებიც კი მღერიან ჩრდილოეთში. ბეთჰოვენს თავისი წრისათვის შესაფერი განათლებაც კი არ მიუღია და უბრალო გლეხივით წერდა. ერთი სასაცილო წერილიც დატოვა, რომელსაც მის ანდერძს ეძახიან. იგი უკრავდა დიდებულ ქალბატონთა გასართობად და ეს დიდებული ქალბატონები ისე უყურებდნენ, როგორც ბედაურები უყურებენ მუშა ცხენს. ვენის მცხოვრებთა თვალში იგი ერთი ყრუ, ბინძურად ჩაცმული, ახირებული კაცი იყო, რომელსაც წესიერ საზოგადოებაში ვერც კი გამოაჩენ. მიუხედავად ამისა, ეს ორი საზოგადოებიდან განდევნილი კაცი ყველა ცნობილ მუსიკოსს ჯობდა. არა ერთი კომპოზიტორი ემსახურებოდა დამთხვეულ მეფეებს, უკრავდა და ართობდა მათ სადილობის ჟამს. სამეფო კარზე იმყოფებოდა დიდებული იოჰან სებასტიან ბახიც და მრავალი წლის განმავლობაში ებრძოდა სასახლის შინაყმებს. ოცდაათ წელიწადს ემსახურებოდა თავისი დროის უდიდესი კომპოზიტორი ჰაიდნი ესტერჰაზებს და სუფრაზე მათთან ერთად დაჯდომას მაინც ვერ ეღირსა. მაგრამ ამას როდი აკმარებდნენ, — სცემდნენ კიდეც! ჯაბანი თავადებისა და რეგვენი ეპისკოპოსების ფინიებს უფრო მეტ პატივს სცემდნენ, ვიდრე მოცარტს, ვინაც მუსიკის უმაღლესი მწვერვალები დაიპყრო. იგი სრულიად ახალგაზრდა მოკვდა სიღატაკეში. მის კუბოს

მხოლოდ ძაღლი მიაცილებდა, ბატონები კი თავს იმართლებ-დნენ: წვიმს და ვაითუ გავცივდეთო.

ორღანისტს ვთხოვ, ცეცხლთაყვანისმცემელთა ცეკვა დაუკრას. ღამით, წვიმაში, დიდი კოცონის ირგვლივ შემოკრებილი ველურების გუნდი დოლს უკრავს. ამ გრიალში მოულოდნელად გაისმის რაღაც საკვირველი მელოდია, რომელიც თბილი ნაკადივით მეღვრება სულში. რამდენიმე დღის შემდეგ, მუშაობისას, უეცრად ისე მომენატრა ეს საოცარი მელოდია, რომ აღარ ვიცოდი, რა მექნა.

ხელახლა ვათვალიერებ სურათს და ვამჩნევ, რომ თავგაჩეხილ ქალიშვილს, რომელიც მელოტი მეგონა, ღია ცისფერი, უფრო სწორად მწვანე, სქელი და მბზინავი თმა ჰქონია, ოღონდ ეს თმა ცალკეა დახატული და სახისაგან თეთრი ზოლითაა გამოყოფილი.

დედოფალი კლეოპატრა ფეხშიშველი გამოდის ორღანისტის დედის საწოლი ოთახიდან და სამზარეულოსკენ მიემართება. როგორც ყოველთვის, სახე საღებავებითა აქვს მოთხუპნული, ტანთ აცვია აბრეშუმის შარვალი და ბეწვის პალტო. პირში სიგარეტი გაუჩრია.

— ძალიან მინდა ყავა, — ამბობს იგი.

— კლეოპატრა, — მიუგებს ორღანისტი. — შენს ხელთაა მთელი ბრაზილია, თურქეთი, იავა, — აღარ მახსოვს კიდევ რამდენ ყავის ქვეყანას ასახელებს.

— ჰო, მაგრამ თერთმეტი თითი რომ არა აქვს? — ვეკითხები მე და თან სურათს ვუყურებ.

— ვინ იცის, იქნებ მეთერთმეტე სწორედ ის თითია, რომელიც ამას აკლია, — იღიმება ორღანისტი.

— სურათი მაინც სურათია, — ვჯიუტობ მე.

— და მეტი არაფერი. მაგრამ ამას წინათ ერთი მემანქანე ქალის ფოტოსურათი ვნახე, ოცდათხუთმეტი თითი ჰქონდა.

— ხომ არ გავიდე სამზარეულოში და კლეოპატრას თითები დავუთვალო?

— თუმცა სურათი ქალიშვილს გამოხატავს, — განაგრძობს ორღანისტი, მაგრამ ქალიშვილი როდია. პირიქით, შეიძლება ითქვას, სურათი რაც უფრო ჰგავს ქალიშვილს, მით

უფრო ნაკლებაა ქალიშვილი. ყველას ქალიშვილთან სურს დაწოლა და არა მის სურათთან. სანთლისგანაც რომ ჩამოქნა კლეოპატრას უზადო გამოსახულება, სისხლის მიმოქცევა იმასაც კი არ ექნება. შენ არ მოგწონს თერთმეტი თითი, აბა, მე გეტყვი: ამ დანაკლისს სწორედ ეს თერთმეტი თითი ანაზღაურებს. გინდა გაგანდო უდიდესი საიდუმლო? კლეოპატრას ის გამოსახულება, რომელიც ახლა სამზარეულოში შევიდა ყავის ასადუღებლად, ძალიან ჰგავს ორიგინალს. გარდა ამისა სისხლის მიმოქცევაცა აქვს და ბევრი სხვა რამეც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ესა და კლეოპატრა ისე შორიშორს არიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და მიწა. ოცდახუთი წელი რომ გაატარო მაგასთან, მაინც ვერაფერს გაუგებ. გინდაც ნახევარი საათი გიყურებია, გინდა ერთხელ შეგივლია თვალი, როგორც შენ შეავლე ახლა, სამზარეულოში რომ შედიოდა. საქმე ისაა, რომ თავის თავს არა ჰგავს. მხატვარმა იცოდა ეს და ამიტომ თერთმეტთითა დახატა.

სურათები სახლში, სადაც მე ვცხოვრობ

მეორე დღეს ორ შინაურ ცხოველს, — ელექტრომწმენდსა და მტვერსასრუტს რომ გავართვი თავი, სურათების დათვალიერებას შევუდექი. ხშირად ვაკვირდები ამ ათ და ოცსანტიმეტრიან მთებს და ხან ფაფისაგან გაკეთებული მგონია, ხანაც მოლურჯო-მოწითალო ჟელესაგან. ერთი მათგანი, რომელსაც ქვეშ „ეირიკს-ეკელი“ აწერია, აყირავებულ ფინჯანს მაგონებს. ვერაფერი გამიგია ამ მთებისა, ჩრდილოელი მთიელი ვერც ვერასოდეს გაიგებს სამხრეთელის დახატულ მთებს.

ამ სახლში ბევრი სურათია და ყველა მათგანზე მთებია გამოხატული: ვულკანი მთაზე, მთა ზღვასთან, ნაპრალი მთაში, სახლი მთის ძირას, ჩანჩქერი მთაში, ქვაზე ჩამომჯდარი ჩიტი მთებში და კვლავ მთები და მთები. ეს უდაბური ლანდშაფტები საზოგადოებიდან გაქცევას, ადამიანური ცხოვრების უარყოფას ჰგავს. არ ვდავობ, რომ ეს ხელოვნებაა, რადგან წარმოდგენა არა მაქვს ხელოვნებაზე. მაგრამ თუ მართლა ხელოვნებაა, ეს იქნება ხელოვნება შერისხულთათვის, იმათთვის,

ვინაც ადამიანის ცხოვრება შებღალა და უდაბნოში გადაიხვეწა. მერედა რა საცოდავია ჩარჩოში გამომწყვდეული ბუნება. მე მგონია, ბუნებას ყველაზე მეტად იმით შეურაცხყოფენ, რომ მის გამოსახვას ცდილობენ. ვეხები ჩანჩქერს და არა ვსველდები, არც წყლის თქრიალი მესმის. პატარა თეთრი ღრუბელი უძრავად გაკრულა ცაზე და არ იფანტება. ვყნოსავ მთის ფერდობებს, მაგრამ მხოლოდ წამლებისა და საღებავების სუნი მცემს. სადაა ჩიტები, ბუზები, კაშკაშა მზე, სადაა ნისლი, რომ ორ ნაბიჯზე ბუჩქი ვერ გაარჩიო? ეს, ცხადია, გლეხის ეზოა, მაგრამ სადაა, უკაცრავად პასუხია და, ნეხვის სუნი? რა საჭიროა ბუნების ხატვა, როცა ყველამ იცის, რომ ნახატი ვერ შეცვლის ბუნებას! ვინ მოიგონა, თითქოს ბუნება მხოლოდ სანახაობა იყოს და მეტი არაფერი? ვინც მართლა იცნობს ბუნებას, იგი კი არა ხედავს, არამედ გრძნობს მას, უსმენს და სუნთქავს, საზრდოობს მისით. ბუნება გვეკვრის ყოველი მხრიდან, ბუნება ჩვენშივეა. და, რაც მთავარია, იგი მოძრაობს, ყოველ წამს იცვლება. ოთხკუთხოვან ჩარჩოში კი ვერასოდეს მოექცევა. იგივე გლეხის სახლი თავისი ბალახმოდებული სახურავით, რომელსაც ახლოდან ვუყურებთ, სულ სხვაგვარი მოგვეჩვენება შორიდან რომ შევხედოთ ივლისისნათელ ღამეში. მთელი ჩემი ბავშვობა ასეთ სახლში გავატარე მთის ძირას და ვფიქრობ, თუ მისი დახატვა გინდათ, გარედან კი არ უნდა დაიწყოთ, არამედ შიგნიდან. კედლების დახატვით არაფერი გამოგივათ; მთავარია იმათ იცნობდეთ, ვინც ამ კედლებს შიგნით ცხოვრობს.

ხოლო ჩიტი? მე ვიცი, რა არის ჩიტი. ო, საყვარელი, ღვთაებრივი ქმნილებაა! შეიძლება, ეს სურათი, რომელზედაც ჩიტია გამოსახული, მრავალი ათასი კრონი ღირს. მაგრამ, მითხარით ერთი, ჩიტების რომელ მოყვარულ კაცს მოეწონება მარად ერთსა და იმავე ქვაზე მჯდარი ჩიტი, უძრავი და მოუქნელი გლეხივით, რომელიც ფოტოგრაფის წინ დგას და სურათს იღებს. ჩიტი პირველ ყოვლისა მოძრაობაა. ჩიტი ცის ნაწილია. ჰაერი და ჩიტი ერთი მთლიანობაა. გრძელი გზა მაღლა ცაში — აი, რა არის ჩიტი. და სითბო. ჩიტი კაცზე უფრო თბილია, გული უფრო ჩქარა უცემს და უფრო ბედნიერია;

ესმინეთ მის გალობას და იგრძნობთ ამას. არ არსებობს ხმა ჩიტის ყლურტულის შესადარისი და არ არსებობს ჩიტი, რომელიც არ ყლურტულებდეს. ეს მუნჯი ჩიტი კი, ამ სურათზე გამოსახული, უძრაობაა, ფიტულია, ისეთი ფიტული, ჩვენს პასტორს რომ უდგას კარადის თავზე. ან არა და თუნუქის ჩიტია, რომელიც სოფლის ფარდულებში იყიდებოდა ჩემს ბავშვობაში. ხოლო სურათზე გამოსახული მკვდარი ჩიტი — ჩიტი კი არაა, სიკვდილია. სიკვდილის ფიტულია, თუნუქის სიკვდილია.

ბეწვეულის ფერმა

ბეწვეულის ერთ-ერთმა უდიდესმა ფერმამ დიდი ზარალი ნახა: მოიპარეს ორმოცდაათი კვერნა. იმ საღამოს ორღანისტთან ორი პოლიციელი დამიხვდა, რომლებიც ორღანზე დაკვრას სწავლობდნენ და ამ ოჯახში შინაურ ხალხად ითვლებოდნენ. ერთი მათგანი მორცხვი იყო, მეორე თამამი. პოლიციელები მორიგეობიდან პირდაპირ აქ მოსულიყვნენ, სამზარეულოში მასპინძელთან ერთად ყავას შეექცეოდნენ და ფერმის გაქურდვაზე ლაპარაკობდნენ.

— მერე რა მოხდა, რომ ორმოცდაათი კვერნა მოიპარეს? — იკითხა ორღანისტმა.

— როგორ თუ რა მოხდა, — მიუგო თამამმა პოლიციელმა, — ქურდებს თავიანთ ნებაზე გაუშვიათ კვერნები. იმდენი ჭკუაც არ ჰქონიათ, რომ ყელი მაინც გამოეჭრათ. კვერნა კვერნაა. ქათმებს დაჭამს, ჩიტებსა და კალმახებს გაანადგურებს, ბატკნებს დაკბენს. რა მოხდა, რომ მოიპარესო! აბა, კარგი იქნება ყველაფერი მოიპარონ? გაგიხარდება, მაგალითად, ღამის ჭურჭელი რომ მოგპარონ?

— ღამის ჭურჭელი რად გინდა, საპირფარეშოში უნდა იარო, — უთხრა ორღანისტმა.

— ეგ მართალია, მაგრამ ოქროს ჭურჭელი რომ გქონდეს, ან ვერცხლისა მაინც? — შეეპასუხა თამამი პოლიციელი.

— რას დაგიშავებს ისეთს საცოდავი წვრილფეხა ქურ-

დი, — თქვა ორღანისტმა, — დიდი-დიდი ერთ პატარა დუქანში შეიპაროს და ფეხსაცმლის თასმა ან ქერის ალაო წაიღოს, გამონაცვალ პალტოს მოახელთოს სადმე დერეფანში და დაითრიოს, ან კიდევ რძის ფარდულში შეძვრეს და წინა დღით დარჩენილი ხურდა ფული მოიპაროს. შეიძლება მთვრალ მეზღვაურს გადაეყაროს სადმე და საბუთები ამოაცალოს ჯიბიდან, ისიც შეიძლება, რომ რომელიმე გლეხის ბოხჩაში ჩააცუროს ხელი და ზაფხულში წვითა და დაგვით ნაშოვნ ფულს მისამართი გამოუცვალოს. ვთქვათ, კალის ჭურჭელი მოგპარა, თუ ღმერთმა წყალობის თვალით გადმოხედა, მაგრამ ოქროს ჭურჭელს ვერ მოიპარავენ, ვერც ვერცხლისას. ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლებს კარგად უფრთხილდებიან. ცხოვრება საამური არ იქნებოდა, ყველაფრის მოპარვა რომ შეიძლებოდეს! კაპიკი არ გაქვს ჯიბეში? — მერე რა მოხდა, ადექი და მოიპარე მილიონი!

— ნაკლებიც შეიძლება, — მიუგო თამამმა პოლიციელმა, — ყოველთვის ბანკებსა და სახელმწიფო სალაროებს ხომ არ გაძარცვავ?

— ორი მეგობარი მყავს, — თქვა ორღანისტმა, — რომლებიც გულგრილად ვერ უვლიან გვერდს ღრიჭოდ დატოვებულ კარს ან ჩაუკეტავ ფანჯარას. ორი წელიწადი მუყაითად და კეთილსინდისიერად დაწანწალებდნენ ღამღამობით და ამ ორი წლის განმავლობაში ძლივს იმდენი იშოვეს, რამდენსაც მეეზოვე იღებს ექვს თვეში. მომდევნო ორი წელიწადი ციხეში გაატარეს. სულ კი ოთხი წელიწადი იმუშავეს. არა მგონია, დიდ მოგებად ჩათვალონ ასეთი შემოსავალი ჩემმა მეგობარმა ბუი არლანმა და მისმა კომპანიონმა, რომლებიც საზოგადოება „ფფფ-ში“ მუშაობენ.

— მისი შვილი კი მაინც იპარავს ორმოცდაათ კვერნას, — თქვა თამამმა პოლიციელმა.

— ღმერთო ჩემო! — წამოვიძახე მე, — ბუი არლანის შვილმა მოიპარა?!

ორღანისტმა და მისმა სტუმრებმა ახლაღა შემამჩნიეს. ორღანისტი წამოდგა, ხელი ჩამომართვა და პოლიციელები გამაცნო. ერთი მათგანი, ბეჭებგანიერი პოლიციელი, გულღია

კაცი ჩანდა, მეორე კი, ახალგაზრდა, უფრო სერიოზული იყო და ქვეშ-ქვეშ მიყურებდა ანთებული თვალებით.

მათ პოლიციის განყოფილებაში შეეტყოთ, რომ ეს ორმოცდაათი კვერნა ბუი არლანის უმცროს ვაჟს, პატარა ბობოს, და ერთ მის ამხანაგს მოეპარათ. ნაწილი მდინარეში დაეხრჩოთ, დანარჩენი კი გაჰპარვოდათ.

— ბავშვები, კარგი ოჯახიშვილები, რომლებიც საღამოობით ქუჩაში გამოდიან და გასართობად ორმოცდაათ კვერნას და ტრაქტორის ნაწილებს იპარავენ, ან ტელეფონის ხაზებს ჭრიან, არაფერი დამნაშავეები არ არიან, ისევე როგორც ჩემი ორი მეგობარი, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდნენ ღამღამობით. რას იზამ, — რასაც მარილწყალში ჩადებ, უნდა იცოდე, რომ დამარილდება. ეს არ არის ნამდვილი ქურდობა. ნამდვილი ქურდობა სულ სხვაგან ხდება. წელან მეკითხებოდი: კარგი იქნება ყველაფერი მოიპარონო? გინდა ერთი საიდუმლო გაგანდო? — მალე ყველაფერს მოიპარავენ ისლანდიაში. თვითონ ისლანდიასაც მოიპარავენ.

მე მთელი ამ ხნის განმავლობაში ფეხზე ვიდექი და იატაკს დავჩერებოდი. ხელთათმანების გახდაც კი ვერ მოვიფიქრე.

— რას უზამენ საწყალ ბავშვს? — ვიკითხე ბოლოს.

— საბედნიეროდ, არაფერს, — მიპასუხა ორღანისტმა, — ალბათ, პოლიციის უფროსი მამამისს დაურეკავს, ცოტას ილაყბებენ ახლანდელ ახალგაზრდობაზე, გაიცინებენ და ბოლოს მოილაპარაკებენ, როდის ითამაშონ ერთი-ორი პარტია ბრიჯი.

— აბა, მე თუ მკითხავ, ასეთი თავგასული ღლაპები მოედანზე უნდა გამოიყვანო და საჯაროდ გაწკეპლო.

ორღანისტმა გულკეთილად გაიღიმა პოლიციელის მიამიტობაზე. ამ დროს საუბარში ჩაერია მორცხვი პოლიციელი. მიუბრუნდა თავის ამხანაგს და უთხრა:

— ხომ გეუბნებოდი, ყველას ისეთი წარმოდგენა აქვს სამართლიანობაზე, როგორიც თვითონ გამოადგება-მეთქი. შენ წვრილბურჟუაზიული წარმოდგენა გაქვს.

ის იყო მეც უნდა მეთქვა რაღაცა, რომ ორღანისტი მომი-

ახლოვდა, მხარზე ხელი მომხვია, გამიყვანა ოთახში, კარი გამოიხურა და სამეცადინოდ დამსვა.

ნახევარი საათის შემდეგ, როდესაც ორღანისტმა კარები ისევ გააღო, სამზარეულოში მარტო მორცხვი პოლიციელი იჯდა და რაღაც წიგნს კითხულობდა. თამამი პოლიციელი უკვე წასულიყო.

— ბოდიშს ვიხდი, — თქვა მან, — დამეზარა ჩემს სოროში დაბრუნება. მაგრამ ახლა წავალ.

პოლიციელს მშვენიერი კბილები ჰქონდა და, როცა იღიმებოდა, მთლად ბავშვი გეგონებოდათ. მაგრამ ხანდახან შუბლს შეიჭმუხნიდა და ქვეშ-ქვეშ იყურებოდა. რაღაც თავისებური კაცი ჩანდა. თან თითქოს საიდანღაც მეცნობოდა. ნეტა სად მინახავს?

— დარჩი, რამდენ ხანსაც გინდა, — უთხრა ორღანისტმა, — ახლავე ყავას ავადუღებ.

— არა, გმადლობთ, — თქვა მორცხვმა პოლიციელმა, — წავალ. ისე შენ მართალი ხარ. სისულელეა წვრილმანი ქურდობა, ბავშვური გართობაა. და ვაი მას, ვინც მთელი სიცოცხლე ბავშვივით ერთობა.

— მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაცი უეჭველად აღიარებული ქურდი გახდე, — უთხრა ორღანისტმა.

— წავედი, — წამოდგა უცებ მორცხვი პოლიციელი.

მე და პოლიციელი ერთად გამოვედით. მეც იქით მქონდა გზა, საითაც იმას. პოლიციელი ვერ ახერხებდა საუბრის გაბმას, არც მე ვიცოდი, რა მეთქვა. ორივენი ვდუმდით და ჩვენი დუმილი ცეცხლს ჰგავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოიღო ხმა:

— ვერ მიცანი?

— მგონი კი, მაგრამ მაინც არ ვიცი, ვინა ხარ.

— მე გიცანი.

— გინახავარ სადმე?

— კი.

— მეც თითქოს გიცნობ, მაგრამ ნახვით არსად მინახავხარ.

— როგორ არა, არ გახსოვს, ამას წინათ მე და ერთმა ჩემ-

მა ამხანაგმა ცხედარი რომ მოვიტანეთ თქვენთან და წინკარში დავდეთ?

— ჰო, ახლა გამახსენდა, — მივუგე მე, მაგრამ ამწუთს სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი. რაღაც უცნაური კავშირი გაიბა ჩვენს შორის, ღრმა და ამოუცნობი, რომელსაც სიტყვით ვერ გამოთქვამ. და ეს ფიქრები რომ მომეშორებინა, საუბარი სხვა რამეზე გადავიტანე. — საოცარი არაა ამ არნგრიმურ არლანის ამბავი? — ვუთხარი მე, — ახალგაზრდაა, ლამაზი. ჯანმრთელი, ნიჭიერი, განათლებული, მდიდარი. რა ძალა ადგას, რომ ასე უგრძნობლად გაილეშება ხოლმე.

— ესენი ეგრეთ წოდებული დედიკოს შვილები არიან, — თქვა მან, — მათი მამები ხალხს ძარცვავენ, ჰოდა, შვილებმა თავიდანვე იციან, რომ არამზადებად დაიბადნენ. რა ჰქნან? მოწოდებით ბანდიტები არ არიან, მაგრამ ვერც სხვა საქმეს მოჰკიდებენ ხელს. იმიტომ, რომ არა სჭირდებათ. რაღა დარჩათ? დადიან რესტორნებში და სკდებიან. ეს არის მთელი მათი ფილოსოფია.

— სადაური ხარ? — ვკითხე პოლიციელს.

— ჩრდილოელი ვარ, ჰუნოვატანიდან. ამ მხარეში საუკეთესო ქურდები და ყაჩაღები იზრდებიან.

— მართლა? — მეც ჩრდილოელი ვარ.

— მერე გრძნობ რამე მოწოდებას?

— მოწოდებას? რა არის მოწოდება?

— არ წაგიკითხავს გაზეთში, ყოველ გლეხს თავისი მოწოდება უნდა ჰქონდესო?

— არ წამიკითხავს. ბავშვობაში მეუბნებოდნენ, რაც გაზეთებში წერია, ყველაფერი ტყუილია, სიმართლე მარტო ისლანდიურ საგებშიაო.

— აბა, მე ერთ მშვენიერ დღეს, გახურებული მუშაობა რომ იყო მოსავლის ასაღებად, მივატოვე ყველაფერი და სამხრეთში წამოვედი.

— რატომ წამოხვედი?

— მოწოდება ვიგრძენი. აქ კი, რაღაც საუბედუროდ, ამ კაცს გადავეყარე და ახლა ორღანზე დაკვრას ვსწავლობ.

— რატომ საუბედურად?

— იმიტომ, რომ ვერაფერს გამოაპარებ, აღარ ვიცი, რა ვქნა.

— პოლიციაში ხომ მსახურობ?

— კი, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

— აბა, რა არის მთავარი?

— მეც მაგას არ ვკითხულობ?!

— მე მეგონა, სოფლიდან ჩამოსულები ქალაქში ერთნაირად გრძნობენ თავს-მეთქი. შენ კი თურმე რაღაც მოწოდება გქონია...

— ის ბებერი ლოთი ალიღე მაგალითად, „ორასი ათასი კვნეტარა“. ადრე ღრიალის მეტი არაფერი იცოდა. ახლა კი წმიდანობა დაიწყო, ნიუ-იორკში წავიდა და თავმჯდომარედ დაუდგა ერთ თაღლითურ სააქციონერო საზოგადოებას „სნორიედას“. ნამდვილი როლს-როისიც ექნებოდა, მაგრამ ინგლისელებმა ვერ გაიმეტეს ასეთი მანქანა ვიღაც ისლანდიელის მოსათაფლავად და ამიტომ იძულებული შეიქნა კადილაკს დასჯერებოდა. რატომ უნდა ვთიბო ბალახი, რომელიც არასდროს გახმება? რატომ უნდა ვეძიო მთებში დაკარგული ცხვარი? ვისზე რა ნაკლები ვარ! ვითომ მე ვერ გავხდები ნიუ-იორკში „ფფფ-ს“ წევრი? რატომაც ვერა! მე და „ორასი ათასი კვნეტარა“ ხომ ერთი მხრიდანა ვართ. მე ვეღარ ავაშენებ ეკლესიას ჩრდილოეთში და ვერ მოვაჩვენებ თავს იქაურ მეცხვარეებს დიდ კაცად? იქნებ სპირიტული საზოგადოების თავმჯდომარედ ვერ გამოვდგები? ვითომ რატომ არ უნდა დაბეჭდონ გაზეთებმა ჩემი წერილები ღმერთის, სულის ან საიქიოს შესახებ? რატომ არ უნდა დავიყენო ატომის მგოსანი შიკრიკად ან ღმერთი ბრილიანტინი საწყობის მცველად? რითი მჯობია „ორასი ათასი კვნეტარა“? მე აკურეირის სამოქალაქო სკოლაში მისწავლია, იმას კი არსადაც არ უსწავლია. გარდა ამისა, მე მუსიკასაც ვწერ.

— მე მგონია, ჩვენს ორღანისტს ეცოდინება, რა უნდა ჰქნა.

— უბედურებაც ეგ არის. სულ იმის შიშში ვარ, მეც ის არ დამემართოს, რაც იმ ორ ღმერთს დაემართა. დაიწყეს მუ-

სიკის სწავლა, სვეს ყავა და ერთ წელიწადში დაჰკარგეს თავიანთი მოწოდება. ახლა ძველი ჩვეულება თუ გაუხსენებთ და რამეს გატეხავენ, ფულს მაშინვე ორღანისტთან მოარბენინებენ, სიმღერ-სიმღერით ფხრეწენ და ყრიან ძირს.

— ისე არაფერი მინდა, როგორც იმ კაცის ამბის გაგება. რამდენჯერმე ვიყავი მასთან და არც ერთხელ ისე არ გამოვუშვივარ, რომ ყვავილი არ მოეცეს. მომიყევი რამე მის შესახებ.

— ჯერ კიდევ არ დამისრულებია მუსიკის სწავლა და არ დამილევია იმდენი ყავა, რამდენიც საჭიროა. ჩემი მოწოდება კი სანახევროდ უკვე დაინგრა. პირდაპირ საშინელ მოთხოვნებს მიყენებს.

— ზნეობრივ მოთხოვნებს?

— არა. რაც გინდა ის დააშავე, ბოროტმოქმედება მისთვის უხამსი ხუმრობაა. ბურჟუაზიული იდეალები და საერთოდ ყველაფერი, რასაც ამოსავალ პრინციპად თვლიან, სიცილად არ ჰყოფნის. გმირობას ისე აფასებს, როგორც დაოდეძინი[1].

— მაშ, რაღას მოითხოვს?

— ჯერ ერთი, პოეზიაში ამოსავალ წერტილად უნდა მიგაჩნდეს ობიექტური ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია, მეორე, უნდა იცოდე ყველაფერი, რაც კი მხატვრობაში მომხდარა კუბიზმის შემდეგ. მესამე, მუსიკაში უნდა აღიარო მეოთხედტონი, დისონანსი და ბარაბნის სოლოს სილამაზე. მაგ კაცთან რომ ვარ, ჩემი თავი ჭია მგონია და მაინც მეც იმას მეუბნება, რასაც სხვებს: ჩემი სახლი შენს სახლად ჩათვალეო.

— თუკი ამდენი გესმის, არც ისე ცუდად ყოფილა შენი საქმე. მე რომ მელაპარაკოს ასე, სულ ვერაფერს გავიგებ. რა არის მეოთხედტონი და დისონანსი, ან კუბიზმი, ან დაოდეძინი?

პოლიციელი ერთ ხანს დუმდა. მერე მითხრა:

— ამალაპარაკე და ყველაფერი მათქმევინე. ეს კი სისუსტის ნიშანია.

— ის მაინც არ გითქვამს, რას ფიქრობ.

---

[1] დაოდეძინი — VI საუკ. ცნობილი ჩინელი ფილოსოფოსის ლაოძეს წიგნი.

— რასაკვირველია, არ მითქვამს. კაცი იმიტომ ლაპარაკობს, რომ თავისი ფიქრები დამალოს.

ამ კაცს რომ მილიონი მისცა და თხუთმეტი წლით ხნიერი იყოს, — ვფიქრობდი გუნებაში, — დიდი განსხვავება არ იქნებოდა მასა და დოქტორ ბუი არლანს შორის. შეიძლება სულაც არ იყოს განსხვავება. ზუსტად ერთნაირი სულის პატრონები არიან. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ამასთან ლაპარაკისას მუხლები არ მიკანკალებს. ორივე ისე იქცევა, როგორც საგებში აღწერილი ხალხი: ნახევრად ირონიულად ლაპარაკობენ იმაზე, რაც სინამდვილეში ყველაზე ახლოს მიაქვთ გულთან. ასე ლაპარაკობს ხოლმე ბუი არლანი თავის შვილებზე და ასე ლაპარაკობს ესეც თავის მოწოდებაზე. იმ ბიჭისაგან, რომელთანაც რამდენიმე საღამო გავატარე, მეოჯახეობის კურსებზე რომ ვსწავლობდი, ასეთი არაფერი გამიგონია. მე არც ის ვიცოდი, მამაჩემი რაზე ფიქრობდა. კაცი, რომელიც იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, სასაცილოა. ყოველ შემთხვევაში, ქალების თვალში ასეა.

— მაჩვენე, თუ შეიძლება, შენი მოქარგული ხელთათმანები, — ვთხოვე მე. მან მაჩვენა, და ქუჩის ფარნის შუქზე შევათვალიერე.

როგორ დავესწარი უჯრედის კრებას

მეორე დღეს პურის მაღაზიაში შევედი და ქალიშვილი და ის ახალგაზრდა კაცი ვნახე. ქალიშვილმა მეგობრულად გამიღიმა, ახალგაზრდა კაცმა კი დიდის ამბით მომიხადა ქუდი.

— ბილეთების ფული მოგიტანეთ, — ვუთხარი მე და დოქტორ ბუი არლანის ასკრონიანი გავუწოდე, — ოღონდ ნუ მიწყენთ და მაინცდამაინც არა მჯერა, რომ თქვენი ახალგაზრდობის სახლი როდისმე აშენდება.

— რატომ არ გჯერა? — მკითხა ქალიშვილმა და, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებულმა შემომხედა. როგორც ჩანს, გავანაწყენე ჩემი დაეჭვებით.

— რა ვიცი, — ვუპასუხე მე და მეტი აღარაფერი მითქვამს. აღარ მინდოდა კიდევ უფრო გამეჯავრებინა.

ქალიშვილი ახალგაზრდა კაცს მიუბრუნდა:

— შენ ხომ გიცხოვრია ასეთ სახლში?

— არა, — მიუგო მან, — მაგრამ სამი წლის განმავლობაში მთელ ჩემს თავისუფალ დროს იქ ვატარებდი.

— რუსეთში? — ვკითხე მე.

— არა, — მიპასუხა მან, — საბჭოთა კავშირში.

ქალიშვილს უცებ სიცილი აუტყდა. ეტყობა, ძალიან სასაცილოდ მოეჩვენა, რომ რუსეთსა და საბჭოთა კავშირს ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევდი.

ახალგაზრდა კაცმა ახსნა-განმარტება დამიწყო:

— რუსეთი მეფეების ქვეყანა იყო, ხალხთა საპყრობილე.

— მაპატიეთ, თუ რაღაც სისულელე წამოვროშე, — მოვიბოდიშე უცებ, — მიამბეთ რამე ახალგაზრდობის სახლის შესახებ.

მას ისეთი სუფთა და ცოცხალი თვალები ჰქონდა, რომ განცვიფრებულმა გავიფიქრე: ნუთუ ასეთი კაცი უჯრედის კრებებზე დადის-მეთქი?

— ასეთ სახლებში, — მითხრა მან, — იკრიბებიან ახალგაზრდები და წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით საუბრობენ მეცნიერებაზე და ხელოვნებაზე. იქა აქვთ: საცურაო აუზი, ტანვარჯიშის დარბაზი, სცენა, მხატვართა სახელოსნო, საპარაშუტო კოშკი, სარეპეტიციო დარბაზი, მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის ბიბლიოთეკა, სტამბა, ქიმიის ლაბორატორია, ბოტანიკური ბაღი, კინოდარბაზი, სალექციო დარბაზი, სასადილო, სასტუმრო.

— და საარშიყო დარბაზი, — დავუმატე მე.

— რა თქმა უნდა, — წამოსცდა ქალიშვილს. ახალგაზრდა კაცმა კი მაშინვე შეწყვიტა ჩამოთვლა, ჩაახველა, საყვედურით გადახედა ქალიშვილს და შუბლი შეიკრა.

— ისლანდიელი ახალგაზრდობა ქუჩაში არ უნდა ეყაროს, — მეტისმეტად სერიოზული კილოთი განაგრძო ბოლოს, — ისლანდიელი ახალგაზრდობა განგსტერული ფილმებით და პორნოგრაფიული წიგნებით არ უნდა იზღუდებოდეს. ისლანდიელი ახალგაზრდობა ქუჩა-ქუჩა არ უნდა დაწანწა-

ლებდეს, სადაც მხოლოდ გინებასა და ქურდობას თუ ისწავლის კაცი. ისლანდიელ ახალგაზრდობას...

— თეთრი პური და ერთი კილოგრამი ორცხობილა, — ვთხოვე მე ქალიშვილს.

— შენ არა გჯერა, — მითხრა ქალიშვილმა და პური და ორცხობილა მომაწოდა.

შევატყვე. რომ ქალიშვილს გული ვატკინე ჩემი ქარაფშუტობით. გადავიხადე ფული და ის იყო გამოსვლა დავაპირე, რომ მოულოდნელად მიებრუნდი და ჩემდაუნებურად წამოვაყრანტალე:

— კიდევ ავიღებ რამდენიმე ბილეთს, — ამ სიტყვაზე ისე გავფითრდი, როგორც ქალი, რომელიც აკრძალულ პაემანზე მიდის. და სანამ გონს მოვეგებოდი, პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმული მქონდა.

— ძალიან მინდა უჯრედის კრებას დავესწრო, — დავუმატე და ნაძალადევად გავიცინე. გული ბაგაბუგით მიცემდა.

სათქმელი უკვე ნათქვამი იყო.

ქალიშვილმა და ახალგაზრდა კაცმა ერთმანეთს გადახედეს; და ძალიან სერიოზული, შეიძლება ითქვას, აღფრთოვანებული სახეები ჰქონდათ.

ბოლოს ახალგაზრდა კაცმა მითხრა:

— პარტიის წევრი რომ არა ხარ?

— რომელი პარტიის? — ვკითხე მე.

— კომუნისტური პარტიის.

— არავითარი პარტიის წევრი არა ვარ, მაგრამ, თუ მომეწონა უჯრედის კრება, შეიძლება კომუნისტი გავხდე.

ჩემს თანამოსაუბრეებს გაეცინათ.

— უჯრედის კრება თუ მომეწონაო! — წამოიძახა ბოლოს ქალიშვილმა, — ასეთი სასაცილო ჩემს დღეში არაფერი გამიგონია.

მაღაზიიდან გამოსვლისას ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც სისულელე ჩამედინოს. მაშინ ვერ მივხვდი, რატომ მეგონა ასე. შემდეგ კი, როდესაც უჯრედის კრებას დავესწარი, ყველაფერი გავიგე.

დიახ, უჯრედის კრებას მაინც დავესწარი. მართალია, ქალიშვილმა და ახალგაზრდა კაცმა თავიდან უარი მითხრეს, უფრო მეტიც. უაზრობად ჩათვალეს ჩემი თხოვნა, მაგრამ მერე, როგორც ჩანს, შეცვალეს გადაწყვეტილება; ალბათ, პარტიის ხელმძღვანელობას თუ მოეთათბირნენ. მეორე დღეს, მაღაზიაში რომ მივედი, ქალიშვილმა უკანა ოთახში გამიყვანა და მითხრა, დავალებული მაქვს გადმოგცე, რომ შეგიძლია უჯრედის კრებას დაესწრო, ხვალ საღამოს მოდი და წაგიყვანო.

იმ ღამეს მოუსვენრად მეძინა, სულ იმაზე ვფიქრობდი, ვინ იცის რა დღეში ჩამაგდებს ეს ჩემი სულელური ცნობისმოყვარეობა და თანდაყოლილი უზნეობა-მეთქი. ისე კი იშვიათად თუ გაუცრუებია ჩემთვის იმედი რამეს, როგორც ამ უჯრედის კრებამ გამიცრუა. ან უფრო სწორად, იშვიათად თუ ამომისუნთქავს ასე თავისუფლად.

დაბალჭერიან სარდაფში თაეი მოეყარათ ქალებსა და კაცებს. უმეტესად ხანში შესული ხალხი იყო. პირდაპირ სამუშაოდან მოსულიყვნენ, ისე რომ ტანისამოსის გამოცვლაც ვერ მოესწროთ. სკამები არ კმაროდა და რამდენიმე კაცი ფეხზე იდგა, ზოგიც იატაკზე იჯდა. მასპინძლის პატარა ბავშვიც იქვე თამაშობდა იატაკზე. ეს იყო და ეს მთელი საშინელება, რომელიც იქ ვნახე.

კრების მთავარი საკითხი იყო საარჩევნო პროგრამის განხილვა, რომელიც მუნიციპალიტეტის არჩევნებთან დაკავშირებით შეემუშავებინა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. დიდხანს იდავეს მოსფელსვეიტის რომელიღაც ჭაობის გამო; ზოგი ამოშრობის მომხრე იყო, ზოგი წინააღმდეგი. რამდენიმე კაცი ითხოვდა, რძით ქალაქის მომარაგების წესი შევცვალოთო. ერთმა მოხუცმა, რომელიც ძალიან ჭკვიანურად ლაპარაკობდა, მოითხოვა, პროგრამაში შევიტანოთ პუნქტი ნავმისადგომების შესახებო. საქმე თურმე იქამდე მისულიყო, რომ მეთევზეები, რომლებიც პატარა მოტორიანი ნავებით თევზაობდნენ და ქალაქს ცოცხალი თევზით ამარაგებდნენ, სულ გამოედევნათ ნავსადგურიდან. ამის შემდეგ მეორე საკითხის განხილვაზე გადავიდნენ. ეს იყო ბავშვთა ბაგების საკითხი. მე კუთხეში ვიჯექი ტახტზე, ჩემთან ერთად ხუთი სხვა კაციც

იჯდა და, არ ვიცი, მგონი, ჩამეძინა. ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვს, როგორ გადაწყდა ბავშვთა ბაგების საკითხი.

ბოლოს სიტყვა მოითხოვა ჩემმა ნაცნობმა ახალგაზრდამ და გაზეთებზე დაიწყო ლაპარაკი. მაშინ კი გამოვფხიზლდი.

— პარტიამ ხელი უნდა შეუწყოს გაზეთს. პარტიის ყველა წევრი უნდა ამოგვიდგეს მხარში. ახალი ხელისმომწერლები უნდა მოვიზიდოთ, ფული უნდა შევაგროვოთ. იმ კვირას შემთხვევით გადავრჩით, თორემ გაზეთი გამოუშვები გვრჩებოდა. მთავრობა განცხადებებს აღარ გვაძლევს დასაბეჭდად, რადგან ნიღაბი ავხადეთ და საქვეყნოდ განვაცხადეთ: მთავრობა ქვეყანას იპარავს და ჰყიდის, ხალხის თვალის ასახვევად და გულის მოსაგებად კი გადაწყვეტილი აქვს „ერის სიამაყე", რომელიც აგერ უკვე ასი წელია დანიაშია დასაფლავებული, ზარზეიმით გადმოასვენოს ისლანდიაში-თქო. არც კომერსანტები იძლევიან განცხადებებს, რადგან ჩვენი გაზეთი არ მალავს, რა კავშირი აქვთ მათ ნიუ-იორკის „ფფფ-სთან" და, ბოლოს, არც კინემატოგრაფია გვაბეჭდვინებს თავის განცხადებებს, რადგან ჰოლივუდის ფილმებს ვიწუნებთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზურგს აქცევენ სიმართლეს; ხალხის მტრებს ეშინიათ მისი, უფრო კი იმას შიშობენ, ვაითუ ხალხმა გაიგოს ჭეშმარიტებაო. ამიტომ მუშებმა ერთხელ კიდევ უნდა გაუმართონ ხელი გაზეთს. გაზეთი საწყალი კაცის მარჩენალი ძროხაა. და ეს ძროხა რომ დაკლას ან დაკარგოს, ოჯახი შიმშილით ამოუწყდება.

და როდესაც დავინახე, რომ ეს ბეჩავი და ქანცგაწყვეტილი ხალხი, ისეთივე ბეჩავი და ქანცგაწყვეტილი, როგორც ჩემიანები არიან ესტრიდალში, თავიანთი ნაჯაფი ხელებით ქისებს იღებდნენ და სიმწრით ნაშოვნ გროშებს ასე ადვილად იმეტებდნენ, უეცრად ტირილი მომინდა. მსურდა ცრემლით დამენამა და დამეკოცნა მათი დამაშვრალი ხელები. ზოგმა იქვე დაბერტყა ქისა, დანარჩენებმა, ვისაც ფული არა ჰქონდა, თავიანთი გვარები ჩაწერეს სიაში. უეცრად ვიგრძენი, რომ მუდამ ამ ხალხთან ვიქნებოდი. დაე, ილაპარაკონ მოსაწყენ საგნებზე. სულერთია, მე მაინც მათთან ვიქნები, ამოაშრობენ თუ არ ამოაშრობენ ჭაობს მოსფელსვეიტში, და მათთან ერ-

თად ვიბრძოლებ იმ შლიაპოსანთა წინააღმდეგ, რომლებიც ქვეყანას იპარავენ და ჰყიდიან. მეც ჩავწერე ჩემი გვარი სიაში და, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი თვალითაც არასოდეს მენახა, პირობა დავდე, ყოველ თვე ათ-ათ კრონს გადავიხდიმეთქი.

დიასახლისმა ყავაზე მიგვიპატიჟა, მაგრამ ბევრმა სტუმარმა და მათ შორის მეც უარი ვუთხარით, რადგან სახლებში მიგვეჩქარებოდა. ზოგიერთს დაბანაც კი ვერ მოესწრო მუშაობის შემდეგ. გარდა ამისა, უკვე გვიანი იყო. მასპინძელმა, რომელიც კრებას ხელმძღვანელობდა, ქუჩაში გამომაცილა და მითხრა, მეორედ რომ მოხვალ, აუცილებლად უნდა დაგვეწვიო ყავაზეო.

ასე დავესწარი უჯრედის კრებას.

მეორე კრება

სახლის წინ კადილაკი იდგა.

მე უკანა კარიდან შევედი შინ. შევედი თუ არა, რაღაც სუნი მეცა. ვერ გავარჩიე რისი სუნი იყო. ვერც იმას მივხვდი, კარგი იყო თუ ცუდი. საერთოდ, სუნის სიავკარგე მოგონებებზეა დამოკიდებული. თუ კარგ მოგონებას უკავშირდება — კარგი სუნია, თუ ცუდს — ცუდია. ეს, ყოველ შემთხვევაში, თამბაქოს სუნზე უარესი არ იყო. ნეტა ხომ არაფერი იწვის?

როდესაც დავაპირე გამეგო რა ხდებოდა, და სამზარეულოდან გამოვედი, დავინახე, რომ ბატონის სამუშაო ოთახის კარი ღია იყო. ალთინგის დეპუტატი ზურგით იჯდა კარისაკენ, ფეხები სკამზე შემოეწყო და რაღაცას ჩასცქეროდა. ფეხის ხმა რომ შემოესმა, გამარჯობათო, თქვა, მაგრამ თავი არ აუწევია და არც დაუნახავს ვის ესალმებოდა.

— მე ვარ, — ვუთხარი მე.

— სიგარეტი თუ გინდათ, მაგიდაზე დევს.

— გმადლობთ, არ ვეწევი, — მივუგე მე, — რაღაცის სუნი დის და იმიტომ შემოვედი. კარი ღია დავტოვო?

— მე გავაღე, პაპიროსის ბოლი რომ გასულიყო. აქ მოდით, ისეთ რაღაცას გაჩვენებთ, ვერაფერს გაუგებთ.

იგი ჩვეული გულკეთილი და მეგობრული კილოთი მელაპარაკებოდა, მაგრამ ცოტა დაბნეული ჩანდა. არ ვიცოდი, შეეცვლილიყავი თუ არა. მართალია, შეპატიჟებით კი შემიპატიჟა, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მაინც მოახლე ვარ. ნეტა ქალბატონი სად არის? მაგრამ ბოლოს და ბოლოს მონა ხომ არა ვარ, მეც ადამიანი ვარ, თავისუფალი ქალი.

— შემოდით ერთი და სცადეთ, იქნებ თქვენ მაინც მოუხერხოთ რამე ამ ბიჭს, — მითხრა დოქტორმა.

— რომელ ბიჭს? — ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა. შევედი და გაკვირვებით მივიხედ-მოვიხედე.

მივიხედ-მოვიხედე და რას ვხედავ! ზის ჩემი დეპუტატი და ხელში სათამაშო უჭირავს, პატარა, მრგვალი მინის ყუთი, რომელიც კროკურში ათ ერედ იყიდება. ყუთზე ზანგის ბიჭი ხატია (ასეთ სათამაშოებს ზანგებისთვის აკეთებენ ხოლმე), მინასა და ნახატს შორის მრგვალი ბურთულები დაგორავს, ორი — შავი, ხუთი თუ ექვსი — თეთრი. თამაში თუ გინდა, ყუთი ისე უნდა გადააფერდ-გადმოაფერდო, რომ შავი ბურთულები ნახატის თვალის ფოსოში მოხვდეს, თეთრები კი — პირში. აი, რითი ერთობა ალთინგის დეპუტატი! პირში ანთებული სიგარეტი გაურჭვია. სათვალე იქვე დევს მაგიდაზე.

— არა, არაფერი გამომივა, — მივუგე მე, — ჩემი მოქნილობის პატრონი ასეთ საქმეს ვერ გავუმკლავდები.

— ვერც მე ვუმკლავდები, — მითხრა მან. შემომხედა და გაიღიმა. მერე სათამაშო მომაწოდა. მე მაშინვე შევუდექი საქმეს, თვითონ კი მაგიდაზე შემოჯდა და მიყურებდა, როგორ ვცოდვილობდი.

უეცრად გვერდით ოთახიდან რაღაც ხმა მოისმა.—აღფრთოვანებული და ამავე დროს რაღაც უცნაურად მოგუდული მომაკვდავი კაცის ხმა: „ჰოი, ძვლებო, სამშობლო მხარეს მონატრებულო ძვლებო! ჰოი, სიყვარულო და სიმწიფევ სულისა! ჰოი, სინათლევ!“

ამ სიტყვების შემდეგ ისეთი ბღავილი გაისმა, თითქოს ცხვარს კლავენო.

— სტუმრები გყავთ? — შეშინებულმა ვკითხე ბატონს და კარს შევხედე.

— ჰო, ცხვრები ბღავიან, ნუ მიაქცევთ ყურადღებას.

ოთახიდან კიდევ მოისმა ქადაგება, კვნესა და ხროტინი.

— „კვნეტარამ“ ძველი ხელობა მიატოვა და სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი. საიქიოსთან დაამყარა კავშირი. — მითხრა ბატონმა.

— როგორ თუ საიქიოსთან?

— სპირიტიული სეანსი აქვთ.

— მერე რატომ არ ესწრებით?

— მეშინია, გული არ ამერიოს. რა ჰქენით, არაფერი გამოდის?

— „კვნეტარა“ რა სახელია? ეგ რომელია — „ორასი ათასი კვნეტარა“ ხომ არა?

— კი. საწყალმა კაცმა საიქიო და უმი საჭმელი იწამა. ეს არის მისი ლოთობის შედეგიცა და მეორე მხარეც, შეიძლება ითქვას, ალკოჰოლიზმის სახესხვაობა. ჩრდილოეთიდან რომ ჩამოვიდა, ჩვეულებრივი ლოთი და კომერსანტი იყო, მერე იმდენი რამ იყიდა და შემოიტანა, რომ ყოველ ისლანდიელზე ორ-ორი კვნეტარა და ექვს-ექვსი თმის ბადე მოდიოდა. მერე დაკონსერვებული ამერიკული წყლის მთელი ზღვა შემოიტანა სუპში ჩასასხმელად. რა ვიცი, იქნებ სულაც სუპი იყო. პორტუგალიიდან წვრილი თევზი შემოზიდა, ძველისძველი, ათი წლისა. გარდა ამისა იმდენი საფუარი იყიდა, რომ მთელ სახელმწიფოს ეყოფოდა ასაფუებლად. ყოველივე ეს კომუნისტებმაც კი არ იციან. ბოლოს გადაწყვიტა, რაც კი მსოფლიოში ქიშმიშია, სულ ისლანდიაში შემოეზიდა; სწორედ ამ დროს ხმა წაერთვა და მას შემდეგ მარტო აა-ს ბღავის. მაგრამ საზოგადოება „სნორრ-ედამ“ გადაარჩინა. რას იზამ, გვიყვარს იდიოტები. ოდესმე, ალბათ, მინისტრი გახდება. ბოლო ხანს „ერის სიამაყეს“ დაუკავშირდა, რომელიც ასი წლის წინ მოკვდა დანიაში და იქვეა დამარხული. „ერის სიამაყემ“ მას მიანდო თავისი ძვლების ამოთხრისა და ისლანდიაში გადმოტანის საქმე, რათა თანამედროვე ისლანდიელები შთამომავლობის სასაცილო გაგვხადოს. ჰოდა, ახლა უნდა წამოვიღოთ დანიიდან ძვლები, თუმცა საქმის მცოდნეები ამბობენ, არავითარი ძვლები იქ აღარ იქნება დარჩენილიო. ჩემი ცოლისძმაცაა

გარეული ამ თამაშში... ბიჭოს, კბილები თითქმის ჩაგისვამთ ბიჭისათვის. როგორც ვატყობ, ყველაფერი შეგძლებიათ.

ამ დროს მეორე ოთახში სიმღერა გაისმა. არეულ-დარეული ხმები მღეროდნენ რაღაც საგალობელს, საწყალი კაცის გასვენებაში რომ მღერიან ხოლმე. „ადიდებდე მეუფესა შენსა, სამწყსოო უფლისაო!“ და, ღმერთო ჩემო, ყველაფერი ეს ხდებოდა ასეთ ოჯახში!

ბოლოს ეს საოცარი სიმღერა, როგორც იყო, დასრულდა. გაისმა სკამების გადადგმა-გადმოდგმის ხმა. იმავ წუთს ოთახის კარიც გაიღო და იქიდან გამხიარულებული ქალბატონი გამოგოგმანდა. მას გვერდით კოხტად გამოწყობილი ვიღაც გაბღენძილი კაცი მოჰყვებოდა, ისე მოყანყალებდა, გეგონებოდათ დაუშლიათ და მერე ძლივძლივობით შეუკოწიწებიათო. ეს „ორასი ათასი კვნეტარა“ გახლდათ. როგორც იქნა, მეღირსა ამ სახელგანთქმული კაცის ხილვა. კვნეტარასა და ქალბატონის გვერდით ვიღაც წითურთმიანი აყლაყუდა მოჩლახუნობდა. სახე გაოფლიანებოდა, საყელო გვერდზე მოქცეოდა და თვალებს წამდაუწუმ ახამხამებდა. ამ სამეულს უკან მოჰყვებოდა ორი ქალი, რომლებსაც გარეგნობაზე ვერ შეატყობდით რომელ წრეს ეკუთვნოდნენ. ერთ მათგანს ისლანდიურ ტანისამოსი ეცვა, მეორეს კი შავი აბრეშუმის კაბა. ორივენი დუმდნენ და მათ დუმილში ზეშთაგონება იგრძნობოდა.

მე კი ამ დროს ბატონის გვერდით ვიჯექი!

— რა უნდა აქ გოგოს? — იკითხა ქალბატონმა.

— ბიჭს ეწვალება, — მიუგო ქმარმა.

— რომელ ბიჭს?

— ზანგის ბიჭს. რა ისმის საიქიოდან?

— განსაცვიფრებელი საბუთები მივიღეთ, — დაიკიკინა პირველმა ზეშთაგონებულმა ქალმა.

— პირდაპირ ღვთაებრივი საბუთები, — ამოიკვნესა მეორემ.

მერე ერთხმად ამოიოხრეს.

— ჩემმა მეგობარმა „ერის სიამაყემ“ შენს ცოლსა და ამ ორ ქალბატონს დაუდასტურა ის, რასაც ხშირად მეუბნებოდა მე ამ სამხრეთელი მედიუმის მეშვეობით, რომელიც მალე

საქვეყნოდ გაითქვამს სახელს, ოლე, ოლე... რა გვარი ხარ? — მიუბრუნდა იგი აყლაყუდას და განაგრძო, — ხშირად უთქვამს, ისლანდიელ ხალხს თავისი ძვლები უნდა დაუბრუნდეს, ისლანდიელ ხალხს აკლია ხასიათის სიმტკიცე, სინათლე და სულის სიმწიფეო.

— სიყვარულიც აკლია, — დაუმატა ოლემ, — არ დაგავიწყდეს.

— ნუთუ „ერის სიამაყეს", — მიუბრუნდა დოქტორი ბუი არლანი კვნეტარას, — ოდესმე აინტერესებდა შენი ყაიდის ხალხი, რომელიც არც ხორცსა ჭამს და არც ღვინოსა სვამს? რა თქმა უნდა, მხედველობაში არა მაქვს ის დრო, როდესაც ეს სტრიქონები დაიწერა: „მწვანე ბალახი, საკვები ძროხის, ბიბინებს შენი დედის საფლავზე".

— გაზეთებში უნდა გამოაქვეყნონ, რადიოთი უნდა გადასცენ, ხალხს უნდა გააგებინონ, — აღტაცებული გაჰყვიროდა „ორასი ათასი კვნეტარა", — და თუ ალთინგი წინააღმდეგი წავა, ჩემი ფულით ამოვთხრი და წამოვიღებ ძვლებს. ვიყიდი და ჩემი იქნება. ვერაფერი ვერ დამაშორებს „ერის სიამაყის" ძვლებს!

— ქენით სიკეთე და ათხოვეთ რომელიმემ ამ კაცს ცხვირსახოცი, — მედიუმისაკენ გაიშვირა თითი დოქტორმა.

კვნეტარამ გულისჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, სასწრაფოდ მოხოცა ცხვირი ოლეს და ცხვირსახოცი ღუმელში შეაგდო.

ოლე აქსუტუნდა და მოიბოდიშა:

— ცხვირიდან მაცლიან ხოლმე ძალას. განსაკუთრებით დიადი სულები, „ერის სიამაყე" კი ყველაზე მეტად.

— თამბაქო უნდა ყნოსოთ ხოლმე, — ურჩია დოქტორმა, შემდეგ კი ზეშთაგონებულ ქალებს სიგარეტი შესთავაზა, მაგრამ მათ გაკვირვებისაგან თვალები გადმოქაჩეს.

მე ისევ ვცდილობდი თეთრი ბურთულები ზანგი ბიჭისათვის ჩამეგდო პირში, თუმცა ვგრძნობდი, რომ ქალბატონი ჭრაზით გულზე სკდებოდა. ხუმრობა ხომ არ იყო! წარჩინებული ქალი, წარჩინებული ოჯახის შვილი, უწმიდესი გრძნობებით აღსავსე, ეს ესაა დაბრუნდა საიქიოდან და რას ხედავს

აქ!.. მის ქმარს მოახლე გოგო უზის გვერდით. მაგრამ მისი მრისხანე მზერა უფრო მამშვიდებდა. რა მქონდა სამარცხვინო და შესაშინებელი! სამარცხვინო ის იქნებოდა, რომ ავმდგარიყავი და გავქცეულიყავი, როგორც კი ის ოთახში შემოვიდა. ესე იგი, თავი დამნაშავედ უნდა მეცნო მაშინ, როდესაც არავითარი დანაშაული არ მიმიძღოდა.

— წამო, ძამიკო, წავიდეთ, — უთხრა კვნეტარამ ოლეს და ღია კარში გაიყვანა. კიდევ კარგი, დროზე გააშორა იქაურობას, თორემ საბრალო, ალბათ, აქვე გათავდებოდა, დოქტორის კაბინეტში.

ამის შემდეგ ქალბატონმაც გააცილა თავისი მეორეხარისხოვანი სტუმრები და ტკბილად გამოემშვიდობა. ზეშთაგონებული ქალები კიდევ დიდხანს ბღაოდნენ საიქიოს საოცრებათა გამო. ბოლოს, როგორც იქნა, გავიდნენ ქუჩაში და მიწყდა მათი ხმა.

უეცრად ალთინგის დეპუტატს მოაგონდა, რომ საიდუმლო საქმე ჰქონდა კვნეტარასთან და კარებს მიაშურა. როდესაც ქუჩაში გავიდა, კვნეტარა უკვე კადილაკში იჯდა. ერთ ხანს ისაუბრეს.

მე, როგორც იქნა, ჩავაწყვე ბურთები თავთავის ადგილას და სათამაშო ფრთხილად დავდე მაგიდაზე, რომ ბურთები ისევ არ ამოცვივნილიყო. მაგრამ ის-ის იყო, ოთახიდან უნდა გავსულიყავი, შემოვიდა ქალბატონი, აიღო სათამაშო, შეანჯღრია და იატაკზე მოისროლა.

ჩემს ოთახში რომ ავდიოდი, ღია კარიდან ქალბატონის ხმა შემომესმა, ქმარს ეძახდა, რომელიც ჯერ კიდევ კვნეტარასთან საუბრით იყო გართული:

— ბუი, სალაპარაკო მაქვს შენთან!

ის, ვინც განმარტოებით ცხოვრობს მთაში, და მამაჩემი

„ერის სიამაყე“, მთელი ისლანდიის დიდება, ერთ მიყრუებულ მხარეში შობილი, ხალხის გულითადი მეგობარი, კაცი, რომელიც შთამომავლობამ გააღმერთა, კაცი, რომელმაც ჩვე-

ნი ტკბილი ენა ააღორძინა, თვალებიდან ბურუსი ჩამოგვაცალა და ჩვენი ქვეყნის სილამაზე შეგვაყვარა, კაცი, რომელმაც საგმირო ამბებითა და საგებით გაზრდილი ხალხი ელფების იდუმალ სულს გვაზიარა, ყველასაგან მიტოვებული, გულქვა ხალხით, პოეზიის, კულტურისა და მეცნიერების მტრებით გარშემორტყმული, უნუგეშოდ მოკვდა უცხო მხარეში.

რეიკიავიკში ხშირად გამიგონია მისი სახელი, მაგრამ რატომღაც ამ სახელს მუდამ უცნაურ და უაზრო საგნებს უკავშირებდნენ. პირველად ატომის მგოსნისაგან გავიგე, მერე უჯრედის კრებაზე, როდესაც ქვეყნის გაყიდვაზე ლაპარაკობდნენ, ახლა კიდევ აქ, ბუი არლანის სახლში. საერთოდ, სოფლელი კაცი ქალაქში გაგონილს უმეტესად ერთ ყურში შეუშვებს და მეორედან გაუშვებს ხოლმე, რადგან ბევრი რამ არ ესმის და ცალკეულ ამბებს ერთმანეთთან ვერ აკავშირებს.

„ჩემმა მეგობარმა, „ერის სიამაყემ“, შენს ცოლსა და ამ ორ ქალბატონს დაუდასტურა...“

მოახლე ზის თავის სოროში, სახე უხურს და თავს იმტვრევს ამ სიტყვებზე, თან ბატონისა და ქალბატონის დაძინებას ელოდება, რომ სახლი მიალაგოს.

და ამ დროს თვალწინ სულ სხვა სურათი მიდგება. როცა რაიმე მიჭირს, ყოველთვის ეს სურათი გამომეცხადება ხოლმე და მშველის, პასუხს მაძლევს გადაუჭრელ კითხვებზე, კარგად არ ვიცი, რატომ ხდება ასე, ალბათ, იმიტომ, რომ ეს არის ყველაზე მახლობელი ჩემთვის, იმიტომ, რომ მე მისი სისხლი და ხორცი ვარ, იმიტომ, რომ ეს არის მამაჩემი. და მე ვფიქრობ მამაჩემზე, მაგრამ არა მის გარეგნობაზე, არა მის ნაოჭებით დაღარულ სახეზე, რომელიც ერთ დროს ლამაზი იყო, არა მის წელში მოხრილ სხეულზე, რომელიც ერთ დროს ძლიერი და ჯან-ღონით სავსე იყო, არა მის ხელებზე, რომელთაც მრავალი წლის მანძილზე შრომამ თავისი დაღი დაასვა, არც მის ანთებულ თვალებზე; არა, მე ახლა თვალწინ მიდგას მისი შინაგანი სამყარო, მისი სული, ძველი საგა, ერთადერთი რამ, რაც მას სწამს და რასაც ხედავს ცხოვრების ყოველ წვრილმანში. და ცელის ნაცვლად ხმალი მესმის, მიწის ნაცვლად — ზღვა და გლეხკაცის ნაცვლად — გმირი. ეს არის

ძველი ისლანდია, საგა, რომელიც უკანასკნელმა საუკუნემ შეალამაზა, ახალმა დრომ, „ფიელნირის“[1] პირველი ნომრით დაწყებულმა ახალმა დრომ. მაშინ ჩვენმა პოეტებმა, ამ დაგვიანებით დაბადებულმა ელფებმა, პირველად გვამცნეს ყვავილების, ჩიტებისა და ვარსკვალავების სიმღერა. და ახლა, როდესაც ვნახე, როგორ ისხდნენ ბუნების ყალბი სურათებით მორთულ სახლში ეს ფერდაკარგული სულის მესაიდუმლენი და როგორ საუბრობდნენ იმ კაცის ძვლებზე, რომელიც განმარტოებით ცხოვრობს მთაზე და რომელსაც ღრმადა აქვს ფესვები გადგმული ჩვენს გულებში, მამაჩემის მკაცრმა სახემ, ჩემმა საკუთარმა წარმოდგენამ, უჩვეულო სიმსუბუქე და შვება მომგვარა.

ქალბატონი იატაკზე აგდია

ფიქრებისაგან უცნაურმა ყვირილმა გამომაფხიზლა. ქვევით ვიღაც კიოდა. ხომ არავინ მოკლეს? იქნებ მეზობლებს ბავშვი შეეძინათ? ფანჯარა გავაღე და მივაყურე. გარედან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ ჩაბნელებული ფანჯრები მოჩანდა. როგორც ჩანს, ჩვენთან კივიან, სახლში. წინდებისამარა გამოვვარდი გარეთ, თვალის დახამხამებაში ჩამოვირბინე კიბე და სულ ბოლო საფეხურზე შევჩერდი. კაბინეტის კარიც ღია იყო და ქუჩაში გასასვლელი კარიც.

— მძულხარ! მძულხარ! მძულხარ! — ისმოდა ხმა და იმ შემაზრზენ ღმუილში, რომელიც ესოდენ უცნაურ აღსარებას ახლდა თან, არაფერი ადამიანური არ იგრძნობოდა, — უნდა წავიდე ამერიკაში! უნდა წავიდე! უნდა წავიდე!

შუა კაბინეტში იატაკზე იწვა მშვენიერი, კეთილშობილი ქალბატონი. კაბა და პერანგი მუცლამდე ასწეოდა და ნეილონის წინდები და აბრეშუმის ქვედა საცვალი უჩანდა. ფეხებს იქნევდა, კიოდა და წიოდა, მუშტებს იატაკს უხათქუნებდა;

---

[1] ფიელნირი — ჟურნალი, რომელსაც 1834 წელს სცემდნენ ისლანდიელი რომანტიკოსი მწერლები, მათ შორის იონას ჰალგრიმსონი.

სამაჯური წკრიალებდა. ცალი ტუფლი წაძრობოდა და გვერდზე გადავარდნილიყო.

ქმარი მოშორებით იდგა და შეწუხებული შეჰყურებდა. მაგრამ, როგორც შევატყვე, ასეთ ისტერიკებს მიჩვეული იყო და არ უკვირდა. არადა უტაქტობა იქნებოდა ყურადღება არ მიექცია და გულგრილად შებრუნებულიყო, როდესაც მშვენიერი ქალბატონი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იგრიხებოდა და ტყავიდან ძვრებოდა. მე გაქვავებულივით ვიდექი ერთ ადგილას. ასეთი შემზარავი სურათი ჩემს დღეში არ მენახა. ცოტა ხნის შემდეგ ბატონმა ნელა ასწია თავი, ჩემკენ წამოვიდა, ისე გაიღიმა, თითქოს ბოდიშს იხდისო, და კარი მიიხურა. მე ქუჩაში გასასვლელი კარები ჩავკეტე და ჩემს ოთახში ავედი. სახლის დალაგება ჯერ ადრე იყო.

ღამის წვეულება

თავაზიანი ამერიკელები შუაღამისას მოდიან ხოლმე. მაგრამ წინკარში აღარ იხდიან და პალტოიანად შედიან ბატონის კაბინეტში. ბუი არლანის მოახლეს ძველებურად უტყაპუნებენ მხარზე ხელს და სიგარეტსა და საღეჭ რეზინს სთავაზობენ. დიდხანს არ რჩებიან, მაგრამ, წავლენ თუ არა, მაშინვე გამოჩნდება პრემიერ-მინისტრი, შემდეგ სხვა მინისტრები, ცხვრის ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების თავმჯდომარე, ალთინგის დეპუტატები, კომერსანტები, მოსამართლეები, სახეგალურჯებული კაცი, რომელიც გაზეთს უშვებს და შიგ წერს, საჭიროა ქვეყანა გავყიდოთო, ეპისკოპოსები, თევზის ქონის დამამზადებელი ქარხნის დირექტორი.

სტუმრები დიდხანს სხედან, ხმადაბლა ლაპარაკობენ და არასოდეს არა თვრებიან. მაგრამ, როგორც ყოველ ქადაგებას მოსდევს ეკლესიაში „ამინ“, ისე მოსდევს ყოველ ასეთ ღამეულ კრებას მეორე დღეს სხვა კრება, რომელიც აშკარად ნაკლებ წარჩინებული ხალხისაგან შედგება. ხალხს პრემიერ-მინისტრთან უნდა ლაპარაკი. წერილი უნდათ გადასცენ და სთხოვონ, ნუ გაყიდი ქვეყანას, დამოუკიდებლობას ნუ წაართმევ, ნუ ააშენებინებენ უცხოელებს აქ ატომის სადგურსო.

მოდიან ახალგაზრდობის კავშირიდან, სკოლებიდან, აკადემიიდან, მეეზოვეთა კავშირიდან, ქალთა კავშირიდან, კანტორის მოსამსახურეთა კავშირიდან, მხატვართა კავშირიდან, მეჯოგეთა კავშირიდან. მოდიან და იხვეწებიან: ნუ გაგვიყიდით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ღვთისგან ნაბოძებ სამშობლოს, ჩვენ ხომ იგი არავისთვის წაგვირთმევიაო.

ქალაქში არეულობა იყო. შეშფოთებული ხალხი სამუშაოს ტოვებდა, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და ეროვნულ ჰიმნს მღეროდა. ისეთებიც კი, რომელთაგან ამას არავინ მოელოდა, მონახავდნენ ხოლმე ამაღლებულ ადგილს, აფოფხდებოდნენ და სიტყვით მიმართავდნენ ხალხს. ყველა ერთსა და იმავეს მოითხოვდა: რამდენიც გინდათ, იმდენი გადასახადი დაგვადეთ, გქონდეთ თქვენი სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც უცხოეთიდან საქონელი შემოაქვს და ათას პროცენტ მოგებას ნახულობს. მთელი ვალუტის სარდინები იყიდეთ პორტუგალიისაგან, შემოიტანეთ თითო კაცზე ორი ცალი კვნეტარა და ათი ცალი გრდემლი. გააუფასურეთ, როგორც გენებოთ, კრონის კურსი. გვაშიმშილეთ, წაგვართვით თავშესაფარი, ყველაფერს ავიტანთ, არც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ სახლებში, მიწური ქოხები ედგათ, მაგრამ მაინც ბედნიერები იყვნენ. რაც გინდათ, ის გააკეთეთ. მხოლოდ ერთსა გთხოვთ, მხოლოდ ერთს, მხოლოდ ერთს: ნუ წაგვართმევთ დამოუკიდებლობას, რომლის მოსაპოვებლად შვიდასი წელი ვიბრძოდით. გევედრებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ნუ გადაგვიქცევთ ახალგაზრდა რესპუბლიკას ატომის სადგურად. მხოლოდ ამას გთხოვთ, მხოლოდ ამას გთხოვთ, მეტს არაფერს.

სანამ ქუჩის კუთხეში ასეთი კრებები იყო გამართული, ჩვენთან საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი ყველა ფანჯარა. ქალბატონი ფარდებსაც კი მაფარებინებდა.

ერთ ზამთრის საღამოს დაიწყო დრამის შემდეგი მოქმედება. უცხოელი და ისლანდიელი მეგობრები ერთად დაპატიჟეს ვახშამზე. თუმცა ეს ვახშამი კი არა, მთელი ნადიმი იყო. საღამოს ცხრა საათზე თავი მოიყარეს სადღესასწაულოდ გამოწყობილმა სტუმრებმა, რომელთაც შემოსვლისთანავე კოკტეილი ჩამოურიგეს. რაღა არ იყო: ამერიკული ფუნთუშები, საქონ-

ლის ენა, შემწვარი ქათმები, სალათა, საუკეთესო ღვინოები. ნავახშმევს ტკბილეული შემოიტანეს.

სტუმრები არ დამსხდარან, ფეხზე ჰამდნენ. ბოლოს პუნში მოადუღეს, ვისკი და ჯინიც შემოიტანეს. ვახშამი განთქმულმა მზარეულებმა შეამზადეს, სტუმრებს ოფიციანტი ქალიშვილები ემსახურებოდნენ. ამერიკელები ადრე წავიდნენ. ისლანდიელებმა მათი წასვლისთანავე შემოსძახეს: „ყოჩაღ ბიჭებსა“ და „ცივი უდაბნოს გადაღმა მხარეს“. შუაღამისას ოფიციანტი ქალიშვილები სამზარეულოში ჰყვებოდნენ, სტუმრები შეჭიკჭიკებულნი არიან და, როდესაც ღვინოს ვუსხამთ, გვჩქმეტენო. ცოტა ხნის შემდეგ ოფიციანტები სულ გაუშვეს და მონადიმენი თვითონ ისხამდნენ ღვინოს. ნაშუაღამევს სტუმრები უკვე კარგად გამოთვრნენ. ბევრი მათგანი ფეხზე ველარ დგებოდა და „ორასი ათასი კვნეტარა“ მასპინძელს ეხმარებოდა მათ გაყვანაში. ზოგს მხარში უდგებოდნენ და ისე გაჰყავდათ, ზოგსაც პირდაპირ მიათრევდნენ და მანქანაში დებდნენ. ნადიმი რომ დაამთავრეს, ჩემი ჯერი დადგა. სუფრა უნდა ამელაგებინა, საფერფლეები დამეცალა, ფანჯრები გამეღო. ოთახში სტუმართაგან მხოლოდ ორი კაცი დარჩა: გალეშილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც მოკუნტული იჯდა სავარძელში, და სრულიად ფხიზელი „კვნეტარა“ — „სნორი-ედას“ ჯამბაზი. თავად წვეთი არ დაულევია, — მხოლოდ პრემიერ-მინისტრს აძალებდა ღვინოს. ბატონი თავის კაბინეტში იჯდა და ჟურნალს ათვალიერებდა. კარი ღია ჰქონდა დატოვებული.

— კომუნისტები, — თქვა პრემიერ-მინისტრმა, — ეს წყეული კომუნისტები. მე მიყვარს ისინი და ამიტომაც დავხოცავ მათ.

— ხვალ ალთინგის სხდომაა, — თავი ასწია ბატონმა და ცოლისძმას მიუბრუნდა, — არ დაგავიწყდეს, რომ ადრე ვართ ასადგომი.

— არც ის დაგავიწყდეს, — ჩაურთო „ორასი ათასმა კვნეტარამ“, — რომ ისლანდიის ბედი იმაზეა დამოკიდებული, წამოვიღებთ თუ არა ჩვენს ძვლებს დანიიდან.

— ძაღლთაპირებო! აბა, ერთი გაბედეთ! — თქვა პრემიერ-მინისტრმა.

— ამ ძვლების გულისთვის ყველა გაზეთი უნდა გაერთიანდეს. კომუნისტებიც უნდა შემოგვიერთდნენ. უპირველეს ყოვლისა კი სამღვდელოება, — თქვა კვნეტარამ.

— რატომ ვყიდი ქვეყანას? — დასვა კითხვა პრემიერ-მინისტრმა და განაგრძო, — იმიტომ, რომ ჩემი სინდისი ასე მკარნახობს, — მან მარჯვენა ხელის სამი თითი ასწია მაღლა, — რას წარმოადგენს ისლანდია ისლანდიელებისათვის? არაფერს. ჩრდილოეთისათვის მხოლოდ დასავლეთსა აქვს მნიშვნელობა. ჩვენ დასავლეთისათვის ვცოცხლობთ და დასავლეთისათვის ვკვდებით. პატარა სახელმწიფო ხორცმეტია, აღმოსავლეთი მიწასთან უნდა გასწორდეს. დოლარი უნდა გაბატონდეს დედამიწაზე.

— ხმამაღლა ფიქრი არ ვარგა, — უთხრა მას დოქტორმა ბუი არლანმა, — ხალხს ჯერ არ სძინავს. შეიძლება თქვენი ნათქვამი არასწორად გაიგონ, ან, ღმერთმა დაგვიფაროს და, ვინ იცის, სწორადაც გაიგონ.

— უნდა გავყიდო ჩემი ქვეყანა! — ბღაოდა პრემიერ-მინისტრი, — თმით რომ მათრიონ, მაინც გავყიდი.

— ჩემო მეგობარო... — დაიწყო დოქტორმა.

— წადი შენი!.. — შეუტია პრემიერ-მინისტრმა, — უნდა გავყიდო ქვეყანა, მოედანზე რომ გამომიყვანონ და საჯაროდ გამწკეპლონ, კინწისკვრით რომ გამომაგდონ მთავრობიდან, მაინც გავყიდი, გავყიდი, რადაც არ უნდა დამიჯდეს. დოლარმა ჭირდა გაიმარჯვოს. მე ისლანდიის პრემიერ-მინისტრი ვარ!

— და მთელმა ქვეყანამ რომ ზურგი შეაქციოს „ერის სიამაყეს“, მე მაინც მისი ერთგული დავრჩები, — თქვა კვნეტარამ.

— ხალხი სად წავიდა? — იკითხა პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც ახლაღა შეამჩნია, რომ სტუმრები შემოსცლოდა. მერე თავისი ჭიქა ააპირქვავა, წამოდგა და წელში გაიმართა. პირდაპირ საოცარი იყო, როგორ ახერხებდა ეს პატარა კაცი ასე გაბღენძვას. ბუშტივით იყო გაბერილი სიამაყისაგან. როგორც ჩანს, სისხლში ჰქონდა გამჯდარი ასეთი სიამაყე და, ალბათ, ეს იყო ერთადერთი რამ, რაც ჯერ კიდევ გააჩნდა. დანარჩენი კი ყველაფერი დაეკარგა, ისე იყო გალეშილი. კვნეტარამ ქუდი

დაახურა და გაიყვანა. წინკარიდან ჯერ კიდევ მოისმოდა მისი ბღავილი:

— მე პრემიერ-მინისტრი ვარ. დოლარმა უნდა გაიმარჯვოს!

დოქტორმა, პრემიერ-მინისტრის სიძემ და კომპანიონმა, სტუმრები კარამდე გააცილა. ნადიმი დამთავრდა.

ისინი რომ წავიდნენ, ბატონმა გამიღიმა და მითხრა:

— ჩემი ცოლისძმა შესანიშნავი კაცია, მაგრამ როცა შეჭიკჭიკდება, ხუმრობა უყვარს. რაც აქ გავიგონეთ, ამის თქმა საჭირო არ არის უჯრედის კრებაზე, როდესაც კვლავ მოხვდებით იქ შემთხვევით.

დოქტორი კარს მიყრდნობოდა და დაღლილი თვალებით შემომცქეროდა. სიგარეტი, რომელიც ხელში ეჭირა, ბოლავდა. უჯრედის კრება! ნუთუ ყველაფერი გაიგო?

— ძალიან პატიოსანი კაცია, — განაგრძო მან, — ყოველ შემთხვევაში, როცა მთვრალია. სიფხიზლეში, საერთოდ, იშვიათადაა კაცი პატიოსანი. ფხიზელ კაცს არაფერი დაეჯერება. ამიტომ მირჩევნია მთვრალი ვიყო, — მან სათვალე მოიხსნა, კარგად გაწმინდა, ისევ დაჯდა და საათს დახედა. — ოჰო, ძილის დროა!

ის იყო გასვლა დააპირა, რომ უცებ შეჩერდა და ისეთი ხმით განაგრძო, თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო:

— სანდო კაცია. თუ სიფხიზლეში რამეს გეუბნება და თან სინდისს გეფიცება, იცოდე, რომ ცრუობს. თუ საჯაროდ სამჯერ დაიფიცებს დედის სულს, იცოდე, რომ გულში სულ საწინააღმდეგო რამ უდევს. სამაგიეროდ, რასაც სიმთვრალეში ამბობს, იცოდე, რომ იმასვე ფიქრობს, თუნდაც ათასჯერ დაიფიცოს.

მე გამბედაობა მოვიკრიბე და ვკითხე:

— მართლა აპირებს ქვეყნის გაყიდვას?

— თქვენთვის სულ ერთი არაა? პოლიტიკა რაში გაინტერესებთ?

— სულ ერთია, მაგრამ უცებ მამა გამახსენდა, ეკლესია გამახსენდა და ღელე.

— რა ღელე?

— ღელე... — მინდოდა კიდევ მეთქვა რამე, მაგრამ ვეღარ ვთქვი. უხმოდ შევტრიალდი და კარისაკენ წავედი.

— ვერ გავიგე, რას ამბობთ, — მითხრა მან და ვიგრძენი, რომ მიყურებდა, — ჰმ, ღამე მშვიდობისა.

ფიცი

ალთინგის შენობასთან უფრო და უფრო მეტი ხალხი გროვდება. უფრო და უფრო აღელვებული ლაპარაკი გაისმის. ხმის ჩაწყვეტამდე მღერიან ეროვნულ ჰიმნს. ყვირიან:

— ვერ ბედავს ალთინგი პასუხის გაცემას?

ალთინგის წევრებს დახურული კრება აქვთ. ბჭობენ, დაუთმონ თუ არა უცხოელებს რეიკიავიკი, ან რომელიმე სხვა ყურე, სადაც ატომის სადგური შეიძლება აშენდეს. მაგრამ საკითხი ჯერ არ გადაჭრილა და ამიტომ დეპუტატები გარეთ ვერ გამოდიან, არ იციან, რა უთხრან ხალხს, რომელიც ქუჩაში დგას, ჰიმნს მღერის და პასუხს ელოდება.

დროდადრო რომელიმე დეპუტატი ფანჯარას მიადგება და იჭყიტება, თან ცდილობს უდარდელად გაიღიმოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. მინის კარი ვერ უძლებს ხალხის მიწოლას, ხალხი ნიაღვარივით შედის ალთინგის შენობაში. მაშინ აივანზე გამოსასვლელი კარიც იღება და გამოდის პატარა, სქელი, ბუშტივით გაბერილი კაცი. გაჭიმულა და გულ-მკერდი გამოუზნექია. დგას და ელოდება, როდის დაამთავრებს ხალხი ჰიმნს, მხრებს შლის, ჰალსტუხს ისწორებს, თმაზე ხელს ისვამს, ორი თითი პირთან მიაქვს და ახველებს. ბოლოს მშვიდი, ბოხი ხმით, მამობრივი კილოთი იწყებს:

— ისლანდიელებო! — სპექტაკლით მოხიბლული ხალხი ჩუმდება, — ისლანდიელებო! — იმეორებს ამ სიტყვას, ამ პატარა და მაინც დიდ სიტყვას. მერე სამ თითს მაღლა სწევს და წარმოთქვამს ფიცს დინჯად, მკაფიოდ, სვენებ-სვენებით: — ვფიცავ! ვფიცავ! ვფიცავ! ყოველივეს, რაც კი წმინდაა ჩვენი ხალხისათვის, ისლანდია არ გაიყიდება!

ღმერთებს ცუდი ამბავი მოაქვთ

ორღანისტი და მორცხვი პოლიციელი ფისჰარმონიას მისხედომოდნენ და წინ გაურკვეველი ხელით დაწერილი ნოტები ედოთ. ისე იყვნენ ჩაფლული თავიანთ საქმეში, რომ არც დაეუნახივართ და არც ფეხის ხმა გაუგონიათ. ნახევარი საათი ვიჯექი მათ უკან სკამზე და არაფერი გაუგიათ. თავისთვის ჯახირობდნენ, ცდილობდნენ დაეკრათ რაღაც უცნაური მელოდია, რომელიც ჩემს სოფელს, ჩემი სოფლის ალიონს მაგონებდა.

ბოლოს, როგორც მომეჩვენა, მელოდია ააწყვეს, იგი სადღაც შორიდან მოვარდა და ისეთი უეცარი და დიდებული ყღეერა მოიტანა, რომ მოულოდნელობისაგან გავშეშდი და სწორედ იმ დროს, როდესაც ასეთი მელოდიით გულაძგერებული უცხო სამყაროში, გასაოცარ და ამოუცნობ სამყაროში გადავეშვი, რომელიც სულ სხვა იყო და არაფრით არ ჰგავდა აქამდე ნანახსა და განცდილს, მათ შეწყვიტეს დაკვრა და წამოდგნენ. ისეთი აღტაცებული სახეები ჰქონდათ, თითქოს თვითონ შეექმნათ ეს დიდებული მუსიკა. ახლაღა დამინახეს და მომესალმნენ.

როდესაც ვიკითხე, რას უკრავდით-მეთქი, ორღანისტი შეუყოყმანდა:

— არ ვიცი, გაგანდო თუ არა ქვეყნიერების უდიდესი საიდუმლო, გაგიმეღავნო თუ არა ახალი გენიოსის სახელი. ხარ კია ისე ბრიყვი, რომ ფეხქვეშ ნიადაგი არ გამოგეცალოს ამ სახელის გაგონებაზე? ხოლო, თუ ბრიყვი არა ხარ, იმდენი ჭკუა კი გაქვს, რომ იმ მოთხოვნას დაემორჩილო, რომელსაც ის ახალი მასწავლებელი უყენებს კაცობრიობას და დათმო ეს ქვეყანა, რათა იმათთვის, ვინაც ჯერ არ დაბადებულა, ახალი სამყარო შექმნა? — მითხრა მოღიმარე ორღანისტმა.

მისი ნათქვამი ვერ გავიგე, დაბნეული და შეწუხებული ვიდექი. ისიც მაწუხებდა, რომ მისი ლაპარაკი არ მესმოდა და ისიც მაწუხებდა, რომ საიდუმლოს არ მანდობდა. იმას, როგორც ჩანს, შეეეცოდე, ლოყაზე ხელი მომითათუნა და შუბლზე მაკოცა.

— ეს რობერტო ხერარდის სავიოლინო კონცერტი

იყო, — მითხრა და თან მთხოვა, ნუ გამიჯავრდები წელანდელი სიტყვებისათვისო. მერე განაგრძო, — ეს ერთი ესპანელი ყმაწვილია.კემბრიჯში სწავლობს. მუსიკალური განათლება არ მიუღია. თუ ესტერჰაზების წარჩინებული გვარი კიდევ მაგრად გრძნობს თავს, გაწკეპვლა არ ასცდება. ისე კი, იმედი მაქვს, მოცარტზე მეტი პატივით მაინც არ დაასაფლავებენ.

ორლანისტი სამზარეულოში შევიდა ყავის ასადუღებლად. მორცხვმა პოლიციელმა კი ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს მეკითხებოდა: გაიგე რამეო?

— ამის მოსმენაღა მაკლდა... — თქვა მან, — ვითომ ისედაც ძაღლური ცხოვრება არა გვქონდეს

ამ დროს ღმერთები მოვიდნენ. ჯერ ბრილიანტინი შემოვიდა, ყაჩაღივით აბრიალებდა თვალებს. შემდეგ — არამიწიერი ბენიამინი, იგი თითქოს ჰაერში დაფარფატებდა, ერთსა და იმავე დროს სევდიანიც იყო და აღტაცებულიც. ორლანისტი გულთბილად შეეგება სტუმრებს, გამოჰკითხა ღმერთისა და ზეცის ამბები და ყავა შესთავაზა. ღმერთებმა ცუდი ამბავი მოიტანეს: „კვნეტარამ“ გარეთ გამოგვყარა, ოლე ფიგური იშოვა და ჩვენ აღარ ვჭირდებითო.

— ფიგური ამბობს, ძვლები ამოვთხაროთო! — გაგულისებით წამოიძახა ღმერთმა ბრილიანტინმა, — ყველა გაზეთი წერს — ისინი „ერის სიამაყეს“ დაუკავშირდნენო.

— ამოთხარონ მერე! — უთხრა ორლანისტმა.

— კადილაკი სადაა? — იკითხა მორცხვმა პოლიციელმა.

— მოგვპარა „კვნეტარამ“, — მიუგო ატომის მგოსანმა, — მე კი შურისძიების ცეცხლით ავენთე და პიანინოს კლავიშები დავუმტვრიე. ისეთ ხასიათზე ვარ, მალე ალბათ ძროხასავით ავზმუვლდები და მერე თავსაც მოვიკლავ.

— ეს რა ხუმრობაა, — უთხრა ორლანისტმა, — ასეთ უზრდელობას შენ როგორ ჩაიდენ. თავის მოკვლა თავის შერცხვენაა კვადრატში. შენ კი ღმერთი ხარ, ნუ გავიწყდება.

— მე ვნახე ბუჰენვალდის ფოტოსურათები, — თქვა ბენიამინმა, აღარ შეიძლება მეტი პოეტობა. გრძნობა გაიყინა. ან როგორ არ გაგეყინება გრძნობა ამ ჩონჩხისა და მკვდარი, ჩამომხმარი სახეების შემხედვარეს. გაქრა კალმახების სატრფია-

ლო თავგადასავალი, გაქრა მინდვრის ვარდი — პოეტის სიყვარული. ტრისტანი და იზოლდა დაიხოცნენ, ბულბულს ხმა ჩაუწყდა, იმიტომ რომ ადამიანი დაყრუვდა. ბუჰენვალდში დაყრუვდა ადამიანი. ერთადერთი გამოსავალი თავის მოკვლაა — თავის შერცხვენა კვადრატში.

— სხვების დახოცვაც შეიძლება, — შენიშნა ღმერთმა ბრილიანტინმა.

— შეიძლება, მაგრამ ამისათვის ატომური ბომბია საჭირო, — მიუგო ბენიამინმა, — პირდაპირ სამარცხვინო ამბავია, რომ ჩემისთანა ღვთაებრივ პიროვნებას არა აქვს ატომური ბომბი და ვიღაცა დიუპონსა აქვს.

— მე მოგცემ რჩევას, — გაიღიმა ორღანისტმა და თეფში მიუწია, რომელზედაც ორცხობილას ნატეხები ეყარა, — ოდა დაუწერე დიუპონს.

— მე კი ცოლს გავეყრები და კარიერაზე ვიზრუნებ. გავხდები მინისტრი და აივნიდან ფიცს წარმოვთქვამ. ორდენსაც მივიღებ, — თქვა ბრილიანტინმა.

— ცუდად არის თქვენი საქმე, — უთხრა ორღანისტმა, — პირველად რომ გნახეთ, მაშინ უფრო თავმდაბალი ხალხი იყავით და ღმერთობით კმაყოფილდებოდით.

— ვითომ ვისზე რა ნაკლები ვართ, — შეედავა ღმერთი ბრილიანტინი, — ჩვენ რატომ არ უნდა მივიღოთ ორდენი?

— წვრილფეხა თაღლითები ორდენს ვერ მიიღებენ, — თქვა ორღანისტმა, — ორდენებით მხოლოდ დიდ-დიდი ხალხის ლაქიებს აჯილდოებენ. ბელადი რომ გახდე, მილიონერი უნდა გედგას მხარში. თქვენ კი მილიონერი ხელიდან გაუშვით. წვრილფეხა თაღლითი მინისტრი ვერ გახდება. წვრილფეხა თაღლითობა სამარცხვინო საქმეა. მხოლოდ ღმერთები თუ ჩაცვივდებიან ასეთ დღეში. გინდა წვრილფეხა თაღლითი ყოფილხარ და გინდაც უპატრონოთა სახლში დაბადებულხარ. უპატრონოთა სახლში დაბადებული ისეთი საცოდავი ქმნილებაა, გაზეთშიაც კი არ გამოწერენ. თუ მინისტრი გინდა გახდე, შვეიცარიაში წადი და იქაურ მილიონერებს ჩვენებური წყალი შესთავაზე სათევზაოდ, ან ამერიკელებს მიჰყიდე ქვეყანა. მაშინ ორდენსაც მოგცემენ.

— გინდაც ამ წუთსავე წავალ და შვედებს ჩვენებურ წყალს შევთავაზებ, ქვეყანასაც გავყიდი, — თქვა ღმერთმა ბრილიანტინმა.

— ახლა რაღას გიშველის, მილიონერი აღარა გყავს.

— მაშ, შენის აზრით არაა საჭირო ცოლთან გაყრა?

— არ მესმის, რატომ უნდა გაეყარო ცოლს, თუკი თვითონ წინააღმდეგია!

— ოლე ფიგურს რომ კისერი მოვუგრიხოთ, ხომ შეიძლება? — იკითხა ღმერთმა.

— როგორ არა, — მიუგო ორღანისტმა, — აიღე ორცხობილა.

— ოლე ფიგური სამხრეთელია, — თქვა ღმერთმა, — იმაში თუ არ ჩავარდა... რა ჰქვია?.. ტრანსში, ისე ზეცას ვერ უკავშირდება. ჩვენ კი ყოველგვარი აურზაურის გარეშე ვუკავშირდებით. მაგალითად, მე გადავშლი ბიბლიას და მესმის რა წერია შიგ. შეიძლება ორცხობილა წავუღო ბავშვებს? — ძალიან უყვართ.

— შენ ხარ ჩვენი დროის უდიდესი ლუთერანელი, — უთხრა ორღანისტმა, — და ოჯახის ისეთივე ჭეშმარიტი მამა, როგორიც ლუთერი იყო.

— მე შთაგონებას ველოდები, — თქვა ატომის მგოსანმა, — არ მიყვარს ლექსზე ჯახირი. და თუ ოდესმე თავი მოვიკალი, ისიც შთაგონებით მომივა. ვინ იცის, იქნებ თავის მოკვლა საუკეთესო პოემაა ამ ქვეყანაზე.

— შენ ხარ ჩვენი დროის უდიდესი რომანტიკოსი პოეტი, — უთხრა ორღანისტმა.

— ოლე ფიგურს ცინგლი მოსდის, — თქვა ატომის მგოსანმა, — ის კი გაიძახის, უკვდავი სული მაქვსო. განა სამართალია, რომ ეს ცხვირმოუხოცავი ვიგინდარა ჩვენი კადილაკით დაქროდეს!

— იქნებ არა აქვს უკვდავი სული? — იკითხა ორღანისტმა.

ღმერთებმა დაუდასტურეს.

— მაშინ მე თქვენს ადგილას არ მოვუგრეხდი კისერს, — თქვა ორღანისტმა, — ყოველ შემთხვევაში, შევყოყმანდებოდი მაინც, სანამ ასეთ კაცს მოვკლავდი. რაც შეეხება უკვდავი სუ-

ლის პატრონი კაცის მოკვლას, საერთოდ შეუძლებელია, სწორედ იმიტომ, რომ უკვდავი სული აქვს. კაცს მოკლავ, მაგრამ რა გამოვიდა, — მისი სული მაინც ცოცხალია. ახლა კი მაპატიეთ, თეოლოგიისათვის აღარ მცალია, ამ ლამაზ სოფლელ გოგონას, ჩემს მეგობარს, ყვავილები უნდა დავუკრიფო.

გასაღები

ბრძენი ნიალის საგაში სულზე არაფერია ნათქვამი. არც -- გრეტირის საგაში, არც — ეგილის საგაში; ესენი კი მთავარი საგებია. არც „ედაში" წერია რამე. მამაჩემი ყველაზე უფრო მაშინ ბრაზდებოდა, როცა სულს უხსენებდნენ. ისე უნდა ვიცხოვროთ, ვითომ სული არც არსებობდესო, ამბობდა ხოლმე.

ბავშვობაში ხმამაღალი სიცილი აკრძალული გვქონდა, — უზრდელობად ითვლებოდა. მართალია, მუდამ კარგ ხასიათზე უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ზედმეტი სიმხიარულე ცუდი ნიშანი იყო. აკი ანდაზაც ამბობს: ბევრმა სიცილმა ბევრი ტირილი იცისო.

მამაჩემი მუდამ მხიარულ გუნებაზე იყო და ყოველთვის მოღიმარი სახე ჰქონდა, თუ არ ხუმრობდნენ. ხუმრობის გაგონებაზე კი მაშინვე სახე გაუქვავდებოდა, დამუნჯდებოდა და ფიქრებში ჩაეფლობოდა. არასოდეს არ აღელდებოდა და არ დანაღვლიანდებოდა. ზამთარში რომ იალაღზე გაშვებული ცხენები გაჰყინვოდა, მაშინაც კი შუბლს არ შეიჭმუხნიდა.

დედაჩემს ყველაფერი უყვარდა, ყველაფერი სჯეროდა და ყველაფერს ითმენდა. როდესაც ძროხას რამე შეემთხვეოდა, ხმას არ ამოიღებდა ხოლმე.

ბავშვებს თუ ჩხუბი მოგვივიდოდა, არ უნდა ავტირებულიყავით. მეოჯახეობის კურსებზე რომ ვსწავლობდი, ცრემლები პირველად მაშინ ვნახე: ერთმა გოგომ ცხელი ფაფა გადაისხა და ატირდა. მეორეს — ლექსები წაეკითხა და იმაზე ტიროდა, მესამე—თაგვმა შეაშინა. ჯერ მეგონა, სხვების მოსატყუებლად აკეთებენ-მეთქი, მაგრამ თურმე მართლა ტიროდნენ. მათ მა-

გივრად მე შემრცხვა. ისე შემრცხვა, როგორც შარვალჩავარ-დნილი კაცის დანახვაზე შეგრცხვება.

არ მახსოვს, მამასა და დედას ჩვენთვის ეთქვათ, რას ფი-ქრობდნენ ან რას გრძნობდნენ—წესი არ იყო ამაზე ლაპარაკი. შეგიძლია ილაპარაკო საერთოდ ცხოვრებაზე, მაგრამ შენს თავზე მხოლოდ მაშინ უნდა თქვა რამე, როდესაც ეს სხვასაც ეხება. შეგიძლია დაუსრულებლივ ილაპარაკო ამინდზე, საქო-ნელზე, ბუნებაზე, მაგრამ ყოველივე ეს გლეხის ინტერესების ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს. შეგიძლია ილაპარაკო გვალვაზე, მაგრამ მზეზე — არა. ილაპარაკე, რამდენიც გინდა, საგებზე, მაგრამ კირკიტს ნუ დაუწყებ. ილაპარაკე წარსულ-ზე, მაგრამ საკუთარ ფიქრებს ნუ გამოამზეურებ. „ედაში“ წე-რია, მხოლოდ ფიქრებმა იცის, გულში რა არისო. თუ ისეთ რამეს ჰყვები, რაც მხოლოდ შენ შეგეხება, საძაგლობაა და ჯო-ბია ნუ მოყვები. კიდევ უფრო მეტი საძაგლობაა ასეთი რამის დაწერა.

რა ვქნა, ასე მზრდიდნენ და ასეთი გავიზარდე.

ამიტომ აქ მიზეზების ძებნას არ გამოვეკიდები. მხოლოდ იმას გიამბობთ, რა მოხდა და როგორ მოხდა. და მოთხრობას მაშინ შევწყვეტ, როცა შევატყობ, რომ ის უკვე მოთხრობა აღარაა.

ვგრძნობდი, რომ პოლიციელი მაშინდელივით მელოდა სამ-ზარეულოში. ჩამიჩუმი არ ისმოდა, მაგრამ ვიცოდი, იქ იყო, ვიცოდი, ერთად წავიდოდით შინ.

დავამთავრე მეცადინეობა, ჩავიცვი პალტო, გამოვართვი ყვავილები ორლანისტს და გამოვეთხოვე. მაშინ პოლიციელიც წამოდგა და მოემზადა წასასვლელად. ერთად გამოვედით. ყველაფერი მაშინდელივით იყო, მხოლოდ ახლა სულ დამუნჯ-და. მომყვებოდა გვერდით და დუმდა.

— თქვი რამე, — ვუთხარი მე.

— არა, — მიპასუხა მან. — მე იმიტომ მოგყვები, რომ შენც ჩრდილოელი ხარ. სახლამდე მიგაცილებ და მერე ჩემი გზით წავალ.

— კარგი, თუ არ გინდა, ნუ ილაპარაკებ. მე, პირიქით, მსიამოვნებს კიდეც, შენს დუმილს რომ ვუსმენ.

უცებ ხელი წამავლო და თავისკენ მიმიზიდა. მაგრად მომიჭირა ხელი მკლავზე, თუმცა სიმშვიდე არ დაუკარგავს და უხმოდ მომყვებოდა გვერდით. ისე ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, მისი ხელი დროდადრო მკერდზე მეხებოდა.

— ალბათ, შეჩვეული ხარ ასე სიარულს მამაკაცებთან, — მითხრა მან.

— ისეთ მამაკაცებთან არა, რომლებიც მოწოდებას გრძნობენ.

— შენ ის მითხარი, ჩრდილოეთში როგორ იქცეოდი. აქაური ამბავი არ მაინტერესებს.

ვერ გავუგე, რისი თქმა უნდოდა ამით და არაფერი ვუპასუხე.

ერთ ხანს ჩუმად მივდიოდით. მერე უცებ, მოულოდნელად, მომიბრუნდა და მითხრა:

— შენ ელამი ხარ.

— ვინ მოგახსენა!

— მართლა გეუბნები. ცალი თვალი განზე გაგირბის.

— გამირბის და გამირბოდეს. ცალთვალა მაინც არა ვარ.

— ელამი ხარ. კარგად რომ დაგაკვირდება კაცი, მაშინვე შეგატყობს. ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი. პირდაპირ საშინელი შესახედავი ხარ.

— როცა დაღლილი ვარ, მაშინ მემართება ასე. ისე, ჭოტივით მართლა გვარიანად მაქვს დაშორებული თვალები ერთმანეთს. აკი მეძახიან კიდეც ჭოტს.

— ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი ელამი თვალები. რა გეშველება?

იგი ყრუ ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ ამ ხმაში მაინც იმდენი სითბო იყო, რომ სხეულში ტკბილმა ჟრუანტელმა დამიარა. აღელვებით მაინც არ ავღელვებულვარ. მუხლებით ვგრძნობდი განსხვავებას ჩემს თანამგზავრსა და ალთინგის დეპუტატს შორის. როდესაც სახლს მივაღწიეთ, ჩანთაში ხელი ჩავყავი, მაგრამ გასაღები ვერ ვიპოვე: აქეთ ვეცი, იქით ვეცი, — არ არის. დაიკარგა. არადა საცაა პირველი საათი გახდება. სადარბაზო შესასვლელის გასაღებიც მქონდა და უკანა კარისაც. ორივე გასაღები მუდამ თან დამქონდა, არასოდეს შინ არ დამრჩენია.

ახლა კი, რა დამემართა, დამრჩა, თუ დამეკარგა, იქნებ რამე ჯადოქრობით ან სასწაულით გაქრა. ამოვყარე ჩანთიდან ყველაფერი, სულ გადმოვაბრუნე, იქნებ სადმე ჩარჩა-მეთქი. არა და არა. გასაღები არსად ჩანდა. ვიდექი ქუჩაში და აღარ ვიცოდი რა მექნა.

— დააკაკუნე, — მირჩია პოლიციელმა.

— დავაკაკუნო? არა, დაკაკუნებით ვერ დავაკაკუნებ. ამათ გაღვიძებას მირჩევნია ქუჩაში გავათიო ღამე აღმა-დაღმა სიარულში.

— საგანგებო გასაღები მაქვს, მაგრამ რა ვიცი, მოერგება?

— ხომ არ გაგიჟდი. ეგლა მაკლია, საგანგებო გასაღები ვაჩხიკინო. ჯობია დაველოდები. იქნებ კიდევ ვინმეა მოსასვლელი და იმას შევყვები.

მან შემომხედა და მითხრა:

— ვერაფერი შვილი ცხოვრება გქონია ამ ოჯახში, როგორც ვატყობ. წამოდი, ჩემთან წავიდეთ.

ასე მოხდა ეს ამბავი.

მეორე დღეს, დილაადრიან, რომ ვბრუნდებოდი, შემთხვევით პალტოს ჯიბეში ჩავიყავი ხელი. გასაღები, რა თქმა უნდა, ჯიბეში მედო.

პოლიციელს ერთი ჩემოდნის მეტი არაფერი გააჩნდა. საწოლი, მაგიდა და სკამი დიასახლისისა იყო. პიანინო ნაქირავები ჰქონდა. მან გვარიანად გამისწრო მუსიკაში და უკვე იცოდა პიანინოზე დაკვრა. ჩემი ოცნება კი ჯერჯერობით ფისჰარმონიის იქით ვერ მიდიოდა. ოთახი არაჩვეულებრივად სუფთად იყო დალაგებული. ჰაერში საპნის სუნი იდგა. მან სკამი შემომთავაზა და დაჯექიო, მითხრა. მერე ჩემოდანს თავი ახადა და ერთი ბოთლი არაყი ამოიღო, რომელიც ყოველი შემთხვევისათვის ჰქონდა გადამალული, როგორც თავშენახულმა გლეხებმა იციან ხოლმე.

— იქნებ საღეჭი თამბაქოც შემომთავაზო! — ვუთხარი მე.

— შოკოლადზე დაგპატიჟებ.

შოკოლადი ავიღე, არაყზე კი უარი ვუთხარი.

— მეტი არაფერი გაქვს? — ვკითხე მერე.

— ცოტა მოითმინე და ყველაფერი იქნება, — მიპასუხა მან.

სიყვარული

ჩემის აზრით, სიყვარული რომანტიკოსი პოეტების მიერ გამოგონილი ჭორია. ყოველ შემთხვევაში, ბრძენი ნიალის საგა, რომელიც ყველა რომანტიკულ წიგნებს სჯობია, სიყვარულს არსად არ იხსენიებს. ისლანდიის საუკეთესო ადამიანებს, დედაჩემს და მამაჩემს, რომლებთანაც ოცი წელი ვცხოვრობდი, თავის დღეში არაფერი უთქვამთ სიყვარულის შესახებ. მართალია შვილებს კი აჩენდნენ, მაგრამ ეს სიყვარული კი არ იყო, არამედ ბეჩავი კაცის გაუხარელი ცხოვრება. არ მახსოვს, რომ მათ ოდესმე ხმამაღალი სიტყვა ეთქვათ ერთმანეთისთვის, მაგრამ განა ეს სიყვარულია? არა მგონია. სიყვარული უფრო უქნარა ქალაქელების გასართობია. ამით ალამაზებენ ისინი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას.

ვგრძნობ, რომ რაღაც მემართება, სულში რაღაცამ ჩაიბუდა, რომელიც მე არ მემორჩილება, თუმცა ჩემი არსების ნაწილი კია. მკოცნის თუ არა ვინმე, სულ ერთია, ჩემი ტუჩები მაინც კოცნისთვისაა შექმნილი.

„შენ სოფლელი ხარ და სიქალწულე,—ეს არის შენი მთავარი ცოდვა“. ასე მიმღერა ატომის მგოსანმა, პირველად რომ შევხვდი. და რაოდენი სიმართლე იყო ამ სიტყვებში. მართლაც, რა სისაძაგლესაც არ უნდა გადაეყარო, ეს ხომ მაინც ცხოვრებაა, რომელიც ჩვენს საოცარ სხეულში მიედინება.

მიყვარს მე ეს ახოვანი, მორცხვი კაცი, რომელსაც ბრიალა თვალები და ბოხი ხმა აქვს? არ ვიცი. ანდა მეორე, რომლის დანახვაზე მუდამ მუხლები მიკანკალებს? არც ეს ვიცი. თუმცა რა საკითხავია? — ქალიშვილის ცხოვრებაში არის წლები, როდესაც მას ყველა კაცი უყვარს და მათ ცალ-ცალკე პიროვნებებად არა ჰყოფს. საერთოდ, მამაკაცი უყვარს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არავინ არ უყვარს.

— რა კარგი ხარ! — ამბობს კაცი.

— ყველა ასე ამბობს, როდესაც ღამით დროს იხელთებთ, მოგვეხვევით და გულში ჩაგვიკრავთ, — უპასუხებს ქალი.

— ვინ იცის, იქნებ ეს არის ნამდვილი სიყვარული, — ამბობს კაცი.

თუ ქალიშვილი საღამოს მარტო ბრუნდება შინ, იგი უბედურია, — ასე წერია წიგნებში. ზოგიერთი ქალიშვილი ვერც არჩევს სიყვარულს მარტოობისაგან. თავისი თავი შეყვარებული ჰგონია, სინამდვილეში კი ეს სიყვარული კი არა, მარტოობაა. თითქოს ყველა უყვარს და თან არავინ არ უყვარს. იმიტომ რომ შეყვარებული არა ჰყავს.

ქალიშვილმა, რომელსაც შეყვარებული არა ჰყავს, თვითონ არ იცის, რა უნდა. დგას იგი სახლის წინ ჩაფიქრებული. ამ დროს მასთან მოდის მამაკაცი და სანამ ქალიშვილი გონს მოვიდოდეს, უკვე მიჰყვება ამ მამაკაცს, რომელიც პირველად ნახა. მამაკაცი ყველაფერს აძლევს ქალს, რისი მიცემაც კი შეუძლია. ესე იგი, არაფერს არ აძლევს. მერედა ეს სიყვარულია? არა, ეს სიყვარული არ არის. ქალიშვილმა ამით მხოლოდ და მხოლოდ ველური პირუტყვი დააწყნარა, რომელიც დაგლეჯას უპირებდა; საწოვარა შეაჩეჩა პირში საკუთარ თავს ატირებული ბავშვივით. მამაკაცი კი მხოლოდ იარაღი იყო. და თუ ეს დანაშაულია, მაშინ ცხოვრებაც დანაშაული ყოფილა, როგორც ატომის მგოსანმა იმღერა იმ დღეს.

ერთხელ ჩვენში სამხრეთიდან ექსპედიცია ჩამოვიდა ჩანჩქერების სიმაღლის გასაზომად. ექსპედიციაში იყო ერთი კაცი, რომელსაც უშველებელი პალტო ეცვა, ჰალსტუხი ჯიბეში ედო და არაყის სუნი ასდიოდა. ქალიშვილი კი ჩვიდმეტი წლისა იყო. როდესაც ქალიშვილმა ყავა მიუტანა, ამ კაცმა აკოცა და ყურში ჩასჩურჩულა, საღამოს კარავში მოდიო. რატომ მივიდა? უბრალოდ დაინტერესდა. მთელი დღის განმავლობაში სხეული უხურდა და სახეზე ალმური ასდიოდა, იმიტომ რომ ჩვიდმეტი წლისა იყო და კოცნის გემო გაიგო. კაცს მდინარის პირას ჰქონდა გაშლილი კარავი და სამი ღამის განმავლობაში იქ ჰყავდა ქალიშვილი. ქალიშვილი ხმას არ იღებდა. მას ძალიან გაუხარდა, როდესაც გაიგო, რომ კაცი ცოლიანი იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, ქალს ვაჟის ცოლობა მოეწადინებია და საგონებელში ჩავარდნილიყო. შემდეგ კაცი წავიდა. მე საკუთარ თავს ჩავუფიქრდი. კაცმა რომ თქვას, დამანახვა საკუთარი თავი. ამიტომ მის წასვლას არაფერი შეუცვლია. თუ მინდა, ჩემად ჩავთვლი და მუდამ ჩემი იქნება.

მეორე — ახალგაზრდა კაცი იყო, მეოჯახეობის კურსებზე რომ ვსწავლობდი, მაშინ გავიცანი. ჯერ იყო და მთელი ღამე ვიცეკვეთ ერთად. მერე წერილი მომწერა. ბოლოს კი ჩემს ფანჯარას შემოეჩვია. მოვიდოდა და დამისტვენდა. ერთხელ, ღამით გავიპარე ჩემი ოთახიდან და წავყევი. არ ვიცოდით, სად წავსულიყავით, სად გაგვეთია ღამე. მაგრამ მაინც ვიპოვეთ გამოსავალი; ქალსა და კაცს თუ ერთად ყოფნა უნდათ, ხელს ვერაფერი შეუშლის. მხოლოდ იმას ერიდებიან, რომ არავინ დაინახოს, არავინ გაუგოს. — ჩვენ ერთად ვართ და ჩვენს გარდა ეს ამბავი არავინ იცის. მაგრამ ჩემი მოთხრობა უკვე მოთხრობა აღარ არის, ამიტომ უნდა გავჩუმდე. ბედნიერმა შემთხვევამ გვიხსნა ორივე: მას შემდეგ, რაც სამჯერ შევხვდით ერთმანეთს, მას სამხრეთში მოუხდა გამგზავრება, თორემ ვინ იცის, რით დამთავრდებოდა საქმე ამ სახიფათო ადგილას, მეოჯახეობის სკოლაში, სადაც მხოლოდ ზნეობას უყურებენ, შენი მოთხოვნილება კი სულაც არ ეკითხებათ.

ამაზე მეტი მე ცხოვრებაში არაფერი გამომიცდია იმ საღამომდე, როდესაც გასაღები დამეკარგა.

სამსახურიდან მითხოვენ

საუზმის დროს, ყავას რომ ვასხამდი, ქალბატონს ზედაც არ შემოუხედავს, ისე ცივად მომახალა:

— სად იყავით წუხელ?

— უჯრედის კრებაზე, — ვუპასუხე მე.

ქალბატონი გაიფოფრა, მაგრამ თავი შეიკავა. მხოლოდ ტუჩები უთრთოდა. მერე მკაცრად ჩაახველა და, თუმცა სულ ერთიანად გაფითრდა, მაინც საოცრად მშვიდი ხმით მკითხა:

— უჯრედის კრებაზე, არა? ხომ ვერ მეტყვით, რა საკითხები განიხილეთ?

— ბავშვთა ბაგების საკითხი.

— რა ბავშვთა ბაგების?

— ბავშვთა ბაგები არა გვაქვს.

— ვის არა აქვს?

— მე.

— მერე ვინ უნდა აგიშენოთ?

— საზოგადოებამ.

— საზოგადოებამ? საზოგადოება რაღა ცხოველია?

გასაოცარია, როგორ ლაპარაკობდა ასეთი მშვიდი ირონიით ეს მშვენიერი ქალი, რომელიც სინამდვილეში გაშმაგებული იყო. მაგრამ დიდხანს მაინც ვერ გაძლო.

— უჯრედის კრებაზე იყავით! და ასე უსირცხვილოდ მეუბნებით ამას პირში ჩემს საკუთარ სახლში, ჩემს საკუთარ მაგიდასთან და ისიც ამ ორი უმანკო ბავშვის თანდასწრებით! მოდიხართ აქ და მოითხოვთ, რომ კომუნისტების გარყვნილებას დავუჭიროთ მხარი.

— დამშვიდდი, გენაცვალე, — შეაწყვეტინა ღიმილით ქმარმა, ვინა გთხოვს ამას? ღვთის მადლით ჩვენ ჯერ საკუთარ გარყვნილებას ვუჭერთ მხარს. მერე ვნახოთ, რა იქნება.

— დიდი ჭკუის კოლოფები კი ხართ ეს ბურჟუაზიული პოლიტიკოსები. მუდამ საკუთარი კლასის წინააღმდეგ ილაშქრებთ. თქვენ თუ სიცრუისა და გამცემლობის ტალახში არ ჩაეფლეთ, ისე ვერა გრძნობთ თავს კალაპოტში. მაგრამ მე თქვენ გეუბნებით, რაც იყო, მორჩა, აწი აღარ განმეორდება. მე და ჩემისთანა ქალები ღვთისა და ქვეყნის კანონის მიხედვით ვაჩენთ შვილებს, ვასწავლით ყოველივე კარგსა და სანიმუშო ოჯახებს ვქმნით. და ახლა პასუხი უნდა ვაგოთ იმათი უზნეობის გამო, რომლებიც ჩვენს შვილებს სახლებს უნგრევენ! — ქალბატონი წამოდგა, მუშტი შემართა, სამაჯურებს წკრიალი დააწყებინა და მუქარით მითხრა:

— არა! საკმარისია! მიბრძანდით აქედან!

პატარა გოგოხას ხელები გულზე დაეკრიფა და პირდაღებული მისჩერებოდა დედას. ჩასუქებულ ბობოს ლოყები დაჰბერვოდა. ბატონი ჭამას განაგრძობდა. თვალები მოეჭუტა და წარბები ისე აეზიდა, როგორც კარტის თამაშის დროს იციან ხოლმე, როდესაც მოწინააღმდეგეს უმალავენ, რა კარტი აქვთ ხელში.

სად მეგონა ჩემი თავი? რამ მაფიქრებინა, რომ ამ ოჯახში

არხეინად შემეძლო ლაპარაკი ყველაფერზე, რაც კი მომეპრიანებოდა? როგორ მომივიდა თავში, ეს ხალხი მშვიდად მოისმენს უჯრედის კრების ამბავს და უწყინარ ხუმრობად, ქარაფშუტა გოგოს დაუფიქრებელ ბეუტურად ჩათვლის-მეთქი. დაბნეული ვიდექი და აღარ ვიცოდი, რა მექნა. არა, ჩემისთანა კაცს სად შეუძლია მაღალ საზოგადოებაში თავის დაჭერა. მოსამსახურედაც კი არ ვუქნივარ იმათთან ღმერთს. აშკარად დავინახე, რამხელა განსხვავება ყოფილა იმ ორ სამყაროს შორის, რომლებსაც მე და ეს ქალი ვეკუთვნოდით. მართალია, მე და ჩემი ქალბატონი ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, მაგრამ ისე შორიშორს ვიდექით ერთმანეთისაგან, ძნელად თუ დაიჯერებდა კაცი, რომ ორივენი ადამიანთა ერთსა და იმავე მოდგმას ვეკუთვნოდით. მსგავსება მხოლოდ იმაში იყო, რომ ისიცა და მეც ხერხემლიანთა და ძუძუმწოვართა კლასს მივეკუთვნებოდით. ამბობენ, თითქოს ორივენი ადამიანთა საზოგადოების წევრები ვიყოთ, მაგრამ ტყუილია, — ლიტონი სიტყვებია და მეტი არაფერი.

ბოლოს სულელური ღიმილით ვიკითხე, როგორ გავიგო ამ ქვენი სიტყვები, სამსახურიდან მითხოვთ-მეთქი?

— ის ტოტი არ მოვჭრათ, რომელზედაც ვზივართ! — მიუბრუნდა ბატონი ცოლს, — შენ ამერიკაში მიდიხარ და ვინ მოუვლის სახლს მთელი წლის განმავლობაში? ჩვენი იონა ამერიკულ-სმოლანდურ ღმერთებსაა გადაყოლილი.

— ას ქალიშვილს ვიშოვი ისეთს, რომ ჩემს საკუთარ სახლში მაინც შეურაცხყოფა არ მომაყენოს. გინდაც ათას ქალიშვილს მოვიყვან, რომ ზრდილობა ექნება და ასე უტიფრად არ მომახლის პირში ყველაფერს, იმის თქმას მაინც ვერ გამიბედავს, უჯრედის კრებაზე ვიყავიო. ეს კი მოსვლის დღიდანვე სულ ასე უსირცხვილოდ მელაპარაკება. მართლა ჩრდილოელია. არა, მე მაგის ყურება აღარ შემიძლია.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დავასკვენი, რომ ამ ოჯახში აღარ დამედგომებოდა. წავედი და ბარგის ჩალაგება დავიწყე. მტკიცედ გადავწყვიტე, ქუჩაში რომ მომიხდეს ღამის გათევა, აქ მაინც არ გავჩერდები-მეთქი.

დარჩენას მთხოვენ

უცებ კარს ვიღაცა მოადგა, დააკაკუნა და იმავ წამს გაიღო. ოთახში ჩასუქებული ბობო შემოვიდა, დაღლილობისაგან ძლივს სუნთქავდა.

— მამამ შემოგითვალა, ცოტა ხანს დარჩი, სალაპარაკო გვაქვს შენთანო.

— რა კარგი ბუთხუზა ბიჭიკო ყავხარ მამიკოს,—ვუთხარი მე, თავზე ხელი გადავუსვი და ბარგის ჩალაგება განვაგრძე.

მე მეგონა, ბობო მაშინვე წავიდოდა, როგორც კი მამის დანაბარებს გადმომცემდა. რა ვიცი, აქამდე სულ არ დამლაპარაკებია. ეს იყო მხოლოდ, ხანდახან პრემიერ-მინისტრისა და სხვა წარჩინებულთა შვილებთან ერთად ღობეზე ჩამოჯდებოდა და მომძახოდა: „მუსიკოსი! თხუპნია! გაუმარჯოს სოფელს!“

ახლა კი რატომღაც აყოვნებდა. იდგა და შემომცქეროდა, როგორ ვალაგებდი ჩემოდანში საგარეო ტანისამოსს. უცებ მომიბრუნდა და რაღაც თავხედურად, თანაც ვედრებით მითხრა:

— წამიყვანე უჯრედის კრებაზე.

— შენ ერთი კარგად უნდა მიგტყეპოს კაცმა და მერე ისწავლი ჭკუას, — ვუპასუხე მე.

— ენა გააჩუმე და უჯრედის კრებაზე წამიყვანე. რა უბედურებაა, ეს ოხერი კომუნისტები არაფრის ნებას არ მოგცემენ კაცს.

— მერე ასეთი პატარა და ბუთხუზა ბიჭიკო უცებ ოხერი კომუნისტი რომ გახდე, არ გეშინია?

მსუქანი ბობო აიფხორა.

— რა უფლება გაქვს, რომ ჩემს სახლში ასე მელაპარაკები!

— ხომ ხედავ, წასასვლელად ვემზადები. ესე იგი, შენს სახლში უკვე აღარა ვარ, და რასაც მინდა, იმას გეტყვი.

მან ხელი ჯიბეში ჩაიყო და რამდენიმე ცალი დაჭმუჭნილი ასკრონიანი ამოიღო.

— წამიყვანე და ას კრონს მოგცემ.

— ას კრონად როგორ გაგიმეტებ ასეთ პატარა ბუთხუზა ბიჭს. ხომ შეიძლება ოხერი კომუნისტი გახდე.

— ორას კრონს მოგცემ.

მე მივედი და ვაკოცე. მან მაშინვე მოიწმინდა ნაკოცნი და კიდევ აუწია ფასს. ბოლოს, მოახლის ერთი თვის ხელფასამდე რომ ავიდა, ველარ მოვითმინე:

— ახლავე დაიკარგე აქედან, არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა! როგორ არა გრცხვენია, უფროსის მოქრთამვას რომ ცდილობ! უნდა ჩაგხადოს კაცმა ეგ შარვალი და კარგად გაგწკეპლოს. ნეტავ ვიცოდე, ვინ გასწავლა ეს სიტუტუცე ასეთი კარგი მამის შვილს?

— შენ გგონია, მამა არ ქრთამავს ხალხს, როცა სჭირდება?

მე გავუშალე და ვტკიცე.

— აი, ნახე, თუ ციხეში არ ჩაგსვან ამისათვის, — მითხრა მან.

— ხელი ვისა აქვს შეხვეული, შენ თუ მე? ვინ მოიპარა კვერნები ფერმიდან და ვინ გამოჭრა ყელი?

— მაგდენი არ იცი, რომ მე და ჩემს ბიძაშვილს ხელს არავინ გვახლებს? ჩვენ რასაც გვინდა, იმას ვიზამთ. თუ მოგვინდება კომუნისტებიც გავხდებით, მაგრამ ის ოხრები, ალბათ ნებას არ მოგვცემენ.

— კომუნისტებს უწესო ბავშვები არ უყვართ.

— მე ყველაფერი უნდა ვნახო და გამოვცადო. მე ყველაფრის წინააღმდეგი ვარ.

შევხედე ბობოს, თმახუჭუჭა და ცისფერთვალა ქერა ბობოს, და მანაც მომაშტერა თვალი.

— რატომ მომძახით ხოლმე უკან უწმაწურ სიტყვებს ქუჩაში? — ვკითხე მე.

— ისე, ხუმრობით, მოგვწყინდება ხოლმე და ვერთობით. გვინდა კომუნისტები გავხდეთ.

მე თავი გადავაქნიე. ამასობაში ბარგის ჩალაგებაც დავამთავრე და წასვლა დავაპირე.

— დაიცადე, მამამ თქვა, დაიცადოსო.

— რათაო?

— სანამ დედა წავა დარჩესო.

— უთხარი, რომ აღარ მინდა დარჩენა. რატომ უნდა დავრჩე!?

ჩემოდნის საკეტი გაიხსნა. დავკეტე, მაგრამ ისევ გაიხსნა. თავი რომ ავწიე, თმახუჭუჭა, ქერა ბიჭი ისევ აქ იყო და შემომცქეროდა თავისი ცისფერი თვალებით. ასკრონიანები უკვე შეენახა და ახლა გამალებული იკვნეტდა ფრჩხილებს. როგორც იქნა, წავასწარი დანაშაულზე. ფრჩხილებს რომ იკვნეტდა, ადრეც ვატყობდი, მაგრამ წასწრებით ახლა წავასწარი პირველად.

— არ წახვიდე რა, დარჩი! — თავი დაანება მუქარასა და ქრთამს და ბავშვური გულწრფელობითა და, ცოტა არ იყოს, დარცხვენით მთხოვა მან. ცოტაღა აკლდა და ატირდებოდა.

შევყოყმანდი. ბავშვის მუდარამ გული მატკინა. უსასოოდ ჩამოვჯექი ჩემოდანზე, პატარა ბობო გულში ჩავიკარი, ხელი პირიდან გამოვაღებინე, რომ ფრჩხილები აღარ ეკვნიტა და ვუთხარი:

— ჩემო საბრალო ბიჭო!

მობარეგული ბავშვები და მათი სულები

რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონი „კვნეტარასთან“ ერთად ამერიკაში გაფრინდა. ბავშვები მე დამიტოვეს, — ბატონმა ჩამაბარა ვახშმობისას, თან, როგორც ყოველთვის, დაბნეულად იღიმებოდა. ყველაფერი ეს მარიამ ქალწულის ამბავს ჰგავდა, ან კიდევ ჩვენებურ ზღაპარს, ქალმა რომ თევზი გადაყლაპა და ბავშვი შეეძინა.

— დღეის ამას იქით, რაც დაგარქვეს, ის გერქვათ, — გამოვუცხადე მათ.

— სამაგიეროდ ჩვენ სიცოცხლეს გაგიმწარებთ, მოგკლავთ, ნაკუწ-ნაკუწ აგკეპავთ, — მშვიდად მიპასუხა უფროსმა ქალიშვილმა, თანაც სიტყვები: „გაგიმწარებთ“, „მოგკლავთ“, „აგკეპავთ“ განსაკუთრებული სიამოვნებით წარმოთქვა.

— კეთილი და პატიოსანი, — ვუთხარი მე, — თუ თქვენი სახელები არ მოგწონთ, მაშინ, რაც მე მინდა, იმას დაგარქმევთ. ოღონდ აფრიკულ სახელებს ტყუილად ელოდებით. არნგრიმურს დღეიდან სინათლე ერქმევა, გუდნის — ვაშლის

წვენი, თოურდურს—ოქროს ვერძი, ხოლო თოურგუნურს, იონას საშობაო ბარათის ანგელოზს — მზის სხივი. ახლა კი გამოდი სამზარეულოდან, თოურგუნურ, და სხვებთან ერთად მოუჯექი სუფრას.

— დედამისმა მე ჩამაბარა ეგ ბავშვი და კარგად უნდა გავზარდო! — გამომძახა სამზარეულოდან იონამ.

— არც მე ვუპირებ ცუდად გაზრდას! — ვუპასუხე მე.

— პირველად მესმის, რომ სულის მაცხონებელი ჩრდილოეთიდან მოსულიყოს, — შემომიტია მან.

დოქტორ ბუი არლანს ამის გაგონებაზე სახე გაებადრა და გაზეთი გვერდზე გადადო.

მზარეული კარს მოადგა და იკითხა:

— ნუთუ დოქტორი დღესვე აპირებს ამ ჩრდილოელის გულისთვის ქარს გაატანოს ყველაფერი, რაც ცოლმა დაუბარა?

— ჰმ, — თქვა დოქტორმა, — ამ ჩრდილოელებმა ამირჩიეს მე დეპუტატად. ეს არის ჩემი საარჩევნო ოლქი, გესმით თუ არა, ჩემო კარგო?

— უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ეს თქვენი საარჩევნო ოლქი განა სულების საარჩევნო ოლქია!

ბავშვები გახალისდნენ.

— ეს ბავშვები უგლას აბარია და მაგას ვკითხოთ, — თქვა დოქტორმა და საგონებელში ჩავარდნილი კაცივით კეფა მოიფხანა, — როგორ გგონიათ, უგლა, სად უფრო სასარგებლოა სულისთვის სადილობა, — სასადილო ოთახში თუ სამზარეულოში?

— თუ სული კუჭშია მოთავსებული...—დავიწყე მე, მაგრამ მზარეულმა შემაწყვეტინა.

— სიცრუეა! — აღშფოთდა იგი, — რა უნდა სულს კუჭში! სული, რომლისთვისაც მაცხოვარი ეწამა, კუჭში არ არის, პირიქით, კუჭი დასაბამია ყოველგვარი ბოროტებისა. წელსქვემოთ ყველაფერი ბოროტების ბუდეა. ამიტომ მომაბარა ქალბატონმა ეს ბავშვი და მითხრა, შენთან ისადილოს სამზარეულოში და ყურადღება მიაქციე, რომ ჭამის წინ და ჭამის შემდეგ ლო-

ცვა არ დაავიწყდესო. ერთი კაცი მაინც იყოს სახლში ისეთი, რომ სოდომისა და გომორის მსაჯულივით სულის ცხონებაზე იზრუნოს.

— მე მაინც მგონია, რომ სული სასადილოში უფრო ცხონდება, ვიდრე სამზარეულოში, — ვუთხარი მე.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა ოჯახის მამამ, — რა ძნელი საქმეა შუამავლობა, მაგალითად, პაკისტანისა და ინდოსტანის გაშველების საქმეში. ერთი ქვეყანა გაიძახის, სულის ცხონება იმ დღეს დაიწყო, რა დღესაც მაჰმადი მექადან გაიქცაო. მეორე ამტკიცებს, ისე ვერ ცხონდები, თუ ხელახლა ხარად არ დაიბადე, ან ვირად, ან, უკიდურეს შემთხვევაში, თევზად მაინცო. ერთობ რთული პრობლემაა, რომელსაც მხოლოდ ხმალი თუ გადაჭრის.

მზარეულის ანგელოზს ჩვეულებად ჰქონდა გინება და, საერთოდ, უწმაწური სიტყვების ხმარება, როგორც კი დედობილს სადმე გაიგულებდა. ეს, როგორც ჩანს, ერთგვარი შურისძიება იყო, პროტესტი თავსმოხვეული ღვთისმოსაობის წინააღმდეგ. მუდამ მიკვირდა, რა უნდა ამდენ ხანს ფეხსადგილში-მეთქი. საათობით იყო ხოლმე იქ და ხმადაბლა ბუტბუტებდა რაღაცას. ჯერ მეგონა, ლოცულობდა. მაგრამ ერთხელ ყური მივუგდე და გარკვევით გავიგონე, რომ გოგონა უწმაწურ სიტყვებს იძახდა. საბრალო ბავშვმა სულ სამი-ოთხი საგინებელი სიტყვა იცოდა და, გარდა ამისა, სხეულის ზოგიერთი სასირცხო ასოს სახელი, რომლებიც ღმერთმა იცის, სად ისწავლა. მოიჯერებდა გულს გინებით პატარა წმიდანი, გახარებული და სიცოცხლით სავსე გამოვიდოდა ფეხსადგილიდან და თავის თოჯინებს მიუჯდებოდა. ნელ-ნელა მზარეულის სიყრუითაც დაიწყო სარგებლობა. დაჯდებოდა სამზარეულოს კუთხეში, დაიკრეფდა გულზე ხელებს, შეჰყურებდა საქმით გართულ დედობილს და ჩურჩულებდა, ვითომ ლოცულობდა. სინამდვილეში კი ვარჯიშობდა, მოახერხებდა თუ არა ერთი ამოსუნთქვით სიტყვა „ჯოჯოხეთის“ ან „უკანალის“ ასჯერ წარმოთქმას. ხანდახან აუმაღლებდა ხმას და ამოწმებდა, რამდენად ხმამაღლა შეეძლო ელაპარაკა ისე, რომ მაცხოვრის ერთგულ მხევალს ეჭვი არ აეღო.

არიქა, მოკლეს!

ოჯახის მამა ჩვენი ხალხისა და აგრეთვე სხვა ხალხების ბედზე ზრუნავს და რთული პრობლემებითაა გართული. ამიტომ სახლში მუდამ უცხოსავითაა. თუ უბრალოდ სწყინდება შინ? აი, ისადილა და გაქრა. უფროსი ვაჟი არნგრიმური, რომელსაც მე სინათლე დავარქვი, რადგან ყოველი ბნელი ამქვეყნიური ძალა მის სულშია დავანებული, ამხანაგებს წაჰყვა სადღაც. ოქროს ვერძი და პრემიერ-მინისტრის შვილები ქუჩაში გავიდნენ, რათა გამვლელების გინებით თავი შეექციათ, ან კიდევ ძილის წინ ვინმეს სახლს მიდგომოდნენ და მოესინჯათ — ღია ხომ არ დარჩათ კარებიო. ვაშლის წვენი კალმახივით უხმაუროდ გასხლტა სახლიდან. მე ჩემს ოთახში შევედი. სამზარეულოდან ღვთისმოსავი მზარეულის მონოტონური ლუღლუღი ისმოდა.

ჩემს ოთახში უეცრად ისეთი მარტოობა ვიგრძენი, რომ ეჭვიც კი შემეპარა, — შეყვარებული ხომ არა ვარ-მეთქი. იქნებ შეყვარებული კი არა, უბედური ვარ, მარტოდ დარჩენილი ქალი, შეპყრობილი სიყვარულის სენით, რომლის გამომხატველი სახელი მხოლოდ უცხო ენაზე არსებობს, თუმცა მის არსს შეიძლება უბრალოდ, შარდის გამოკვლევითაც მიაგნო. ყოველ შემთხვევაში, წიგნებში ასე წერია. ამ ბოლო ხანს რაღაც უცნაური გრძნობა გამიჩნდა, თითქოს სხეული თანდათან უახლოვდება სულს და, ბოლოს, ეხება კიდეც, ხოლო სული, რომელსაც ოდესღაც ღმერთთან ჰქონდა ურთიერთობა, სხეულის ნაწილი ხდება. და ცხოვრება უდიდესი ნეტარებაა, მოყირჭებული ნეტარება. თითქოს ჭამა მინდა და თან გული მერევა. ვატყობ, რომ დღითიდღე ვსუქდები. პირში რაღაც უცნაური გემო გამიჩნდა. თვალები და სახის ფერი ისეთი მაქვს, თითქოს ღვინო დამელიოს. მოვდუნდი, სახე შეშუპებულივითა მაქვს და, როდესაც სარკეში ვიყურები, ვატყობ, ეჭვები შიმართლდება და ის ზღაპარიც მართლდება, ქალმა რომ თევზი გადაყლაპა. სუნთქვა მეკვრის, გული ბაგაბუგით მიცემს. ხანდახან ვზივარ და თითქოს საშინელ სიზმარს ვხედავ: ვითომ

თოკით ვკიდივარ უფსკრულის თავზე. ვაითუ, ვერ გამიძლოს თოკმა!..

ფისჰარმონიას მივუჯექი და დაკვრა დავიწყე, როგორც შეეფერება გულუბრყვილო სოფლელ გოგოს, რომელსაც ჰგონია, რომ ამ გზით დაიბრუნებს წარსულის დღეებს. ბოლოს დავიღალე და ჩამეძინა. მე მგონია, დიდხანს მეძინა. ხმაურმა გამომაღვიძა. კარზე ვილაც აბრახუნებს, ღმუის, ყვირის, მეძახის: „არიქა, მოკლეს!“

პირველად გავიგონე ასეთი საზარელი ხმით ნათქვამი სიტყვა — „მოკლეს“. კართან ჩემი ანგელოზები იდგნენ, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინ მომაბარეს.

— რა ამბავია? — შევეკითხე მათ.

— ჩემი მოკვლა უნდოდა, — მოთქვამდა რომელილაცა.

პერანგისამარა წამოვხტი და კარი გავაღე. დერეფანში ჩემი ოქროს ვერძი დგას, შიშისაგან თვალები გაფართოებია და ხელები მაღლა აუწევია, როგორც ამერიკულ ფილმებშია ხოლმე. ქვემოთ, კიბეზე, სინათლე დგას, ორივე ხელში რევოლვერები უჭირავს და მშვიდად უმიზნებს ძმას. ღმერთო, შემინდე, მგონი შევიგინე.

სინათლემ ბოდიში მომიხადა და მითხრა:

— თავი მომაბეზრა ამ ლაწირაკმა.

— მერე აუცილებლად უნდა მოკლა? — ვკითხე მე.

— მოუპარავს სადღაც რევოლვერები და გადავწყვიტე, მისივე მოპარული იარაღით მომეკლა.

— მე ვიწექი და მეძინა, — აზლუქუნდა ოქროს ვერძი, — ეგ კი დაბრუნდა სახლში გალეშილი, მომპარა რევოლვერები და მოკვლა დამიპირა. აბა, მე დამიპირებია როდისმე მაგის მოკვლა?

კიბეზე ჩავედი, მივუახლოვდი მომავალ მკვლელს, რომელსაც რევოლვერები ჩემკენ მოეშვირა და დავუყვავე:

— მე ვიცი, რომ შენ არ ესვრი ბავშვს.

— ბავშვი? — მითხრა დიდმა მოაზროვნემ და რევოლვერები დაუშვა, — მალე ეგ ბავშვი ცამეტი წლისა გახდება. მაგის

ხნის რომ ვიყავი, ქურდობაში უკვე ვეღარავითარ სიამოვნებას ვეღარ ვპოულობდი.

რევოლვერები გამოვართვი. მაინცდამაინც არ გამძალიანებია. როგორც კი ხელები გაითავისუფლა, მაშინვე სიგარეტი ამოიღო, ჩამოჯდა კიბის საფეხურზე და გააბოლა.

— ერთხელ, — დაიწყო მან, — სოფლის მეურნეობის კავშირმა მიწის მთხრელი მანქანისათვის სათადარიგო ნაწილები შემოიტანა უცხოეთიდან. მაშინ ცხრა წლისა ვიყავი და ამ ნაწილების ნახევარი მოვიპარე. რომელი ცხრა წლის ბიჭი გააკეთებს ამას. მაგრამ ამით დავამთავრე ჩემი მოღვაწეობა ქურდობის დარგში. როდესაც კაცი სიმწიფის ასაკშიც ვერ იშლის ქურდობას, იგი შეპყრობილია სენით, რომელსაც ჩვენ, განათლებული ხალხი, ინფანტილიზმს ვუწოდებთ. ავიღოთ ემანუილ კანტი ან კარლოს მეთორმეტე. შინაგანი სეკრეციის ზოგიერთი ჯირკვალი განუვითარებელი დარჩათ. მე კი თორმეტი წლისამ ქალებში სიარული დავიწყე.

— მომეცი ჩემი რევოლვერები, — მითხრა გულმოცემულმა ოქროს ვერძმა.

— სად იშოვე? — ვკითხე მე.

— რა შენი საქმეა, სადაც ვიშოვე. მომეცი აქ.

— ახლა დიდ გულზე ხარ, არა?! სიკვდილს რომ გადაგარჩინე, ეს არაფერი?

სინათლე მოკუნტული იჯდა კიბეზე. აბოლებული სიგარეტი პირში ჰქონდა გამორჭობილი. თვალები ელულებოდა. მამამისის დიდებულ სახლში იგი ჩვენი დროის ხორცშესხმულ პესიმიზმს ჰგავდა, ყარიბსა და მიუსაფარ კაცს, რომელიც ამაოდ ელოდება ბედის წყალობას. ბოლოს შევთანხმდით, რომ ბავშვები დასაძინებლად წავიდოდნენ, რევოლვერებს კი მე წავიღებდი. მაგრამ სინათლე ერთ ხანს კიდევ იჯდა კიბეზე და სიგარეტს აბოლებდა. „ღამე მშვიდობისა“ რომ ვუთხარი, პასუხი არ გაუცია. ჩემს ოთახში შევედი, შუქი ჩავაქრე და დავწექი.

ის იყო ჩამთვლიმა, რომ კარი გაიღო, ვიღაცა შემოვიდა, საწოლზე ჩამომიჯდა და ხელი მომკიდა. ავანთე სინათლე და რას ვხედავ? — ჩვენი ფილოსოფოსი მიზის საწოლზე.

— აქ რა გინდა, ბიჭიკო? — ვკითხე მე.

— შენთან დაწოლა მინდა, — მიპასუხა და პიჯაკი გაიხადა.

— ხომ არ გაგიჟდი, ბავშვო! ჩაიცვი ახლავე პიჯაკი!

— მე ბავშვი არა ვარ. მე ბიჭიკო არა ვარ. მე შენთან დაწოლა მინდა.

— კი მაგრამ შენ ფილოსოფოსი ხარ. ფილოსოფოსები ქალებთან არ წვებიან.

— ეს ქვეყანა ფილოსოფიისთვის არაა გაჩენილი. ფილოსოფია დაღუპვის პირასაა და შემდეგი ნაბიჯი მისი სრული განადგურება იქნება. მე შენ მომხიბლე და ჩემი შემდეგი ნაბიჯი შენთან დაწოლა იქნება. მიიწი, დამაწვინე.

— ვისაც ქალთან დაწოლა უნდა, ასე არ იქცევა.

— აბა, როგორ?

— აი, ხომ ხედავ, ჩემო მეგობარო, არცკი იცი, როგორ უნდა მოიქცე.

— არაფერი შენი მეგობარი არა ვარ. გინდა, არ გინდა, მაინც დავწვები შენთან.

— მე ლონიერი ვარ, ჩემო ბიჭიკო, — ვუთხარი მე, მაგრამ მთელი ძალის მოკრება დამჭირდა, რომ მისი ბღლარძუნისაგან დამეღწია თავი.

— მე არაფერი შენი ბიჭიკო არა ვარ. მე მამაკაცი ვარ. ბევრ ქალთან ვწოლილვარ. ნუთუ სულ არ მოგწონვარ?

— ერთხელ მომეწონე. ჩემი აქ მოსვლის პირველ ღამეს. პოლიციელებმა შემოგიტანეს და წინკარში დაგაგდეს. გახეთქილი მთვრალი იყავი, უსულო ლეში, მკვდარი ბავშვი. შენი სული კი ღმერთთან იყო. მეორე დღეს ისევ გაცოცხლდი და სახეც ისევ მოგეღრიცა. საშინლად მოგეღრიცა. მკვდარი ათასჯერ უკეთესი იყავი. ახლა ისე მთვრალი არა ხარ. წადი, კიდევ დალიე. ისე გაილეშე, რომ გრძნობა დაჰკარგო და, როდესაც წუმპეში ჩავარდები და ვერაფერს გაიგებ, მაშინ მომეწონები და ყველაფერს გავაკეთებ, რაც საჭირო იქნება. წაგიღებ შენს ოთახში, პირს მოგბან, იქნებ ტანზეც გაგხადო, თუმცა მაშინ ვერ გავბედე. ყოველ შემთხვევაში, დაფარებით მაინც დაგაფარებ რამეს.

ვაშლის წვენი

ვაშლის წვენი ხანდახან რაღაც უცნაურად, შეშლილივით მომძაჩერდებოდა ხოლმე. პირდაპირ მაშინებდა. მთელი სამყარო, მთელი სიცოცხლე მოჩანდა ამ თვალებში: დაწყებული პაწაწკინტელა მცენარით, რომელიც იშმუშნება, იშლება და ჯიუტად მიიწევს მაღლა ისლანდიისა და გრენლანდიის ცივი მზისაკენ, და დამთავრებული ღმერთით, რომელიც ავად იყურება თავისი ანთებული, ავხორცული თვალებით ბნელი ჯურღმულიდან. ხანდახან ვეღარ მოვითმენდი, ფეხს დავუბაკუნებდი და გაცეცხლებული შევეკითხებოდი:

— რას გადმოგიქაჩავს თვალები და მომჩერებიხარ?

მაგრამ ეს საქმეს არა შველოდა. ქალიშვილი ისევ მომშტერებოდა და ნელა, მშვიდად ღეჭავდა რეზინს. ხან კი ოთახიდან ოთახში დაბორიალობდა, როგორც ჭეშმარიტი კინოვარსკვალვი, ხელში მუნდშტუკში გარჭობილი გრძელი სიგარეტი ეჭირა და აბოლებდა და აბოლებდა, დროდადრო სახელმძღვანელოს მიუჯდებოდა, ფურცლავდა და ეწეოდა. აანთებდა სიგარეტს, ნახევრამდე მოსწევდა, გადააგდებდა და იმავ წუთს მეორეს ამოიღებდა. ან საღეჭ რეზინს ჩაიდებდა პირში და ღეჭავდა გაუთავებლად. თან წერდა უზარმაზარი, დაგრეხილი ასოებით, მისი კალმის წრიპინი კილომეტრზე ისმოდა. მეორე წუთს ამერიკულ წიგნს წასწვდებოდა, წიგნის გარეკანზე ნიღაბაფარებული კაცისმკვლელი ეხატა, ხელში გასისხლიანებული დანა ეჭირა. გვერდით კი გულგახეთქილი ქალიშვილი იდგა, შიშველი ბარძაყები მოუჩანდა, წვრილი და სწორი ფეხები ჰქონდა და მაღალქუსლებიანი ტუფლები ეცვა. მერე უცებ ამასაც მიატოვებდა და ნახატებიან ჟურნალებში დაიწყებდა ქექვას. ეს ჟურნალები ყოველ კვირას, ზოგი კი ყოველდღეც მოდიოდა სხვადასხვა ქვეყნიდან. ერთი სიტყვით, ეს გოგონა ნორჩი, ნაზი, სათბურში გამოყვანილი მცენარე იყო, რომელსაც ფერიას გარეგნობა ჰქონდა. მე კი შორეულ მთებში გაზრდილი გაუთლელი ქალი ვიყავი და რა გასაკვირია, რომ მის გვერდით თავს კალაპოტში ვერა ვგრძნობდი ხოლმე?

არასოდეს დამავიწყდება ის დილა, პირველად რომ მივუტანე ყავა საწოლში. ეძინა.

— დილა მშვიდობისა, — ვუთხარი მე.

გაეღვიძა, თვალები გაახილა და მომაჩერდა. მიყურებდა, მაგრამ გონებით სხვაგან იყო.

— დილა მშვიდობისა, — გავუმეორე მე.

კარგა ხანს მიყურა უხმოდ. ის იყო, მესამედ უნდა მივსალმებოდი, რომ უცებ წამოვარდა და აღელვებული ხმით მითხრა:

— არა, არა! აღარა თქვა! აღარა თქვა, გეხვეწები!

— არ შეიძლება მოგესალმო?

— არა, ვერ ვიტან ამ სიტყვას. ასეთი საზიზღარი და სულელური რამ, როგორც ეს ორი სიტყვაა, ჩემს დღეში არ გამიგონია. გეხვეწები აღარასოდეს მითხრა.

მეორე დღეს უხმოდ დავუდევი მაგიდაზე ყავა და გამობრუნება დავაპირე.

— რატომ არ მეუბნები? — მკითხა მან.

— რას?

— „დილა მშვიდობისას“. ძალიან მინდა, რომ მითხრა!

ერთხელ მტვერს ვწმენდდი მის ოთახში. უეცრად თავისი სახელმძღვანელოები გვერდზე გასწია და მომაჩერდა. მერე წამოხტა, მომვარდა, ფრჩხილები მკლავში ჩამასო და მითხრა:

— მიამბე რამე.

— რა?

იგი მშვიდად იდგა, უფრო და უფრო ღრმად მასობდა ფრჩხილებს და თან ღიმილით მიყურებდა; აინტერესებდა, რაძდენ ხანს გავუძლებდი.

— მოგკლა? — მკითხა ბოლოს.

— სცადე.

— მოგკლავ, რა იქნება?

— მომკალი.

— მიყვარხარ, — მითხრა ცოტა ხნის შემდეგ.

— არ მეგონა, ქალიშვილები თუ ასეთ რამეს ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

— უნდა შეგეჯამო.

— ყელზე დაგადგები.

— არა გტკივა? — მკითხა და სახიდან ღიმილი მოიშორა. როგორც ჩანს, მოსწყინდა ასეთი თავის შექცევა.

— ოდნავ, — მივუგე მე, — არცა ღირს ლაპარაკად.

მერე ისევ წამოუარა ცნობისმოყვარეობამ. ისევ ჩამასო თავისი მუქწითლად შეღებილი ფრჩხილები მკლავში და მკითხა:

— რასა გრძნობ? მითხარი რა, რასა გრძნობ?

მე მგონია, პირველ ხანებში ნადირი ვეგონე, ისე როგორც მე მეგონა ის მცენარე. მცენარეს აინტერესებდა, რას გრძნობს ნადირი. მტრობა კი, რაც მართალია, მართალია, არასოდეს შემიმჩნევია. ცხადია, სიცილად არ ჰყოფნიდა ის ამბავი, რომ ჩემისთანა ჯირკივით გოგომ ასეთ საუცხოო სახლში ჭრიალა ფისჰარმონია შემოათრია და ისეთი მარტივი მელოდიებით დაიწყო ვარჯიში, რომლებიც თავად ოთხი წლისამ ისწავლა, მაშინ, როცა ჯერ წერა-კითხვაც კი არ იცოდა. მაგრამ ჩრდილოელი ქალიშვილის მტრობა ისევე აინტერესებდა, როგორც ვარდს აინტერესებს ძროხის მტრობა.

ერთხელ, საოჯახო საქმეებით ვიყავი გართული, მომიახლოვდა, ხელი მომხვია, მომეკრა, მიკბინა და მითხრა:

— შენ ქაჯი ხარ! — და ისევ გამეცალა.

მეორედ დიდხანს მიყურა უხმოდ, გამომცდელად და უცებ მკითხა:

— რაზე ფიქრობ?

— არაფერზე, — მივუგე მე.

— მითხარი, გეხვეწები, მითხარი, რაზე ფიქრობ?

მაგრამ ჩვენს შორის უკიდეგანო უფსკრული იყო და სრულიად უწყინარი რამეც რომ გამეცლო გუნებაში, იმასაც არ გავუმხელდი.

— ჭრელ ძროხაზე ვფიქრობ, — ვუთხარი მე.

— ტყუილია.

— ჰოო? მაშ, შენ უკეთ გცოდნია რაზე ვფიქრობ.

— დიახაც ვიცი.

— მაინც რაზე?

— იმ კაცზე ფიქრობ.

— რომელ კაცზე?
— რომელთანაც იწექი.
— თუ არავისთან ვწოლილვარ?
— მაშინ სხვა რამეზე ფიქრობ.
— რაზე?
— იმაზე, რომ მალე მოკვდები.
— დიდი მადლობა. აწი მეცოდინება.
— ჰოდა, იცოდე! — მან დახურა წიგნი, რომელსაც კითხულობდა, მიუჯდა როიალს და შოპენის ერთ-ერთი მშვენიერი, გულის ამაჩუყებელი მაზურკის დაკვრა დაიწყო. მაგრამ დასაწყისი დაუკრა თუ არა, ჯაზურ მუსიკაზე გადავიდა.

ჩემი ბავშვები წვეულებას მართავენ

ცოტა ხნის შემდეგ ოჯახის მამამაც აიღო თავისი რბილი, ყვითელი ტყავის ჭრაჭუნა ჩემოდანი, რომელსაც სასიამოვნო სუნი ასდიოდა, და რაღაც საქმეზე გაემგზავრა. მე მარტო დავრჩი ბავშვებთან. წავიდა თუ არა ბატონი, ჩვენი სახლი ბაზრად გადაიქცა. ჯერ ბავშვების მეგობრები მოვიდნენ, აშკარა თუ საიდუმლო მეგობრები, მერე ბავშვების მეგობრების მეგობრები, ამ უკანასკნელთა მეგობრებიც და ბოლოს მთელი ქალაქი. წინკარში ღვინის ბოთლებით სავსე ყუთი დგას, ღმერთმა იცის, ვინ იყიდა. ზოგიერთ სტუმარს თან მუსიკალური ინსტრუმენტიც მოუტანია. ვიღაც გოგონა როიალზე შემდგარა და ცეკვავს. შუაღამისას რესტორნიდან ბუტერბროდებით სავსე რამდენიმე დიდი ლანგარი მოაქვთ. ვინ იხდის ფულს, წარმოდგენა არა მაქვს. მოსამსახურეს არ ეძახიან, თვითონ ემსახურებიან თავიანთ თავს. ცოდვილ იონას რახანია სძინავს. მის ყურებამდე არავითარი ხმაური არ აღწევს, გარდა სინდისის ხმისა. მე ოთახებში დავბორიალობ და ვცდილობ, რაც შეიძლება შორს ვიყო მოქეიფეთაგან.

ჯერ მეგონა, ბალს მართავენ-მეთქი, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წყვილმა იცეკვა უხალისოდ რაღაც ველური ცეკვა. სამაგიეროდ დიდი მონდომებით ბღაოდნენ: „ყოჩაღ ბიჭებსა“ და „ცივი უდაბნოს გადაღმა მხარეს“. მგონი, ერთმანეთს ეჯი-

ბრეგოდნენ, ვინ უფრო ყურისწამღებად იკივლებდა. ყოველ შემთხვევაში, ამდენი შემზარავი ღმუილი და ისიც ერთ ღამეში აქამდე არსად გამეგონა.

ბოლოს გული აერიათ. ჯერ ფეხსადგილებში არწყიეს, მერე კიბეზე და წინკარში, ბოლოს ხალიჩებზე, ავეჯზე და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. გეგონებოდათ, ყველა ერთმანეთის დანიშნულიაო, ისე გაშმაგებით ეხვეოდნენ და ლოშნიდნენ ერთმანეთს. სინამდვილეში არავინ არავის დანიშნული არა ყოფილა, ეს ხვევნა და ლოკვა უბრალოდ ამერიკული ცეკვის ილეთი ყოფილა თურმე. მხოლოდ სახეგაბრწყინებული ვაშლის წვენი წარმოადგენდა ერთგვარ გამონაკლისს; იგი ბავშვივით ჩამოკიდებოდა მკლავზე ვიღაც ამერიკულ ყაიდაზე გამოპრანჭულ მელოტ აყლაყუდას, რომელიც ორჯერ უფროსი მაინც იქნებოდა მასზე. ბოლოს, იმდენი ჰქნა, თავის ოთახში შეიყვანა და კარი გასაღებით ჩაკეტა შიგნიდან.

მე ძალა არ მყოფნიდა, არც ფიზიკური და, მით უმეტეს, არც ზნეობრივი, რომ ჩავრეულიყავი და ხელი შემეშალა მათთვის. ეს ადამიანური ცხოვრების ახალი ფორმა გახლდათ, რა ვიცი, იქნებ არც ისე ახალი იყო, მაგრამ მე პირველად წავაწყდი ასეთ სურათს. ღამის სამ საათზე უცებ ჩემი ოქროს ვერძი მომაგონდა. ნეტა სად არის და რას აკეთებს ამ ალიაქოთის დროს? იქნებ ბნელ ქუჩებში დაძრწის და კვერნებსა და რევოლვერებს იპარავს, ან მოსფელსვეიტში ავიდა და ტელეფონის მავთულებს ჭრის?

შევაღე საწოლი ოთახის კარი და შევიხედე. უფროსი ვაჟის საწოლში ვიღაც ბიჭი და გოგო იწვა. უგრძნობლად მთვრალები მაგრად ჩაკვროდნენ ერთმანეთს. უმცროსის საწოლში ქალიშვილი ჩაეწვინათ, გოგონას სადღესასწაულო კაბა მთლად ნარწყევში ამოსვროდა. გაშოტილიყო ქრისტესავით და ხელები გულზე დაეკრიფა. რადიო ამერიკულ სადგურზე იყო ჩართული და ყურისწამღები კივილი და ბრახაბრუხი გაისმოდა. უცებ შევამჩნიე, რომ ტანისამოსის კარადის კარი ოდნავ გამოღებული იყო და იქიდან სინათლე გამოდიოდა. რა ხდება იქ ამ თავაშვებული ღრეობის დროს? ზის შიგ ორი ბავშვი და ჭადრაკს თამაშობს. სხედან თავისთვის, დასცქერიან

დაფას და სულ არ ეკითხებათ, რა ხდება ირგვლივ. ერთი ოქროს ვერძია, მეორე მისი ბიძაშვილი, ბუბი. შევეხმიანე ბავშვებს, მაგრამ პასუხი არ გამცეს. თავიც კი არ აუღიათ, თუმცა დიდხანს ვიდექი კარადის ნახევრადღია კარებთან და ვუყურებდი მათ. ამ სურათის დანახვაზე კვლავ დამიბრუნდა ცხოვრების რწმენა, გულზე მომეშვა, დავმშვიდდი. ვიწამე, რომ კაცი ყოველგვარ უბედურებას გადაიტანს. ერთ ხანს კიდევ ვიდექი და შევცქეროდი ბავშვებს, რომლებიც მშვიდად განაგრძობდნენ თამაშს ამერიკული რადიოსადგურის, ოთხი გრამაფონის, რამდენიმე საქსაფონისა და ერთი დოლის აკომპანიმენტქვეშ. შემდეგ ჩემს ოთახში ავედი, ტანთ გავიხადე და დავწექი.

ლ ი ნ გ ო

მეორე დღეს, რასაკვირველია, ნარწყევი ავწმინდე, ბროლისა და ფაიფურის ჭურჭლის ნამსხვრევები ავკრიფე და ხალიჩებსა და ავეჯს ღვინის ლაქები გავაცალე. ვმუშაობდი და თან ვფიქრობდი, რამდენი ასეთი ღამე დასჭირდება, რომ მთელი სახლი მიწასთან გასწორდეს-მეთქი. ამასობაში ბავშვებიც დაბრუნდნენ სათითაოდ სკოლიდან.

უეცრად წინკარიდან რაღაც ხმაური მომესმა. გავედი და, ჩემდა გასაოცრად, დავინახე, რომ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. შეკრებილიყო რამდენიმე წითური ღლაპი, საშუალო სკოლის მოსწავლეები, პირდაპირ ბოთლებიდან სვამდნენ არაყს, მღეროდნენ „ყოჩაღ ბიჭებსა“ და იქვე მშვენიერი ვაშლის წვენის თვალწინ არწყევდნენ. ყოველი მათგანი ქალიშვილის ტრფიალი იყო და თავი რომ მოეწონებინათ, უჩვენებდნენ, აი, რა ბიჭები ვართო. ქალიშვილი კიბეზე იჯდა და მუნდშტუკში გარჭობილ გრძელ სიგარეტს აბოლებდა. დაღლილი სახე ჰქონდა და ცივი მაცთუნებელი ღიმილით შესცქეროდა თავზეხელაღებულ მიჯნურებს.

მიჯნურებს დავუცაცხანე:

— აღარ შემიძლია, ბატონიშვილებო, თქვენი ნარწყევის წმენდა. პატივი მეცით და ახლავე დაიკარგეთ აქედან!

შეჩიკჩიკებულმა წითურმა ყმაწვილებმა, ცხადია, სეტყვასავით დამაყარეს ყოვლად უწმაწური სიტყვები, რომლებიც მხოლოდ წესიერ ოჯახში აღზრდილ ბავშვებს თუ მოადგებათ ენაზე; მათ შორის ისეთი გემოვნებით შერჩეული გინება, როგორიცაა: „არაკაცო!", „საზარბაზნე ხორცო!" „ურიების ნაცოლარო!" თუმცა გაქცევით კი მაინც კისრისტეხით გაიქცნენ და თან თავიანთი არაყიც წაიძღვანიეს. მე უკან მივდიე და კარი მივუჯახუნე.

როგორც კი მიჯნურები წავიდნენ, განრისხებული ვაშლის წვენი მაშინვე დამეტაკა. ისეთი მძულვარებით აღსავსე თვალებით შემომცქეროდა, თითქოს სცენაზე ყოფილიყოს.

— რატომ გაყარე ჩემი კაცები?

— ეს ცხვირმოუხოცავი ღლაპები არიან შენი კაცები?

— მე შენ გიკრძალავ რეიკიავიკელების გინებას, — მითხრა მან, მუნდშტუკი პირში გაირჭო, ხელები ფრთებივით გაშალა და ყელმოღერებული შეგოგმანდა ოთახში. მიგოგმანებდა და თან პატარა მშვენიერ გავას დედოფალივით მიარხევდა. მერე რბილ სავარძელში ჩაეშვა, თვალები მილულა, უსაზღვროდ მოქანცული სახე მიიღო და სიგარეტი გააბოლა. ზუსტად ისეთი სურათი იყო, ჰოლივუდის ფილმებში რომ მინახავს.

— უგლა! — დამიძახა მან, — მოდი აქ. დაჯექი, მელაპარაკე.

დავჯექი. იგი ერთ ხანს სივრცეს მისჩერებოდა სევდიანი თვალებით. ბოლოს მკითხა:

— ხომ გადასარევია?

— ვინ?

— დიდებული არაა?

— არ ვიცი, ვისზე ლაპარაკობ.

— პირდაპირ ღვთაებრივია.

— კაცია?

— აბა, ძაღლი?

— რა ვიცი...

— ლინგოზე ვამბობ, ჩემს ლინგოზე. რა ყოჩაღი ბიჭია, არა? მიყვარს. უნდა მოვკლა.

— ლინგო რომელია, ის ძვალტყავა ქაჩალი აყლაყუდა?

— ჰო, ის არის. სამწუხაროდ, ვიცი, უსაშველოდ მაღა-

ლია, მელოტიცაა, გარდა ამისა, ცოლიანია. მაგრამ სულ ერთია. მაინც დავწექი მასთან. დავწექი და კიდევაც დავწვები.

— ხომ არ შეიშალე? სად გაგონილა შენხელა გოგოს მამაკაცთან წოლა! მაგისათვის ციხეში უკრავენ თავს.

— რა შენი საქმეა, შე თევზო!

— გულშიაც კი ვერ გავივლებდი ასეთ რამეს შენს ასაკში. გუშინ კონფირმაცია მიიღე და დღეს კაცებთან წვები?!

— მართალია, — ჩურჩულით მკითხა მან, — ქალი რომ ადრე დაიწყებს კაცებთან სიარულს, აღარ იზრდებაო?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ერთ რამეს კი გეტყვი, ჩემო ვაშლის წვენო, თუ კიდევ მოსულა აქ ის წაგრძელებული ჩონჩხი, იცოდე, კარგად მიგიტყეპავ.

ზამბახი იყიდე

— რა ექნა, დღეს რომ ისევ თავიდან დაიწყოს ყველაფერი, ხალხით აივსოს სახლი, ბროლის ჭურჭელი დაამსხვრიონ, ხალიჩაზე არწყიონ და ავეჯი გააფუჭონ? გამოეუძახო პოლიციას?

— მე რატომ მეკითხები? — მითხრა ორღანისტმა.

— იმიტომ, რომ აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

— ჩემს სახლში ბოროტმოქმედები და პოლიციელები ერთად უსხედან მაგიდას. ხანდახან პასტორიც კი შემოგვიერთდება ხოლმე.

— მეშინია პირდაპირ, ამ გალეშილ ღლაპებს რომ ეუყურებ.

— ახალგაზრდების ძვირს ნუ გამაგონებთ, — რატომღაც „თქვენობით“ და ძალიან სერიოზული კილოთი მომმართა მან. შუბლი შეიკრა და ერთ ხანს ასე იყო. მერე განაგრძო, — ნუ გეშინია, მაინც ბევრი ბროლის ჭურჭელი დარჩება ამქვეყანაზე. კოლექციებიც რომ აგროვონ, მაინც არ დაილევა. მე პირადად ბროლს ათასწილად მირჩევნია თხელი ყინული, შემოდგომის სუსხიან დილით რომ გადაეკვრება ხოლმე ნაკადულს.

— კარგი, როგორიც გინდა, ისეთები იყვნენ, მაგრამ მე რა ექნა, დღესაც რომ საძაგლად მოიქცნენ?

— რას ნიშნავს საძაგლად მოქცევა? მხედველობაში გაქვს ფიზიკური აზრით ცუდი საქციელი?

— მორალური აზრით ცუდი საქციელი.

— საქციელში მორალი არ არსებობს. არც სიკეთე და ბოროტება არსებობს მორალური თვალსაზრისით. არსებობს მხოლოდ მეტ-ნაკლებად პრაქტიკული სხვადასხვაგვარი ჩვეულება. რაც ერთი ერისთვის ბოროტებაა, მეორესათვის ის შეიძლება სიკეთე იყოს. ერთი და იგივე მოქმედება შეიძლება ერთ დროს ბოროტება იყოს, სხვა დროს კი სიკეთე. მეტსაც გეტყვი: ერთსა და იმავე ხალხში, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე საქციელი ზოგისათვის ბოროტებაა და ზოგისთვის სიკეთე. დობუს[1] მცხოვრებლებს ჩვეულებად აქვთ ერთმანეთის სიძულვილი, ისე როგორც ევროპის ხალხებს ჰქონდათ, სანამ თვალი არ აუხილეს ეროვნული გრძნობების უსაფუძვლობაზე და არ აუხსნეს, რომ არსებობს მხოლოდ აღმოსავლეთი და დასავლეთი. დობუს მცხოვრებისაგან მორალი მოყვასის სიძულვილს მოითხოვს ისევე, როგორც დასავლეთისაგან მოითხოვს აღმოსავლეთის სიძულვილს. მათ მხოლოდ ის აწუხებთ, რომ დიუპონის იარაღი არა აქვთ, ან პაპის ქრისტიანობა.

— მაშ, რასაც უნდათ, იმას გააკეთებენ მთვრალი და ფხიზელი ყაჩაღები?

— ჩვენ ვცხოვრობთ ეგრეთ წოდებულ საზოგადოებაში, რომელსაც მიზანი არ გააჩნია, რადგან ისე ვერ მოვაწყვეთ, რომ მას რაიმე მიზანი ჰქონოდა. ჩვენი ცხოვრება დაახლოებით ისეთია, როგორიც დობუელებისა. მაგრამ იმედს არ ვკარგავთ: რაც არ უნდა გააკეთოს კაცმა, სულ ერთია, სახელმწიფო თანდათან მოწესრიგდება და მიზანსაც გაიჩენს. იმიტომ, რომ თვითონ ბუნება მოითხოვს ამას. სულ ერთია, როგორი იქნება ადამიანი შენს თვალში, კეთილი თუ ბოროტი. მთავარია, აქვს თუ არა მიზანი იმ საზოგადოებას, რომელშიაც ეს ხალხი ცხოვრობს.

— მაშ, შემიძლია დავთვრე და ყვავილები დაგიგლიჯო?

---

[1] დობუ — ქალაქი წყნარი ოკეანის კუნძულ ვამარზე.

— რა თქმა უნდა, — გაიცინა მან.

— კარგი იქნება?

— ალკოჰოლს გარკვეული ცვლილებები შემოაქვს ჩვენს სხეულში. სისხლშიცა და ნერვებშიც. ასე რომ, შეიძლება კიბიდანაც გადავარდე. იონას ჰალგრიმსონი კიბიდან გადავარდა. ზოგიერთები ფიქრობენ, ამის გამო ისლანდიამ მრავალი საუცხოო ლექსი დაკარგაო. იმ ლექსებს გულისხმობენ, რომელთა დაწერაც ვეღარ მოასწრო.

— იონას ჰალგრიმსონს მეტისმეტი მოსდიოდა.

— განა მორალურად სულ ერთი არ არის, ბევრს დალევ თუ ცოტას? ათი ჭიქა რომ დაელია, იქნებ არც გადავარდნილიყო, იქნებ ყველაფერი მეთერთმეტე ჭიქის ბრალი იყო. რა უფრო ცუდია მორალური თვალსაზრისით — ერთი ზედმეტი ჭიქის დალევა, თუ ხუთი წუთი ყინვაში დგომა? თუ ზედმეტი ჭიქა კიბიდან გადმოგაგდებს, ყინვაში დგომით შეიძლება ფილტვების ანთება დაგემართოს. ორივე უაზრო მოქმედებაა.

მე ვუყურებდი და ვუსმენდი.

— სამაგიეროდ ჩემი მშვენიერების გრძნობა ფრიად შეურაცხყოფილი დარჩება, ჩრდილოეთიდან ჩამოსული ლამაზი გოგო რომ ერთ მშვენიერ დღეს გალეშილი მომადგეს კარზე. მაგრამ მშვენიერების გრძნობასა და მორალს საერთო არაფერი აქვთ. სილამაზე კაცს სასუფეველში ვერ შეიყვანს. ახალი აღთქმის ავტორებს სილამაზისა არაფერი გაეგებოდათ. მაჰმადი კი ამბობს: „თუ გაქვს ორი ვერცხლი, ერთით პური იყიდე და მეორეთი ზამბახი“. გაუშვი დამიმსხვრიონ ბროლის ჭურჭელი: არაყი მეჯავრება, მაგრამ არა მორალური მიზეზების გამო. სამაგიეროდ, სიამოვნებით ვყიდულობ ზამბახებს.

ცოტა ხნის შემდეგ ხელახლა წამოვიწყე:

— შენ ამტკიცებ, რომ თოთხმეტი წლის გოგონა მართებულად იქცევა, როდესაც ცოლიან კაცთან ათევს ღამეს და ორსულდება?

იგი ხმადაბლა ახითხითდა. ასე იცოდა ხოლმე, სასაცილო რამეს რომ გაიგონებდა.

— თოთხმეტი წლისა, არა? თოთხმეტი ხომ ორჯერ შვი-

დია, ესე იგი გაორკეცებული წმიდა რიცხვი! მე უკეთეს ამბავს მოგიყვები: ერთი ქმნილება ზუსტად ასე ითვლის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აუცილებლად თექვსმეტამდე უნდა ავიდეს. ეს კაქტუსის განსაკუთრებული ჯიშია, ესპანური კაქტუსი. დგას დალოცვილი მცენარე კასტილიის ზეგანზე მხურვალე მზის ქვეშ და ითვლის და ითვლის, გულმოდგინედ და შეუცდომლად, ისე, როგორც ზნემაღალ ქმნილებას შეეფერება. ითვლის და, როდესაც თექვსმეტს მიაღწევს, აყვავდება. ზუსტად თექვსმეტი წლისა აყვავდება და გამოიტანს სუსტ წითელ ყვავილს, რომელიც მეორე დღესვე ჭკნება.

— კი მაგრამ ბავშვი მაინც ბავშვია, — ჯიუტად ვიდექი მე ჩემსაზე და, ცოტა არ იყოს, გული მტკიოდა, რომ ჩემი ორღანისტი ასე ზერელედ უყურებდა ყველაფერს.

— სრული სიმართლეა, — მითხრა მან, — ბავშვი ბავშვია. მაგრამ ბავშვი იზრდება და უკვე აღარ არის ბავშვი. თუმცა წლებს არ ითვლის, — ბუნება აცნობებს, როდის თავდება ბავშვობა.

— მე სოფლელი ვარ და არასოდეს მინახავს, რომ ვერძი ერთი წლის კრავთან მიეშვათ.

— ერთი წლის ცხვარი ისე პატარა ბატკანს იგებს, რომ დასაკლავად არ ვარგა. ადამიანი რომ დასაკლავად აჩენდეს შვილს და მერე გირვანქობით ყიდდეს ბაზარში, მაშინ მართალი იქნებოდი. ჩვენში ერთი ანდაზაა: ბავშვის ბავშვი ბედნიერიაო.

— მერე ყველა სულელურ ანდაზას უნდა დავუჯეროთ? — გავცხარდი მე.

— აბა, კარგად შემომხედე. შემომხედე და დაინახავ ბავშვის ბავშვს, რომელიც ბედნიერია.

მუდამ ასე იყო. როდესაც ამ კაცს ელაპარაკებოდი, ყოველი აზრი, რომელიც თავიდანვე შეთვისებული და ნასწავლი გქონდა, გადაჭარბებულ და უსეშ ლაყბობას ემგვანებოდა, ყველაფერი ბლაგვდებოდა და ჩლუნგდებოდა. ენა აღარ მემორჩილებოდა, ვგრძნობდი, რომ ყოველი შემდეგი სიტყვა ახალი წყენა და მოურჩენელი სატკივარი იქნებოდა ამ კაცისათვის, რომელსაც ყველაზე უფრო სუფთა და ყველაზე უფრო ლმობიერი თვალები ჰქონდა.

— მაშ, არ უნდა გავჩენილიყავი? — თქვა მან, — მაშ, ცუდია, რომ დედაჩემმა ერთ ზაფხულს კონფირმაცია მიიღო და მეორე ზაფხულს გამაჩინა? საძაგლობაა არა?

ხმას ვეღარ ვიღებდი. ორღანისტი კი მიყურებდა და, მგონი, პასუხს ელოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვაბრუნე პირში ენა და ხმადაბლა ვუთხარი, რისი თქმაც შემეძლო:

— შენ იმ სიშორესა ხარ ჩემგან, რომ თვალს ძლივს გაწვდენ. შენ ხმას თითქოს ტელეფონით ვისმენ ქვეყნის შორეული ნაპირიდან.

— დედაჩემი პასტორის ქალიშვილი იყო, — მითხრა მან, — და ქრისტიანობამ სულის სიმშვიდე მოუსპო. ღამეებს თეთრად ათენებდა და კაცობრიობის მტერს — ქრისტე ღმერთს შენდობას ევედრებოდა, სანამ ბუნებამ არ შეიბრალა და მეხსიერება არ წაართვა. მაგრამ არ იფიქრო, თითქოს ადამიანები ცუდები არიან, ესოდენ ბოროტი ღმერთი რომ სწამთ. არა, ასე არ არის. ადამიანი ღმერთზე უფრო სრულყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემს ახალგაზრდობის წლებში სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ, ადამიანი გზააბნეული ცოდვილიაო, არ მახსოვს, რომ ოდესმე მოყვასი ავად ეხსენებინოს. როდესაც კვლავ ბავშვად იქცა, ორი სიტყვაღა იცოდა, დანარჩენი დაავიწყდა. და ეს ორი სიტყვა — „ინებეთ“ და „დალოცვილი“ მთელი მისი ცხოვრების დედააზრს გამოხატავს. არა მგონია, იმაზე ღარიბი ქალი კიდევ იყოს ისლანდიაში. მაგრამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში თითქმის მთელი ისლანდია ჰყავს შეფარებული და დაპურებული, განსაკუთრებით ბოროტმოქმედები და მეძავები.

მე დიდხანს ვიდექი მდუმარედ. ბოლოს თვალი გავუმართე და ვუთხარი:

— მაპატიე.

მან ხელი მომითათუნა და შუბლზე მაკოცა.

— მე ვიცი, რომ ახლა მიხვდი, — მითხრა მან და დამნაშავესავით გაიღიმა, — რატომაც გიპასუხე ცოტა მკვახედ. იმიტომ, რომ შენი ნათქვამი დედაჩემის აუგად ხსენება იყო; ჩემი აუგად ხსენება იყო.

ოლე ფიგური მოკლეს

მინისტრის უკანასკნელი ფიცის შემდეგ დროებით შეწყდა ლაპარაკი ქვეყნის გაყიდვაზე. ალთინგის არჩევნებამდე ერთი წელიღა იყო დარჩენილი. ამ ხნის განმავლობაში კი როგორმე უნდა დაეყოლიებინათ დიდი ქვეყნის წარმომადგენლები, რომ მთავრობისადმი მიმართულ წერილში სიტყვები შეეცვალათ და ატომური ბაზების ნაცვლად საქველმოქმედო მისიათა თავშესაფარი მოეთხოვათ. ამ მისიათა გამოგზავნით კი ევროპის ტანჯულ ხალხებს გაჭირვება უნდა შემსუბუქებოდათ.

ქუჩასა და მთავრობას შორის ზავი ჩამოვარდა. კომუნისტები აღარ გაიძახოდნენ, „ფფფ-ს“ ქვეყნის გაყიდვა უნდაო. სამაგიეროდ აღარც „ფფფ“ ბეჭდავდა გაზეთებში მოწოდებებს, ყველამ, ვინც ჭეშმარიტი ისლანდიელია, ძვლების ამოთხრა უნდა მოითხოვოსო.

მოდავენი დაცხრნენ და ამ სიწყნარეში უეცრად გავარდა ხმა, ოლე ფიგური ზღვის ნაპირას ფარდულში მკვდარი იპოვეს, რკინის ხელკეტი, რომლითაც ის მოუკლავთ, იქვე ეგდოო.

ცნობილია, რომ გაზეთები მკვლელობის შესახებ ძუნწად ბეჭდავენ ხოლმე ცნობებს, — მკვლელისა და მისი ოჯახის განაწყენებას ერიდებიან. მაგრამ მალე ბრწყინვალე გამოსავალი მონახეს და მკვლელობა ვიღაც ამერიკელ ზანგს გადააბრალეს, შავკანიანი ამერიკელისა და მისი ოჯახის განაწყენება ვის რაში ენაღვლება?

ოჯახის უფროსი ღამის თორმეტ საათზე გულახდილად მესაუბრება დერეფანში

ერთ საღამოს, შობის შემდეგ, შინ რომ დავბრუნდი, ვხედავ, დერეფანში მამაკაცი დგას, მამაკაცთაგან ჩემთვის ყველაზე უცხო, ყველაზე გამოუცნობი და მაინც ყველაზე ახლობელი, — ამას მე ჩემს დღეში არავის გავუმხელ, — რაღაც იდუმალ ახლობელი. ეს იყო ბავშვების მამა, ქალბატონის ქმარი, ცნობილი პიროვნება, ოჯახის უფროსი.

— ჰელო!

საღამო მშვიდობისა–მეთქი, მივუგე.

იმ დღეს წვეულება არ გვქონია და სახლში სიწყნარე იდგა. ჩანდა, ახალი ჩამოსული იყო, ტყავის ჩემოდანი ჯერ ისევ დერეფანში იდო.

— სად არიან ბავშვები, რომ ჩაგაბარეთ?

— ალბათ, საყიალოდ წავიდნენ.

— ღმერთმა ჰქნას. კაცმა უნდა იყიალოს, ვიდრე ამისი ხალისი აქვს. მოვა დრო და მობეზრდება ყიალი. ხშირად ვნატრობ ხოლმე, ნეტავი ძველებურ სიამოვნებას მანიჭებდეს-მეთქი კინო.

ერთი სურვილი მქონდა, გავქცეულიყავი და ჩემს ოთახში ჩავკეტილიყავი; როდესაც ის მელაპარაკებოდა, სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდი ხოლმე. ახლა კი მომეჩვენა, თითქოს თვალებში მატყობდა, როგორ მიძგერდა გული, რადგან მიხაროდა მისი აქ ყოფნა, მიხაროდა, რომ ასე ეშმაკურად, თან რაღაც ნაღვლიანად და დაბნეულად მეხუმრებოდა.

— ღამე ნებისა, — ვუთხარი უეცრად და წასვლა დავაპირე.

— უგლა!

— ბატონო!

მან ღრმად შეისუნთქა სიგარეტის ბოლი. მე კართან შევდექი.

— ბავშვები, — თქვა მან.

კართან ვიდექი და ვუყურებდი, როგორ აბოლებდა სიგარეტს.

— ვიღაცამ თქვა, დანაშაულს იმას ვაპატიებთ ხოლმე, ვისიც გვესმისო. მე მგონია, ეს ტყუილია. პირიქით, პირველ რიგში იმათ ვაპატიებთ, ვისიც არ გვესმის. მაგალითად, ბავშვებს. მალე ახალი წელი მოვა, ბავშვების ყველაზე დიდი დღესასწაული. ახალწლის წინა ღამეს ისინი პოლიციის განყოფილებას ააფეთქებენ. პოლიციის უფროსი ჩემი ნათესავია და რამდენიმეჯერ მთხოვა, შენი ყაჩაღი სახლში ჩაკეტეო. ღირს ვითომ? ჩემი შვილები აქამდე ყოველთვის მონაწილეობდნენ ხოლმე საახალწლო გართობაში. ჩემის აზრით, უმჯობესია, ავაფეთქებინოთ მათ პოლიციის განყოფილება და შემდეგ უკეთესი ავაშენოთ.

— მაპატიეთ, მაგრამ ვერაფერი გავიგე, — ვუთხარი მე, — ახალ წელს ბავშვები პოლიციის განყოფილებას ააფეთქებენ? რატომ?

— არ ვიცი, — მიპასუხა დოქტორმა ბუი არლანმა, — თუმცა შეიძლება რაიმე ახსნა მოვუძებნოთ. ახალი წლის წინაღამეს ყველაზე უფრო ვგრძნობთ საკუთარ უძლურებას დროის წინაშე. უწინ ბავშვებს ღმერთი ჰყავდათ, უყვარდათ იგი და ლოცულობდნენ. ღმერთი მათ თავისი ყოვლისშემძლეობის თანაზიარსა ხდიდა. ახლა კი ღმერთი გაქრა. არავინ იცის, სად წავიდა. მე, ყოველ შემთხვევაში, ამერიკულ-სმოლანდური საზოგადოების გარდა არსად მეგულება მისი კვალი. ჰოდა, ბავშვები უჯანყდებიან საკუთარ უძლურებას.

— მერედა, პოლიციის განყოფილება რა შუაშია?

— ალბათ სიმბოლოა, — მომიგო მან, — ბავშვებისთვის გასაგები სიმბოლო. სიმბოლო პიროვნების მტრისა, უმაღლესი ძალისა, რომელიც ამბობს: შენ არ ხარ ჩემი ყოვლისშემძლეობის თანაზიარი. ახალი წელი დგება, დრო მიდის. შენ კი, არა თუ უძლური ხარ დროის წინაშე, არამედ აღარც იარსებებო. გამიგეთ?

— ვერა, — ვუთხარი მე, — ჩემის აზრით, ჩვენ ახალგაზრდობის სახლი გვჭირდება. ეგ არის და ეგ.

ის ეწევა და ეწევა სიგარეტს. თვალები მიულულავს და ტკბება ფილტვებში ჩამავალი ბოლით.

— არც მოვითხოვ, რომ გამიგოთ, — მეუბნება იგი, — ჯანსაღ ადამიანს არ ესმის ფილოსოფია. მაგრამ თქვენ, რომელსაც არ გესმით ფილოსოფია, რას იტყვით, რა ვუყოთ ბავშვებს? ახალგაზრდობის სახლიო, ამბობთ. შეიძლება. უწინ, როდესაც ვიცნობდით არა ადამიანს, არამედ ღმერთს, ბავშვების აღზრდა სულ ოღლი საქმე იყო. ახლა სხვა დრო დადგა. ღმერთმა, იმ ერთადერთმა არსებამ, რომელსაც ვიცნობდით, ბედის ანაბარა მიგვატოვა. დაგვრჩა მხოლოდ ადამიანი, შეუცნობელი არსება. ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდობის სახლმა რა უნდა გვიშველოს? მაპატიეთ, რომ ამდენი ხანი ტყუილად გაგაჩერეთ.

— მე მსიამოვნებს თქვენი საუბრის მოსმენა. თუმცა ყველაფერი როდი მესმის, — ვუთხარი მე.

— მაშინ თვითონ სთქვით რამე.

— მე რა უნდა ვთქვა.

— ახალგაზრდობის სახლიო. შეიძლება, საჭიროც იყოს. მაგრამ...

— ახლა მე ყველაზე უფრო ბავშვთა ბაგა მაინტერესებს... — წამოვროშე და ვიგრძენი, რომ სახეზე ალმური მომედო.

— სამწუხაროდ, ჩვენ კომუნიზმის წინააღმდეგნი ვართ, — თქვა მან და დაამთქნარა, — არავითარი წინაპირობა არ არსებობს იმისათვის, რომ კომუნიზმს მივემხროთ. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ჩვენი რეფლექსები შეუმზადებელია მასთან საბრძოლველად, ამიტომ გვეშინია კიდეც მისი. არავის ეეჭვება, რომ კომუნიზმი გაიმარჯვებს, მე. ყოველ შემთხვევაში, ასეთი არავინ მეგულება. შემიძლია ამაში გამოგიტყდეთ, რადგან უკვე ღამის თორმეტი საათია. ამ დროს კაცი გულახდილი თუ არა, უბედი მაინც ხდება. თქვენთვის კი, პირიქით, არ არსებობს არავითარი წინაპირობა, რომ კომუნიზმის საწინააღმდეგოდ განეწყოთ. არც შიშისთვის გაქვთ რაიმე საფუძველი. ამიტომ, თუ მოგესურვებათ, შეგიძლიათ კომუნისტი გახდეთ. კომუნისტურ პარტიაში შესვლა ჩრდილოელი გლეხის გოგოსათვის სრულიად ბუნებრივი ამბავია, ყოველ შემთხვევაში, უფრო ბუნებრივი, ვიდრე მაღალ საზოგადოებაში შესვლა. მე მესმის თქვენი, თუმცა ჩემთავად ყველაფერს პატაგონიაში ჩასვლა მირჩევნია.

— პატაგონიაში? — ვკითხე მე, — რა არის პატაგონია? კუნძულია?

— შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, თქვენთან წამოვსულიყავი, თქვენს ჩრდილოეთში, თქვენს მიყრუებულ სოფელში, როგორც ამას ბრძენი იონი[1] გვირჩევს. იქ, ალბათ, სახლს ავიგებდით, ცხვარს მოვამრავლებდით და ორღანზე დავუკრავდით. ღამე მშვიდობისა.

---

[1] იონი — XVI საუკუნის ისლანდიელი მეცნიერი.

ახალწლის მხიარული საღამო

— ჩვენ ახლა უჯრედის კრებაზე წავალთ, — ვუთხარი ახალწლის საღამოს ოქროს ვერძს და ორღანისტთან წავიყვანე.

შემდგომში ყმაწვილი ხშირად ამბობდა ხოლმე, ახალ წელს ასე კარგად არასოდეს შევხვედრივარ, მთელი საღამო აზრადაც არ მომსვლია პოლიციის განყოფილება ამეფეთქებინაო. ორღანისტთან კი არაფერი უჩვეულო არა ყოფილა: როგორც ყოველთვის, იყო ყავა, ნამცხვარი და თავაზიანობა. გარეთ იდგა კადილაკი, ოთახში — საბავშვო ეტლი. ღმერთები ძალიან გაფხორილები დაგვხვდნენ, ტრაბახობდნენ, ოლე ფიგური ჩვენ მოვკალით, შობა რომ გვედღესასწაულაო.

— მერედა, კადილაკს რაღას უშვებით? — ჰკითხა მათ სქელმა, თამამმა პოლიციელმა.

— „კვნეტარა“ ამერიკაშია, — მიუგეს ღმერთებმა, — მანქანის გასაღები კი ჩვენ გვაქვს.

ატომის მგოსანმა ჯერ ბერძენ მთიელთა სიმღერა — „ამმანამმა“ შეასრულა, მაგრამ ეს სიმღერას კი არა, მშიერი მგლების ყმუილს უფრო ჰგავდა, ბრილიანტინი თავის გამხმარ თევზზე უკრავდა. შემდეგ ორივემ ერთად იმღერა ოლე ფიგურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი:

დაეცა ბილწი ოლე ფიგური,
ეგ მოციქული ჯოჯოხეთისა,
ეგ ტარტაროზი კეფლავიკელი;
გაყიდვა სურდა მშობელი მიწის,
ძვლების ამოთხრა სურდა მიწიდან.
აღარ ინდობდა თვით კეფლავიკსაც,
ემუქრებოდა ატომურ ომით.
დაეცა ბილწი ოლე ფიგური,
ეგ მოციქული ჯოჯოხეთისა,
ეგ ტარტაროზი კეფლავიკელი.

სამზარეულოში სოფლიდან ჩამოსული პასტორი იჯდა,

მასპინძელსა და პოლიციელებს კარტს ეთამაშებოდა. ყველანი მშვენიერ გუნებაზე იყვნენ. განსაკუთრებით პასტორი მხიარულობდა. მთელი დღე თურმე ღმერთებთან ერთად სეირნობდა და გვარიანად იყო შექეიფიანებული. მოვედით თუ არა, ბიჭი მაშინვე ეკერდით მოისვეს და თამაშში ჩარიეს. სქელმა პოლიციელმა, რომელიც შარშან ამ დროს მას პოლიციის განყოფილების წინ ცრემლისმდენი გაზით უმასპინძლდებოდა, ბიჭს ბურნუთი მიაწოდა. ოქროს ვერძს საშინელი ცხვირისცემინება აუტყდა.

შემოვიდა მოხუცი ქალი, ორღანისტის დედა. მუყაოს კოლოფით წყალი შემოიტანა და ყველას სათითაოდ შემოგვთავაზა. გვეფერებოდა, ლოცავდა ადამის მთელ მოდგმას და ამინდზე გველაპარაკებოდა.

კლეოპატრა დანჯღრეულ ტახტზე იწვა და ხელები მიცვალებულივით დაეკრიფა. კბილების პროთეზი მკერდზე ედო.

ოლე ფიგურის ხსოვნისადმი მიძღვნილმა სიმღერამ ტყუპები გამოაღვიძა. ღმერთი ბრილიანტინი იძულებული გახდა ეტლიდან ამოეყვანა ისინი და მუხლებზე დაესვა. პირდაპირ გადასარევი ბავშვები იყვნენ, ორივეს შავი თვალები და რბილი, ქერა თმა ჰქონდა. ვუყურებდი მათ და ვხვდებოდი, რატომ უყვარდა მოხუც ქალს განურჩევლად მთელი კაცობრიობა. მამამ ბავშვები სულ მალე დააწყნარა.

მასპინძელი თამაშს რომ არ მოსცდენოდა, ყავა მე ავადუღე. ყავის სმის დროს ღმერთები და პასტორი ღვთის საკითხზე შეკამათდნენ. ღმერთებმა მოსთხოვეს, სიგარეტი აგვინთე, თაყვანი გვეცი და კვირაობით ჩვენთვის სწირეო. ღმერთმა ბრილიანტინმა თქვა, მე ვარ მამაკაცის სახით მოვლინებული ღვთისმშობელი, ფალოსიანი მადონა ვარ. რომელსაც ტყუპები ჰყავსო. ბენიამინმა კი ბრძანა, მე დავწერე ატომური ლექსიო: „ტატა ბომმა, ტომბა ატა მამმა, ო ტომმა ატ!“, რომელიც დასაწყისია ახალი დაბადებისა, მოსეს ახალი სჯულისა, კორინთელთა ახალი ეპისტოლისა და ატომური ბომბისაო. პასტორმა, დასავლეთიდან ჩამოსულმა გოლიათმა, განაცხადა: კაცმა ახლა პიჯაკი უნდა გაიხადოს და ცხვირიდან ძმარი გადინოთო. ღმერთს

ბრიყვის სახე როდის მიუღია, რომ ახლა მიიღოსო. სიგარეტების ასანთებად კი ეშმაკთან გაგზავნა. შემდეგ პოლიციელებს მიმართა:

— მინდა ვკითხო პატივცემულ პოლიციელს, რატომ არ აპატიმრებს კაცისმკვლელებს, რომლებმაც თავისი პირით აღიარეს დანაშაული?

ამაზე თამამმა პოლიციელმა მიუგო:

— ჩვენს დროში, ბატონო, დანაშაულის ჩადენას დიდი მოხერხება არ ჭირდება. სამაგიეროდ, გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვინმეს დანაშაული დაუმტკიცო. მაგ ვაჟბატონებს ამას წინათ სასამართლოში ჰქონდათ საქმე. ადგნენ და თორმეტი ბოროტმოქმედება დაიბრალეს. საჭირო გახდა საქმის თავიდან გამოძიება და მოსამართლემ ახლაც არ იცის, რა იყო მართალი და რა — მოჭორილი.

ბოლოს პასტორმა მაინც აუნთო ღმერთებს სიგარეტები. ღმერთებმა კი მას არაყი დაუსხეს. შემდეგ ჩვენც გვკითხეს, ხომ არ დალევთო. უცებ ტახტიდან ხროტინი მოისმა. კლეოპატრამ წამით თვალები გაახილა, მაგრამ მალე ისევ მიყუჩდა.

— ბატონო იონ, ერთი კლეოპატრას კბილები მომაწოდეთ, — ბავშვები ითამაშებენ, — თქვა ღმერთმა ბრილიანტინმა, — რძე ხომ არ არის სადმე, მაგათთვის ახლა ორი ყლუპი რძე მისწრება იქნებოდა.

ამ დროს ქალაქში საათმა თორმეტი ჩამოჰკრა, ნავსადგურში გემები აკივლდნენ. პასტორი წამოდგა, ფისჰარმონიასთან მივიდა და საახალწლო ფსალმუნი დაუკრა. ჩვენ ყველანი ავყევით. შემდეგ ერთმანეთს ახალი წელი მივულოცეთ.

ახალწლის სუსხიანი ღამე

ოქროს ვერძი მიხვდა, რომ მოვატყუე და კომუნისტების ნაცვლად ორღანისტთან წავიყვანე, მაგრამ არ გაბრაზებულა.

— კომუნისტები, მე მგონია, ორღანისტივით თავაზიანები არ იქნებიან, — თქვა მან, — ორღანისტმა მითხრა, როცა გინდოდეს, შემოიარე და ჭადრაკი ვითამაშოთო.

ცოტა ხანს ჩუმად მოდიოდა, ბოლოს მკითხა:

— ამ დამთხვეულებმა ვითომ მართლა მოკლეს ვინმე?

— არა მგონია, — მივუგე მე, — ალბათ პასტორის გაგულისება უნდოდათ.

— თუ ღმერთთან კავშირი აქვთ, მაშინ ყველაფერი ეპატიებათ, — თქვა მან, — მაგრამ არა მჯერა, რომ ღმერთთან კავშირი ჰქონდეთ. ჩემის აზრით, ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ოღონდ ცოტას აფრენენ. როგორ გგონია, გიჟის გარდა იტყვის ვინმე, ღმერთთან კავშირი მაქვსო?

— შეიძლება მართალი იყოს, — ვუთხარი მე, — მაგრამ კვერნისა და პისტოლეტის ქურდებიც, ალბათ, არანაკლებ აფრენენ.

— შტერი ხარ! — მითხრა მან.

ახალწლის სუსხიანი ღამე იყო. მე ვამაყობდი და მიხაროდა (რა ვიცი, მიხაროდა?), რომ ჩრდილოელი უცხო პოლიციელისთვის მთელი საღამო ხმა არ გამიცია, ერთხელაც კი არ შემიხედავს. მართალია, ზრდილობის გულისთვის ახალი წელი მასაც მივულოცე, მაგრამ თვალებში არც მაშინ შემიხედავს. ეგლა მაკლდა!

— ცოტა ფეხს ავუჩქაროთ, თორემ შემცივდა, — ვუთხარი ბიჭს.

იგი ბაღის ჭიშკართან წამომეწია. ალბათ ირბინა, ან მანქანით მოვიდა; ჩემი წამოსვლის დროს ჯერ ისევ სამზარეულოში იჯდა.

— რა გინდა, ადამიანო! — ვუთხარი მე.

— რამდენი ხანია არ მინახავხარ.

— მე მგონი, მთელი საღამო თვალს არ მაცილებდი.

— თითქმის ორი თვეა, არ მინახავხარ.

— რას გადაგკიდებია? — მკითხა ბიჭმა, — პოლიციას ხომ არ დავუძახო?

— არა, გენაცვალე. შედი შინ და დაწექი. მე ახლავე მოვალ.

ბიჭი რომ წავიდა, პოლიციელმა მკითხა:

— რატომ ხარ გაბრაზებული? რამე ხომ არ გაწყენინე?

— ჰოც და არაც.

— განა ჩვენ მეგობრები არა ვართ?

— არ ვიცი, — მივუგე მე, — რაღაც ვერ ვატყობ. სიმართლე გითხრა, სულ არ მეხალისება ამ სიცივეში გარეთ დგომა.

— წამოდი ჩემთან, — მითხრა მან, — ანდა შენთან ამიყვანე.

— ვითომ რატომაო? — ვკითხე მე.

— სალაპარაკო მაქვს.

— ეგღა მაკლია. ერთხელ წამოგყევი, იმიტომ რომ ბატი ვარ და არაფერი გამეგებოდა. მეგონა, კარგი ნაცნობები ვიქნებოდით. გავიდა ერთი თვე, გავიდა მეორე თვე, შენ კი აზრადაც არ მოგსვლია ერთხელ მაინც დაგერეკა. ბოლოს შემთხვევით შეეხვდით ერთმანეთს და გინდა თუ არა სალაპარაკო მაქვსო. რა უნდა მითხრა?

— სალაპარაკო მაქვს, — გაიმეორა მან.

— კლეოპატრა ხომ არ გგონივარ?

ჭიშკარი შევაღე და შევედი. ისიც უკან მომყვა.

— მოიცადე, — მითხრა მან, როდესაც კარის ზღურბლს გადავაბიჯე. მაგრამ კარს არ მოსწოლია, თუმცა სახელური არც ისე მაგრად მეჭირა. კარს რომ ვკეტავდი, კარებშუა ფეხის ჩადგმა არ უცდია, გაუნძრევლად იდგა. და მე ავედი ჩემს ოთახში, როგორც თავისუფალი ქალი, თუკი ასეთი ქალებიც არსებობენ.

კინო თუ საგა?

. სახლში ყველას ეძინა, ანდა შინ არავინ იყო. ოთახები დავიარე და შუქი ავანთე, მინდოდა გამეგო, რა მექნებოდა ხვალ დილისათვის დასალაგებელი. მაგრამ ყველაფერი თავის ადგილას დამხვდა. როგორც ჩანს, წვეულება არ ჰქონიათ. ის იყო ჩემს ოთახში ასვლა დავაპირე, რომ მეორე სართულზე კარი გაიღო და საღამური ნათურის მკრთალ შუქზე ლამაზი ქალი გამოჩნდა, რომელიც კიბეებზე ჩამოდიოდა. თავი უკან ჰქონდა გადაგდებული და პირდაპირ ჩემკენ მოემართებოდა. ფართოსახელოებიანი ძვირფასი ქურქის ქვეშ გრძელი საბალო კაბა ეცვა. თეთრი ფეხსაცმლიდან, რომელსაც კორპის სქელი

ლანჩები ჰქონდა, წითლად შეღებილი ფრჩხილები მოუჩანდა. გრძელ, თეთრ ხელზე თვალ-მარგალიტით მოოჭვილი ბეჭდები და სამაჯური ეკეთა. თმა მხრებამდე ჩამოშლოდა, სახეზე ფერ-უმარილი ეცხო, ტუჩები თითქმის შავად ჰქონდა შეღებილი, გეგონებოდა, სისხლიანი ღვიძლი უჭამიაო. სიზმარეულივით მოაბიჯებდა. მეგონა, ჩვენს სოფელში ჩამოტანილ კინოსურათს ვუყურებ-მეთქი. ჰოლივუდის ფილმები სწორედ ასეთი ქალებით ლამობენ გლეხებისა და შორეული სოფლების მკვიდრთა გაგიჟებას. სწორედ ასეთ ქალებს ხატავენ ხოლმე ჟურნალის ყდებზე და ამ ჟურნალებს გაუნათლებელი, ღარიბი ოჯახები ყიდულობენ, რომელთაც საპირფარეშოები არა აქვთ.

უეცრად შევამჩნიე, ქალი კი არა, ბავშვი ყოფილა. დავაკვირდი და ვაშლის წვენი ვიცანი. სახლში კაციშვილი არ არის, ის კი კიბეებზე ჩამოდის და ამ დილაადრიან სახლიდან გასვლას აპირებს...

— რა იყო, ვაშლის წვენო, რა კინოვარსკვლავივით მორთულხარ? — ვკითხე მე, — ჩემი დაფრთხობა ხომ არ გინდა?

ჩემკენ არც კი გამოუხედავს, კიბეზე მთვარეულივით ჩამოვიდა და გვერდი ამიარა. ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა. პირდაპირ გასასვლელისაკენ გაემართა. კარის გაღება რომ დააპირა, ხელში ვწვდი.

— ვაშლის წვენო, რა მთვარეულივით დაბორიალობ?

იგი კობოლდის ცივი, ანთებული თვალებით შემომაჩერდა და მითხრა:

— თავი დამანებე.

— ამ დილაადრიან ასე მარტოდმარტო სად უნდა წახვიდე...

— უნდა წავიდე, — მითხრა მშვიდად, — შინ ცოტა ხნის წინ დავბრუნდი. ახლა ისევ ბალზე მივდივარ, ცეკვა მომინდა.

— მერე ფეხით მიდიხარ? ასე ჩაცმული? ამ თოვლ-ჭყაპში?

ისეთი თვალებით შემომხედა, რომ ვერ მივხვდი, კინოვარსკვლავს ბაძავდა თუ თავის ჭკუაზე აღარ იყო. შემდეგ წყნარად მომიგო:

— რახან არ მეშვები, გეტყვი: თავის დასახრჩობად მივდივარ.

— ვაშლის წვენო, — ვუთხარი მე, — რა სისულელეს ამბობ?

— სისულელეს? — თქვა მან, — კაცს რომ თავის მოკვლა უნდოდეს, სისულელეა?

რაზის გადაწევა სცადა, მაგრამ არ დავანებე.

— რამ გაგაგიჟა, ბავშვო, — ვუთხარი და ხელი მაგრად დავუჭირე, რომ კარი ვერ გაეღო, — არსად არ გაგიშვებ, სანამ მამაშენს არ მოველაპარაკები.

— ჰა-ჰა, შენ გგონია, მამაჩემი ასეთი დღესასწაულის დროს შინ იქნება? რა უნდა ამ საშინელ სახლში, ამ საშინელ ადამიანებში?

— მაშინ მე და შენ ვილაპარაკოთ.

— ეგ არ მოხდება! — ყალბი ხმით წამოიყვირა ძველი საგიდან ამოკითხული სიტყვები და, თითქოს ამ სიტყვების დადასტურება უნდაო, მეძგერა. ჯერ მუშტები დამიშინა, მაგრამ რომ ვერაფერს გახდა, კბენაზე გადავიდა. მე მაინც არ გავუშვი. როცა შემატყო, რომ ვერ მომერეოდა, წინააღმდეგობას თავი ანება და დარბაზში შებრუნდა. ქურქი მხრებიდან ჩამოუცურდა და იატაკზე ჯადოსნური მოსასხამივით გაერთხა. ახლა ჩემს წინ ბოჩოლასავით მოუქნელი კაფანდარა გოგონა იდგა. მერე ტახტზე მიიკუნტა, მუხლები ნიკაპთან მიიტანა, თვალებზე მუშტები მიიჭირა და ატირდა. ჯერ ხმამაღლა ქვითინებდა, მთელი სხეული უძაგძაგებდა, ბოლოს კი უმწეო ბავშვივით ასლუკუნდა.

მივხვდი, რომ ეს თამაში არ იყო. ან იქნებ ძალზე დახვეწილი თამაშია?! მივუახლოვდი და ფრთხილად ვკითხე:

— რა მოხდა, საყვარელო? იქნებ რამე ვიღონოთ, იქნებ როგორმე დაგეხმარო.

თვალებიდან მუშტები მოიშორა, ხელების ქნევა დაიწყო, გეგონებოდა კარაქს დღვებავსო და სახეარეულმა წამოიკნავლა:

— ო... ო... საზიზღარ ტალახში ჩავეფალი...

— ნაძირალები! — აღმომხდა მე, — მათგან რა სიკეთეს უნდა მოელოდე.

— მთელი საღამო ერთხელაც არ უცეკვია ჩემთან, ზედაც არ შემოუხედავს... წარმოიდგინე, რა ღორობაა: ბალიდან ცოლთან ერთად წავიდა შინ... ეგ მაინც არ ეკისრა, ცოტათი მაინც უნდა შევბრალებოდი. სხვას რომ თავი დავანებოთ, ასეთ დამცირებას რას მემართლებოდა. წარმოგიდგენია, ცოლთან ერთად წავიდა შინ! ამაზე მეტი უსინდისობა იქნება? მე კი უკვე მეექვსე კვირაა ორსულად ვარ...

— კარგი ქენი, რომ ყველაფერი მომიყევი, — ვუთხარი მე, — ახლა ერთად გადავწყვიტოთ, რა ვიღონოთ.

— თავი უნდა დავიხრჩო, — თქვა მან, — ჩემი სიცოცხლე შეუძლებელია. სკოლის ამხანაგები ჩემს ზურგს უკან იქირქილებენ, დედაჩემი ცემით მომკლავს... მინისტრი რიო-დე-ჟანეიროს საროსკიპოში გამყიდის. პაპაჩემი უმალ ქაშაყის ზეთსახდელ ქარხანაზე აიღებს ხელს, ვიდრე ამ ამბავს შეეგუება. მამაჩემს ალთინგსა და უნივერსიტეტში სასაცილოდ აიგდებენ. „სნორი-ედას“ თანამშრომლები მის დანახვაზე საანგარიშო მანქანებს ამოეფარებიან და უსირცხვილოდ დაიწყებენ ხითხითს. დემონსტრაციის დროს კომუნისტები ჩვენი სახლის წინ ჩამოივლიან და იყვირებენ — კაპიტალისტის გოგო დამაკდაო.

— გეფიცები, ასეთ საზიზღარ რამეს არც ერთი კომუნისტი არ იტყვის, — ვუთხარი მე, — ყველა წესიერი კაცი ამას ფეხმძიმედ ყოფნას ეძახის. შენს ადგილას მამასთან მივიდოდი და ყველაფერს ვეტყოდი, მამაშენი ცრურწმენებისაგან თავისუფალი კაცია.

— სანამ პირში სული მიდგას, ასეთ შერცხვენას მამაჩემს ვერ გავუმხელ.

— ნუ გეშინია, ამაზე ძნელი საქმეებიც მოუგვარებია, — ვუთხარი მე, — მაღალი წრის ადამიანები სირცხვილ-ნამუსის საკითხში ერთობ დელიკატურები არიან და ასეთ შემთხვევაში საზღვარგარეთ უშვებენ თავიანთ ქალიშვილებს. უბრალო ხალხი კი ამგვარ წვრილმანებში ვერ ვერკვევით, სადაც ვცხოვრობთ შვილებსაც იქ ვაჩენთ. ახლა ერთ რამესაც გეტყვი, საყვარელო! მგონი, მე თვითონაც ორსულად ვარ.

— მართალს მეუბნები, უგლა? — მკითხა გოგომ, ტახტზე წამოჯდა და ხელი მომხვია, — მერე საწამლავის დალევას არ აპირებ? არც თავის დახრჩობა გინდა?

— აზრადაც არ მომსვლია. მალე, ალბათ, სოფელში წავალ. ჩემი შვილის აკვანი ესტრიდალში დგას. მოხუცი ფალურის ოჯახში.

იგი განზე გაიწია და მითხრა:

— დარწმუნებული ვარ, მატყუებ. კიდევ უარესი, გინდა მანუგეშო. ეს კი მოტყუებაზე მეტი უსინდისობაა.

— იცი, ვაშლის წვენო, რას იზამს მამაშენი, როცა მიხვალ და ყველაფერს მოუყვები? ჩეკს გამოგიწერს და პირველივე თვითმფრინავით ამერიკაში გაგამგზავრებს დედასთან. იქ კი დედა-შვილი საერთო ენას გამონახავთ. მოლოგინდები და ერთი ან ორი ან სამი წელიწადი ისევ ამერიკაში დარჩები. მერე კი დაბრუნდები შინ განახლებული ქალიშვილი, როგორც ჩვენში იციან ხოლმე თქმა, და მთელ ისლანდიაში საუკეთესო საპატარძლო იქნები.

— ბავშვი? ბავშვს რაღას ვუზამ?

— ორი-სამი წლის შემდეგ ეს ამბავი დაძველდება და ყურადღებასაც აღარავინ მიაქცევს. ბავშვი ყველას ეყვარება. ანდაზაა — ბავშვის ბავშვი ბედნიერიაო.

— მაშ, თავი აღარ მოვიკლა? მე კი ისე მიხაროდა, სიკვდილის შემდეგ იმ ღორს გამოვეცხადები-მეთქი, თავის ცოლთან ერთად შინ რომ წავიდა.

— ქალი რომ თავს იკლავს, მამაკაცები ამას დიდ ყურადღებას არ აქცევენ. შეიძლება უხარიათ კიდეც, რაც არ უნდა იყოს, საზრუნავი აკლდებათ.

იგი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ მკითხა:

— შენი აზრით, სინდისი არ შეაწუხებს? — მერე თავისთავს თვითონვე უპასუხა. — თუმცა არა, სინდისი სადა აქვს. ალბათ, კარგს ვიზამდი, რომ მომეკლა. შენ როგორ გგონია? ამაღამვე ხომ არ მოვკლა, ძველ საგებში ასე წერია.

— ძველ საგებში ასეთი არაფერი წერია, — ვუთხარი მე,— იქ ქალები ხელახლა ინიშნებიან. როგორც კი მარჯვე შემთხვევას იშოვიან, საქმროსა და პირველ საყვარელს ერთმა-

ნეთს წაჰკიდებენ, და ის, ვინც ნაკლებ უყვართ, ყოველთვის კლავს ხოლმე იმას, ვინც მეტად უყვართ. მაგრამ ნუ აჩქარდები, ვაშლის წვენო, საგებში ეს ამბავი ერთ ღამეში როდი ხდება.

ჩემმა საუბარმა შედეგი გამოიღო, ვაშლის წვენმა თავის დახრჩობაც გადაიფიქრა და საყვარლის მოკვლაც. მთხოვა, ჩემთან დამეწვინა, რადგან ის ნაზი და სათუთია, მე კი ჯანიანი ჩრდილოელი ვარ.

ავსტრალიისაკენ

ვაშლის წვენმა მეორე დღეს გვიანობამდე იძინა. როცა ადგა, ჩემთვის ხმაც არ გაუცია, გამოეწყო და საახალწლო წვეულებაზე წავიდა. წუხანდელ ამბავზე კრინტი არ დამიძრავს. თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს უჩვეულო არა მომხდარიყოს რა. გულში კი მეშინოდა, არაფერი აიტეხოს-მეთქი. ამ გოგოსაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

საღამოს ტელეფონი აწკრიალდა. ვაშლის წვენი მირეკავდა. ლაპარაკის დროს სული ეგუბებოდა, სიტყვებს ისე სხაპასხუპით აყრიდა ერთმანეთს, იფიქრებდი, ან სადმე აგვიანდება ან არადა მთვრალიაო.

— იცოდე, მამასთან არაფერი წამოგცდეს. მამამ ეს ამბავი არ უნდა შეიტყოს. მე გაპარვას ვაპირებ.

— გაპარვას? — ვკითხე მე, — მერე სად მიდიხარ?

— ავსტრალიაში, — თქვა მან, — ამ დილით დავინიშნე.

— მომილოცავს, — ვუთხარი მე.

— გმადლობთ. თვითმფრინავი შუაღამით გადის. პირველის ხუთ წუთზე.

— ყველაფერი გაქვს სამგზავროდ?

— არა, კბილის ჯაგრისი არა მაქვს. არც ღამის პერანგი. მაგრამ არა უშავს.

— ზედმეტ ცნობისმოყვარეობაში ნუ ჩამომართმევ და ვისთან ერთად მიემგზავრები, ვაშლის წვენო?

— ერთ ავსტრალიელ ლეიტენანტთან ერთად. ამაღამვე მივდიეართ. ხვალ დილით ლონდონში ხელს მოვაწერთ.

— ყური მიგდე, ვაშლის წვენო, — ვუთხარი მე, — თუ მაგ სისულელეს თავიდან ამოიგდებ, კაციშვილი ვერაფერს შეიტყობს. თუ არა და ყველაფერს ვუამბობ მამაშენს, ახლავე მივალ და ვუამბობ. საიდან რეკავ?

— მაგას ვერ გეტყვი, — მითხრა მან, — კარგად იყავი. მშვიდობით. წუხანდელისათვის მადლობას გიხდი. ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, მაგ სიკეთეს მაინც არ დაგივიწყებ,— და ყურმილი დაჰკიდა.

პირველსავე დღეს, როდესაც ამ ოჯახში დავიწყე მუშაობა, მითხრეს, თუ ვინმე უცნობმა დაგირეკოს, ყურმილი არ დაკიდო და სხვა ტელეფონის საშუალებით ადვილად გავიგებთ მის ნომერსო. მე ყურმილი მაგიდაზე დავდე, ბატონს დავუძახე და ვუთხარი:

— ამ წუთს დამირეკეს, რომ ვაშლის წვენი ავად გამხდარა. ძალიან გაახარებთ, თუ ახლავე ნახავთ. ჩვენი ტელეფონი ჯერ კიდევ მის ნომერთანაა შეერთებული.

მან ყურმილი აიღო, მაგრამ არავინ უპასუხა. შემდეგ ყურმილი ისევ მაგიდაზე დადო.

— რა თქვით? გუდნი ავადაა? — მკითხა მან, — რა მოუვიდა?

— წუხელ შეუძლოდ იყო. როგორც ჩანს, დღესაც არ მომჯობინებულა.

— მთვრალია? — პირდაპირ მკითხა მან და არც გაღიმებია.

— არა, — მივუგე მე.

მან გაიღიმა.

— რას არ იკითხავ ჩვენს დროში კაცი. პატარა რომ ვიყავი, მთელ ქალაქში მხოლოდ ერთი თევზის გამყიდველი ქალი სვამდა არაყს. პატარები ავედევნებოდით ხოლმე და ვაბრაზებდით. ახლა ასეთი რამ აღარავის უკვირს. როცა ვინმე პატიოსან მოქალაქეს შეატყობინებენ, რომ მისი ახლადკონფირმირებული ქალიშვილი ავად გახდა, უპირველეს ყოვლისა, იმას იკითხავს, მთვრალი ხომ არ არისო.

იქნებ ამტყუნებდა ან ამართლებდა ვისმე. მაგრამ ვის? მე გავჩუმდი. არც შემდეგ კითხვებზე მიპასუხია რამე. ბოლოს ვუთხარი, ბავშვი, ალბათ, ჯერ არ მომჯობინებულა და თქვენს

ადგილას მე ახლავე მის ძებნას შევუდგებოდი-მეთქი. სახეზე ისევ შეაშრა ღიმილი. დაკვირვებით შემომხედა, შუბლი შეიჭმუხნა, სათვალე მოიხსნა, გაწმინდა. მე ვხედავდი, როგორ უკანკალებდა ხელები. ისევ გაიკეთა სათვალე და მითხრა:

— მადლობელი ვარ.

ქუდი და პალტო აიღო და გასვლის წინ ისევ შემახსენა, ყურმილი არ დაკიდოო. გავიგონე, როგორ აამუშავა მანქანა და წავიდა.

„ჩემი დედიკო ფარეხშია"[1]

საღამოს თავის დროზე დავწექი. როცა გავიღვიძე, ასე მეგონა, დიდი ხანია გათენებულა და ძილი გამიგრძელდა-მეთქი. ჩემი ოთახის ზღურბლზე ბატონი იდგა. სასწრაფოდ წამოვხტი და ვკითხე:

— ხომ არაფერი მომხდარა?

— ვიცი, რომ ხალხის ღამით გაღვიძება ბევრი არაფერი ზრდილობაა, — თქვა მან წყნარად. ასეთი მშვიდი ხმა ახალგამოღვიძებულზე განსაკუთრებით უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს. შემდეგ განაგრძო: — გუშინდელი თქვენი ნათქვამი მართალი გამოდგა. პატარა გუდნი შეუძლოდ ყოფილა. ახლაც შეუძლოდაა. ბევრი ვეძებე, სანამ მოვნახავდი, და ერთ ნაცნობ ექიმთან მივიყვანე. მალე გამომჯობინდება. თქვენ მისი მესაიდუმლე ხართ. ის თქვენ გენდობათ. ხომ ვერ წამოხვიდოდით და ცოტა ხნით ვერ დარჩებოდით მასთან?

დილის ოთხი საათი იყო.

მამამისს იგი მანქანიდან ხელით გადმოეყვანა და თავის ოთახში აეყვანა, გოგოს თავისით ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეეძლო. ახლა ტახტზე იწვა თვალებდახუჭული. თმები ასწეწოდა, მუქი პომადა და ფერ-უმარილი აღარ ეცხო. სახე მთლად ბავ-

---

1 ძველი ისლანდიური თქმულება ქალზე, რომელმაც დაახრჩო საკუთარი შვილი. მოკლული ბავშვი გამოეცხადა დედას ფარეხში და უმღერა.

შეური ჰქონდა. მამას მისთვის ფეხზე გაეხადა, ქურქი კი ისევ ეცვა. ჩემს შესვლაზე არ შერხეულა, არც თვალები გაუხელია. მივედი, ტახტზე ჩამოვჯექი, ხელი ხელში მოვკიდე და ვუთხარი:

— ვაშლის წვენო!

ცოტა ხნის შემდეგ თვალები გაახილა და ჩურჩულით მითხრა:

— ყველაფერი დამთავრდა, უგლა. მამამ ექიმთან მიმიყვანა. ყველაფერი დამთავრდა.

— როგორ თუ დამთავრდა? — ვკითხე მე.

— როგორ და სხეულში შანთი გამიყარა, — წაიჩურჩულა მან, — მომკლა. შემდეგ ტაშტში რაღაც სისხლიანი ნაფლეთები დაცურავდა.

— რა ტაშტში? რომელ ტაშტში?

— მომინანქრებულ ტაშტში.

ტანთ გავხადე, ღამის პერანგი ჩავაცვი და ლოგინში ჩავაწვინე. ნარკოზს ძალიან დაესუსტებინა, დროდადრო თითქმის კარგავდა გონებას, კვნესოდა და თრთოდა. ის იყო მეგონა, ჩაეძინა-მეთქი, რომ ხმა ამოიღო:

— უგლა! — თვალები გაახილა და გამიღიმა. შემდეგ გაგრძო: — როდესაც გავიზრდები, ალბათ, სიმღერას გავიგონებ — „ჩემი დედიკო ფარეხშია“... არა?

— ჩემო პატარა ვაშლის წვენო, ნეტა შემეძლოს რამეთი დაგეხმარო.

— სჯობდა, ავსტრალიაში წავსულიყავი, — თქვა მან. შემდეგ კვლავ მიიბნიდა, შემეშინდა, ხომ არ მოკვდა-მეთქი. უეცრად ისევ დაილაპარაკა, — უგლა, სოფლის ამბები მომიყევი.

— სოფლის ამბები? — ვკითხე მე, — მაინც რა გიამბო?

— ბატკნებზე მიამბე რამე.

დავინახე, რომ თვალებიდან ცრემლები სდიოდა. ის ვინც ტირის, არა კვდება, ტირილი სიცოცხლის ნიშანია. თუ ტირიხარ, ესე იგი აზრი აქვს შენს ცხოვრებას.

და მე ბატკნებზე დავიწყე ლაპარაკი.

ქალიშვილი ღამეში

თორის[1] თვეში, რომელიც ქალაქში დიდი ხანია მიიეწყეს, ესე იგი, შუა ზამთარში, ეჭვები საბოლოოდ გამეფანტა. კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი ბევრად უფრო ადრეც ვიცოდი. სიმპტომები ზუსტად ემთხვეოდა ერთმანეთს. ყველაფერი, რაც ქალთა სახელმძღვანელოებში წერია, ჩემში ხდებოდა. ის კი არა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემში მეტიც ხდებოდა. სიზმარში სულ იმ კაცს ვხედავდი. ხანდახან მთელი ღამის განმავლობაში მეცხადებოდა ხოლმე საზარელი სახით. შეშფოთებული ვიღვიძებდი, შუქს ავანთებდი და მანამ ვერ ვიძინებდი, სანამ არ გადავწყვეტდი, მივსულიყავი მასთან და მეთქვა, მაპატიე, რომ ახალწლის ღამეს შინ არ შემოგიშვი-მეთქი. თანაც დახმარება მეთხოვა.

დილით კი მეჩვენებოდა, რომ სულაც არ ვიცნობდი მას. ბავშვი მხოლოდ ჩემი იყო. შემდეგ იმ აზრამდე მივედი, რომ ბავშვები არ ეკუთვნიან მამაკაცებს, არამედ მხოლოდ ქალებს, როგორც ეს ღვთისმშობლის ხატებზეა გამოსახული. უჩინარი არსებაა ყოველი ბავშვის მამა. კაცებს შემთხვევითი წვლილი მიუძღვით ამ საქმეში. მე კარგად მესმოდა პირველყოფილი ხალხებისა, რომლებიც ქალ-ვაჟს შორის მომხდარ ამბავს შვილის გაჩენასთან არ აკავშირებდნენ. მან ვერასოდეს ვერ უნდა ნახოს ჩემი შვილი, არასოდეს არ უნდა ერქვას მისი მამა, დროა, კანონით აიკრძალოს, რომ კაცებს მამა ეწოდოთ. მაგრამ როცა ყველაფერი ავწონ-დავწონე, მივხვდი, რომ ბავშვი არც ღედისაა. ბავშვები თავისთავს ეკუთვნიან და ბუნების ბრძანებით მათვე ეკუთვნის დედა მანამდე, ვიდრე სჭირდებათ. ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობა მთლიანად საზოგადოებას აკისრია. თუკი საზოგადოება რამეზე აგებს პასუხს, თუკი საერთოდ არსებობს რაიმე პასუხისმგებლობა.

საღამოობით კი, როდესაც ორღანისტის სახლიდან შინ ვბრუნდებოდი, ჩემდაუნებურად გავიდოდი ერთ ქუჩაზე, მი-

---

1 თორი—ღმერთი ძველ სკანდინავურ მითოლოგიაში (თორის თვე—თებერვალი).

ვაშტერდებოდი ერთი სახლის ერთ ფანჯარას, სადაც ზოგჯერ შუქი ენთო, ზოგჯერ კი ბნელოდა. ნაბიჯს შევანელებდი, მაგრამ უეცრად მომეჩვენებოდა, რომ ფანჯრიდან ათასი თვალი მომჩერებოდა, მოვწყდებოდი ადგილს და გავრბოდი. მხოლოდ მაშინ შევჩერდებოდი, როცა ქუჩის მეორე ბოლოში სუნთქვა შემეკვრებოდა. პირდაპირ დაუჯერებელია, რამდენი სული აქვს ქალს, მეტადრე საღამოობით.

დიახ, მას ცხვირწინ მივუკეტე კარი; მაგრამ განა იმიტომ არ მოვიქეცი ასე, რომ ორსულობაში დარწმუნებული არ ვიყავი? და ახლა განა იმიტომ არ მენატრება, რომ ეჭვები საბოლოოდ გამეფანტა და მინდა ყელზე ჩამოვეკიდო და, იქნებ, ჯვარიც დავიწერო მასზე? ასე შესაბრალისი იმიტომ ხდება ხოლმე ქალი, რომ დედა ბავშვს ეკუთვნის და ბავშვს ძუძუ უნდა. ქალი იძულებულია მონახოს ყმა, გახსნას სარძევე მაღაზია, რომელსაც ქორწინებას ეძახიან. ეს ერთ დროს საიდუმლოებად ითვლებოდა, ერთადერთ საიდუმლოებად, რომელიც ფეხებზე ეკიდათ წმიდანებს. და თუ ქალი ასე არ მოიქცა, მთელი თავისი დღე და მოსწრება უმწეო იქნება, სულში, ქვადქცეული ბავშვის გვერდით, მტანჯველი ტრფიალი დაისადგურებს, ხელზე კი ცოცხალი ბავშვი ეყოლება. წყევლა-კრულვას შეუთვლის ღმერთსა და ადამიანებს, შეაჩვენებს საზოგადოებას, რომელიც ამაოდ ცდილობს გათავისუფლოს იგი დაბადებული თუ დაუბადებელი ბავშვისაგან. რაღა საჭიროა ზედმეტი სიტყვების ხარჯვა. მე მიყვარს იგი. კარი კი იმიტომ მივუკეტე, რომ ქალს უამრავი სული აქვს. ჰოდა, ახლა არავინ მყავს, რომ ჩემი ტყუპები საბავშვო ეტლით გაასეირნოს.

არა! ისევ იმავე გზით ვბრუნდები შინ. ორსული ქალი პირველსავე შემხვედრს გაჰყვება ცოლად, რადგან მისთვის, ისევე. როგორც ბუნებისთვის, სულ ერთია, ვის გამოაცხადებს პასტორი მისი შვილის მამად. მაგრამ მე ხომ მიყვარს იგი, მიყვარს ყველასა და ყველაფრის მიუხედავად. მიყვარს ეს კაცი: სიტყვაძუნწი, წმინდა, მას აქვს მოწოდება, რაზედაც არასოდეს ლაპარაკობს. თვალებში უთქმელი სითბო ჩასდგომია, ისე შემოგხედავს თითქოს გულში ჩაგიკრაო, მაგრამ ეს მზერა თავ-

ხედური არ არის. ამიტომ სასიამოვნოც კია მისი დუმილი. ჰოდა, ქალიშვილი მრავალთა შორის მხოლოდ მას ამჩნევს და არა სხვას; შემდეგ უსიტყვოდ მიჰყვება შინ. იგი ქალიშვილს საწოლზე აწვენს, ისე რომ წინასწარ არ უჭედავს ყურებს გაზეთში ამოკითხული ფრაზებით. ყველაფერი თავისთავად იყო გასაგები. და როცა ახალი წლის ღამეს ცხვირწინ კარი მიეუკეტე, იგი მაინც ჩემთან დარჩა, იმიტომ რომ შინ არ შემოვუშვი. მჭევრმეტყველება რომ გამოეჩინა ან შემხვეწნოდა, ალბათ, შემოვუშვებდი, მაგრამ როცა მეორე დილით წავიდოდა, ჩემთან აღარ დარჩებოდა. მჭევრმეტყველება რომ გამოეჩინა, მხოლოდ თავბრუს დამახვევდა. ახლა კი, როცა ისევ შევხვდები, ერთი სიტყვითაც არ ვაგრძნობინებ, რომ ბავშვს ველოდები, ერთი სიტყვითაც არ ვაგრძნობინებ, რომ ცოლად უნდა შემირთოს. არამედ ვეტყვი:

— მიყვარხარ და ამიტომ არაფერს გთხოვ. ანდა: — მიყვარხარ და ამიტომ არ მინდა შენი ცოლობა.

მეორე ქალიშვილი ღამეში

ვხედავ, სახლის წინ კიბეზე ქალი ჩამომჯდარა. გასისხლიანებული თავი ხელებზე დაუყრდნია და ღამის სიწყნარეში ხმამაღლა ტირის. პორტმანი გახსნილი აგდია ტროტუარზე. სარკე, პომადა, ცხვირსახოცი და ფული ირგვლივ მიმობნეულა. სახლიდან სიმღერის ხმა ისმის. მივუახლოვდი ქალს, მინდა ეკითხო, რა გატირებს და რატომ ხარ დასისხლიანებული-მეთქი. დავაკვირდი, კლეოპატრა ვიცანი.

— ნუთუ ეს შენა ხარ, ხელახლა მოვლინებულო სკარპჰედინ ნიალსონ? არ მეგონა, თუ კიბეზე ჩამოჯდებოდი და ატირდებოდი.

— ჰო, მე ვარ, — თქვა კლეოპატრამ.

— რა მოგივიდა? — ვკითხე მე.

— მცემეს და გამომაგდეს.

— ვინ?

— რა თქმა უნდა, ისლანდიელებმა, წყეულმა ისლანდიელებმა.

— მერედა რას გერჩოდნენ?

— ფულის გადახდა არ უნდოდათ. ჯერ შემიტყუეს. მერე ფულის მოცემა აღარ უნდოდათ. ჩემი ხელით გამოვეჩრი ყელს ამ წყეულ ისლანდიელებს, by qolly[1].

— ესენი ხომ ჩვენი ისლანდიელები არიან.

— ფეხებზე მკიდია. ხელიდან გროშს ვერ გამოგლეჯ. გცემენ, გამოგაგდებენ, თვითონ კი არხეინად ღეჭავენ თამბაქოს.

— ექიმს მოგიყვან, პატრა, ანდა პოლიციაში გავიქცევი, თუ გინდა, შინ მიგაცილებ.

— არა, არა, არა! — წამოიყვირა მან, — არ მინდა პოლიცია, არ მინდა შინ გაცილება.

— შინ, ჩვენს ორღანისტთან.

— მე სახლი არა მაქვს. თუმცა ოთხი წელი დედამისთან ვცხოვრობდი. იმიტომ რომ ორღანისტი ნამდვილი წმიდანია. სანამ ამერიკელები აქ იყვნენ, რა მიჭირდა. ახლა ცოტანიღა დარჩნენ, თანაც ყველამ მუდმივი საყვარელი გაიჩინა. მე კი როგორც ახალგაზრდობაში, ახლაც ისლანდიელებთან უნდა ვეთრიო, ისინი კი საღეჭი თამბაქოთი გამოიტენიან პირს, გცემენ და გროშსაც არ მოგცემენ. ოი, ჩემი ამერიკელები, ჩემი ტკბილი ამერიკელები! წმიდაო ღვთისმშობელო, ისევ ჩამოიყვანე ისინი აქ თავიანთი ატომური ბომბით!

— ღმერთს ნუ სცოდავ, კლეოპატრა! — ვუთხარი მე, — ასეთი რამე სკარპჰედინ ნიალსონს ალბათ მაშინაც არ წამოსცდებოდა, როცა რიმუგიგური ნაჯახით უპობდა თავს!

— თუ იმასაც მიშლი, რომ sorry[2] ვიყო, მაშინ ჯობია, შენი გზა მონახო.

ცხვირიდან სისხლის დენა ჯერაც არ შეჩერებოდა, თვალი ჩალურჯებული ჰქონდა და, ცოტა არ იყოს, არაყის სუნიც ასდიოდა, მაგრამ თითქმის ფხიზელი იყო. ცემამ თუ გამოაფხიზლა. ტროტუარზე მიმოყრილი ნივთები ავკრიფე და პორტმანში ჩავუდეევი. სისხლის მოსაწმენდად ცხვირსახოცი მივაწოდე, მაშინვე დაუსველდა. ჩემი ცხვირსახოციც დაასველა. ალბათ

---

[1] ღმერთმანი (ამერიკ. სასაუბ.).

[2] ნაღელიანი (ინგლ.)

იმიტომ, რომ მისი სისხლი და ცრემლები იმავე ქიმიური შედგენილობისა იყო, როგორიც სხვა ქალიშვილების სისხლი და ცრემლებია. შევთავაზე ჩემთან გაეთია ღამე, რაზედაც რამოდენიმეჯერ დამლოცა უფლისა და იესო ქრისტეს სახელით. არ ვიცი, რისი ბრალია და კლეოპატრას მსგავსი ადამიანები ერთობ ღვთისმოსავნი არიან. იგი წამოდგა, პომადა და სარკე ამოიღო და ნათურის შუქზე ტუჩების შეღებვას შეუდგა. ამ შუაღამისას, ამ ბოროტებით სავსე ქვეყანაში, თითქმის არნახულ გმირობად მომეჩვენა ეს საქციელი და შემრცხვა ჩემი უბადრუკობისა.

იგი ნანობდა, რომ ამერიკელების აქ ყოფნის დროს მომავალზე არ იზრუნა. რიგიანი ბინაც კი ვერ იშოვა: სულელივით სჯეროდა, რომ ომი არასოდეს დამთავრდებოდა. თავიანთი მშვენიერი ბარაკების cosy[1] კუთხეებში, fancy[2] შუქზე ისინი ხშირ-ხშირად აწყობდნენ ხოლმე party-ს.[3] ცხოვრებაც ამას ერქვა. მაშ!

მისი პირველი საყვარელი ერთი საეჭვო პოლკოვნიკი იყო. ბოლოს კი ნამდვილი პოლკოვნიკი შეხვდა, თმაჭაღარა და დიაბეტიანი. პოლკოვნიკმა ის ამერიკელების ბალზეც კი მიიყვანა, სადაც პრემიერ-მინისტრი იყო მიპატიჟებული. ამერიკელები ხომ ძალიან თამამი ხალხია, რადგან ატომური ბომბი აქვთ. ამიტომაც მათთვის სულ ერთია პრემიერ-მინისტრი და ქუჩის ქალი.

პოლკოვნიკმა წითელი პალტო, კაუჩუკის თეთრი ფეხსაცმელი და აგრეთვე ფართოფარფლებიანი ქუდი უყიდა. იმ ქუდით ორლანისტის კარებში ვერც კი შეეტევი. მაგათ ფული თავზე საყრელი აქვთ, აბა, კაცო. ჰოდა, შეპირდა, ცოლი რომ მომიკვდება, შენ შეგირთავო. მაგრამ თვითონ ადრე მოკვდა, ალბათ ცოლმა მოუღო ბოლო, რომელიც მასზე ახალგაზრდა იყო... კლეოპატრას ისევ ტირილი წასკდა, ეს დიდი და ჭეშმარიტი მწუხარება იყო... მე გულწრფელად შემეცოდა კლეოპატრა.

---

1 მყუდრო (ინგლ.)

2 ჯადოსნური (ინგლ.)

3 წვეულება (ინგლ.)

— ასე კარგავ კაცი ყველაფერს, ყველაფერს, ყველ-
ფერს, — თქვა მან, — და კვდები... და მაინც უნდა იცხოვრო,
თუმცა მკვდარი ხარ. განა საშინელება არ არის, რომ გცემენ
და გამოგაგდებენ, თვითონ კი თამბაქოს ღეჭავენ, მაშინ როცა
შენ მანამდე, colonel[1] გყვარობდა?

ის უკვე იმ ასაკში იყო, როდესაც ორგანიზმში მომხდარი
ცვლილებები გულს აუყრიან ხოლმე ქალს საკუთარ თავზეცა
და ცხოვრებაზეც. როდესაც ახალგაზრდობისდროინდელი
ბედნიერი ღამეების გახსენებაც არ სურთ. ჰკარგავენ ყოველ-
გვარ რწმენას და ცხოვრებისაგან აღარაფერს მოელიან, მხო-
ლოდ ყოველდღიურ ლუკმაპურზე ზრუნავენ. დიახ, მათ ყელში
ამოუვიდათ ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან ჩამოსული ვა-
მაკაცების დევნა. ახლა სურთ დამშვიდებულად და რიგიანად
იცხოვრონ, ფეხქვეშ მკვიდრი ნიადაგი ჰქონდეთ; ამაზე ოცნე-
ბობენ ისინი, როგორც ყველა ოცდაათი წლის ქალი. იგი თავის
კუთხეს ნატრობდა, არ უნდოდა ტვირთად დასწოლოდა წმი-
დანებს, რომლებიც მას „კლეოპატრას“ და ზოგჯერ „სკარპ-
ჰედინსაც“ კი ეძახდნენ. — მე ხომ კლეოპატრა არა მქვია. ჩემი
სახელია გუდრუნი, გუნა.

ვკითხე, გათხოვება ხომ არ გინდა-მეთქი. მაგრამ მან თავი
ისე შეურაცხყოფილად იგრძნო, რომ საპირო სიტყვა ძლივს
მონახა.

— ეგღა მაკლია! — თქვა მან.

მაგრამ როდესაც დავწექით და შუქი ჩავაქრეთ, მაშინ კი
გული გადამიხსნა:

— იცი რა, ჩემი ოცნებაა: ოროთახიანი ბინა, სამზარეულო,
ჩამოსარეცხი საპირფარეშო და სამი „მუდმივი“ საყვარელი:
ერთი ცოლშვილიანი მდიდარი ვაჭარი, არც ისე ახალგაზრდა,
ისეთი რომ მალე ვერცხლის ქორწილი გადაიხადოს, მეორე —
შეზღვაური, ხმელეთზე რომ ხანდახან გამოჩნდება, მესამე —
განათლებული უმაწვილი კაცი, რომელიც კარგ ოჯახიშვილზეა
დანიშნული.

ჩვენ ყოველმხრივ განვიხილეთ მისი ოცნება, ვიდრე რული

---

* პოლკოვნიკი (ინგლ.).

არ მოგვერია და არ გავჩუმდით. ცოტა ხნის შემდეგ, როცა უკვე დაძინებული მეგონა, უეცრად სიბნელეში ჩამჩურჩულა:

— დაძინების წინ არ ვილოცოთ?

— მოდი, ჩემს მაგივრად შენ ილოცე.

მან „მამაო ჩვენო“ წარმოთქვა, შემდეგ „ღამე ნებისა“ ვუსურვეთ ერთმანეთს და დავიძინეთ.

მოქალაქე ღია ცის ქვეშ

თუმცა თანამედროვე მწერლები ამტკიცებენ, რწევას ბავშვისათვის ვნების მეტი არა მოაქვს რაო, მე მაინც თვალს ვადევნებდი გაზეთებს, სადმე აკვანი ხომ არ იყიდება-მეთქი. როგორც შევიტყვე, ქალაქის მუნიციპალიტეტს უარუყვია კომუნისტების წინადადება, გაეხსნათ ბავშვთა ბაგა. „ქმარშვილიანმა ქალმა“, რომელიც გაზეთებში სისტემატურად თანამშრომლობს, გუშინ სტატია გამოაქვეყნა, საზოგადოებრივი ხარჯით რომ ასეთი დაწესებულება გავხსნათ, ამით გარყვნილებას შევუწყობთ ხელს, რადგან ნამდვილი ბაგა ქრისტიანული ოჯახია, ნამდვილი აღმზრდელები კი ზნეობრივად სრულყოფილი ხალხია.

კითხვა დამებადა: ნუთუ მარტო იმ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ბაგა, რომლებიც ქრისტიანულ ოჯახებში დაიბადნენ ან ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანების შვილები არიან? რატომ არ უნდა ჰქონდეთ ბაგა არაქრისტიანთა ან ზნეობრივად არასრულყოფილთა შვილებს, ერთი სიტყვით, ისეთი ხალხის შვილებს, როგორიც მე ვარ?

— საზოგადოებას, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, ერთადერთი სურვილი აქვს, როგორმე ამოხოცოს ღარიბების შვილები, — თქვა ჩემმა ნაცნობმა კომუნისტმა, — რამდენიმე თაობით ადრე მდიდრებს, რომლებიც მაშინ ტილიანები იყვნენ, იმხელა ძალაუფლება ჰქონდათ, რომ ისლანდიელ ბავშვთა ნახევარი დაიღუპა. უბრალო ხალხს რომ თავისი ორგანიზაციები არ შეექმნა, ღარიბთა შვილები ახლაც ისევ ამოწყდებოდნენ. და თუ ჩვენ არ გავაძლიერებთ ამ ორგანიზაციებს,

მდიდრები იესოს სახელით უწინდებურად დაერევიან ბავშვებს. გაწკეპლავენ და დააბრჩობენ. ბაგის წინააღმდეგ ბრძოლა კარგად ააშკარავებს მდიდრების სულიერ სახეს, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ახლა ისინი ტილიანები აღარ არიან.

პურის გამყიდველ ქალს შევეკითხე:

— რას იზამდი, შვილი რომ გაგჩენოდა?

მას იმავე წამს სახიდან ღიმილი ჩამოერეცხა, თვალები გაუფართოვდა და ისე გადახედა კომუნისტს, თითქოს რაღაცას სთხოვსო.

— უამბე, — ნება დართო კომუნისტმა.

ვიღაცა ქალმა შავი პური იყიდა, ქალიშვილმა ნამცხვარი მოითხოვა, შემდეგ მაღაზია ცოტა ხნით დაცარიელდა.

— წამოდი, — მითხრა გამყიდველმა, დახლის კარი გამიღო და პატარა საკუჭნაოში შემიყვანა, რომელიც საწყობიც იყო და ხელ-პირის დასაბანი ადგილიც. იქიდან ეზოში გავედით.

ცა შავი ღრუბლებით იყო დაფარული. კოკისპირულად წვიმდა და ქარი ქროდა. კარის ახლოს, შიგ გუბეში, საბავშვო ეტლი იდგა. წვიმა რომ არ ჩასვლოდა, ზემოთ ტომრებისაგან ჩარდახი ჰქონდა გაკეთებული. გამყიდველმა ქალმა ტომარა ფრთხილად გადასწია და ღიმილით დაიხარა.

ბავშვს არ ეძინა, ფართო თვალები გახელილი ჰქონდა. დედის დანახვაზე სიხარულით წამოიკნავლა, ფეხები ააფართხალა და პირში თითი ჩაიდო.

— ჩემო სიხარულო! — უთხრა დედამ, რომელსაც სამუშაო სულ გადავიწყებოდა და აღფრთოვანებული შესცქეროდა შვილს. ეს ყოველივე ეზოში ხდებოდა, მოღრუბლული ცის ქვეშ, წვიმასა და ქარში.

— რა ჭკვიანი თვალები აქვს, — ვთქვი მე, — აი, ვისგან გამოვა ისლანდიის ნამდვილი მოქალაქე!

— რომ გამიგონ, მომხსნიან, — მითხრა გამყიდველმა ქალმა.

მაღაზიაში ვიღაც სულწასული მუშტარი დახლზე აბრახუნებდა.

ყველა ამქვეყნიური თეორია და ცოტა რამ კიდევ

დოქტორი ბუი არლანი შინ მოვიდა. მთელი სახე წვიმისაგან დასველებოდა. საწვიმარი გაიხადა და თქვა:

— კარგი ამბავი მოგიტანე.

მე დავინტერესდი.

— მგონი, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ბედმა გამიღიმა და ალთინგს თქვენი ეკლესიისათვის რამდენიმე ათასი კრონი გამოვძალე.

— ჰო? — ვუთხარი მე.

მან გაოცებით შემომხედა.

— მერე, არ უნდა გადამეხვიო?

— რატომ?

— სიხარულისაგან.

— როცა გავიგე, რომ ლუთერი ყველაზე უზრდელი კაცი ყოფილა დედამიწის ზურგზე, რწმენა დამეკარგა.

— დასწყევლოს ღმერთმა! — წამოიძახა მან, პალტო ჩამოკიდა, სახე შეიმშრალა, სათვალე მოიხსნა და წმენდა დაუწყო. — მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ... ვინმემ რომ ლათინურის ნაცვლად ცუდი გერმანულით ილოცოს, ვითომ საკმარისი მიზეზია განსადგომად? ყოველ შემთხვევაში, ეს კაცი ისეთი გლეხი იყო, რომ ქრისტიანობას სერიოზულად უყურებდა, მაშინ როცა მთელმა ევროპამ ეკლესიას ზურგი შეაქცია. ამით მან თავისი ქრისტიანული საქმეები კარგად მოაგვარა. ამას გარდა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე მის ქვეყანაში, საწყალს შესანიშნავი ხმა ჰქონდა.

— არ ვიცოდი, ლუთერის მიმდევარი თუ იყავით, — ვუთხარი მე.

— არც მე ვიცოდი, — თქვა მან და გაიცინა, — მე მეგონა, ჩემთვის ყველაზე ახლობელი პაპი იყო, რომელიც მთელ საქრისტიანოში უდავოდ ერთადერთი ურწმუნო კაცია. მაგრამ მივეჩვიე ალთინგში ქრისტეს ინტერესების დაცვას, უმთავრესად იმიტომ, რომ მარქსს ვეთანხმები: რელიგია ხალხის ოპიუმია.

— სხვაგვარად რომ ვთქვათ, მატერიალისტი ყოფილხართ.

— დიდი ხანია ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით აღარ გამიგია. მასში ეკონომისტები სულ სხვა შინაარსსა ვდებთ. მაგრამ რაკი გულახდილად მეკითხებით, მეც გულახდილად გიპასუხებთ. მე მწამს რომ W უდრის mc^2.

— ეგ რა, შელოცვაა?

— აინშტაინის თეორიაა. ეს კაცი ამტკიცებს: მზის სხივის სისწრაფე რომ კვადრატში ავიყვანოთ და მასაზე გადავამრავლოთ, მივიღებთ ძალას. იქნებ მატერიალიზმი მასას უარყოფს?

— მე არც აინშტაინს ვიცნობ, არც მის თეორიას. ერთი ეს მითხარით, რატომ ცდილობთ ფული გამოსძალოთ ალთინგს, იმისათვის რომ სადღაც ჩრდილოეთში ბექობზე უკაცურ ადგილას ეკლესია აშენდეს.

— როცა შევიტყვე, რომ მამათქვენს ღმერთის ნაცვლად ცხენები სწამს, პირობა დავდე, მისთვის ყველაფერი გამეკეთებინა. ერთხელ მე ხილვა მქონდა, დაახლოებით ისეთი, წმიდანებს რომ აქვთ ხოლმე, და შევიცანი, რომ ცხენი ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელსაც სული აქვს, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ თევზებს. ეს იმიტომ, რომ ცხენს მხოლოდ ერთი თითი აქვს ფეხზე, ერთი თითი კი სრულყოფის ნიშანია. ცხენებს აქვთ სული, ისევე როგორც კერპებს, ან ზოგიერთი მხატვრის ნახატებს, ან მშვენიერ ლარნაკს.

ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სხვა რამეზე ფიქრობსო. ლაპარაკობდა დაუდევრად და უხალისოდ. საკვირველი არაფერი იქნებოდა, რომ ლაპარაკი მთქნარებით დაესრულებინა... ასეც მოხდა. შემდეგ სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

ჩემს წინ მდგარს რომ ვუცქერდი, ასე მეგონა, ფეხქვეშ მიწა გამისკდება და თან ჩამიტანს–მეთქი, მაგრამ მხნეობა მოვიკრიბე და ვუთხარი:

— დღეს მეუბნებოდნენ, მდიდრები უკანონო ბავშვებს უწინდებურად ამოხდიდნენ შიმშილით სულს და მათი მამების გაჯოხვისა და დედების წყალში დახრჩობის კანონს გამოსცემდნენ, უბრალო ხალხის ორგანიზაციებისა რომ არ ეშინოდეთო. მართალია?

— მართალია, — მითხრა მან და თავაზიანად გამიღიმა, — ყვე-

ლაფერი ეს სათნოების სახელით კეთდება. ასეთია ჩვენი წინასაარჩევნო დევიზი, ჩემო გოგონა. ჩვენს ცოლებს სურთ, კანონიერი შვილები ჰყავდეთ, ყოველ შემთხვევაში, ქაღალდზე მაინც. თანაც მეტოქეობისა ეშინიათ. ბავშვთა ბაგის გახსნა პატიოსანი ცოლების წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს.

— მინდა ერთი რამ გკითხოთ.

— ვისურვებდი ყველაფერი მცოდნოდა, რაც თქვენ გაინტერესებთ.

— ნუთუ შეგიძლიათ მდიდრულად და არხეინად იცხოვროთ, მაშინ როცა კოკისპირულ წვიმასა და ქარიშხალში თოთო ბავშვი ღია ცის ქვეშ წევს ეზოში?

— ძალზე რთული კითხვაა, — თქვა მან და კეფა მოიფხანა, — მგონი, ვერ შევძლებ პასუხის გაცემას. ჯერ, ყოველ შემთხვევაში, ის ეზო უნდა ვნახო.

— რატომ არ სურს ალთინგს და მუნიციპალიტეტს, რომ ჩემს შვილებსაც თქვენი შვილებივით ჰქონდეთ ბავშვთა ბაგა? განა რითაა ქიმიისა და ფიზიოლოგიის თვალსაზრისით ჩემი შვილები თქვენსაზე ნაკლები. რატომ არ უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაში ისეთი წყობილება, რომელიც ჩემი შვილებისთვისაც ისევე იზრუნებდა, როგორც თქვენი შვილებისთვის?

იგი მომიახლოვდა, თავზე ხელი დამადო და მითხრა:

— რა შეემთხვა ჩვენს მთის ჭოტს?

— არაფერი, — მივუგე და თვალები დავხარე.

— არა, რაღაც შეემთხვა. ყველაფერი, რასაც თქვენ ამბობთ, ერთი საკითხის გარშემო ტრიალებს. უნდა გაარღვიოთ ეს წრე. მითხარით, რა გაწუხებთ? ყოველდღიურად უფრო შეშფოთებული ჩანხართ.

— უნდა გავემგზავრო, — ვუთხარი მე.

— გაემგზავროთ? სად? როდის?

— ახლავე. ამ წუთს.

— ამაღამვე? — მკითხა მან, — ამ ავდარში?

— თქვენ ჩემს წინააღმდეგ მიეცით ხმა. აღარ ვიცი, რა ვიღონო, — და ყველაფერი მოვუყევი.

ის აღარ იღიმებოდა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ მკითხა:

— გიყვართ ის კაცი?

მე ვუპასუხე:

— არა... ჰო... არ ვიცი,

— იმას თუ უყვარხართ?

— არ მიკითხავს.

— გინდათ ცოლად გაჰყვეთ? — მკითხა მან, მაგრამ მე ამ სისულელეზე თავის გაქნევით ვუპასუხე.

— ღარიბია? იქნებ დახმარება გჭირდებათ?

თავი ისევ მისკენ მივაბრუნე, თვალებში შევხედე და ვუთხარი:

— რაც თქვენ გიამბეთ, მისთვისაც კი არ მითქვამს. სათქმელი მეტი აღარაფერი მაქვს.

— და მეც აღარაფერი გკითხოთ?

— კარგად არც ვიცი, ვინ არის ეს კაცი. მე მარტოხელა დედა ვარ. ეგ არის და ეგ. ხოლო თქვენ ჩემს წინააღმდეგ მიეცით ხმა. ჩრდილოეთში მოხუცი დედ-მამა რომ არ მყავდეს, ჩემს შვილს თავშესაფარი არ ექნებოდა. საგებშიც ხომ ასეა: უკანონო ბავშვს მდინარეზე ვერავინ გადაიყვანს, ვერც შინ შეიპატიჟებს, ვერც საჭმელს მიაწვდის, ვერც კეთილ რჩევას მისცემს.

მან გამომცდელად შემომხედა. შემკრთალი ჩანდა, თითქოს საფრთხეში ვეგულებოდი. შემდეგ ანგარიშმიუცემლად ჩემი სიტყვები გაიმეორა:

— თქვენს წინააღმდეგ მივეცი ხმა? — და ცერის ფრჩხილი მოიკვნიტა.

როცა წასვლა დავაპირე, უკან გამომყვა და მითხრა:

—ნუ დაღონდებით. მე თქვენ ფულსაც მოგცემთ, სახლსაც, საბავშვო ბაგასაც... ყველაფერს.

— საჯაროდ ხმას აძლევთ, რომ მე და ჩემისთანები არაადამიანებად ჩაგვთვალონ, ჩუმად კი ფულს მთავაზობთ, გინდათ, რომ თქვენს მათხოვრად მაქციოთ.

— როგორ თუ ჩუმად? საჩუმათო რა გვაქვს?

— არა, უსათუოდ გავემგზავრები. ჩემს შვილს ჩემი შრომით გავზრდი. მამაკაცისაგან მალულად ფულს ვერ ავიღებ.

ჩემს ოთახში შევედი. ცოტა ხნის შემდეგ ისიც ამოვიდა,

კარი დაუკაკუნებლად შემოაღო. ქვედა სართულზე რომ ვიდექით, ერთის წამით ჯიუტად მიცქეროდა, თავისი პრინციპების დაცვა თუ უნდოდა. ახლა კი ისევ ჩვეულებრივი გამომეტყველება ჰქონდა, ალერსიანი და გულღია, ასეთ დროს თავის შვილებზე უფრო ბავშვი ჩანდა.

— კომუნისტების ამბავი კარგად ვიცი, — თქვა მან, — ისინი კვლავ დასვამენ ამ საკითხს და შესაძლებელია, რომ უახლოეს ხანებში იგი მათ სასარგებლოდაც გადაწყდეს. ჩემს ცოლისძმასა და რამდენიმე გავლენიან პირს მოველაპარაკები. ბავშვთა ბაგა გაიხსნება.

— თქვენმა ცოლისძმამ უარი რომ თქვას? — ვუთხარი მე, — აგრეთვე ყველა გათხოვილმა ქალმა?

— ნუ დამცინით, — თქვა მან, — ერთადერთი ჩემი ღირსება ისაა, რომ თავი გმირად არასოდეს წარმომიდგენია. მიუხედავად ამისა, სიტყვას გაძლევთ, რომ ამ საქმისათვის ისე ვიბრძოლებ, თითქოს ქალისაგან ვიყო შთაგონებული.

— ორსული მოახლისაგან, — გავუსწორე მე.

— ქალისაგან, რომელმაც პირველი ნახვისთანავე მომხიბლა.

— ჰო, ერთხელ ერთმა მთვრალმა მითხრა, შენ ისეთი ქალი ხარ, ვისთანაც მამაკაცებს, პირველი დანახვისთანავე, მოუნდებათ დაწოლაო.

ის მომიახლოვდა, ხელები მომხვია და თვალებში ჩამხედა.

— არიან ისეთი ქალები, — თქვა მან, — რომ კაცი დაინახავს თუ არა, იმავე წამს ამაოებად მიიჩნევს მთელ თავის ცხოვრებას, მზადაა ყველაფერი მიატოვოს და მას გაჰყვეს ქვეყნის კიდემდე.

— არა, არ გაკოცებთ, სანამ არ დამპირდებით, რომ არასოდეს შემომაძლევთ ფულს. მე მინდა ჩემი შრომით ვიცხოვრო, როგორც დამოუკიდებელმა ადამიანმა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ გიცნობთ.

მან მაკოცა და რაღაც წაიბუტბუტა.

— ვიცი, რომ საშინელი ბრიყვი ვარ, — ვთქვი მე შემდეგ, — მაგრამ ჩემი ბრალი არ არის. თქვენ ყველასაგან განსხვავებული ხართ.

ეკლესიის მშენებლობა

ჩვენი კარ-მიდამო ბორცვზე მდებარეობს. ბორცვის აღმოსავლეთით ერთი მოვაკებული ადგილია, რომელიც აქედან არ მოჩანს. სწორედ იმ ადგილას შენდება ეკლესია. საკურთხევლის პირდაპირ ამწვანებული ფერდობია. ეკლესიის კედლები შემოდგომაზე ამოიყვანეს, მაგრამ სახურავისათვის ფული აღარ ეყოთ. ამ გაზაფხულს მთავრობამ ფული გამოგზავნა და შენობას სულ მალე გადახურავენ.

მე ღელის პირას ვზივარ, აქ ლელიანი ზამთრობით უფრო სურნელოვანია, ვიდრე ზაფხულობით. ბავშვობაში მე და ჩემი ტოლები აქ ძროხის რქებითა და ცხვრის ყბებით ვთამაშობდით. თუნუქის ჟანგიანი ჭურჭლით ღელის წყალი ამოგვქონდა, რომელიც ხან შოკოლადი იყო, ხან ხორცის წვენი და ხან არაყი. ცოტა მოგვიანებით კი ამ ადგილას ზაფხულის სამი ღამის განმავლობაში წვეტიანი კარავი იდგა.

ვზივარ და ყურს ვუგდებ წყლის ჩხრიალს, ეკლესიის მშენებელთა ჩაქუჩების კაკუნს და მეჭვავიას გალობას. ადრე ეკლესიის მრევლი თორმეტი კომლისაგან შედგებოდა, ზოგიერთები თვრამეტსაც ამბობენ. მაგრამ გასულ საუკუნეში ეკლესია დაანგრიეს.

ახლა ამ ადგილას ისევ შენდება ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ სოფელში სამი კომლი ცხოვრობს. თუმცა მესამე კომლი — ეკლესიის კალატოზის ბარდელი იონის ოჯახი სათვალავში ჩასაგდები აღარ არის; იონს ცოლი გარდაეცვალა, შვილები კი სამხრეთში გადასახლდნენ, კერიაში ცეცხლი აღარ უნთია, მხოლოდღა სულში უბეჟუტავს პატარა ცეცხლი. ჯვარცმაზე მეტად მას ულაყის ღვთაებრიობა სწამს. ბარდელი იონი ეკლესიას სხვაგვარად არ ახსენებს, თუ არ ღვთის თავლად, პასტორი კი — კვიცია სულთა ამ თავლაშიო. არც მე და არც სხვა ვინმეს არ შეგვიმჩნევია, „მამაო ჩვენოს“ გარდა სხვა საღვთო სიტყვა წამოსცდენოდეს. ეს ლოცვა კი ასე იწყება: „მამაო ჩვენო, შე უღმერთო, ეს წყეული ქურანი ისევ სათიბში გადასულა და იქაურობა სულ ჩონჩორიკით აუვსია!“ დილასაც ამ ლოცვას ბურტყუნებს და საღამოსაც.

მეორე მშენებელმა გეირი მიდჰუსმა ისეთი რობრობი იცის, რომ ეკლესიას ჰეკლას[1] თავზე შეაგდებს. ამ წვრილშვილიან კაცს, ჩვენი კარის მეზობელს, ამ მხარეში დიდ პატივს სცემენ. თუკი ერთხელ რამე დაიჟინა, ვეღარაფრით გადაათქმევინებ. ისეთი ურყევი რწმენის პატრონია, რომ მასზე არც ბიბლია მოქმედებს, არც დიდი ადამიანების აზრები და არც კუჭის არგუმენტები, რომლებიც გონებაზე უფრო დამაჯერებელია, მით უმეტეს, თუ საქმე შვილების კუჭს ეხება. ამბობს, ცოცხალი თავით არ დავთმობ აქაურობასაო. როცა სიღარიბისათვის შემწეობას აძლევდნენ, მაშინაც იცინოდა.

— თუ მოუნათლავი შვილები მეყოლება დასამარხავი, — ამბობს ხოლმე იგი, — ისევ იმ ეკლესიის ეზოში დავმარხავ, სადაც ყველაზე სახელოვანი ისლანდიელი, „ერის სიამაყე", მონათლეს.

უხაროდა, რომ მშრალი საფლავი ექნებოდა, შემდეგ კი სკალდებთან და ძველ გმირებთან ერთად აღდგებოდა მკვდრეთით, სველ სამხრეთში კი არ დალპებოდა ჩამოღლეტილი გლეხებისა და მეთევზეების გვერდით.

მუშაობის დროს მთელი დღე საგების გმირებზე საუბრობდნენ.

ბარდელ იონს ყველაზე უფრო ის გმირები უყვარდა, რომლებიც უდაბურ მთებსა და ღრანტეებში განისვენებდნენ. მათი მელექსეობით კი არ იყო მოხიბლული, იმიტომ სცემდა თაყვანს, რომ ისინი მარტონი ეკვეთებოდნენ ხოლმე მტრის ჯარს. იონი არ დაგიდევდათ, მტყუანი იყო მისი გმირი, თუ მართალი.

— თავდაპირველად ამ გმირთა უმრავლესობა მტყუანი იყო, — ამბობდა ხოლმე ბარდელი იონი. — კეთილმა ზრახვებმა კი არ აქცია ისინი გმირებად, არამედ იმან, რომ მტერს არასოდეს არ ნებდებოდნენ, თუნდაც ნაკუწ-ნაკუწად აეკაფათ.

მეუდაბნოე გმირთა შორის ყველაზე უფრო გოლიათი გრეტირი უყვარდა, იმ მიზეზთა გამო, რომელიც საგის ბოლოშია ჩამოთვლილი; იმიტომ, რომ ყველაზე მეტი ხანი დაჰყო უდაბნოში, იმიტომ, რომ ყველაზე გააფთრებით ებრძოდა

[1] ვულკანი ისლანდიაში.

ეჩრდილებს და კიდევ იმიტომ, რომ ყველაზე მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდა შორეულ მხარეებში, ისლანდიიდან შორს, მაგალითად, მსოფლიოს უდიდეს ქალაქში მიკლაგარდში.[1]

მამაჩემის გმირებს მეტი ადამიანური თვისებები ჰქონდათ. მისი სიყვარული რომ დაემსახურებინათ, ამისათვის საგვარეულოს ფუძემდებლები და, უპირველეს ყოვლისა, სკალდები უნდა ყოფილიყვნენ. მთები და კლდე-ღრეები საცხოვრებლად ნაკლებად გამოადგებოდათ. ეს უპატიოსნესი ადამიანი, თავის სიცოცხლეში გროში რომ არავისი შეურჩენია, დიდ ცოდვად არ თვლიდა, თუ მისი გმირები ხომალდებში ჩასხდებოდნენ, დალაშქრავდნენ შოტლანდიას, ინგლისს, დახოცავდნენ უდანაშაულო ხალხს და მათ ქონებას შინ წამოიღებდნენ. არც მაშინ ამტყუნებდა ხოლმე თავის გმირებს, როცა ისინი სახეში შიაფურთხებდნენ ადამიანს, ყელს გამოღადრავდნენ და, იმის ნაცვლად, რომ გამვლელს ქუდის მოხდით მისალმებოდნენ, თითს ატაკებდნენ და თვალს წამოაგდებინებდნენ. არც ქალი ჰკარგავდა მის თვალში კეთილშობილებას, თუნდაც მსახურისათვის ენა ამოეგლიჯა, როგორ თუ ჩემს თეფშს პირი დააკარეო. მე მგონი, ყველაზე უფრო ეგილ სკალაგრიმსონის[2] საგა უყვარდა. იგი უფრო აღელვებდა, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მომხდარი ძვრები. ამ საგაში ერთი სტრიქონიც არ იქნებოდა ისეთი, ზეპირად რომ არ სცოდნოდა.

— ჩემი გმირი იყო და იქნება თორგეირ ჰავარსონი, — ამბობდა გეირი მიდჰუსი, — რატომ? იმიტომ რომ საგების გმირთა შორის მას ყველაზე პატარა გული ჰქონდა. როცა ამოგლიჯეს ეს გული, რომელსაც გრენლანდიაშიც კი არ უგვრძნია შიში, აღმოჩნდა, რომ იგი ბეღურის ჩიჩახვზე დიდი არ ყოფილა, — ამბობდა ის და ისე როხროხებდა, რომ ეკლესიას ჰეკლაზე ააგდებდა.

ჩვენი კეთილი პასტორი ტრაუსტი ხშირ-ხშირად გვაკითხავდა ხოლმე. ამბობდა, ცხენით ხუთი საათის გზის გავლა

---

[1] კონსტანტინოპოლი.

[2] ეგილ სკალაგრიმსონი (X ს.) — ისლანდიელი გმირი, ცნობილი სკალდი, მასზეა შეთხზული ეგილის საგა.

ჩემთვის არაფერია, რაკი ვიცი, რომ ჩემს მხიარულ მრევლს ორიოდე ლურსმნის დაშედებაში მივეხმარები და თამბაქოსაც გამოვართმევო.

როდესაც ხარაჩოები ჩამოხსნეს, აღმოსავლეთით, საკურთხევლის უზარმაზარი ფანჯრიდან, ამწვანებული ფერდობი გამოჩნდა.

პასტორს მთელი დღე რაღაც იდუმალი სახე ჰქონდა. ბოლოს, როცა ყავის დასალევად დავსხედით, გვითხრა:

— ჩვენს თვალწინ მოხდა უდიდესი მოვლენა მსოფლიოს ისტორიაში და, როგორც ყველა დიდმა მოვლენამ, მანაც შეუმჩნეველად ჩაიარა.

ვერ მივხვდით მისი ქარაგმის აზრს და დაველოდეთ.

— არ ვიცი, რამდენი ეკლესია აშენდა ქვეყნად ქრისტიანობის დაარსების შემდეგ, — განაგრძო პასტორმა, — მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად აქ გაბედა ადამიანმა და საკურთხევლის თავზე სარკმელი გამოჭრა. უწინ ხუროთმოძღვარს ასეთი საქმისათვის ცოცხლად გაატყავებდნენ.

გეირი ჰიდჰუსს თვალები გაუბრწყინდა და აროხროხდა, ეგონა, პასტორი ხუმრობსო.

ბარდელმა იონამ თქვა:

— ეგ სარკმელი რომ არ იყოს, ღვთის თვალი დაბრმავებულივით იქნებოდა.

— რა მშვენიერი კორდია! — თქვა მამაჩემმა.

— რა მშვენიერი კორდია! — გამოაჯავრა პასტორმა.—შენში ისლანდიური საგების მთელმა წარმართულმა სულმა გამოქონა. ქრისტიანობა რისი ქრისტიანობაა, თუ კორდები დაგანახა. ეკლესია იმიტომ არსებობს, რომ კაცმა ბუნებას არ უყურროს, წირვის დროს მაინც. ძველად, ეკლესიებში სარკმლები მოხატული იყო. ყველა ეკლესიაში, ჩვენი ეკლესიის გარდა, ლუთერანულ ეკლესიაშიც კი, საკურთხეველთან სურათი ან სიმბოლო ჰკიდია, რომ ადამიანის ფიქრი ბუნებას მოსწყვიტოს და ზეცისაკენ წარმართოს.

— რაში გჭირდებათ ეკლესია? — ვიკითხე მე, — მითხარით, რა გწამთ?

პასტორი წამოდგა, ლოყაზე ხელი მომითათუნა და მითხრა:

— ჩემო კარგო, ჩვენ გვწამს ეს მხარე, რომელიც ღმერთმა გვიბოძა; ჩვენ გვწამს სოფლები, სადაც ათასი წელია ოფლსა ეღვრით; ჩვენ გვწამს სოფლის მისია ისლანდიელი ხალხის ცხოვრებაში; ჩვენ გვწამს მწვანე ფერდობები, სადაც მიწიერი სიხარული ცხოვრობს.

ღ მ ე რ თ ი

ხანდახან ვფიქრობ, ეს ადამიანები ხომ არ მსახიობობენ მეთქი: ძალიან უცნაურად იქცევიან. საკუთარი ბედ-იღბალიც კი უფრო საგა და თქმულება ჰგონიათ, ვიდრე პიროვნული საქმე. ეს ადამიანები მოჯადოებულნი არიან, ფრინველებად თუ რაღაც სასაცილო ცხოველებად ქცეულან და ცხოვრობენ მშვიდად, ღირსეულად. ასე ცხოვრობდნენ ცხოველები ბავშვობისდროინდელ ზღაპრებში. ვინ იცის მათაც, ცხოველთა მსგავსად, ხანდახან უტყვი შიში დაეუფლებათ: საცაა ჯადო აგვეხსნება, საგასა და სიმშვიდეს ბოლო მოეღება და ისევ დაიწყება ტანჯვით აღსავსე ადამიანური ცხოვრებაო. იქნებ ქალაქში გადასვლაც მოუხდეთ, სადაც არც ბუნებაა, არც ცა და არც მირაჟები, რომლებიც საგებთან და გარდასულ დროსთან აკავშირებთ მათ. იქ არც ჭალები იქნება, არც ძველისძველი გაბარდული ბილიკები, არც ხევები, არც ამწვანებული ფერდობები, არც სალი კლდეები. იქნება მხოლოდ მოუსვენარი ლტოლვა ფუჭი სიამოვნებისაკენ.

— რატომ გგონია, — ვუთხარი მამაჩემს, როცა პასტორი და ეკლესიის მშენებელნი წავიდნენ, — თითქოს ორმოცდახუთი ცხვრით შესაძლებელი იყოს ცხოვრება. ხომ იცი, რომ თვითეულის ფასი მუშის დღიურ ხელფასს არ აღემატება. კარგი, ვთქვათ ორმოცდახუთი დღე გეყო შენი ცხვრები, მაგრამ წელიწადში ხომ კიდევ სამას ოცი დღეა.

— ვცხოვრობთ, — მომიგო მან, — ვცხოვრობთ.

— ორად ორი ძროხა გყავს, რომლებიც მხოლოდ ნახევარ წელს იწველებიან, ხოლო გაზეთებში წერია, რომ ამერიკელი ფერმერი დღიურად ას ურემ თივას თიბავს და ას ოც ძროხას წველის, ეს კი საშუალო შემოსავლად ითვლება.

— გაზეთებში ისიც წერია, რომ ამერიკაში ატომური ომის დაწყებისთანავე ორმოცი მილიონი კაცი ნაფლეთებად იქცევა-ჰოდა, ვერც რძე უშველით და ვერც თივა. სჯობია, ესტრიდალში მშრალი საფლავი გქონდეს და შენს ეკლესიასთან მრთელი აღსდგე მკვდრეთით.

— მარტო იმიტომ ებღაუჭებით ამ მიწას, რომ მშრალი საფლავი გექნებათ?

— კარგად ვიცი, რომ არითმეტიკისა და ლოგიკის მიხედვით შეუძლებელია მივარდნილ სოფელში რამდენიმე ცხვრითა და ორი ფერდებჩავარდნილი ძროხით თავის გატანა, მაგრამ ხომ ვცხოვრობთ. შვილებიც გამოგზარდეთ. შენს გათხოვილ დებსაც ჯანმრთელი შვილები ჰყავთ. ისიც იცხოვრებს, ახლა რომ შენს მუცელში იძვრის, ჩვენ, ყოველგვარი არითმეტიკისა და მეცნიერების მიუხედავად, დიდად გაგვახარებს მისი გაჩენა. აქ ერთადერთი ძროხითა და რამდენიმე ცხვრითაც იცხოვრებს ხალხი, როცა პარიზი, ლონდონი და რომი ხავსით დაფარული ნანგრევებიღა იქნება.

— მაგას თავი დავანებოთ, მამაჩემო, — ვუთხარი მე, — უკეთესი იქნება, ერთი ცხენი გაყიდო და საპირფარეშო დადგა.

— გამიგონია, ქალაქში საპირფარეშოები აქვთო, — მითხრა მან, — ჩვენ, სამაგიეროდ, ბუნება გვაქვს. თუ კაცის ცხოვრებას მარტივად შეხედავ, ბუნება საუკეთესო საპირფარეშოა.

— ქალაქში ამბობენ, რომ შენ ღვთის ნაცვლად თავისუფლად მონავარდე ცხენები გწამს.

— რას არ იტყვიან ჩვენი ქალაქელი მეგობრები. თუმცა ამ სიტყვებში არის სიმართლის ნატამალი: ჩვენში, ჩვეულების მიხედვით, კაცის ღირსება ცხენით იზომება. კაცი, რომელიც რემაში საუკეთესო ცხენს ვერ აარჩევს, რომ მეორე სოფელში ჩავიდეს, ჩვენს მხარეში კაცად არ ითვლება. მერედა, ზაფხულობით რა სანახავია ცხენების რემა! რა მშვენიერი ქმნილებაა ულაყი!

— მაშინ რას უნდა მივაწეროთ, რომ ისეთი ხალხი, რომელიც ბუნებას საპირფარეშოდ ხმარობს და ცხენებს აღმერთებს, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიას აგებს.

— ადამიანი მიწაზე მღოღავი ცხოველია, რომელიც ცხენზე ჯდება და ღმერთი ჰყავს.

— და ღვთის სადგომს აშენებს, ცხენები კი თავისუფლად ჰყავს გაშვებული, — დავუმატე მე.

— ცხენები თავის თავს თვითონვე მოუვლიან, — თქვა მამაჩემმა, — ღმერთი კი შინაური ცხოველია, რა უნდა ქნას?

— ღმერთმა?

— სნორი სტურლუსონი ღმერთს საშუალო სქესის არსებად თვლიდა. არა მგონია, რომ მე სნორი სტურლუსონზე ჭკვიანი ვიყო.

— იქნება გვიჩრჟანოთ, რა არის ეს ღმერთი?

— ეგ რომ გაიგო, შვილო, აღარც ღმერთი გეყოლება.

— ეს ღმერთი ლუთერის ღმერთი არ უნდა იყოს.

— ისლანდიელებს კარგად ახსოვთ, რომ ლუთერანობა გერმანელმა ქურდმა ქრისტიან მესამემ, დანიელთა ხელმწიფემ, მოგვახვია თავს. მისმა დანიელმა ფოგტებმა ეპისკოპოს იონ არასონს[1] თავი მოჰკვეთეს. ჩვენ, ისლანდიელებს, ნაკლებად გვაინტერესებს ის ღმერთი, რომელიც გერმანელებმა მოიგონეს, ხოლო დანიელებმა ცეცხლითა და მახვილით დანერგეს.

— ეს, ალბათ, წმიდა პაპის ღმერთია!

— იონ არასონის ღმერთი გვირჩევნია გერმანელი ლუთერისა და დანიელი ხელმწიფის ღმერთს, მაგრამ რომ არც ეგაა! მე ვკითხე, ეკლესია თორის, ოდინის და ფრეის[2] ადგილსამყოფლად ხომ არ გინდა აქციო-მეთქი.

მამაჩემმა დინჯად გაიმეორა მათი სახელები, სახე გაუნათდა, თითქოს დიდი ხნის დაკარგული მეგობრები ენახოს:

— თორი, ოდინი, ფრეი. კარგია, რომ ახსენე, შვილო. მაგრამ არც ეგენია.

— მგონი, შენ თვითონაც არ იცი, რა გწამს, მამაჩემო.

— ვიცი, შვილო, მე მწამს ჩემი ღმერთი, — მიპასუხა ამ

---

1 იონ არასონი (1484—1550) — კათოლიკური ეკლესიის უკანასკნელი ეპისკოპოსი ისლანდიაში. ებრძოდა დანიის დამპყრობლებს, რისთვისაც თავი მოჰკვეთეს მასა და მის ორ ვაჟიშვილს.

2 თორი, ოდინი, ფრეი — ღმერთები სკანდინავიურ მითოლოგიაში.

მორწმუნე კაცმა, რომელსაც ფანატიზმისა არა ეცხო რა, და გაიღიმა, — ეს არც ლუთერის ღმერთია და არც პაპისა. მით უმეტეს, არც იესოა, თუმცა ქადაგების დროს პასტორი ყველაზე ხშირად მას ახსენებს ხოლმე. არც თორია, არც ოდინი, არც ფრეი. ჩვენი ღმერთი ისაა, რომელიც ყველა ღმერთის ჩამოთვლის დროს უეჭველად გამოგრჩება. სხვებზე კი მუდამ ერთსა და იმავეს ეუბნები: არა, ეგ არა, არც ეგ, არც ეგ!

ქვეყანა გაყიდეს

ჩაქუჩის კაკუნი თავისავე ექოს ერწყმოდა და მთათა მდუმარებაში იკარგებოდა. ისევ გალობდა მეჭვავია. რატომ არ უნდა გაატარო მთელი სიცოცხლე ამ სიმშვიდეში, რატომ უნდა მოიტანო წყალი სახლში გამოყვანილი ონკანიდან და არა წყაროდან. რა საჭიროა კარაქის სადღვები მანქანა, ან საპირფარეშო.

სამწუხაროდ, ეს სიმშვიდე სხვა არა არის რა, თუ არ ქალაქელთათვის შეთხზული ლექსი, ლექსი, გამოთქმული გლეხების მიერ, რომლებიც გაჭირვებამ ასფალტიან ქუჩებში მორეკა და სისხლი ქალაქის მოუსვენარი ცხოვრებით მოუწამლა. ამ ლექსს დღევანდელ დღესთან არაფერი აქვს საერთო. იგი ასი წლის წინ შექმნა იონას ჰალგრიმსონმა. განა რომელიმე თანამედროვე პოეტს ააღელვებს ის, რომ სადღაც, შორეულ ბექობზე, ეკლესია შენდება და ჩაქუჩის კაკუნს შორის მოისმის მეჭვავიას გალობა? მთიდან უბერავს საამო ნიავი, რომელიც სამხრეთელთათვის სინამდვილეში არც არსებობს. ნეტა, თუ არის ისეთი პოეტი, ეს რომ იგრძნოს?

მოულოდნელად დაირღვა სიჩუმე. პოლიტიკოსები აყაყანდნენ. არჩევნები კარზეა მომდგარი. ისევ შემოგვესია ეს აუტანელი ხალხი, რომელთა მოშორებაც კაცს უდიდეს ბედნიერებად ეჩვენება. ისინი ერთმანეთს ათასგვარ ბოროტმოქმედებას სწამებენ. მათმა ღრიანცელმა აიკლო აქაურობა. ისევ მეორდება ძველი ამბავი: გლეხები დილიდან საღამომდე ყურს უგდებენ, როგორ აბრალებენ ეს ადამიანები ერთმანეთს ყო-

ველგვარ სისაძაგლეს და რა ურყევ საბუთებს იმარჯვებენ ამის დასამტკიცებლად. მაგრამ გლეხებს არ სჯერათ მათი ნალაქლაქევი, ისევე. როგორც არ სჯერათ პასტორის ქადაგება. როდესაც ორატორი ლაპარაკს დაამთავრებს, სოფლელები გარს შემოეხვევიან ხოლმე და ხელს ართმევენ, თითქოს ორატორი მათსავით ჩვეულებრივი მოკვდავი იყოს.

ჩვენში ასეთი წესია: თუ ვინმე სხვის ცხვარს დაკლავს, სიკვდილის შემდეგ მისი სახელი გენეალოგიურ სიაში არ შეაქვთ და შთამომავლობას ორასი წლის განმავლობაში ჩირქი სცხია. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გლეხები იოლად არ იჯერებენ იმ საშინელ ბრალდებებს, რომელსაც პოლიტიკოსები ერთმანეთს უყენებენ. წინასაარჩევნო კრებებზე მოსმენილ ამბებს ისინი საგებივით უყურებენ, რომელთა გმირები ყელს ღადრავენ თავიანთ მეტოქეებს, სახეში აფურთხებენ და თვალებს სთხრიან. რაკი გლეხები თვითონ არ ჩადიან დანაშაულს, იმიტომ რომ საშუალება არ ეძლევათ, ან იმიტომ რომ ბუნებით სათნო ადამიანები არიან, სხვებს ადვილად მიუტევებენ ხოლმე ყველაფერს, დაჯერებით კი ძნელად იჯერებენ.

მამაჩემმა თუნდაც თავისი თვალით ნახოს, მაინც ვერ დაიჯერებს, რომ შეიძლება ისლანდიელმა თავისი ქვეყანა, რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, უცხოელებს გადასცეს, ან, როგორც ახლა იტყვიან, გაყიდოს. თუმცა ასეთი შემთხვევა უწინდელ დროშიაც მომხდარა. გისურ ტორვალდსონმა და მისმა მეგობრებმა თავიანთი უფლებები უცხოელებს გადაუბარეს, სამშობლო გაყიდეს. აქაურები 1262 წელს არ იჯერებდნენ ამას, ახლა კი, დამოუკიდებლობისათვის შვიდასი წლის ბრძოლის შემდეგ, ყველაფერი მიუტევეს. ასევეა ახლაც. სჯერათ, რომ არც დღევანდელი პოლიტიკოსები გაყიდიან სამშობლოს. შემდეგ ახალი ბრძოლა გაჩაღდება დამოუკიდებლობისათვის და შვიდასი წელი გაივლის, შთამომავლობა ყველაფერს აპატიებს მათ.

ამ ზაფხულს ჩრდილოეთში პოლიტიკოსები იმავე საზეიმო ფიცსა სდებენ, რაც წინა ზამთარს სამხრეთში დადეს: „ისლანდია არ გაიყიდება, ხალხი არ დარჩება მოტყუებული, არ აიგება ატომის სადგური, რომელსაც შეუძლია მთელი ისლანდია

ერთ დღეში გაანადგუროს. დიდი-დიდი, უცხოეთის საქველ-მოქმედო ექსპედიციებს ნება დაერთოთ, რომ რეიკიავიკის მახლობლად აეროდრომი ააშენონ“.

იფიცებენ სამშობლოს, ხალხსა და ისტორიას, იფიცებენ ყველა ღმერთსა და ყველა წმიდანს, რომლებიც, თურმე ნუ იტყვით და, სწამთ ამ პოლიტიკოსებს, იფიცებენ დედას და, უპირველეს ყოვლისა, თავიანთ პატიოსნებას. და მე ვიცი, რომ ყველაფერი უკეთ მშესრულდება.

ამაში ერთმა რამემ დამარწმუნა. განაცხადეს, დადგა ძვლების ამოთხრის ჟამიო. წარმოთქვეს გულის ამაჩუყებელი სიტყვები „ერის სიამაყეზე“, უწოდებდნენ მას ჩვენი მხარის შვილს და ამბობდნენ, მან მთელი სიცოცხლე ისლანდიის გათავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირაო; ამიტომ ყოველგვარი ღონე უნდა იხმარონ, რომ მონახონ მისი საფლავი და ნეშტი უცხო მიწიდან გადმოასვენონ; ძეგლი დაუდგან მას, ვისაც სიცოცხლეში ხმელი პური ენატრებოდა.

ის, რაც ეკლესიის მშენებლებმა ვერ გაიგეს და ჩვენი ალთინგის დეკუტატი

ეკლესიის მშენებელთა აზრით, ყველა პარტიის წარმომადგენელი მშვენივრად ლაპარაკობდა მაშინაც, როცა ერთმანეთის ბოროტმოქმედებას ამხელდნენ და მაშინაც, როცა დროებით დაზავდებოდნენ და საზეიმო ფიცს დებდნენ. მათ თვალში ყველა პოლიტიკოსი ასე თუ ისე ვიკინგი იყო, ცბიერი მეკობრე, რომელიც ლანძღვა-გინებითა და ცილისწამებით ებრძოდა მოქიშპეს. ესეც ერთგვარი საგა იყო, რომლის წაკითხვა წარბშეუხრელად შეიძლებოდა, თუმცა ეგილის ან ბრძენი ნიალის საგას რას შეედრებოდა. ეკლესიის მშენებლები იცნობდნენ ყველა კანდიდატს, ესმოდათ მათი და ყველაფერს მიუტევებდნენ ხოლმე. გამონაკლისს მხოლოდ კომუნისტი წარმოადგენდა. ეს კაცი ამბობდა, ღარიბთა ინტერესებს ვიცავო, და ამით შეურაცხყოფას აყენებდა ეკლესიის მშენებლებს, რადგან ღარიბების არსებობას აღიარებდა. ეკლესიის მშენებლებმა კი იცოდნენ არა მარტო ეგილისა და ნიალის საგები, არამედ წარსუ-

ლის ყველა საგა. ისინი არა მარტო საგის გმირების, არამედ უძველესი მეფეების შთამომავალნიც იყვნენ. თავი გადაცმულ ვიკინგებად წარმოედგინათ, წელზე უჩიხარი ხმალი ერტყათ და გახძეულით დატვირთულნი ხომალდის საპესთან იდგნენ. კომუნისტის ლაპარაკს რომ უსმენდნენ, თავში სისხლი აუვარდებოდათ ხოლმე. მათი აზრით, ამ კაცს ლაპარაკი უნდა აკრძალვოდა. ეჭვი გაუჩნდათ, მას ზღაპრულ მგელთან — ფენრირთან[1] ხომ არა აქვს კავშირიო, სინამდვილეში კი ფენრირი თვითონ მათში ბუდობდა და ემუქრებოდა, რომ ჩამოგლეჯდა საგისეულ წვერს, უჩინარ მახვილსა და ხომალდს წაართმევდა ამ ვიკინგებს, რომლებიც ფერდობებზე დაკარგულ ცხვრებს დაეძებდნენ ხოლმე და ზღვა არასოდეს ენახათ.

— ჩვენმა ალთინგის დეპუტატმაც დაიფიცა?—ვიკითხე მე.

— დალოცვილი კაცია. თუმცა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები არ უხმარია, მაინც გასაგებად ილაპარაკა.

ამ პასუხის გაგონებაზე მაშინვე წარმოვიდგინე, რა ნიღბით წარმოუდგებოდა თავის დამაშვრალსა და ღარიბ ამომრჩევლებს, თავს მოაჩვენებდა მოღვაწედ, რომელიც გადაყრუებული ეპისკოპოსივით მოკლებულია სქესობრივ წადილს. ეს ადამიანები ვერასოდეს მიხვდებოდნენ ერთ რამეს: იგი ისე იყო ფუფუნებით გადაღლილი, რომ სხვები ინტერესს ვერ აღუძრავდნენ, იმდენად განათლებული იყო, რომ პოლიტიკოსების ბრალდებები ვერ ააღელვებდა, ცხოვრება ცარიელ ფარსად ან აუცილებელ უბედურებად მიაჩნდა და მობეზრებული ჰქონდა ყველაფერი.

— ჰო, მართლა, ჩემთან მოვიდა და მთხოვა, რომ შენთვის, მისი შვილების დედობილისათვის, მოკითხვა გადმომეცა, — მითხრა მამაჩემმა. დამპირდა, სამხრეთში წასვლამდე თქვენკენაც ჩამოვივლი და თქვენს ეკლესიას ვნახავო.

ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რომ თვალებზე ლიბრი გადამეფარა და მუხლები მომიდუნდა. მთელი დღე რეტდასხმული დავდიოდი, მთელი ღამე სიზმარს ვხედავდი, ვითომ ის გარეთ

---

[1] სკანდინავიური მითოლოგიის მიხედვით, მგელ ფენრირს უნდა გაეანადგურებინა ძველი ღმერთები.

იდგა, ხელში ხის თაფჩა ეკავა და ჭიდან წყალს იღებდა. რომელი ჭიდან? აქ არავითარი ჭა არ არის. მეორე დღეს მხოლოდ ჩაქუჩები რახუნობდა, ჩიტები აღარ გალობდნენ. დედას ვუთხარი:

— აქ რომ მოვიდეს, მთაში გავიქცევი.

— მთაში რა გინდა, შვილო?

— ასე მუცელგაბერილი ვერ დავენახვები.

დედამ მიპასუხა:

— შვილო, შენ ისეთი მამა გყავს, რომ ყველას თამამად შეგიძლია თვალი გაუსწორო, რანაირი მუცელიც არ უნდა გქონდეს. მე მგონი, არც დედა გყავს ცუდი.

შვებით ამოვისუნთქე, როცა გავიგე, რომ ის მოულოდნელად სასწრაფო საქმისათვის სამხრეთში გამოუძახიათ. მეორე დღეს ერთმა მეზობელმა წერილი მომიტანა, კონვერტზე ეწერა: „უგლას“.

კონვერტში სავიზიტო ბარათი იდო. ზედ მისამართის ნაცვლად მხოლოდ ტელეფონის ნომერი იყო დაბეჭდილი. ქვეშ კი ფანქრით ნაჩქარევად დაეწერა: „როგორც კი ქალაქში ჩამოხვალ, ჩემთან მოდი. ყველაფერს, რასაც მომთხოვ, შეგისრულებ“.

ყველაფერს, რასაც მომთხოვ

ყველაფერს, რასაც მომთხოვ, შეგისრულებ... პატარა გუდრუნი აგვისტოს შუა რიცხვებში დაიბადა, ანუ, როგორც მამაჩემი ანგარიშობს, ზაფხულის მეჩვიდმეტე კვირას. დედაჩემმა მითხრა, გოგონა რვანახევარ გირვანქას იწონისო. ისე მოვლოგინდი, თითქმის არაფერი გამიგია. უთუოდ იმ ქალების რიცხვს ვეკუთვნი, თამაშ-თამაშით რომ აჩენენ შვილებს.

როცა დედაჩემმა ბავშვი მომიყვანა, სრულიად უცხო მეჩვენა, მაგრამ მაშინვე შემიყვარდა, ისე პატარა იყო და თანაც ასე დიდი. მის დანახვაზე შუბლგაუხსნელმა მამაჩემმაც კი გაიცინა.

იმ ხანებში დამთავრდა ეკლესიის მშენებლობა.

სანამ ვიწყებ, ძველი ეკლესიის საკურთხეველი ფარდული-

დან გამოიტანეს, ასი წელი იქნება, იქ დევს. ჩემს ბავშვობაში საკურთხეველი ათასგვარ ხარახურასთან ერთად ეგდო ფარდულში და თუმცა ისე იყო დაძველებული, რომ კაცი ძლივს გაარჩევდა ზედ გამოსახულ ორიოდე წმიდანსა და ნახევრად წაშლილ ლათინურ ასოებს, მე მაინც მეშინოდა ამ ძველისძველი ნივთისა, რომელსაც რაღაც იდუმალი კავშირი ჰქონდა პაპთან. როდესაც ეკლესიაში მივედი, საკურთხეველი უკვე დაედგათ წარმართული ფანჯრის ქვეშ და წითლად შეეღებათ. წმიდანებისა და ლათინური ასოების კვალიც კი აღარსად ჩანდა.

ძველი ეკლესიიდან კიდევ ორი ნაშთი იყო დარჩენილი. ერთი სპილენძის ხამსანთლიანი შანდალი, რომელიც სამგან იყო გაბზარული და ხელის შეხებისთანავე რომ არ დაშლილიყო, ძაფი შემოვახვიე. მეორე — სანთლის საჭრელი მაკრატელი. ამ ნივთებით შეიარაღებულნი ვაპირებდით ესტრიდალში ახალი სასულიერო ცხოვრების დაწყებას.

პასტორს განზრახული ჰქონდა ეკლესიის კურთხევის დროს პატარა გუდრუნიც მოენათლა. მაგრამ მე ვუთხარი, ყოველგვარი შელოცვისა და ჯადოსი მეშინია-მეთქი. ვკითხე, მეტისმეტ პასუხისმგებლობას ხომ არ კისრულობთ უმანკო ბავშვს რომ ნათლავთ იმ ეკლესიაში, რომელიც აგერ უკვე ორი ათასი წელია, დაუნდობლად ებრძვის ადამიანურ ბუნებას და ყოველი ცოცხალი არსის მტერია. განა არ ჯობია, ღმერთი თავისთვის იყოს და ჩვენ ჩვენთვის?

ამაზე პასტორმა გაიღიმა, ლოყაზე ხელი მომითათუნა და წამჩურჩულა:

— ჩემს ბუტბუტს ყურადღებას ნუ მიაქცევ. სიტყვებს რა ჭკუა აქვს. ფიქრით კი იმ ამწვანებული ფერდობის მიწიერ სიხარულს დავანათლავ.

ქალთა საზოგადოების წარმომადგენლებმა სურათი მოგვიტანეს, ზედ გამოსახული იყო დანიური კარაქის ღმერთის აღდგომა ნაღებიდან. ეკლესიის კედელზე ადგილი არ აღმოჩნდა ამ სურათის ჩამოსაკიდებლად და ქალთა წარმომადგენლებს იგი უკანვე გავატანეთ. სამაგიეროდ მათ სხვა რამეც მოიტანეს, რაც ეკლესიის საკურთხებლად გაცილებით უფრო

მნიშვნელოვანი გვეჩვენა: ყავა, ციკორი, მთელი ნამცხვრის ზვინები, რომელსაც ჩვენში პურის ფქვილისაგან, მარგარინისა და შაქრისაგან ამზადებდნენ, აგრეთვე უზარმაზარი ტორტი. კულინარული ხელოვნების ამ ქმნილებებს, შეიძლება, ცოტა სისხლნაკლულობა სჭირდა, მაგრამ მათ ამ დღეს მაღალი ზნეობის განმტკიცებას შეუწყვეს ხელი, რადგან გარეთ წვიმდა და არაყიც წყალივით იღვრებოდა. არავის ეგონა, რომ ჩვენს სოფელს ამდენ ყავასა და ნამცხვარს გამოუგზავნიდნენ, რაკი ღმერთისათვის ხუხულა ააგეს.

პასტორმა და ეპისკოპოსმა სიტყვები წარმოთქვეს. ისინი, ვინც ფხიზლები იყვნენ, ხან მარჯვენა ფეხს გადაიდებდნენ მარცხენაზე, ხან მარცხენას მარჯვენაზე, ჯერ ერთიდან ათასამდე ითვლიდნენ, შემდეგ უკუღმა, ათასიდან ერთამდე. ასე გრძელდებოდა მთელი დღე, სანამ ყველა სიტყვა არ წარმოითქვა და ეკლესიის კურთხევა არ დამთავრდა. პასტორმა დაპირება შეასრულა და პატარა გუდრუნი, მართლაც, იმ ფერდობის სახელით მონათლა, სადაც მიწიერი სიხარული ცხოვრობს. ღვთისმსახურება რომ დამთავრდა, ცემენტით მოსვრილი ხის მერხები ჩარდახქვეშ შეათრიეს და ცეცხლი დაანთეს. დაცარიელებულ ეკლესიაში დარჩა კირის სუნი, სველი კედლები, წითლად შეღებილი წმიდანები და ლათინური ასოები.

ბოლოს, გამოკეტეს კარი, რომელიც ძველი ყუთების ფიცრებისაგან ისე მაგრად იყო გაკეთებული, რომ ასი წელი გაძლებდა. აღმოჩნდა, რომ ზედ შავი საღებავით ეწერა: მარგარინის ქარხანა „სუნა“. კარს ფიცარი ააჭედეს, რადგან სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილი ფული ბოქლომის საყიდლად აღარ ეყოთ. ყველამ უსიტყვოდ იგრძნო, რომ ღმერთს აღარ უნდოდა თავის შეწუხება. ერჩია ის თავისთვის ყოფილიყო, ადამიანები კი თავისთვის.

„ჩრდილოეთის სავაჭრო საზოგადოება“

საღამოს კოკისპირულად წვიმდა. ნაშუაღამევს სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. ზოგიერთი მათგანი მეგობრებმა უნაგირზე გადაკიდებული წაიღეს შინ. მე ხელში სანთელი მეჭირა და

სველ ტანსაცმელს დერეფანში ვფენდი. გარეთ წვიმდა და ღია კარიდან თივის სუნი შემოდიოდა, რომელიც მუდამ თან ახლავს შემოდგომის ბნელ საღამოებს. ძაღლი გაბმულად ყეფდა. მე მეგონა, შინ მიმავალ ბოთვრალებს უყეფს-მეთქი.

უეცრად კარებში კაცი დავინახე. მანამდე ეზოში ფეხის ხმა გავიგონე და მივხვდი, რომ ვიღაც მოდიოდა.

— ვინ არის? — ვიკითხე მე.

კაცმა ჯიბის ფარანი მომანათა, რომელსაც ჩემს სანთელზე გაცილებით დიდი შუქი ჰქონდა.

— საღამო მშვიდობისა, — თქვა მან.

მე ჯერ გავშეშდი. შემდეგ განცვიფრებულმა და გაბრაზებულმა ვუთხარი, როგორც უდროოდ შემოჭრილ სტუმარს ეკადრება: „საღამო მშვიდობისა“.

— მოვედი, — თქვა მან.

— მერე?

— მერე არაფერი.

— გული კინაღამ გამიხეთქე.

— ბოდიში.

— უკვე შუაღამე გადასულია.

— ჰო. დაღამებამდე არ მინდოდა მოსვლა. ვიცოდი, რომ აქ უამრავი ხალხი იყო. თუმცა ერთი სული მქონდა, სანამ ჩემს შვილს დავინახავდი.

— შემოდი, — ვუთხარი მე და ხელი გავუწოდე.

კოცნა და ამისთანები არ უცდია. პირმოთნეობა საერთოდ არა ჩვეოდა. ასეთ კაცს არ შეიძლება არ ენდო.

— გაიხადე. როგორ გაწუწულხარ. საიდან მოდიხარ?

— კადილაკი ღელის გაღმა დგას.

— კადილაკი? — გავვოცდი მე, — შენც ქურდობა დაიწყე?

— ჩემი მოწოდება... — წაიბურტყუნა მან.

ვთხოვე, კარგად ამიხსენი, რა ჯანდაბაა ეს მოწოდება-მეთქი, მან მითხრა, ამის ახსნა შეუძლებელიაო.

— პოლიციაში მუშაობა მიატოვე? — ვკითხე მე.

— დიდი ხანია.

— ახლა რას აკეთებ?

— საკმარის ფულს.

— საკმარისს? — გავიმეორე მე. — თუ კაცს საკმარისი ფული აქვს, პატიოსანი გზით არ ექნება ნაშოვნი. აქ რას აყუდებულხარ, ოთახში შემოდი. არა, სჯობია სამზარეულოში შეგიყვანო; თუ ცეცხლი არ ანთია, ახლავე დავანთებ, ყავას დაგალევინებ, ღამის გასათევად კი არ ვიცი, დაგტოვებ თუ არა.

სამზარეულო პირდაპირ იყო. მარჯვნივ, სასტუმრო ოთახში, მე და გუდრუნი ვიწექით, მარცხნივ მშობლებს ეძინათ.

— სად არის ჩემი ქალიშვილი? — მკითხა მან.

ოთახში შევიყვანე და გოგონას სანთელი მივანათე. მისი საწოლიც იქვე იდგა. იგი დააშტერდა ბავშვს, მე კი ამ უცხო კაცს ვაკვირდებოდი და ისევ ვგრძნობდი იმ პირველყოფილ ტომებთან ნათესაობას, რომლებიც მამა-შვილს შორის კავშირს არა სცნობენ. ვერ მივმხვდარიყავი რატომ უნდა რქმეოდა ამ კაცს ჩემი შვილის მამა. იგი დიდხანს დასცქეროდა ბავშვს, ისე რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მე საბანი გადავწიე, რომ ბავშვი თავიდან ფეხებამდე დაენახა.

— გრძნობ, რა სურნელი ასდის?

— სურნელი?

— ბავშვებს ისევე ასდით სურნელი, როგორც ყვავილებს.

— მე კი მეგონა, ფიშის სუნი ასდით-მეთქი.

— რა უნდა გელაპარაკო, ღორი ხარ.

მან შემომხედა და დიდის ამბით მკითხა:

— ხომ ნამდვილად ჩემი შვილია?

— შენია, თუ თვითონვე არ უარყოფ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— არავითარი მნიშვნელობა არა აქვს?

— არ ღირს ახლა ამაზე დავა. წამოდი სამზარეულოში. ცეცხლს დავანთებ.

სამზარეულოში რომ დაჯდა, დავინახე, რომ ძვირფასი კოსტუმი ეცვა. მისი ფეხსაცმელი ჩვენს გზებზე არ გამოდგებოდა. ყავისფერი ტუფლები ავტომანქანიდან გადმოსვლისას თიხაში ამოგანგლოდა. ვუთხარი, ფეხზე გაიხადე-მეთქი, მაგრამ არა ჰქნა.

— წმინდა შალის წინდებს არ ჩაიცვამ?

— არა.

საუბარი მე უნდა გამება. ამაზე თვითონ ხომ არასოდეს იზრუნებდა. მაგრამ როცა დუმდა, მაშინაც კი ყურში ჩამესმოდა მისი ხმა.

— რა არის ქალაქში ახალი? — ვკითხე მე.

— არაფერი.

— ჩვენი ორღანისტი როგორაა? — ისევ ვიკითხე მე და მივხვდი, რომ ვმარცხდებოდი. ვგრძნობდი, რომ ჩვენს შორის რაღაც მაინც იყო საერთო.

ეს ამბავი მანაც შენიშნა.

— ჩვენი ორღანისტი? დედა გარდაეცვალა. თვითონ კარგადაა. შვიდი ახალი ჯიშის ვარდი გამოჰყავს.

— ბედნიერი ქალი იყო, ჯერ ყველაფერი დაივიწყა და შემდეგ მოკვდა. თუმცა ქვეყანა მხოლოდ ბოროტება არ ყოფილა, რაკი ამდენნაირი ვარდი არსებობს. ტორტი არ გინდა? ქალთა საზოგადოებამ გამოგვიგზავნა. თუ ყავაზე პური და კარაქი გირჩევნია?

რა თქმა უნდა, პური და კარაქი ერჩია. მე ვგრძნობდი მის მზერას, თუმცა ზურგით ვიდექი და სუფრას ვშლიდი.

— ღმერთები როგორღა არიან?

— „კვნეტარას“ „ომი“ გამოუცხადეს. ამბობდნენ, ვიდრე ღმერთი სწამდა, ნებას გვაძლევდა კადილაკი გვეხმარაო. მოწმობა ახლაც ჯიბეში უდევთ. მაგრამ ახლა „კვნეტარამ“ სულ იაფად გაყიდა კადილაკი.

— შენ კი ადექი და ღმერთებს მანქანა წაართვი? — ვკითხე მე, — საწყლები, როგორ ამაყობდნენ, მანქანა გვაქვსო. ვერც კი წარმომიდგენია ატომის მგოსანი კადილაკის გარეშე.

— მე სულ არ მეცოდებიან ღმერთები, — თქვა მან, — „ჩემი არს შურისგება“, ამბობს უფალი.

— „ფასგამყალბებელი ფირმების ფედერაციას“ როგორა აქვს საქმე, გაყიდა ქვეყანა?

— ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. „კვნეტარა“ დანიაში გადაფრინდა ძვლების ამოსათხრელად. „ფფფ“ მალე არნახულ დაკრძალვას მოაწყობს... ხალხისათვის.

ასე ვსაუბრობდით სხვადასხვა წვრილმანზე. როდესაც სუფრას ვშლიდი, ხელებზე დამხედა და მითხრა:

— ღამეს თუ გამათევინებ?

— თავი დამანებე, მე ახლა სიქალწულეს ვიბრუნებ.

— ეგ როგორ?

— თუ ქალს შვიდი წელიწადი არავინ შეეხება, ის ისევ ქალწული ხდება, — ვუთხარი და კარადას მოვცილდი, რომ არ დაენახა, როგორ გავწითლდი.

— შემოდგომაზე დავქორწინდებით, — მითხრა მან.

— ხომ არ გაგიჟდი, ეგ რამ გაფიქრებინა?

— რამ და ასე სჯობია. ჩემთვისაც, შენთვისაც, ყველასთვის.

— უკეთესი არ იქნება, ჯერ ადამიანი გავხდე?

— ადამიანი?

— განა ვერ ხედავ, რომ არარაობა ვარ. არც არაფერი შემიძლია, არც არაფერი ვიცი.

— შენ ჩრდილოეთის მთათა ღვთაება ხარ.

— მე მგონი, ისიც საკმარისია, რომ პირველსავე შემხვდურთან შვილს აჩენ. ახლა უნდა ადგე და ცოლადაც გაჰყვე!

— ახალწლის ღამეს კარი რატომ მომიხურე?

— შენ როგორ გგონია?

— იქნებ სხვა ვინმე გაიჩინე და მე ზურგი მაქციე?

— რა თქმა უნდა. სხვა გავიჩინე, მერე კიდევ სხვა, მერე კიდევ სხვა, სულ ახალი და ახალი. ყველასთან დაწოლას ვერც კი ვასწრებდი.

— ნუ მეტიჩრობ.

— ჯობია ქალაქის ამბები მითხარი. სად ხარ, რას აკეთებ. ჯერ არც კი ვიცი, რა კაცს ველაპარაკები.

— მაინც რა გინდა გამოხვიდე?

— მინდა ბავშვების მოვლა ვისწავლო, — პირველად მას გამოვუტყდი, რაზედაც დიდი ხანია ვოცნებობდი.

— სხვის ბავშვებს უნდა მოუარო?

— ყველა ბავშვი საზოგადოებას ეკუთვნის, — ვუთხარი მე, — რასაკვირველია, საზოგადოება უნდა გაუმჯობესდეს, რომ ბავშვებზე მეტი იზრუნოს.

— საზოგადოება უნდა გაუმჯობესდეს? — დამცინავად მკითხა მან, — კარგი ერთი, ეგ ლაყბობა ყელში მაქვს ამოსული.

— რაო, შენც ბოროტმოქმედი გახდი?

— ბავშვი რომ ვიყავი, წიგნის წაუკითხავად, ჩემით გამოვიგონე კომუნიზმი. ალბათ ყველა ღარიბ ბავშვს ასე მოსდის სოფლადაც და ქალაქშიაც, თუ ჭკუა და კარგი სმენა აქვს. შემდეგ სკოლაში წამიყვანეს და კომუნიზმი სულ გადამავიწყდა. შემდეგ შინაგანი ხმა ჩამესმა და გუდა-ნაბადი ავიკარი, როგორც შარშან მოგიყევი. მინდა იმას მივაღწიო, რომ არსებულმა საზოგადოებამ კაცად მცნოს.

— ჩვენ ბოროტ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ეს ამბავი მისმა მტრებმაც და მოყვრებმაც კარგად იციან.

— ჩემთვის ეგ სულ ერთია. სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა. მე იმის დამტკიცება მინდა, რომ კაცს, რომელსაც განათლება და კარგი სმენა აქვს, შეუძლია, არავის მონა არ იყოს.

ქურდულად ვუყურებდი, სანამ ჭამდა და სვამდა.

— ვინ ხარ? — ვკითხე ბოლოს.

— კადილაკი ღელის გაღმა დგას. თუ გინდა, ჩემთან წამოდი.

— ნამდვილად სიფრთხილე მმართებს. შენ, ალბათ, მდინარიდან ამოსული აჩრდილი ხარ, რომელსაც ჩემი მოტაცება უნდა[1].

მან გულის ჯიბეში ხელი ჩაიყო, გატენილი საფულე ამოიღო, მაგიდაზე დადო და ფულს თავი გამოუჩინა. სულ ტკიცინა ასკრონიანები და ხუთასკრონიანები იყო, ჩანდა ბანკიდან ახალი გამოტანილი ჰქონდა.

— „ჩრდილოეთის სავაჭრო საზოგადოება“, — თქვა მან, — ავტომანქანები, ბულდოზერები, ტრაქტორები, საოჯახო მანქანები, ყველაფერი, რაც თავისით მოძრაობს და ხმაურობს. ტექნიკის სიახლენი. ახლა სამხრეთში მივდივარ. ეს იქნება ჩემი პირველი საქმიანი მოგზაურობა.

---

[1] ერთ-ერთ ისლანდიურ ზღაპარში აღწერილია, როგორ მოიტაცა სიკვდილის შემდეგ შეყვარებულმა ვაჟმა თავისი საცოლე.

მე ფულისკენ წავიღე ხელი და ვუთხარი:

— მოდი, დავწვათ!

მან საჩქაროდ ჯიბეში ჩაიდო საფულე.

— მე არ ვდგავარ ადამიანებზე მაღლა, როგორც ღმერთები, მითუმეტეს ღმერთებზე მაღლა, როგორც ორღანისტი. მე ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ, ფული კი ერთობ რეალური რამ არის. საფულე იმიტომ გაჩვენე, რომ გიჟად არ ჩამთვალო.

— გიჟი სწორედ ისაა, ვინც იტყვის, ფული რეალური რამ არისო. ამიტომ ორღანისტმა დაწვა იგი და შემდეგ პურის ფული ჩემგან ისესხა. ახლა ჩემს საიდუმლოებასაც გეტყვი: არის ერთი მამაკაცი, რომელიც შენზე უფრო მომწონს. ყური რომ მოვკრა, ახლა ჩვენს მხარეშია ასი კილომეტრის იქითო, მაშინაც კი მუხლები ამიკანკალდება. მაგრამ იცი, რატომ მეშინია მისი? მას ათასჯერ მეტი ფული აქვს, ვიდრე შენ. შემომთავაზა, ყველაფერს გიყიდი, რისი ყიდვაც შეიძლებაო. მაგრამ არ მინდა ქალის სახით მავალი სიცრუე ვიყო. მინდა ჩემი შრომით ვიცხოვრო. ხელცარიელი რომ მოსულიყავი, შეიძლება ამაღამ აქ დარჩენა შემომეთავაზებინა, შეიძლება ხვალ დილით შენთან ერთად ფეხით გამოვდგომოდი გზას. ახლა კი არც შეგიპატიჟებ, არც თან წამოგყვები.

ღვთაებრივი სტუმრები

ჯერ კარგად არც გათენებულიყო, როცა გამომეღვიძა. გარედან პასტორის ხმა შემომესმა, ეზოში იდგა და ღია ფანჯრიდან მამაჩემს ელაპარაკებოდა. მალე დერეფანში სტუმრების ფეხის ხმა გავიგონე. სასწრაფოდ ტანთ ჩავიცვი. ვიდრე ოთახის მილაგებას მოვასწრებდი, სტუმრები შემოვიდნენ.

ჯერ მეგონა, ამ შორეულ სოფელში დილაადრიან ფხიზელი პასტორის მოსვლა კარგს არაფერს მოასწავებს-მეთქი, მაგრამ მალე დავმშვიდდი; გავიგე, რომ პასტორი სასულიერო პირისათვის ფრიად შესაფერ თანამგზავრებს, სახელდობრ, ღმერთებს, მოჰყოლოდა. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა ჩრდილოეთში, ზედ ჩემი კარის ზღურბლზე ეს ორი უცნაური არსება დავინახე. ისინი ჩემს წარმოდგენაში ყველა ნაცნობზე

მეტად ჰგავდნენ ქალაქის ასფალტზე დასახლებულ საგის გმირებს.

შევხედე მათ და მივხვდი, რომ სულელური ხუმრობისათვის არც დრო იყო და არც ადგილი. სახეზე ეწერათ: აქციონერული საზოგადოება „სერიოზულობა“, მე ვიტყოდი, მკვლელთა აქციონერული საზოგადოება „ზარ-ზეიმი“. ჯერ ატომის მგოსანი შემოვიდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მთიდან მთაზე დააბიჯებს და თავზე ღრუბლის ქულები ახვევიაო. ბრილიანტინის თვალებში კი ცივი სიგიჟე ელავდა, როგორც ყინულის ლოლუები ელავს ხოლმე ღელეზე ზამთრობით. ამ გამოხედვას შეეძლო პასტორი და უკანა კარში მდგარი ქალი მოეხიბლა.

— ტყუპები სად არიან? — ვკითხე მე.

— ჩემს ცოლს შევპირდი, ტყუპებს ბატკანს ჩამოვუყვანმეთქი, — თქვა ბრილიანტინმა, გაიღიმა და მარგალიტივით კბილები გამოაჩინა.

— შენც ჩამოხვედი სოფელში? — ვკითხე ატომის მგოსანს, რომელიც არაქათგამოლეული ჩამომჯდარიყო ტახტზე.

— მთელი ქვეყანა ატომის სადგურია, — მომიგო მან, — მე კი ბენიამინი ვარ, უმცროსი ძმა.

— ხელცარიელი კი არ მოსულან, — გვითხრა პასტორმა.

— ჩვენ მოციქულები ვართ, — თქვეს ღმერთებმა.

მინდოდა მეკითხა, ვისი მოციქულები-მეთქი, მაგრამ პასტორმა დამასწრო.

— დავალებით მოვიდნენ.

— ჩვენ ღმერთის მოციქულები ვართ.

— რომელი ღმერთის?

— ეს ახალგაზრდები იარაღები არიან, — თქვა პასტორმა, — მშვენიერი იარაღები. ჰმ! ისინი შთაგონებამ ჩამოიყვანა ჩრდილოეთში, „ერის სიამაყის“ ნეშტი გადმოასვენეს. ეს ხომ ღვთის ნებაა. მე პირადად ეჭვიც არ მეპარება. როგორც ჩანს, ახდა ჩვენი მრევლის ძველთაძველი ოცნება.

— მეც ასე მგონია, — თქვა მამაჩემმა და სტუმრებს ალერსიანად გაუღიმა.

— სადაურები ხართ, ყმაწვილებო?

ღმერთებმა მიუგეს:

— ატომის ბომბელები.

მამაჩემს სახეზე ღიმილი შეაშრა, შუბლი შეეჭმუხნა, თითქოს ღვთის საგინებელი სიტყვა გაეგონოს. პასტორმა მოიბოდიშა, ახალგაზრდები დაღლილები არიანო.

— ეს მგოსანია, — ვუთხარი მამაჩემს, — ადრე აქციონერული საზოგადოების „სნორი-ედას“ შიკრიკი იყო. ეს კი წვრილშვილიანი კაცია, ტყუპი ბავშვის მამა. ადრე იმავე საზოგადოების დარაჯი იყო. ორივეს ქალაქიდან ვიცნობ.

— ჭეშმარიტად ღვთისმოსავი ხალხია,—თქვა პასტორმა,— ორივეს ხილვა აქვს, მე, პირადად, ეჭვიც არ მეპარება ამაში.

— ჩვენ ღვთისმოსავები სულაც არა ვართ, — მიუგო ბრილიანტინმა, — ჩვენ ვსუფევთ. ღმერთთან პირდაპირი კავშირი გვაქვს. სურვილი რომ გვქონოდა, აქამდე მილიონერები გავხდებოდით და ჰოლივუდში დავსახლდებოდით.

— ჩვენ ომს ვაჩაღებთ, — განაცხადა ბენიამინმა, — ვინც არ გვიწამებს, ჯერ ნაფლეთებად ვაქცევთ, შემდეგ კი აღვგვით პირისაგან მიწისა. მანამ არ დავცხრებით, ვიდრე ყველაფერს არ მოვიპარავთ და არ დავანგრევთ. შემდეგ კი ხანძარს მივცემთ. ძირს „ორასი ათასი კვნეტარა“. ჩვენ არ დავინდობთ არც პორტუგალიურ სარდინებს და არც დანიურ ნაკელს. ახლა კი გვიბრძანეთ, ვართ თუ არა გიჟები.

მამაჩემი გარეთ გავიდა. პასტორი თავის კანტურით ისმენდა ამ საოცარ მოციქულთა ყბედობას. თამბაქო შესთავაზა, მაგრამ ღმერთებმა თავიანთი სიგარეტები ამჯობინეს. პასტორს ნება დართეს, ცეცხლი მოეტანა.

— შემშლის ეს სიწყნარე, — თქვა ბენიამინმა.

— რადიო არა გაქვთ? — იკითხა ბრილიანტინმა.

მალე ორივეს ჩაეძინა, ერთი ტახტზე მიწვა, მეორე — ლოგინზე. ერთს პირიდან გამოვაცალე სიგარეტი, მეორეს ხელიდან, რომ ხანძარი არ გაეჩინათ.

პორტუგალიური სარდინები და დანიური თიხა

— ერის ცხოვრებაში უდიდესი ისტორიული მოვლენა მოხდა, — თქვა პასტორმა, — დღეს ჩვენი შორეული კუთხე მთელი ისლანდიის ცენტრად იქცა, როგორც იმ დროს, როცა „ერის სიამაყე“ ესტრიდალის ეკლესიაში მონათლეს. თავისუფლების დიდი მებრძოლი, ჩვენი სულების სკალდი ისევ დაუბრუნდა მშობლიურ მიწას. ჩვენი წმიდა სამება — სიყვარულის ვარსკვლავი, კაკაბი და ბაბუაწვერა მიესალმება თავის ძველ მეგობარს, რომელიც ას წელზე მეტია უცხოეთის სასაფლაოზე განისვენებდა. იქ ას წელზე მეტია უპატრონოდ იყო მისი ნეშტი და ლოდიც არ ეფარა. ისლანდიის რესპუბლიკა მიესალმება...

საეკვო აღარაფერი იყო, ჩვენს პასტორს სიტყვა დაეწერა და ახლა ჩემზე ცდიდა.

— საყვარელო პასტორო ტრაუსტი, — ვუთხარი მას შემდეგ, რაც მან ერთ ხანს კიდევ ილაპარაკა. — ჩვენს გულებში იგი არასოდეს მომკვდარა. ამიტომ მის ეგრეთ წოდებულ ძვლებზე ნაკლებ ვზრუნავდით. აზრადაც არ მოგვსვლია, რომ დანიაში მის საფლავს ლოდიც არ ეფარა. იგი იმ ლურჯ მწვერვალებზე ცხოვრობს, დარში რომ მოჩანან ხოლმე.

ღელის გაღმა, საბარგო მანქანაზე, ორი დიდი ყუთი იდო. კარგად რომ განათდა, მე, მამაჩემი და პასტორი ყუთების დასათვალიერებლად წავედით.

დავაკვირდით ყუთებს და ზედ წარწერები შევამჩნიეთ. ერთგან ეწერა: „ისლანდიის პრემიერ-მინისტრს“. მეორეგან: ფირმა — „სნორი-ედა“. ეს ერთი და იმავე საწარმოს ორი სახელი იყო. მამაჩემმა შენიშნა, რომ ერთ ყუთს კუპრით ეწერა: „დანიური თიხა“

— რას უნდა ნიშნავდეს ეს წარწერა? — იკითხა მან.

— დანიური თიხა, დანიური თიხა, — გაიმეორა დაფიქრებულმა პასტორმა, — ამ საქმეში დანიელების ხელი ურევია, ისინი მუდამ აბუჩად გვიგდებენ ხოლმე ისლანდიელებს.

— დიდი-დიდი, ეგ იმას ნიშნავდეს, რომ ყუთი დანიური

თიხითაა სავსე, — ვთქვი მე, — იქნებ, ჯერ მეორე ყუთში ჩაგვეხედა. იგი სანდო მგონია, თუმცა უცხოურ წარწერას ვერ ვიგებ.

რკინის ხელკეტით ყუთის სახურავს ერთი ფიცარი ავაგლიჯეთ. ხელი ჩავყავი შიგ და რა ამომყვა? კონსერვის პატარა კოლოფი. ასე ორასი გრამი იქნებოდა და პაპიროსის ქაღალდში იყო გახვეული. ეს გახლდათ ამერიკიდან ჩამოტანილი პორტუგალიური სარდინები, ერთადერთი თევზი, რომელმაც, გაზეთის თქმით, გამოარღვია მსოფლიოს ყველა საბაჟოს ზღუდე, ათი წლის შემდეგ მოაღწია ჩვენამდე და ათას პროცენტ მოგებას იძლევა. ეს ხდება მეთევზეებით განთქმულ ქვეყანაში, სადაც ორაგულის სახელის გაგონებაზე ძაღლებიც კი წკავწკავით გარბიან გარეთ და პირიდან ასაქმებენ.

— გადასარევი თევზია, — ვთქვი მე, — ოღონდ ის არაა, რასაც ველოდით.

— მეორე ყუთს ნუღარ გავხსნით, — გვითხრა პასტორმა,— ცთუნებას ნუ ავყვებით. კაცმა რომ თქვას, სულ ერთი არ არის, რა დევს ამ ყუთში? ეგ ხომ სიმბოლოა. დაკრძალვის დროს ნეშტის ნივთიერ შემადგენლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ჩვენს გულებში ცოცხლობდეს მიცვალებულის ხსოვნა.

სანამ პასტორი ლაპარაკობდა, მამაჩემმა მეორე ყუთიც გახსნა. ჩემი მოლოდინი გამართლდა: ვერც ამ ყუთში ვნახეთ ვერაფერი ისეთი, რითაც ისლანდიას შეეძლო ეამაყა. ქრისტიანების აზრით, ადამიანი მიწა და მტვერია, მაგრამ რაც ამ ყუთში ვნახეთ, შეიძლებოდა ადამიანის ნაშთი ყოფილიყო, ოღონდ არა ისლანდიელისა, რადგან ეს მიწა და მტვერი ისლანდიური წარმოშობისა არა ყოფილა. ეს არ იყო ჩვენებური ტალახი თუ ღორღი, ქვიშა თუ თიხა. ეს იყო გამომშრალი რუხი კიროვანი მასა, რომელიც ყველაზე უკეთ გამხმარ სკლინტად შეიძლებოდა გასაღებულიყო.

— რომელია „ერის სიამაყე“, დანიური თიხა თუ პორტუგალიური სარდინები? — ვიკითხე მე.

— ნუთუ ამქვეყნად არაფერი გწამს, შვილო ჩემო? — მკითხა პასტორმა.

— ბავშვური ოინებია, — თქვა მამაჩემმა და ცხენების საძებრად წავიდა.

— იქნებ შენ გწამს? — ვკითხე პასტორს.

უეცრად ამ მხიარულსა და კეთილ კაცს, რომელსაც მორწმუნისა არა ეცხო რა, ტუჩთან მკაცრი, მე ვიტყვი, ჯიუტი ნაოჭი გაუჩნდა, თვალებში ცივი და ფანატიკური ნაპერწკლები ჩაუდგა, რამაც სახის იერი სრულიად შეუცვალა.

— მწამს, — თქვა მან.

— მაშინაც გწამს, როდესაც შეამჩნევ, რომ საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა, ვიდრე შენ გეგონა?

— მწამს.

— განა რწმენა იმას ნიშნავს, რომ მარტოოდენ არარსებული გწამდეს?

— მე მწამს, — თქვა პასტორმა ტრაუსტიმ, — მწამს სოფლის მისია ისლანდიელი ხალხის ცხოვრებაში. ჩემთვის წმიდა-თაწმიდა სიმბოლოა ეს თიხა, რომელიც უწინ თავისუფლებისათვის მებრძოლის სისხლი იყო, დიდი მგოსნის სისხლი. „ერის სიამაყე“ მშობლიურ მიწას დაუბრუნდა. სულიწმინდა ჩემს მკერდში უფრო და უფრო აღვივებს ამ ისლანდიურ რწმენას. იმედი მაქვს, ბოლომდე გვეწამება ჩვენი მისია.

მან მიმოიხედა, მზერა შეავლო ცადაზიდულ მთებს და თვალებანთებულმა მქადაგებლის კილოთი წარმოთქვა:

— კურთხეულ იყოს ეს კუთხე, უკუნითი უკუნისამდე.

ცხენები

სიწყნარემ ღმერთები მალე გამოაღვიძა და დედაჩემმა მათ ყავა მიართვა. შემდეგ სიგარეტი მოსწიეს, თოფი აიღეს და სადღაც წავიდნენ.

შემოდგომის მშვიდი დღე იყო. ამ დროს პატარა ჩქამიც კი ექოს გამოცემს შორეულ კლდეებში. დიდი ხანი არ გასულა და თოფის ხმამ მთები შეძრა. მშვიდი მიდამო შიშმა მოიცვა: ფრინველები გუნდ-გუნდად წამოიშალნენ, ცხვარი ფერდობიდან დაეშვა და ხრიოკებს მიაშურა, ცხენები ფრუტუნით დარბოდნენ აღმა-დაღმა.

დაფეთებული ცხენების რემაზე მშვენიერსა და დიდებულს სოფლად ვერაფერს ნახავ. მათი შეკრთომა ჯერ ხალისიან თამაშსა ჰგავს, მაგრამ მერე შიშის ჟრუანტელი უვლით და ხელდებიან. ისე მიქრიან, თითქოს გავარვარებულ ლავის ნაკადს გაურბიან. ელვის უსწრაფესია ყოველი მათი მოძრაობა. კუნთები ებერებათ, თავებს აქნევენ და ფაფარაშლილები ქარში მიქრიან. წამით შედგებიან, ჭიხვინებენ, გამწარებულნი კბენენ ერთმანეთს და ზღაპრულ ქმნილებებს ჰგვანან.

შემდეგ, თითქოს ძარღვებში ცეცხლმა დაუარათო, ეს საოცარი არსებები კვლავ მოსწყდებიან ადგილს და ქარივით გაფრინდებიან. წამიერად ეხებიან ფლოქვებით მიწას, რომელიც უხილავი კოცონის მსგავსად იწვის მათ ფეხქვეშ. თავზე გადაეელებიან ჩანჩქერებს, ხევებსა და უფსკრულებს, ვიდრე მიუვალი კლდის წვერზე არ აღმოჩნდებიან. ზოგი მათგანი იქვე იღუპება და ყვავ-ყორნები კორტნიან მათ ლეშს.

ღმერთები ნაშუადღევს დაბრუნდნენ. ერთი ბატკანი მოეკლათ. ბრილიანტინს, ამ თანამედროვე ლუთერს, რომელიც ოჯახის მამაც იყო და ამავე დროს სულიწმიდას შთაგონებით რელიგიურ მისტერიებსაც ხსნიდა, ვერ გაებედა ცოლ-შვილთან ხელცარიელი დაბრუნება.

მამაჩემმა ბატკანს ყურზე შეავლო ხელი და ზედ მეზობლის დაღი რომ დაინახა, საჭიროდ მიიჩნია ზარალის ანაზღაურება. ვთქვათ, მარცხი მოგვიხდა-თქო, თორემ საქმეს ადგილობრივი მოსამართლე განიხილავს. ღმერთებს არაფრად ეჭაშნიკათ ის ამბავი, რომ საძოვარზე გაშვებული ცხვრების დახოცვა მიღებული არ ყოფილა, მაშ რითი ცხოვრობენ აქაური გლეხები, თუკი ნადირობა აკრძალულიაო, — დაინტერესდნენ ისინი.

ბოლოს, ღმერთებმა ყუთები მანქანიდან გადმოიტანეს და პასტორი ტრაუსტი იხმეს. პასტორს ვერაფერმა შეურყია იმის რწმენა, რომ ღმერთები, თუ მისი გამოვლინება არა, როგორც ამას თვითონვე აცხადებდნენ, უზენაესის მოციქულები მაინც იყვნენ.

— ლუთერან პასტორს, — თქვა მან, — ყოველთვის სწამს

ისინი, ვისაც სულიწმიდა წინამძღვრების და სახარება პაპის შუამავლობის გარეშე ესმის.

ეს იყო პასტორის უკანასკნელი სიტყვები, რომლითაც მან მოგვმართა. ამის შემდეგ საბარგო მანქანაში ჩაჯდა და წავიდა, რომ ორი დღის შემდეგ თავის მრევლთან და საზოგადოების რამდენიმე ბურჯთან ერთად დაბრუნებულიყო და „ერის სიამაყისათვის“ ღირსეული დაკრძალვა მოეწყო.

ცხენებს, მცირე ხნის ფიქრის შემდეგ, გაუარა ღმერთების შიშმა და კვლავ მშვიდად ძოვდნენ ბალახს კორდებზე, ველებზე, მდინარის პირას და ეზოს წინაც. გვიანი შემოდგომით, იმ დროს, როცა ირგვლივ მკვდარი თუ ცოცხალი ბუნება უფრო ნათლად ჩანს, მე მიყვარს ფანჯარასთან დგომა და ცხენების ყურება. მართლა, რა მშვენიერი არსებაა ცხენი! საკრეთლის კიდევ ერთი მოქნევა და მთელი ქმნილება გაფუჭდებოდა; როგორ ჰგავს ქალის სხეულის კონტურებს ტალღისებური ხაზი, რომელიც კისრიდან ზურგისაკენ გასდევს ცხენს. მოგრძო, ირიბ თვალებში სიბრძნე აქვთ ჩამარხული, ადამიანისათვის მიუწვდომელი სიბრძნე, რომელიც ღმერთების გაღიმებასა ჰგავს. პირზე ისეთი ღიმი დასთამაშებთ, რომელსაც ვერც ერთი კინოვარსკვლავი ვერ გაუწევს მეტოქეობას, ან სად იქნება ქალი, რომელსაც ისეთი სურნელი ასდიოდეს, როგორსაც ცხენი ნესტოებიდან უშვებს? ან ფლოქვებს დააკვირდით! მათში ყველა სულდგმულის კიდურებია გაერთიანებული: ბრჭყალი და ჭანგი, ხელი და თათი, ფარფლი და ფრთა და, ალბათ, ნიშნად იმისა, რომ ცხენი ასეთი სრულქმნილი არსებაა, ნალი ყველა კარზე ეკიდა, ვითარცა სიმბოლო ბედნიერებისა, ნაყოფიერებისა და ძალისა, ყოველგვარი ჯვარცმის უარმყოფელი სიმბოლო.

მაგრამ, როცა შემოდგომის იდუმალება სცილდება ბუნების ფარგლებს და პოეზიის თემად იქცევა, როცა მეჭვავიას უკანასკნელი სიმღერა შენი პირადი მწუხარების გამოხატულება ხდება, როცა ცხენები ხელოვნებადა და მითოლოგიად მოგეჩვენება, როცა ღელეზე გადაკრული თხელი ყინული ბროლს ემსგავსება, როცა საკვამურის ბოლი მასზე აღგვიძრავს მოგონებას, ვინაც პირველად აღმოაჩინა ცეცხლი, მაშინ

დგება გამოთხოვების ჟამი. ისევ მოგაგნებს ქალაქის ბაცილა, სოფელი შენს თვალში სოფელი აღარაა, იგი მარტოოდენ წიგნია, ლექსია და სურათი ელექტრომწმენდის საზოგადოებაში გატარებული ზამთრის შემდეგ, გლეხი ფალურის ოჯახი დროებითი თავშესაფარია ქალიშვილისათვის, რომელმაც უკანონო შვილი გააჩინა. უკვე კარგა ხანია თითებზე ვითვლი დღეებს, როდის წავალ სახლიდან, სადაც უკვე უცხო გავხდი, გავემგზავრები უცნობ ადგილას, სადაც თავს ისე ვიგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ჯერ კიდევ ვიცდი ერთ ხანს, აზრებს ვიკრებ, ყურს ვუგდებ სიჩუმეს, რომელმაც ღმერთებს ძილი და სიმშვიდე დაუფრთხო. ბინდი ეცემა მიდამოსა და ცხენებს.

იმ საღამოს მანქანით მოვიდნენ პოლიციელები და პორტუგალიური სარდინები და დანიური თიხა წაიღეს.

ტელეფონით საუბარი

— მაპატიეთ, ასე გვიან რომ გირეკავთ. სოფლიდან ეს ესაა ჩამოვედი, როგორც კი ჩამოხვალთ, ჩემთან მოდითო, მწერდით. მეგონა, სამუშაოს შოვნაში დამეხმარებოდით. არ ვიცი, როგორ გითხრათ, რას განვიცდი ახლა, როდესაც თქვენ გირეკავთ. ნამდვილი გლეხის გოგო ვარ, თქვენი თავაზიანობა სიმართლე მეგონა. ნამგზავრს ტანსაცმელიც კი არ გამომიცვლია, თავიდან ფეხებამდე მტვრად ვიქეცი.

— მტვერიო. მერედა ვინ არ არის მტვერი? მე თვითონ მტვერი ვარ, თუმცა თქვენი დეპუტატი კი მქვია.

— დარწმუნებული ბრძანდებით, რომ მეც ხმას მოგცემთ?

— ამ ზაფხულს ჩრდილოეთიდან რომ მოვფრინავდი, მთხოვეს, ერთი ჩემი პოლიტიკური მტრისთვის ამანათი წამომეღო. ერთი ქალი კბილების დასაძრობად ოსიდან რეიკიავიკში ჩამოსულა. მაგრამ საბნის წამოღება დავიწყებია და აქ უსაბნოდ და უკბილოდ დარჩენილა. მე, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ...

— სულ იმ ქალს ვგავარ, არა?

— განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ყველა კბილი თავის

ადგილას გაქვთ და ოდესმე ხმასაც მომცემთ. თუმცა ეს სულ ერთია, ვისაც არ უნდა მისცეთ ხმა, მე მაინც თქვენი დეპუტატი ვარ. საიდან რეკავთ?

— ტელეფონის ჯიხურიდან. შუა მოედანზე ვდგავარ ხის ჩემოდნით ხელში.

— და, რა თქმა უნდა, არ იცით ღამე სად გაათიოთ?

— ალბათ ჩემს ორღანისტთან მივალ.

— შვილი თანა გყავთ? რა ჰქვია?

— გუდრუნი. ჩრდილოეთში დავტოვე. სანამ არ მოვეწყობი სადმე, ჩემს დედ-მამასთან იქნება.

— ახლა რას აპირებთ?

— ადამიანი მინდა გავხდე.

— როგორ თუ ადამიანი?

— არ მინდა, უხელფასო მოახლე — ღარიბის ცოლი ვიყო; არც მდიდრის ცოლობა — ფულით ნაყიდი ქალბატონობა მინდა, არც ვინმეს ხასობა მსურს. მითუმეტეს არ მინდა, რომ ტყვედ ვყავდე ბავშვს, რომელსაც საზოგადოებამ ზურგი აქცია. მსურს, რომ ადამიანთა შორის მეც ადამიანი მერქვას. ვიცი, რომ სასაცილოა, სამარცხვინოა და მეტიჩრობა, ქალს არც მხევლობა უნდოდეს, არც მეძაობა. მაგრამ ასეთი ვარ და რა ვქნა.

— მაშ, არც ქმარი გინდათ?

— მე ყმა არ მჭირდება, რა სახელითაც არ უნდა მონათლოთ.

— ახალი პალტო ხომ გინდათ?

— არ მინდა, რომ ჩემთან დაწოლის საფასურად ღარიბი ძონძებს მაცმევდეს, ანდა მდიდარი — ძვირფას ქურქებს. პალტოს ჩემი შრომით ვიყიდი, რადგან ადამიანი მინდა გავხდე.

— ერთი რაიმე უნდა გახაროთ: კომუნისტურ პარტიაში შესვლა აღარ დაგჭირდებათ, საბავშვო ბაგა უკვე გავხსენით, აკვნებიც კი შევიძინეთ, თუმცა თანამედროვე პოეტები ამტკიცებენ, აკვანში ბავშვებს მხოლოდ ბოროტმოქმედები აწვენენ და იავნანას მხოლოდ სადისტები უმღერიანო. ნუ გეგონებათ, რომ ეს თამამი გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტმა უყოყმანოდ მიიღო. გამოგიტყდებით, ბევრი ოფლი ვღვარეთ და

ბევრი ვიკანკალეთ, ზოგიერთს ცოტა დორბლიც კი მოერია, ერთი „ქმარშვილიანი ქალი“ სტატიას სტატიაზე ბეჭდავდა, კომუნისტთა შვილები სახელმწიფო ხარჯით როგორ უნდა ვარწიოთო. ბოლოს და ბოლოს მე მაინც ჩემი პარტიის წინაალმდეგ წავედი, სხვამ ეს ჩემი ხათრით გააკეთა და ყველაფერი მოგვარდა.

— დიახ... ნახვამდის... გმადლობთ...

— სულ ეგ არის? მე ხომ თქვენი გულისთვის ჩემს პარტიას ვუღალატე.

— დიდი მადლობელი ვარ, ტელეფონის ნომერი რომ გამომიგზავნეთ, ყველაფრისთვის დიდი მადლობა... მაპატიეთ, რომ ისე ვიქცევი... როგორც თქვენ მიბრძანებთ... შეიძლება, თქვენ თვითონ ყურადღებაც არ მიაქციოთ თქვენს ნათქვამს... მე კი ისეთი რამე ჩამადენინოთ, სულ რომ არ მინდა... ვიცი, რომ ეს სისულელეა, მაგრამ რა ვქნა. ახლა კი უნდა წავიდე, ღამე მშვიდობისა. ბავშვებს მოკითხვა გადაეცით.

— მოიცადეთ, სამ წუთში მოედანზე გავჩნდები.

პატაგონია

ასეთი იყო ჩვენი საუბარი ტელეფონით. მაგრამ განა შეიძლება ქალისა და კაცის საუბარი ზუსტად გადმოიცეს? ამ შემთხვევაში სიტყვები ძალიან ცოტას ნიშნავს, თუკი საერთოდ ნიშნავს რასმე. ასეთ დროს მთავარია ხმა, სუნთქვა, გულის ძგერა, ტუჩებისა და თვალების მოძრაობა, გუგების გაფართოება და დავიწროება, მუხლების მოდუნება, ნერვების ფარული რეაქცია, სხვადასხვა საიდუმლო ჯირკვლების მოქმედება, რომელთა სახელს მაინც ვერ დაიმახსოვრებ, თუნდაც წაგეკითხოს კიდეც. ესაა საუბრის ნამდვილი შინაარსი. სიტყვები თითქმის შემთხვევითია.

ყურმილი რომ დავკიდე, ტანში საამო ჟრუანტელი მივლიდა, გული ისე მიცემდა, თითქოს მთაზე ავდიოდი. სხეული ჭიმჩატდა, მეგონა, ამ წუთას ყველაფერს შევძლებ-მეთქი. დაღლილობა უკვალოდ გაქრა.

სამ წუთში აქ იქნება, გავიფიქრე მე. არა, არა, შეუძლებე-

ლია, სადმე უნდა გავიქცე, თავს ვუშველო. ასეთი სისულელე რამ ჩამადენინა? მერე რა, რომ ტელეფონის ნომერი გამომიგზავნა? ეს ხომ ხუმრობა იყო? სიმართლე რომ ვთქვა, არ ვიცოდი, თუ დავურეკავდი. ჯერ კიდევ დღეს, როდესაც უცხო ადგილებში ავტობუსით მოვდიოდი, ვფიქრობდი, დარეკვა დიდი სისულელე იქნება, ასეთ სიგიჟეს არ ჩავიდენ–მეთქი. ვიჯექი ავტობუსში, ფანჯრიდან ვიყურებოდი და ვიცოდი კიდეც, სად უნდა გამეთია ღამე. შორეულ ნათესავებს ძივადგებოდი, რომელთაც უყვარდათ ჩრდილოეთი და ღამით შეიფარებდნენ ესტრიდალელ ქალიშვილს. მაგრამ ჩემდაუნებურად სახე მაინც მიხურდა. უკვე სამი ოლქი გავიარეთ, მე კი პირში ლუკმის ჩადება ვერ შევძელი. მხოლოდ ბორგაფიორდში დავლიე წყალი და ერთი კამფეტი შევჭამე. როდესაც აკრანიდან გამოსულები ბორნით გადმოვდიოდით, ერთი მახინჯი დედაბერი ისე შემომაჩერდა, მეგონა, საცაა ხელს მტაცებს და მეტყვის: დაურეკავ, უსათუოდ დაურეკავო. სიამოვნებით გავარტყამდი იმ დედაბერს. დარეკვა მხოლოდ სისულელე კი არა, დანაშაულიცაა, რომელსაც გამართლება არა აქვს, ეს ნიშნავს კაპიტულაციას, უსიტყვო კაპიტულაციას, როგორც ომის დროს ამბობდნენ ხოლმე. ასეთი კაპიტულაციის შემდეგ ვეღარასოდეს გაიმარჯვებ, ვეღარასოდეს! ბორანი ნაპირს მიადგა, მაგრამ მახინჯი დედაბერი რაღა იქნა? გაქრა. მე ბორნიდან გადმოვედი და პირდაპირ ტელეფონის ჯიხურისაკენ გავემართე... კმარა, ახლავე გავეცლები აქაურობას.

მაგრამ იგი უკვე ჩემს გვერდით დგას, მესალმება და ხელს მიწვდის იმ კაცივით მეგობრულად, უდარდელად და უშუალოდ, რომელსაც არაფრის შიში არა აქვს, ჯერ ერთი, იმიტომ რომ მილიონერია, მეორეც იმიტომ, რომ ხვალინდელი დღის იმედი აღარ აქვს. ამაშია მისი განსაკუთრებული, შეუდარებელი მომხიბლაობა.

— წავიდეთ, — მითხრა მან.

სანამ რამეს მოვისაზრებდი, მან დაავლო ხელი ჩემს ხის ყუთს, ამ სასაცილო ნივთს, რომელიც იმ მიყრუებულ ზეგანზეა გაკეთებული, სადაც ჩემოდნის არსებობაც არ იციან. ის კი თვითმფრინავით დაფრინავს ხოლმე და ყვითელი, ჭრიალა,

სურნელოვანი ტყავის ჩემოდანი დააქვს. მას შეაქვს ჩემი საშინელი ყუთი გაკრიალებულ მანქანაში, რომელიც ტროტუართან დგას. სანამ რამეს მოვისაზრებდი, მანქანაში აღმოვჩნდი, მის გვერდით. წამიც და მანქანა უხმაუროდ გასრიალდა.

— ნუთუ არ გეშინიათ? — ვკითხე მე. — მთელი ქალაქი დაინახავს, მანქანაში რომ ვიღაც ჩამოფლეთილი ქალი გიზით.

— თანდათან სითამამე მემატება, — თქვა მან და მესამე სიჩქარე ჩართო, — სულ მალე გმირი გავხდები.

ცოტა ხანს ჩუმად მივდიოდით.

— კაცმა რომ თქვას, საით მიგყავართ? — ვკითხე მე.

— სასტუმროში.

— რას ფიქრობთ, როგორ უნდა გადავიხადო სასტუმროს ფული, როცა ამ ზაფხულს პატარა გუდრუნის გარდა არაფერი შემიძენია? სიმართლე რომ ვთქვა, არც კი ვიცი, რა მინდა თქვენს მანქანაში. ალბათ ჭკუაზე შევცდი.

— გუდრუნი როგორ არის?

— გმადლობთ. ცხრა გირვანქას იწონიდა.

— მომილოცავს, — თქვა მან. როცა მოსახვევში გავდიოდით, სწრაფი მზერა მესროლა, მეჩვენებოდა, რომ შენობით მივმართავდით ერთმანეთს.

— თუ შეიძლება, გააჩერეთ, უნდა გადმოვიდე.

— შუა ქუჩაში?

— დიახ.

— განა უფლება არა მაქვს, ღამის გასათევად მიგიპატიჟოთ?

— არა, გმადლობთ.

— სასაცილოა: ჩრდილოეთში რომ ჩამოვდივარ, ყოველთვის მათევინებენ ხოლმე ღამეს.

მანქანა სიჩქარეს უკლებს. ვხედავ, რომ აუქციონერული საზოგადოების „სნორი-ედას“ შენობასთან ვართ. შემდეგ მოსახვევში გავდივართ და ვჩერდებით. იგი გადმოდის, გადმოვყავარ და კარს კეტავს. ახლა ისევ ვდგევარ მამაკაცის გვერდით სახლის უკან, მაგრამ აღარ მეშინია, რომ ფანჯრიდან დამინახავენ. პატარა კარს ვაღებ, ვიწრო, დაქანებულ კიბეზე ავდივარ, სადაც ჭრელი ლინოლეუმია დაფენილი, ისეთი სუფთაა

ლინოლეუმი, თითქოს ჯერ ზედ არავის გაევლოს. მე მივყვები მას. ავდივართ მაღლა და მაღლა, არ ვიცი, რა სიმაღლეზე ვართ, მე მგონია, სახურავს ავცდით-მეთქი. ყველაფერი სიზმარსა ჰგავს, საშინელსა და ტკბილ სიზმარს, რომელიც კოშმარითა და სულის ხუთვით მთავრდება. იქნებ ეს დასაწყისია და ადამიანი ვხდები? ის კარს აღებს და დერეფანში გავდივართ. ნახევრად ღია კარიდან ოთახში მოჩანს ტყავგადაკრული ავეჯი, საწერი მაგიდა, თაროებზე ჩამოწყობილი წიგნები, ტელეფონი, რადიო.

— სადა ვართ?

— ჩემი ბუნაგია. აქეთ აბაზანაა, აქ კი პატარა სამზარეულო. ალკოვში მე ვწვები ხოლმე, მაგრამ ამაღამ შენ დაგითმობ. მე კი კარს უკან დავწვები.

— თქვენს სახლს რაღა მოუვიდა?

— განა არსებობს ჩემთვის საიმედო ნავსაყუდელი? — თქვა მან და ამ საეკლესიო სიმღერის გახსენებაზე ნაღვლიანად გაიღიმა.

— რატომაც არა?

— ჩემი ცოლი კალიფორნიაშია.

— ვაშლის წვენი?

— შვეიცარიაში გავგზავნე, სამონასტრო სკოლაში.

— იონას თვალის ჩინი?

— ამ ამერიკელ-სმოლანდელმა წმიდანმა ჩემს პატარა ანგელოზს გაჯოხვა დაუწყო, რადგან ბავშვი ჯოჯოხეთს ახსენებდა ხოლმე. ავდექი და გავაგდე ეგ ტარტაროზი, შვილები პანსიონში მივაბარე და სახლი დავკეტე. მას შემდეგ ცარიელია.

აბაზანაში ღია წითელი ფერის ფილები იყო დაგებული, ცხელი წყალი ორთქლს აყენებდა. ერთი კედელი ჭერიდან იატაკამდე სარკით იყო დაფარული. ჩავიხედე შიგ და გავშტერდი. სარკიდან ჯანიანი ქალი შემომცქეროდა, რომელსაც მკერდი რძით ჰქონდა სავსე. არ მინდა, რომ ტანთ ჩავიცვა და ისევ ჩრდილოელ სოფლის საწყალ ქალიშვილად ვიქცე, ამიტომ ვაჭიანურებ ბანას.

ის სკამზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. ლორი შეეწვა,

კვერცხი გაეკეთებინა და სუფრა გაეშალა. იქვე ელექტრო-ჩაიდანი დუღდა. სუფრის მეორე მხარეს დამსვა და ჩაის დასხმას შეუდგა.

მე მონუსხულივით შევცქეროდი ამ ჯადოქარს, რომელსაც მთელი ქვეყანა ეკუთვნოდა. მის ხელთ იყო არა მარტო მთელი სიმდიდრე, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება... არამედ პატარა სახელმწიფოში არსებული მთელი ძალაუფლება... პატარა და დიდ ქვეყნებს შორის კი განსხვავება მხოლოდ ზომაშია. ამ კაცს უკვდავი სული ქონდა, ისევე როგორც ცხენებს, რომელიც მან ზმანებით იხილა. იყო ჯანსაღი, ჭკვიანი, ლამაზი, ძლიერი. ყოველი მისი სიტყვა პოეზიაა, ყოველი აზრი — სიხალისე, ყოველი მოძრაობა სილაღე. ასეთი კაცი ამაღლებულია მიწი-დან, რა არის მისთვის საბრალო მიწიერი არსების ოცნებები? მხოლოდ უხამსი და ფუჭი ლაყბობა.

— თუ არის ვინმე ღარიბ ჩრდილოელ ქალიშვილზე უფრო სასაცილო, რომელიც ამბობს, ადამიანი მინდა გავხდეო?

— ყველაფერს, რასაც მომთხოვ შეგისრულებ.

არ მშიოდა, მაგრამ მისი მომზადებული ჩაი მაინც სიამოვ-ნებით დავლიე.

— კარგია, — ვუთხარი მე, — მაგრამ საიდანაა ამოღებული ეს სიტყვები?

— ეს სიტყვები მაშინ დავწერე, როდესაც ჭეშმარიტებას მივაგენი.

— ჭეშმარიტებას?

— ჰო, გაგეცინება. ალბათ გგონია, რომ იონას მსგავსად ღვთისმოსავი გავხდი და საცაა კუნტრუშს დავიწყებ.

— ჭეშმარიტებასაც გააჩნია.

— რა თქმა უნდა. მორწმუნენი ამბობენ, ხსნა მხოლოდ ჭეშმარიტებაშიაო. მათი ჭეშმარიტება კი ის არის, რომ იშვა რომელიღაც მესია, რაც ისტორიულად დასაბუთებული არ არის, იშვა უწყალო მაჰმადიც, რაც ისტორიულად დასაბუთე-ბულია. მაგრამ მე ამას არ ვგულისხმობ. თუ გახსოვს, შარშან აინშტაინის მოძღვრებაზე გელაპარაკებოდი, არც იმას ვგუ-ლისხმობ, თუმცა მოძღვრება მათემატიკურადაა დამტკიცებუ-

ლი. მით უმეტეს, არც სკოლაში ნასწავლ უბრალო, მარადიულ და ურყევ ჭეშმარიტებას ვგულისხმობ, რომელიც ამბობს: წყალი ეს არის H_2O.

ცნობისმოყვარეობამ ამიტანა.

— მე ჩემს საკუთარ ჭეშმარიტებაზე გელაპარაკები, — მითხრა მან, სათვალე მოიხსნა და შემომხედა, — ჩემი არსებობის ჭეშმარიტებაზე. მე აღმოვაჩინე ეგ ჭეშმარიტება, და თუ მთელი ცხოვრება მას არ შევწირე, ჩემი სიცოცხლე სანახევროდ მაინც აზრს დაკარგავს. ერთი სიტყვით, სიცოცხლე აღარ იქნება.

— რა არის შენი ჭეშმარიტება? — ვკითხე მე.

— შენ, — მომიგო მან, — შენ ხარ ჩემი ჭეშმარიტება; ჩემი ცხოვრების ჭეშმარიტება. ამიტომ გთავაზობ ყველაფერს, რისი შემოთავაზებაც მამაკაცს შეუძლია. ამას ვგულისხმობდი, როცა ეს სიტყვები მოგწერე.

შემიძლია დავიფიცო, რომ დავყრუვდი, დავბრმავდი და მოვკვდი.

— იქნებ ნათურის შუქზე ვერ ამჩნევთ ჩემს ძონძებს? — ეს იყო ჩემი პირველი სიტყვები, როდესაც გონს მოვეგე.

— ვერა.

— მე მხოლოდ მშობლიური ენა ვიცი.

— მერე რა?

— ცოტას ფისჰარმონიაზეც ვუკრავ, რაც მაშინაც კი სასაცილოა, როცა კარგად უკრავენ. ჩემს ფრჩხილს მანიკური არ უნახავს და ჩემს ტუჩებს საღებავი, შენ კი ისეთ ქალებს ხარ შიჩვეული, რომლებსაც თითქო ხარის სისხლი შეეხვრიპოთ ან ადამიანის ხორცი ეჩიჩქნოთ.

— მეც მაგას ვგულისხმობდი. ამიტომაც მინდა ყველაფერი თავიდან დავიწყო.

— როდესაც ერთ ღამეს გაატარებ ჩემთან, ან ორს, ან დიდი-დიდი სამს, უეცრად გამოგეღვიძება ღრმა ძილიდან, შეძრწუნებული შემომხედავ და იკითხავ, როგორც ზღაპარშია: ვინ შემომიწვინა ეს ჯოჯო? გათენებისას გაიპარები და არასოდეს დაბრუნდები.

— მითხარი, რა ვქნა და ვიზამ.

დიდხანს შევყურებდი, შემდეგ თვალები ძირს დავხარე, პასუხის გაცემა ვერ შევძელი.

— თუ გინდა, ყველაფერზე უარს ვიტყვი, ფირმაზე, დეპუტატობაზე, საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, პარტიაზე, ამხანაგებზე, მეგობრებზე... და ისევ ღარიბი სტუდენტი გავხდები.

— არა, ვერ ავიტან, რომ ჩემი გულისთვის თუნდაც ერთი ბეწოთი დამცირდე. მე ვიცი, ღარიბიც რომ გახდე, მაინც არ შეიცვლები, ისეთივე დარჩები, როგორიც ხარ. მეც ასევე მუდამ გლეხის გოგო ვიქნები, მოახლე. მე მაქვს მხოლოდ სურვილი, ადამიანად ვიქცე, რამე ვიცოდე, რამე შემეძლოს, არავის ჩემს მაგივრად ფული არ გადავახდევინო, თვითონ ვიხადო. მერედა, სად იქნება ჩვენთვის ადგილი?

— ხომ ხედავ, პატაგონია არც ისე სულელური გამოსავალი ყოფილა.

— არსებობს კია პატაგონია?

— ახლავე რუკაზე გიჩვენებ.

— უდაბური ადგილი ხომ არ არის?

— განა ეგ სულ ერთი არაა? მალე მთელი ქვეყანა უდაბნოდ იქცევა.

— მე კი მეგონა, მსოფლიო ცივილიზაცია დაიწყება და ყველანი ადამიანებად ვიქცევით-მეთქი.

— ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა. კაპიტალიზმის გადარჩენა აღარავის სჯერა, თუნდაც რომ ამერიკიდან მოწყალება მივიღოთ. უკაცური უდაბნო კარზეა მომდგარი.

— განა კომუნიზმი უკაცურ უდაბნოში ცხოვრებაა?

— კაპიტალიზმი დაღუპვის დროს მთელ ცივილიზაციას უფსკრულში გადაიყოლიებს.

— ისლანდიასაც?

— არის ხმელეთი და ზღვა, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთსა აქვს განაწილებული, და არის ატომური ბომბი.

— ნუთუ ისლანდიაც ატომური ბომბის მსხვერპლი უნდა გახდეს? — ვკითხე მე.

ის უეცრად წამოდგა, მიტრიალდა, რადიოსთან მივიდა. ვი-

ღაც ესპანელის ხმა გაისმა, რომელიც დედამიწის მეორე კიდიდან ლაპარაკობდა.

— ბრძოლა მიმდინარეობს ორ პრინციპს შორის,—ამბობდა იგი, — ფრონტის ხაზი გადის ყველა ქვეყანაში, ყველა ზღვაზე, ყველა საჰაერო გზაზე. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ეს ხაზი ჩვენს ცნობიერებაში გადის. მთელი მსოფლიო ატომური სადგურია.

— გამოდის, რომ პატაგონიაც ატომური სადგური ყოფილა?

ბოლოს, როგორც იქნა, მსუბუქი მუსიკა დაიჭირა. მომიახლოვდა, ჩემი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა და ხელი მხარზე ჩამომადო.

— პატაგონია სულ სხვა საქმეა. პატაგონია მომავალია აწმყოში. ამ მხარეს თავიდანვე ისეთი სახე აქვს, როგორიც ევროპას ექნება მომავალში. იგი უდაბური ადგილია, სადაც რამდენიმე მიამიტი მეცხვარე ცხვარსა მწყემსავს. იმედი მაქვს, შენც იცი, რომ მსოფლიოს მსჯავრი აქვს დადებული და განაჩენის ხელახალი გასაჩივრება აღარ შეიძლება. ჩემთვის ეს სულ ერთია, ყველაფერზე ხელი რომ ავიღო, წაგებული მაინც არ დავრჩები. გადაწყვეტილება შენ უნდა მიიღო. მითხარი, რა გინდა.

მოედანი განთიადისას

ცოტა წავიძინე და თვალები გავახილე. საღამური ნათურა მკრთალად ანათებდა. ირგვლივ მიმოვიხედე და სიმარტოვის ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს შუა უდაბნოში ვყოფილიყავი. ვინ ვარ? ვინ არის ეს კაცი? ლოგინიდან ფრთხილად ავდექი და უხმაუროდ ჩავიცვი. მას ეძინა... ან იქნებ თავს იმძინარებდა? კარი ღია იყო. სასწრაფოდ ავიღე ჩემი სკივრი და გარეთ გამოვედი. ფეხსაცმელები მხოლოდ კიბეზე ჩავიცვი. ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო. დილის გრილი სიო უბერავდა. ქალაქს ეძინა.

ვარსკვლავების ნაცვლად ქუჩის ფარნები ენთო, მაგრამ ისინი არ არიან ციურ საიდუმლოთა მაუწყებელნი. სამყაროს

არ ჰქონდა სიღრმე და მე მარტო ვიყავი. ისე მარტო, რომ ჩემი მეორე მე, რომელიც სირცხვილისა და სინდისის ქენჯნას გრძნობს ხოლმე, სადღაც გამქრალიყო. მთლად გამოცარიელებული, გარემოს მოწყვეტილი ან უფრო სწორად, არსებობას მოკლებული ქალი ვიყავი, ჩემთვის აზრი აღარაფერს ჰქონდა.

ისევ მოედანზე ვდგავარ, სადაც გუშინ საღამოს ვიდექი. პროლოგის თემა ეპილოგიაშიც აჟღერდება ხოლმე. მაგრამ სხვა ტონი აქვს, სხვა რიტმი და სხვა აკორდები. შინაარსიც შეცვლილია. სინამდვილეში არაფერი მაქვს შეცნობილი... გარდა ამ სკივრისა. მოედანი, სადაც გუშინ ხალხი ფუსფუსებდა, ათასი ცხენის ძალის ავტომანქანები დაჰქროდნენ, ახლა ცარიელია და წყნარი. დაღლილ-დაქანცული შუა მოედანზე მდგარ მერხთან მივედი და ჩამოვჯექი.

— რა იყო?

— არაფერი.

— მოხდა რამე?

— არა. არაფერი.

დაახლოებით ასე ვიწყებ გრძელსა და უთუოდ მეტად მნიშვნელოვან საუბარს, შეიძლება, უსხეულო სულთან, შეიძლება, საკუთარ მესთან ან ღვთაებასთან, რომელიც დიდი ხანია გაქრა, ანდა არასოდეს არსებულა. მაგრამ უეცრად ავიხედე და კაცი დავინახე, რომელიც დგას და მიყურებს.

— მე მეგონა ტიროდი, — ამბობს იგი.

— არა, არა. ცოტა დავიღალე; სოფლიდან ამწუთას ჩამოვედი.

— გამარჯობა. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება,—ამბობს კაცი, — მართლა შენა ხარ?

— ამას ვის ვხედავ! — წამოვიძახე მე. იგი ჩემი ძველი ნაცნობი იყო, ჩემი შარშანდელი კოლეგა მუსიკაში, თამამი პოლიციელი, მხარბეჭიანი კაცი, რომელიც საგნებსა და მოვლენებს ისე ხედავს, როგორც სინამდვილეშია.

მე წამოვდექი, როგორც სოფელში იციან, როცა მამაკაცებს ესალმებიან ხოლმე, და ვუთხარი:

— გაგიმარჯოს.

— ახლა რას აპირებ?

— ეს-ესაა ჩამოვედი.

— ამ დილაადრიან! საოცარია!

— გზაში ავტობუსი გაგვიფუჭდა და ამიტომ დაგვაგვიანდა. ეს წუთია ჩამოვედით. დავიცდი, სანამ კარგად არ გათენდება და მერე ვინმე ნაცნობს მივაკითხავ.

— იცი რა, — მითხრა თამამმა პოლიციელმა, — წავიდეთ, ჩვენს მასწავლებელთან ყავა დავლიოთ. ჯერ მაინც დაწოლილი არ იქნება. შენ კი ჩრდილოეთის მუსიკაზე გვიამბობ რამეს.

— ჯობია აქაური ამბები მომიყევი.

— აჰ, ჩემო კარგო, რა უნდა მომხდარიყო ამ ხანებში მოსაყოლი. ქუჩაში ბავშვის მოკვლა დღეს უკვე გასაკვირი აღარ არის, არც ისაა ახალი ამბავი, რომ ხალხი უგონოდ თვრება, რათა გული მოიცენ და ცოლები დათეთქვონ. ახლა დღის წესრიგში ქვეყნის გაყიდვა და ძვლების ამოთხრა დგას.

მე ვუამბე, რაც ვიცოდი: ღმერთებმა ორი ყუთი ჩამოგვიტანეს, ამტკიცებდნენ, შიგ ძვლები აწყვიაო, მთავრობამ კი ძვლები უკანვე წაიღო, სანამ პასტორი დამარხვის სამზადისში იყო-მეთქი.

— ო, ეს საცოდავი ღმერთები! — თქვა თამამმა პოლიციელმა, — სწორედ იმ დღეს, როცა ძვლები ჩამოიტანეს კოპენჰაგენიდან, უცხოეთის წარმომადგენლებმა ხელშეკრულება მოგვთხოვეს. ალთინგს ისე ეჩქარებოდა ქვეყნის გაყიდვა, რომ „ერის სიამაყის“ დასამარხავად დრო აღარ დარჩა. ამიტომ, როცა ძვლები ჩამოიტანეს, პრემიერ-მინისტრმა პორტში წერილი გააგზავნა, სანამ ალთინგის სხდომა დამთავრდებოდეს, ძვლები „სნორი-ედას“ საწყობში შეინახეთო. სხდომამ მთელი ღამე გასტანა, რადგან კომუნისტები დოლარის წინააღმდეგ გამოვიდნენ, და ალთინგმა ქვეყნის გაყიდვა მხოლოდ მეორე დილისათვის მოახერხა. ამასობაში ბანდიტებმა ძვლები მოიპარეს.

— მაშ, უკვე გაგვყიდეს?

— აბა, რა გეგონა? ჩვენი დამოუკიდებლობა სიზმარივით გაქრა. რეიკიენსი ახლა აეროდრომია, სადაც დასავლეთიდან აღმოსავლეთში მიმავალი საქველმოქმედო მისიები ცოტა ხნით ისვენებენ.

— მერე ამას ვინ დათანხმდა?

— რა ბავშვივით მეკითხები. ვინ და ჩვენი ურაპატრიოტები.

— დედას რომ იფიცებდნენ?

— შენ რა, ხომ არ გგონია, რომ ქვეყანას სხვა ვინმე გაყიდდა?

— ხალხმა რაღა თქვა?

— პოლიციელები, რასაკვირველია, წინასწარ გაგვაფრთხილეს, რომ ხალხისათვის ცრემლმდენი ბომბები და სხვა ამგვარი ტკბილეულობა მოგვემარაგებინა. ხალხი ბავშვია. ხალხს ასწავლიან, რომ ბოროტმოქმედები სკოულავერდუსტიგის ციხეში არიან და არა აუსტურვედლურზე, ალთინგის შენობაში. ხალხი დროდადრო რწმენის საკითხებში ცოტა სისუსტეს იჩენს. მაგრამ თუ პოლიტიკოსები ხშირ-ხშირად დებენ ფიცსა და „ვაშას“ გაიძახიან, ხალხს ისევ უბრუნდება თავისი რწმენა. ხალხს ფანტაზია აკლია. ამიტომ პოლიტიკოსებისა არაფერი ესმის. ხალხი მიამიტია.

— ამ ზაფხულს ჩრდილოეთში ფიცი რომ დადეს, მაშინვე მივხვდი, ქარი საიდან უბერავდა. მე ასე ადვილად ვეღარ გამაცურებენ. მაგრამ რაკი ბედმა გამიღიმა და ნაცნობს შევხვდი, ერთი რამე მინდა გკითხო: „ჩრდილოეთის სავაჭრო საზოგადოების“ საქმე როგორ მიდის?

— არაფერი გაგიგია?

— არაფერი.

— არც ის იცი, რომ თვითონაც იქ მოხვდა?

— სად მოხვდა?

— თუ არაფერი გაგიგია, არ ვიცი, უნდა გითხრას თუ არა კაცმა ეს ამბავი.

— სად „იქ“? — არ მოვეშვი მე, — რას ნიშნავს „იქ“?

— სად და სკოულავერდუსტიგში.

— ციხეში?

— იქო, როცა ამბობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც წვრილმანი დამნაშავეები სხედან. ყველაფერს დრო სჭირდება, ჩემო კარგო. მე მგონია, საქმეს მოევლება. ისე შეტოპა, რომ კადილაკიც კი იყიდა „კვნეტარასაგან“. ორლანისტის დარიგე-

ბას ყური არ ათხოვა და კიდეც იმიტომ წაიმტვრია ფეხი. ორღანისტი ყოველთვის გვაფრთხილებს ხოლმე: სანამ ბოროტ-მოქმედებას ჩაიდენდეთ, ბილიონერს შეუამხანაგდით, თორემ სკოულავერდუსტიგში მოხვდებითო.

— სავაჭრო საზოგადოებას რაღა მოუვიდა?

— ეგ საზოგადოება არასოდეს არსებულა. არც საქონელი ჰქონია. ისე, ცოდვას ვერ დავიდებ და არც თვითონ უთქვამს, საქონელი გვაქვსო. ამბობდა, მალე გვექნებაო. ყიდდა ყველა-ფერს, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა და ფულს იღებდა. როცა ბლომად ფული შეაგროვა და უცხოეთში საქონლის შეძენას აპირებდა თავისი მყიდველებისათვის, მთავრობამ ვალუტის მიღება აუკრძალა. მთავრობა ხომ „სნორი-ედას“ ერთ-ერთი საწარმოა, ჰოდა, ახალგაზრდა წვრილ-წვრილ საქმოსნებს ჭია-სავით სრესს.

— არ ვიცი მუხლები რატომ მიკანკალებს, — ვუთხარი და ხელი გამოვდე. ისე ცუდად გავხდი, რომ თვალთ დამიბნელდა და კინაღამ გულწასული დავეცი. ვთხოვე, ერთი წუთით შევ-ჩერდეთ-მეთქი და თვალებზე ხელი ავიფარე.

— რა ჯანდაბა მალაქლაქებდა, — თქვა მან.

— არა უშავს, — ვუთხარი მე, — მგზავრობამ ცოტა დამ-ღალა, ეგ არის და ეგ.

ქუჩა გადავჭერით და სახლებს უკან გავედით. შემდეგ ორღანისტის სახლთანაც მივედით. ბოლოს ძალ-ღონე მოვიკ-რიბე და ვთქვი:

— რაკი ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი გაყიდეს, დანარ-ჩენს რაღა მნიშვნელობა აქვს.

— ვნახოთ, ჩვენი ორღანისტი როგორ არის, — მითხრა თამამმა პოლიციელმა.

ატომურ ომამდე და ატომური ომის შემდეგ

რა თქმა უნდა, ეს ბედნიერი კაცი მშვენიერ გუნებაზე დაგვხვდა. თავის ყვავილებს უვლიდა, პერანგის სახელოები აეკეცა. ხელები მიწით ჰქონდა მოსვრილი. ვარდებს რგავდა, მიწას აფხვიერებდა, დამჭკნარ ფოთლებს ჭრიდა, სარეველას

აცლიდა, ერთი სიტყვით, ზამთრისთვის ემზადებოდა. რამდენიმე ნარგავი ჯერ კიდევ ყვაოდა. მათ შორის ორიოდე ვარდი. მაგრამ თუ დაკვირვებით მიმოიხედავდით, შეამჩნევდით, რომ ოთახი ჩვეულებრივზე მეტად დაცარიელებული ჩანდა. ძველი ფისჰარმონია აღარ იდგა, სურათებიც გამქრალიყო. აღარაფერი დარჩენილიყო, გარდა ყვავილებისა და ერთი ფეხმოტეხილი ტახტისა, რომელიც ერთობ უგემური დასაჯდომი იყო.

— გამარჯობათ, მობრძანდით, — გვითხრა ორღანისტმა ხალისიანად და მხიარულად, თან მუშაობას განაგრძობდა. მისი სიახლოვე თითქოს აღგვითქვამდა: შენ აქ ჰპოვებ სიმშვიდესა და თავშესაფარსო.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

მიწა ჩამოიფერთხა, გამომიწოდა თავისი თბილი ხელი, მოკოცა და გამიმეორა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

რამდენიმე კომპლიმენტი მითხრა და გამიღიმა:

— დავსხდეთ, ყავა ახლავე მზად იქნება.

ჩემი ხის სკივრი მოტეხილი ფეხის მაგივრად შევუდგით ტახტს და ჩამოვსხედით. ორღანისტი იცინოდა, რომ ასეთ დანჯღრეულ ტახტზე ვისხედით, ტახტსაც დასცინოდა და მის პატრონსაც.

— კლეოპატრა სად არის? — ვკითხე მე.

— დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ აღარ გამოჩენილა, ეგონა, ჩემი წყალობით სახელი გაუტყდებოდა. კლეოპატრას ხომ წვრილბურჟუაზიული შეხედულებები ყოველთვის ჰქონდა, თუმცა მაინც დიდი ადამიანია. ნაპოლეონ დიდიც დიდი ადამიანი იყო.

— ნაპოლეონი, დიდი? — გაიოცა თამამმა პოლიციელმა.

— რაზე მსჯელობ, ჩემო კარგო, — უთხრა მას ორღანისტმა, — თანაც ასე სერიოზულად.

— ჩვენს დროში მართლა აღარა ღირს მსჯელობა, — თქვა თამამმა პოლიციელმა, — ხალხი ხმას არ იღებს. წეღან უგლას ვეუბნებოდი: ხალხი მიამიტია, არც კი სჯერა, რომ ის, რაც მოხდა, შესაძლებელია. უბრალო ხალხი ამას ვერ ხვდება. თუმცა შვიდასი წელი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა.

— უზრდელობაში ნუ ჩამომართმევ და რაზე ლაპარაკობ, მეგობარო?

— ქვეყანა გაყიდეს, ძვლები ამოთხარეს, — თქვა თამამმა პოლიციელმა.

— რა მოგივიდათ, ბავშვებო? — იკითხა ორღანისტმა, — არ გინდათ, რომ გმირები გყავდეთ?

— გმირები? ამ საქმეს გმირის მეტი ვინ იზამდა? — დამ-ცინავად ჩაილაპარაკა თამამმა პოლიციელმა.

— თუ ადამიანი მიზნის მისაღწევად ყველაფერს სასწორზე დადებს, თავის რეპუტაციასაც კი, განა ეგ გმირობა არაა? — თქვა ორღანისტმა.

— მაშინ კვისლინგიც გმირი ყოფილა, — უპასუხა თამამმა პოლიციელმა, — მან ხომ წინასწარ იცოდა, რომ სახრჩობელა არ ასცდებოდა, ნორვეგიელები კი არც სიკვდილის შემდეგ მოაკლებდნენ წყევლა-კრულვას.

— გებელსმა ჯერ თავისი ცოლ-შვილი დახოცა, შემდეგ კი თავი მოიკლა, რომ მტრებს არ ჩავარდნოდა ხელში, — თქვა ორღანისტმა, — შემცდარი აზრია, ვითომ გმირობისთვის აუ-ცილებელია კარგი მიზანი გქონდეს. ჩვენ, ისლანდიელებს, ხომ მსოფლიოში ყველაზე დიდი საგმირო ლიტერატურა გვაქვს, ჰოდა, გმირობის არსი ჩვენზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს? ჩვენი ვიკინგები, რომლებიც მაშინაც კი იკურთხებოდნენ, როცა თავებს კვეთდნენ, გმირები არიან. ასე თუ ვიმსჯელებთ, ფა-შისტებს სხვებზე ნაკლები გმირები როდი ჰყოლიათ. ვიკინგე-ბისათვის შეხედულებებს ხომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე მგონია, ისლანდიელ ხალხს ამ ბოლო დღეებში ნამ-დვილი გმირები გაუჩნდათ.

— რომ გაიმარჯვონ, მაინც გმირები იქნებიან? — იკითხა თამამმა პოლიციელმა.

— თვითონაც კარგად იციან, რომ ეს შეუძლებელია, ჯერ არ მომხდარა, რომ სამშობლოს გამყიდველებს გაემარჯვოთ. ის კი, ვინც თავის ქვეყანას აშენებს, ყოველთვის იმარჯვებს. გმი-რობა და გამარჯვება ერთი და იგივე როდია. გაიხსენეთ ჰიტ-ლერი, ევროპის მკვლელი: დამარცხდა, მაგრამ დანებება აზრა-დაც არ მოსვლია. პირიქით, კისერზე მარყუჟჩამოცმულმა ჯვა-

რი დაიწერა. არც არამზადა გერინგს გამოუჩენია სიმხდალე. ზოგიერთს ჰგონია, გმირები იდეალისტები, ერთი ახირებული და ჩვეულებრივი ხალხია, აი, ისეთები, მე და შენ რომ ვართ. მაგრამ თქვენ თუ ამას ირწმუნებთ, გამოვა რომ მილიონები, რომლებიც ჰიტლერმა გაზით მოაშთო და ის ასობით მილიონი ქალი და ბავშვი, რომელთაც ატომური ბომბი გაანადგურებს, გმირები ყოფილან.

— მაგრამ ჩვენს გმირებს რომ ბედმა გაუღიმოთ და ყველა ისლანდიელის გაჟლეტა მოახერხონ? — თქვა თამამმა პოლიციელმა. — თუ საჭირო გახდება, მებრძოლი სახელმწიფო საქველმოქმედო მისიათა სადგურს თვალის დახამხამებაში გადააკეთებს ატომურ სადგურად.

— ჩვენ ხომ ვიცით, რა მოუვიდა ჰიტლერს, — თქვა ორღანისტმა, — ხალხი უკვდავია. ადამიანთა მოდგმის მოსპობა შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ეპოქაში. გასაკვირი არაფერი იქნება, რომ საზოგადოების გონივრული ფორმისათვის ბრძოლაში დაიღუპოს ადამიანთა მოდგმის უმეტესი ნაწილი. შესაძლებელია, უამრავი ქალაქი გაუკაცურდეს, ვიდრე ყველა ჩაწვდებოდეს ამ ახალი ფორმის არსს, მაგრამ როდესაც ეს მოხდება, კაცობრიობისათვის დადგება აყვავების ახალი ერა.

— ისლანდიისათვის ვერაფერი ნუგეშია, რომ მსოფლიო ბატონობისათვის მებრძოლთა ხელით დაიღუპოს, — თქვა თამამმა პოლიციელმა.

— ისლანდია როგორც პოლიტიკური ერთეული არც ისე მნიშვნელოვანი ქვეყანაა. ისლანდიელები მხოლოდ ათასი წელია, რაც არსებობენ და ყოველთვის მცირერიცხოვანი იყვნენ, თუმცა შვიდასი წლის წინათ უკვე ქმნიდნენ თავიანთ გმირულ საგებს. მრავალი სახელმწიფო, ყველას სახელი შეიძლება აღარც გვახსოვდეს, ამ ხნის განმავლობაში დაემხო, რადგან ფეხდაფეხ ვერ მისდევდა დროს, ბუნება კი მათგან საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო გონივრულ ფორმას მოითხოვდა. მოსაზრება, რომ ერთი ქვეყანა შეიძლება რამეს ნიშნავდეს, როგორც პოლიტიკური ერთეული, ერთ და იმავე დროს ახალიცაა და ძველიც. არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ქვეყანა

და საზოგადოების ორგანიზაციის ფორმა. რომის იმპერია ქვეყანა კი არ იყო, არამედ განსაკუთრებული შეიარაღებული ცივილიზაცია, ჩინეთი კი, პირიქით, განსაკუთრებული სულიერი ცივილიზაცია იყო. შუა საუკუნეების ქრისტიანობა არ იყო ქვეყანა, კაპიტალიზმი არაა ქვეყანა. კომუნიზმი არაა ქვეყანა, დასავლეთი და აღმოსავლეთი არ არიან ქვეყნები. ისლანდია კი ქვეყანაა, გეოგრაფიული ერთეულია. ატომურმა ომმა შეიძლება მოსპოს ქალაქები, მაგრამ არა გეოგრაფია. ამიტომ ისლანდია გადარჩება.

— მერე შენ, ეს განათლებული კაცი, დაჯდები გულხელდაკრეფილი, როცა განათლების კერებს მიწასთან გაასწორებენ? — ჰკითხა თამამმა პოლიციელმა.

— განა არ იცი, რომ ქალაქი ნანგრევებით ფასდება? — თქვა ორღანისტმა, ჩაიდნის თავზე დაიხარა და უდარდელად გაიცინა, — გაუმარჯოს პომპეას!

— ესე იგი, შენ გინდა, რომ ლონდონის ნანგრევები სარეველა ბალახმა დაფაროს და პარიზისაგან დარჩენილ წუმპეში შმორის სუნი დადგეს?

— რატომ გგონია, რომ ლონდონის ნანგრევებზე ვარდის ბუჩქები არ ამოვა და პარიზის ტბაში გედები არ იცურავებენ? ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ქალაქში რაც მეტი ბაღი იქნება, მით უკეთესია. ადამიანებს მოსწონთ, როცა მათი სახლები ხეებში და ყვავილებში არის ჩაძირული და მოლივლივე ტბაში ისარკება. მაგრამ ყველაზე უკეთესი ბაღი მაინც სოფელია. იგია ნამდვილი წალკოტი. როდესაც ატომური ბომბი მთელ ქალაქებს გაანადგურებს დედამიწის ზურგზე, მაშინ დაიწყება სოფლის კულტურა! დედამიწა ისეთ ბაღნარად იქცევა, რომელიც აქამდე მხოლოდ სიზმრებსა და ლექსებში არსებობდა.

— და, ჩვენ ისევ ცხენებს გავაღმერთებთ, — თქვა ჩრდილოელმა ქალიშვილმა, მიწვა ტახტზე და მიიძინა.

ორღანისტის სახლი

როცა გავიღვიძე, დიდი ხნის გათენებული იყო. ჩემს ორღანისტს ყვავილების მოვლა დაემთავრებინა. სახელოები ისევ

გადაწეული ჰქონდა, ხელში ტაშტი და ცოცხი ეჭირა და ოთახს ალაგებდა. მე ზამთრის პალტო მეფარა.

— რამდენი მძინებია, — ვთქვი მე.

— შენი ბრალია, ყავა რომ აღარ შეგხვდა. არა უშავს, მალე სადილობის დროც მოვა.

— მე თვითონაც გაოცებული ვარ.

— რატომ? — თქვა მან და გამიღიმა.

— სხვის სახლში რომ ვიძინე.

— რომელი სახლი არაა სხვისი. ჩვენ ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართ და სხვის სახლში ვცხოვრობთ. მაგრამ რა მშვენიერია ეს მიწიერი მგზავრობა!

— ქვეყანა ხომ მეკობრეთა ბუნაგია?

— მერე რა, რომ მეკობრეთა ბუნაგია? ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— არც ქვეყნის მოპარვას აქვს მნიშვნელობა?

— არც ქვეყნის მოპარვას. შენთვის ეს ამბავი მოულოდნელი იყო?

მე აღარ ვიცოდი რა მეპასუხა.

— ძუძუები რძითა მაქვს სავსე, — ვთქვი მე.

— იმ ოთახში შედი და გაკოხტავდი. მალე სადილობის დროც მოვა.

სანამ მეძინა, გასულა და ათასი რამე უყიდია. მაგიდაზე ქალალდის პარკები ელაგა. ერთ პარკში კვერცხები ეწყო, მეორეში ძეხვი, მესამეში — თევზი, დანარჩენებში — კარაქი, ნაღები, დიდ პარკში ყველი იდო. სამზარეულოში ვისადილეთ, საჭმელს პირდაპირ პარკებიდან ვჭამდით. ბოლოს ვკითხე:

— ახლა კი მიამბე, რა ჩაიდინა ჩემმა მეგობარმა?

— ჩვენს საზოგადოებაში ერთადერთი საშიში ბოროტმოქმედება სოფლელობაა. ამიტომაც მსოფლიოს ქალაქები აღიგვება პირისაგან მიწისა.

— მაგრამ ის ხომ მოწოდებას გრძნობდა...

— სოფლელ კაცს ამაზე უარესი რაღა შეიძლება მოუვიდეს. ორლეანელ ქალწულსაც ასე არ დაემართა? როდესაც ეს გოგო ცხვარსა მწყემსავდა, უეცრად ცნობილი წმიდანები გამოეცხადნენ და არნახული სასწაულის ჩადენა მოსთხოვეს.

— მან ხომ საფრანგეთი იხსნა!

— ეგ კი არა მჯერა. ჭორია. მისი შთამაგონებელი წმიდანები ბიზანტიელმა მემატიანეებმა მოიგონეს. თვითონ ღმერთმა უყო ოინი ამ ქალიშვილს, ისეთი წმიდანები მოუვლინა, რომლებიც არასოდეს არსებულან. ეს თვითონაც კარგად იცოდა. ბოლოს ამ შეცდომის გამო საწყალი ქალი კოცონზე დაწვეს, სოფლელებისათვის ციურ ხმებზე საშიში არა არის რა.

— იქნება ჩემს მეგობარსაც ქვეყნის ხსნა უნდოდა?

— აჰ, არა, საბედნიეროდ, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. პირიქით, თიბვის დროს ციური ხმა ჩამოესმა, თუ გინდა კაცი გამოხვიდე, სამხრეთში წადი და ქურდობა ისწავლეო.

— რამდენადაც ვიცი, სამხრეთში იმიტომ ჩამოვიდა, რომ პოლიციელი გამხდარიყო.

— ედაში წერია, ადამიანი ზედმეტად ჭკვიანი არ უნდა იყოსო. შენს მეგობარს ეგონა, რომ ქურდების მეთოდებს ყველაზე უკეთ პოლიციაში ისწავლიდა. სოფლელები წმიდანები არიან და ასე ჰგონიათ, ქურდები კარგ ფულს აკეთებენო, შარშან ზამთარში ხშირად ვარწმუნებდი, ტყუილია, ქურდები მეეზოვეებზე ნაკლებ ფულს იღებენ-მეთქი.

— მერე „ჩრდილოეთის სავაჭრო საზოგადოება?“

— რა თქმა უნდა, ასეთი ჭკვიანი და მუსიკალური კაცი ძალიან მალე მიხვდა, რომ ძვირფასეულობა ყველას საიმედოდ აქვს გადამალული და სოფლელისთვის ძნელი საქმეა ღამით ფანჯარაში გადაძრომა და რამის მოპარვა. თუ საზოგადოებაში ქურდი გინდა გახდე, კანონის მიხედვით უნდა იქურდო, უმჯობესია, თუ თვითონვე გამოსცემ კანონებს. ამიტომ ყოველთვის ვურჩევდი, ალთინგის დეპუტატი გამხდარიყო, მაშინ რომელიმე მილიონერი მხარს დაუჭერდა, შექმნიდა აქციონერულ საზოგადოებას და ახალ ავტომობილს იყიდიდა. სჯობდა ყველაფერი ერთბაშად გაეკეთებინა, მაგრამ ნამდვილი გლეხი იყო და ჩემს ნათქვამს ბოლომდე ვერ იგებდა. ამიტომაც ჩავარდა. ეგონა, საკმარისი იქნებოდა ყალბი აქციონერული საზოგადოების შექმნა, ყალბი მილიონერისათვის „ორასი ათასი კვნეტარასათვის“ თავის მოწონება და მრავალჯერ მოპარული მანქანის შეძენა, ნაცვლად იმისა, რომ ნამდვილი აქციო-

ნერული საზოგადოება დაეარსებინა, ნამდვილი მილიონერი ეშოვა და ახალთახალი მანქანა პირდაპირ ქარხნიდან გამოეყვანა. მოკლედ, თავისი მოწოდების სპეციფიურ წერილმანებში ვერ გაერკვა. რა თქმა უნდა, ამის შედეგია, რომ ალთინგის ნაცვლად ციხეში ზის.

— მერე, შეიძლება ისეთი კაცის გადარჩენა, რომელიც კანონს ვერ შეეგუა?

— სოფლელების გადარჩენა ყოველთვის ძნელია, — მითხრა ორღანისტმა, — კანონი იმისთვისაა მოგონილი, რომ ბოროტმოქმედნი დაიცვას და ისეთი ბრიყვები დაიჭიროს, ვინც ჩვენი საზოგადოების არსს ვერ ხვდება. თუმცა ყველაფერი, რაც თქვენმა მეგობარმა ჩაიდინა, ისეთი ბავშვური დანაშაულის ფარგლებს არ სცილდება, როგორიცაა სახლის გატეხვა. სანუგეშო მხოლოდ ის არის, რომ მისი მეთოდები დიდად არ განსხვავდება მეწარმეთა პრაქტიკისაგან, ამიტომ მისი დასჯა ჩვენი ქვეყნის რჩეულთა შეურაცხყოფას ნიშნავს. ცუდი ისაა, ასი ათასიოდე კრონიც არა აქვს, რომ თავი დაიხსნას.

ცოტა დავფიქრდი, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ეს უიმედო საქმე იყო.

— ჩემი დედ-მამა უკვე მოხუცდა, მაგრამ მთელი მათი ცხოვრების მონაგარიც რომ გავყიდო, ამოდენა თანხა მაინც არ შეგროვდება.

— როგორ გგონია, ვითომ არ დაუმსახურებია კარგი სასჯელი? დაე, საკუთარ ტყავზე გამოსცადოს, რა ცუდია, როცა მოუქნელი ხარ და სხვის გონივრულ რჩევას ყურს არ უგდებ. სხვამ რამ უნდა გადაარჩინოს?

მე ჭამა შევწყვიტე და ფანჯარაში სახლის ირგვლივ ჩამწკრივებულ დამჭკნარ ბუჩქებს გავხედე. მაგრამ ამ სიტყვებზე მისკენ მოვტრიალდი და პირდაპირ ვუთხარი:

— ის ჩემი პატარა გუდრუნის მამაა და სულ ერთია, გაათავისუფლებენ თუ არა, მაინც ჩემი ქმარი იქნება.

— დიახ, დიახ, ჩემო მეგობარო, — მითხრა ორღანისტმა და არც გაღიმებია, — აბა, მე რა ვიცოდი, შენ რას ფიქრობდი.

— წუხანდლამდე არც მე ვიცოდი. მაგრამ ასი ათასი კრონი რომ არა მაქვს?

მან ფრთხილად გაიღიმა და დაფიქრებულმა შემომხედა.

— ბუი არლანი, ჩვენი დეპუტატი და შენი ყოფილი ბატონი, უყოყმანოდ გამოგიწერს ამ გროშებს.

— ჯობია, დაველოდები სანამ ჩემი ქმარი სასჯელს მოიხდიდეს.

— ბუი არლანი დიდებული ბიჭია, ოდესღაც ერთად ვსწავლობდით. დარწმუნებული ვარ, რომ არაფერზე არ დაგზარდება.

— ბუი არლანი ისლანდიაში ყველაზე დიდებული კაცია, ვინ უნდა იცოდეს ეს ჩემზე უკეთ, რომელმაც წუხანდელი ღამე მასთან გავათიე?

— ყური მიგდე, ყავა ხომ არ დავლიოთ? ნამცხვარი პარკშია.

— ახლავე ავადუღებ. შენ უკვე გაისარჯე: საჭმელი იყიდე, ყვავილები ზამთრისთვის მოამზადე, სახლი დაალაგე. ერთი ეს მითხარი, ჩვენი თავგაპობილი სკარპჰედინ ნიალის ვაჟის პორტრეტი სადღაა, რომელსაც აგრეთვე მშვენიერი კლეოპატრა ერქვა? როგორ მაკლია თვალში!

— დავწვი. გადაწყვეტილი მაქვს ახალი სურათი შევქმნა. დროდადრო ცვლილებებია საჭირო. შენ რაღას აპირებ, ჩემო მეგობარო?

— სამუშაოს ვიშოვი და სალამოს სკოლაში ვივლი, როცა საკმარის ფულს დავაგროვებ, ბავშვების მოვლას ვისწავლი.

ჩვენ ყავა დავლიეთ.

— გმადლობთ, — ვუთხარი მე, — ახლა კი ქალაქში წავალ და სამუშაოს მოვნახავ.

— წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ჩვენი სკოულავერდუსტიგელი მეგობრის ამბავი გადაწყვეტილია?

— გადაწყვეტილია, — ვუთხარი მე, — ის ჩემი ქმარია.

და ორღანისტმა, — რომელსაც ადამიანები ღმერთებზე მაღლა აყენებენ, ღმერთები კი —ადამიანებზე მაღლა, მამაკაცთაგან ყველაზე შორეულმა მამაკაცმა ქალისათვის და მაინც ერთადერთმა მამაკაცმა, ვისთანაც ქალს შეუძლია მისვლა, როცა მისთვის ყველაფერი დამთავრდება, — სანამ მე გამორკვევას მოვასწრებდი, თავისი გრძელი თითები თავზე დამადო,

დაიხარა და კეფაზე მაკოცა. შემდეგ მიტრიალდა, სამზარეულოს მაგიდიდან პარკი აიღო, რომლისთვისაც ხელი არ გვიხლია და, მე მეგონა, შიგ ყველი იდო. სწრაფად გახსნა. პარკში ფულის დასტა იდო.

— აიღე.

— ნამდვილი ფულია?

— არა მგონია. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩემი გაკეთებული არ არის. მომეცი ჩანთა.

— რამ გაფიქრებინა, რომ ოდესმე შენგან ფულს ავიღებდი?

— მაშინ ღუმელში შევაგდოთ.

მან აიღო ფული და ღუმელთან მივიდა.

ეჭვიც არ შემპარვია, რომ ამოდენა სიმდიდრეს ჩემს თვალწინ უყოყმანოდ ცეცხლში შეაგდებდა, შემდეგ ბავშვური ღიმილით მომიბრუნდებოდა და კრინტსაც აღარ დასძრავდა ამაზე. მაგრამ დავასწარი, ხელში ვეცი და ვუთხარი:

— არა, არა, არა. ავიღებ.

მან გამომიწოდა.

— მაგრამ ერთი პირობით, — თქვა მან, როცა გადმომცა, — არავის არ ეტყვი, სად იშოვე, არც ჩემს სიკვდილამდე და არც ჩემი სიკვდილის შემდეგ.

მე ფული ჩანთაში ჩავდე, გაწითლებული და დაბნეული ვიყავი. სირცხვილისაგან ვიწოდი, ის კი ამ დროს ყველაზე ლამაზ ყვავილებს ჭრიდა და თაიგულს კრავდა:

— იმედი მაქვს, ყვავილებზე არ იტყვი უარს?

ის კანაფით კრავს თაიგულს და ღიმილით მაწვდის.

— ალბათ მთელ ისლანდიაში არ მოიძებნება ისეთი პატარძალი, ჩემზე უკეთესი თაიგული რომ ჰქონდეს, — ვუთხარი მე.

— ძალიან გამიხარდება, თუ დაგატკბობენ, ვიდრე ცოცხლები იქნებიან, ხოლო როცა მოკვდებიან, დაწვი. მშვიდობით იყავი. მადლობელი ვარ, რომ მოხვედი. ჩვენს მეგობარს მოკითხვა გადაეცი.

როგორ გამხდარა და როგორ მოხრილა! ალბათ ავადაა.

როცა გამოთხოვებისას ვკოცნი და თავს მხარზე ვადებ, ვგრძნობ, რომ ცახცახებს.

გარეთ გამოვდივარ. ის კარამდე მიმაცილებს და სანამ შებრუნდებოდეს, უეცრად ბოდიშის მოხდასავით მეუბნება:

— კინაღამ დამავიწყდა, აქ აღარ მოხვიდე. დღეს გადავდივარ. გუშინ სახლი გავყიდე.

— სად გადადიხარ?

— ჩემს ყვავილებს გავყვები.

— ყვავილებს ვინღა მოუვლის?

— ყვავილები უკვდავები არიან, — თქვა, მან და გაიცინა, — შემოდგომაზე მოჭრი, გაზაფხულზე კი ისევ ამოვა სადმე.

უკვდავი ყვავილები

ხელში სკივრი და თაიგული მიჭირავს და სკოულავერდუსტიგის ციხეში მივდივარ. ტაძარს რომ ჩავუარე, დავინახე, იქიდან კუბო გამოიტანეს. ხალხის სიმრავლის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ეტყობოდა, ვიღაც მდიდარს ასაფლავებდნენ. მე მგონია, მთელი ისლანდიის სახელმწიფო მოღვაწეები აქ იყვნენ შეკრებილნი. ყველას ვიცნობდი სახით, — გასულ ზამთარს ხშირ-ხშირად ვუღებდი მათ ღამღამობით კარს. ყველანი ფრაკებში იყვნენ გამოწყობილნი და ცილინდრები ხელში ეჭირათ. აქ იყვნენ პრემიერ-მინისტრი და სხვა მინისტრები, ალთინგის რამდენიმე დეპუტატი, კომერსანტები და მსაჯულები, მორცხვი, თან თავხედი ნაღვლიანი მამაკაცი — გაზეთის გამომცემელი, ეპისკოპოსები, ზეთსახდელი ქარხნის დირექტორი. ეს პატარა ჯგუფი შემორტყმოდა უჩვეულოდ ლამაზ კუბოს, რომელიც რჩეულთა შორის რჩეულებს მიჰქონდათ. ერთ მხარეს პრემიერ-მინისტრი ედგა, მეორე მხარეს ის მორცხვ-თავხედი ნაღვლიანი მამაკაცი, გაზეთის გამომცემელი. შემდეგ ლამაზი, ტანადი, ჭაღარაშერეული კაცი, რომელსაც არწივისებური ცხვირი ჰქონდა და ძვლის სათვალე ეკეთა. თოვლივით თეთრი ხელთათმანები ეცვა, მაღალი ქუდი ხელში ეკავა. ამ ხალხში თავს შინაურულად გრძნობდა. ვინ არის? ცხადად ვხედავ თუ სიზმარია?

„ყველაფერს, რასაც მომთხოვ, შეგისრულებ“. აქამდე ვერ ვხვდებოდი ამ სიტყვების აზრს. მაგრამ ახლა ბავშვობაში ნასწავლი სახარების სიტყვები ამოტივტივდა ჩემს ცნობიერებაში, სიტყვები რომელსაც ეშმაკი ეუბნება მაცხოვარს: „ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე“.

ეს დიდებული დაკრძალვა საოცარი სანახავი იყო: სინამდვილეში კუბოს ნამდვილი პროცესია არ მიჰყვებოდა. სად არის ახალგაზრდობის კავშირი, სკოლები, სტუდენტთა კავშირი, მეეზოვეთა კავშირი, ქალთა კავშირი, კანტორის თანამშრომელთა კავშირი, მხატვართა კავშირი? აქ არ ერია არც ერთი ნამდვილი ადამიანი, არც ერთი ნათესავი, არც ერთი ჭირისუფალი. ძაღლმაც კი, რომელიც ოდესღაც მარტო მისდევდა მოცარტის კუბოს, არ იკადრა შეერთებოდა ამ პროცესიას. შეიძლება ვინმემ მალულად გახსნა კუბო? და რა დაინახა შიგ? პორტუგალიური სარდინები? თუ დანიური თიხა? და შემდეგ მთელ ხალხს უამბო? მაგრამ ვინ ჩაიდენდა ამას?

უბრალო ხალხი გულგრილად მიდი-მოდიოდა, პროცესიისკენ არც კი იხედებოდა. შორიახლო უსაქმურთა ჯგუფი იდგა, ისინი დასცინოდნენ ცილინდრებს, ატომის მგოსნის მიერ შეთხზულ ეპიტაფიას მღეროდნენ:

დაეცა ბილწი ოლე ფიგური,
ეგ მოციქული ჯოჯოხეთისა,
ეგ ტარტაროზი კეფლავიკელი,
გაყიდვა სურდა მშობელი მიწის,
ძვლების ამოყრა სურდა მიწიდან.
აღარ ინდობდა თვით კეფლავიკსაც,
ემუქრებოდა ატომურ ომით.
დაეცა ბილწი ოლე ფიგური,
ეგ მოციქული ჯოჯოხეთისა,
ეგ ტარტაროზი კეფლავიკელი.

მე მიმოვიხედე, რომ უმოკლესი გზა ამერჩია, რათა გავცლოდი ამ მოედანს. თაიგული გულში ჩავიკარი და გავიქეცი. რა იქნებოდა ამ ყვავილების გარეშე ჩემი ცხოვრება?

შინაარსი

„ბუდუბოდი“ . 5
ქალბატონის არ მეშინია 8
ეს სახლი და ჩვენი კარ-მიდამო 10
ცხელარი ღამეში 12
სახლი სახლების უკან 14
ორი ღმერთი . 18
თეოლოგიური გასეირნება ღამით 24
შეგონება 28
ღამის სტუმრები . . . 31
ისლანდია ქუჩაში, ახალგაზრდობის სახლი 32
ქარიშხალი სადილობისას 35
ჩემს ორღანისტთან . 10
სურათები სახლში, სადაც მე ვცხოვრობ 42
ბეწვეულის ფერმა . . 44
როგორ დავესწარი უჯრედის კრებას 51
მეორე კრება 56
ის, ვინც განმარტოებით ცხოვრობს მთაში, და მამაჩემი 61
ქალბატონი იატაკზე აგდია 63
ღამის წვეულება 64
ფიცი . . 69
ღმერთებს ცუდი ამბავი მოაქვთ 70
გასაღები 74
სიყვარული . 78
სამსახურიდან მითხოვენ 80
დარჩენას მთხოვენ . 83
მობარებული ბავშვები და მათი სულები 85
არიქა, მოკლეს! 88
ვაშლის წვენი 92
ჩემი ბავშვები წვეულებას მართავენ 95
ლინგო 97
ზამბახი იყიდე . 99
ოლე ფიგური მოკლეს . . . 104
ოჯახის უფროსი ღამის თორმეტ საათზე გულახდილად მესაუბრება დერეფანში . 104
ახალწლის მხიარული საღამო 108

ბალწლის სუსხიანი ღამე 110
ვინ თუ საგა? 112
ავსტრალიისაკენ . . 117
„ჩემი დედიკო ფარეხშია“ 119
ქალიშვილი ღამეში . 121
მეორე ქალიშვილი ღამეში . 123
მოქალაქე ღია ცის ქვეშ . 127
ყველა ამქვეყნიური თეორია და ცოტა რამ კიდევ 129
ეკლესიის მშენებლობა 134
ღმერთი . 138
ქვეყანა გაყიდეს 141
ის, რაც ეკლესიის მშენებლებმა ვერ გაიგეს და ჩვენი ალთინგის დეპუტატი . . . 143
ყველაფერს, რასაც მომთხოვ . . 145
„ჩრდილოეთის საერო საზოგადოება“ 147
ლვთაებრივი სტუმრები . . 153
პორტუგალიური სარდინები და დანიური თიხა 156
ცხენები . . 158
ტელეფონით საუბარი 161
პატაგონია . . 163
მოედანი განთიადისას . . . 170
ატომურ ომამდე და ატომური ომის შემდეგ 174
ორღანისტის სახლი . 178
შეკვდავი ყვავილები 184